

# სხანი შკლათ დაგ უმკომდენი

ივლისი № 7

ფასი 5 ლარი

ლევან ბერძენიშვილი

სალომე ცყაბლაძე

დიტო ცინცაძე

ლევან უჩაენიშვილი

კრისტინა

ბოლნის თარაყი

კრისტინა ბოტი

სრულმნიანი სათვალე  
გიორგი გვახარია

სპეც-პროექტები:  
სიზმრის ახსნა  
ირანი  
მომავალი სიღარიბის გარეშე





ქიტანი



LE CHARME IRRÉSISTIBLE  
მაცდური შარმი



ქიტანი  
მსუბუქი

ქიტანი  
ულტრა  
მსუბუქი

ქიტანი  
როჟი

სამედიკინო საშუალება OPIEDA

ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებით:  
მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.  
მოწევა იწვევს გულის დაავადებებს.



# “KLM გეზატიჟებათ ევროპაში“

გერმანია 273 აშშ დოლარიდან

ევროპა 323 აშშ დოლარიდან



შეიქმნა 30 ივნისამდე, ივრინეთ 31 აგვისტომდე

ბერლინი	273	ამერიკის მსახარბლის ჩათვლით	401.91
ლონდონი	323	ამერიკის მსახარბლის ჩათვლით	495.99
მილანი	323	ამერიკის მსახარბლის ჩათვლით	451.50
პარიზი	323	ამერიკის მსახარბლის ჩათვლით	459.96
რომი	323	ამერიკის მსახარბლის ჩათვლით	450.67
ბარსელონა	323	ამერიკის მსახარბლის ჩათვლით	442.91

ფასები მოცემულია აშშ დოლარებში

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით თქვენს სამოგზაურო სააგენტოს ან ავიაკომპანია KLM-ის სათაო ოფისს: (995 32) 920079, 920023  
ელ-ფოსტა: [reservations@klm.com.ge](mailto:reservations@klm.com.ge)

ბერლინი-ბრემენი-კოლნი-დუსელდორფი-ჰანოვერი-ჰამბურგი-მუნხენი-ნურბერგი-შტუტგარტი-ამსტერდამი-აბერდინი-ბარსელონა-ბირმინგემი-ბოლონია-ბრისტოლი-ბრუსელი-ბუდაპეტი-ბუარესტი-კოპენჰაგენი-კარდიფი-დუბლინი-ედინბურგი-ფლორენცია-გლაზგო-გოტენბურგი-ჟენევა-ჰელსინკი-კრისტინსენდი-ლიდსი-ლისაბონი-ლონდონი-ლუქსემბურგი-ლიონი-მადრიდი-მანჩესტერი-მარსელი-ნიცა-ნიუკასტლი-კორკი-ოსლო-პარიზი-პრადა-რომი-სტოკჰოლმი-სტეკანგერი-ტალინი-ტულუზა-ვენეცია-ვენა-ვარშავა-ცურინი

**LAVAZZA**  
ITALY'S FAVOURITE COFFEE

„ბბ კომპანი“, კოსტავას 26, ტელ.: 98 40 24

[www.lavazza.com](http://www.lavazza.com)





# Coca-Cola

## 9 TH TBILISI INTERNATIONAL JAZZ FESTIVAL

WWW.EASTERNPROMOTION.COM

### 2 ივლისი

#### ვაკის პარკი

- 18:00 — ლემონ ჯუს (საქ.)
- 19:00 — პაპარაცი (საქ.)
- 20:00 — გიორგის ჯაზდივიზიონი (საქ.)

### 3 ივლისი

#### შერატონის საბანკეტო დარბაზი

- 21:00 — ქლაიენტს ფანკ სოსაითი  
მონვეული სტუმარი  
ფრედა გუდლეტი (შვეიცარია-აშშ)

### 4 ივლისი

#### ნესკაფე წარმოგიდგენთ

#### დიდი საკონცერტო დარბაზი

- 20:00 - დევიდ სენბორნი და ოლსთარ ბენდი (აშშ)  
გილ გოლდმტეინი, დონ ელაიასი,  
თერი-ლინ ქარინგტონი, ქრისტოიან მაქბრაიდი.

#### შერატონ მითხის პალასი


- 23:00 — ჯემ სტეიშენი:  
ქლაიენტს ფანკ სოსაითი

#### დეივიდ სენბორნი და ALL STAR BAND (აშშ)

გილ გოლდმტეინი, დონ ელაიასი, თერი-ლინ ქარინგტონი და ქრისტოიან მაქბრაიდი

#### ჯორჯ ბენსონი და ბენდი (აშშ)





# Tbilisi 2005 JAZZ FESTIVAL

## კოკა-კოლას ჯაზფესტივალი

### 5 ივლისი

#### დიდი საკონცერტო დარბაზი

20:00 - შინი (საქ.)

მონვეული სტუმარი- რენდი ბრეკერი (აშშ)

21:00 - ჯონ სქოფილდის კვარტეტი (აშშ)

მონვეული სტუმარი - ქრის ფოთერი

### 6 ივლისი

ბანკი რესპუბლიკა და ნესკაფე  
წარმოგიდგენთ

#### დიდი საკონცერტო დარბაზი

20:00 - ჯორჯ ბენსონი (აშშ)

რენდი ბრეკერი (აშშ)

ჯონ სკოფილდი და კვარტეტი (აშშ)  
ქრის ფოთერთან ერთად



# იქცე და სწრაფად -






**უნაკლოდ სუფთა,**



**სივ წყალმუც კი!**



გაატარეთ სხელი ჯაფხული გრილად და კომფორტულად!



ვაკის საცურაო აუზი  
და ფიტნეს-კლუბი



# 25 25 75

რ. ჭანჭანაძის გამზირი №49ბ

[www.vakefitness.ge](http://www.vakefitness.ge)



სალომე ტყაბლაძე  
შემღებინსდაგვარად ახლოს  
ავტორი: სალომე კიკაღაიანი

34




ვითომ...  
სიზმრის ახსნა >>>  
ავტორი: ნესტან კვინიკაძე

46



ღიგო სინსაძე  
6.00\_დან 9.00\_მდე  
ავტორი: სალომე კიკაღაიანი

64



ივლისი

07

სკან-პროექტი ირანი  
ავტორები: ანა კორკია-სამაღაშვილი; ბიორბი ლოჟანიძე

88



ლევან ბერძენიშვილი კასი, რომელის იხინის  
ავტორი: ზაზა ბურჭულაძე  
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

33.18



**რედაქტორი** შორენა შავერდაშვილი  
**რედაქტორის თანაშემწე** ნატა ფედოსევა  
**არტ რედაქტორი** ლევან ნუცუბიძე  
**ფოტო** დავით მესხი  
ლევან ხერხეულიძე  
**სტილისტი** გაგა ლომიძე  
**ილუსტრაცია** მაია სუმბაძე / ნიკა მარაიძე  
კაკაღუ  
ლევან ნუცუბიძე  
**დიზაინი** დავით თეთრაძე  
**დისტრიბუცია** მისეილ დგებუაძე  
დავით ნარიმანიძე

ფოტო მოკთხრობა  
იყო ასეთი ქალაქი  
ავტორი: ღათო ტურაშვილი

74



ქრისტე  
ჩემო ლამაზო!  
ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი

78



ბოლი თარაყი

ავტორი: ბიორბი ლოხანიძე

124



სრამლიანი სათვალე  
ნაწილი II  
ავტორი: ბიორბი გვახარია

132



ღვეან უჩაწიშვილი  
შატყობიწევა ავტო-მოკასუწევა  
ავტორი: წესტან კწინიკაძე

140



კიწსა: ბანწწაღევა  
ბაჭიწბიწ თაოკაწე

ავტორი: წესტან კწინიკაძე

147



**წოწარწა მოწაოზღწან:**

წესტან კწინიკაძე  
ანა კორძია-სამადაშვილი  
თამარ ბაბუაძე  
სალომე კიკალეიშვილი  
ღათო ტურაშვილი  
ზაზა ბურჭულაძე  
გიორგი გვახარია  
გიორგი ლობუწანიძე  
სერგი ნაკაიძე



**გამომწეწელი**

შწს „ემ ფაბლიწინგი“  
მიწამართი: თბილისი 0105,  
ფალიაშვილის ქ. 108  
ტელ./ფაქსი: 23 37 31

ელ-ფოსტა: [mpublishing@caucasus.net](mailto:mpublishing@caucasus.net)

© "M Publishing" საავტორო უფლებებეი დაცულია

რეკლამის განთავწევა  
შწს „მსა თბილისი“  
მიწამართი: ფალიაშვილის ქ. 108  
ტელ./ფაქსი: 23 37 31  
ელ-ფოსტა: [msa@msa.ge](mailto:msa@msa.ge)



სტამბა  
შწს „სეზანი“  
მიწამართი: თბილისი,  
წერეთლის გამწ. 140  
ტელ.: 35 70 02  
ელ-ფოსტა: [lika@cezanne-web.com](mailto:lika@cezanne-web.com)



## კრის ბოტი

ავტორები: სარბი ნაკაიძე;  
მისტან კვინიკაძე

# 156



## თბილისირი დასასრული

ავტორი: ზაზა ბურჭულაძე

# 163



## სკეპროეტი

მოგავალი სიღარიბის ბარათი

# 167



## რედაქტორისგან



170 გვერდიანი ჟურნალის კეთება ყოველთვიურად მართლაც უწყვეტი მარათონია. ძალიან მიხარია, რომ ამ მარათონში ჩვენთან ერთად თქვენც, ჩვენი მკითხველებიც ჩაერთეთ. ეს თქვენი გამოხმაურებებიდანაც ჩანს. გმადლობთ კონსტრუქციული კრიტიკისა და გულშემატკივრობისთვის. ვცდილობთ, თქვენს მოსაზრებებსა და შეფასებებზე დაყრდნობით მივიღოთ ჟურნალთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება. იმედი მაქვს, არც ახლა დაიზარებთ და კვლავ იმავე მისამართზე გამოგვეხმაურებით: [mpublishing@caucasus.net](mailto:mpublishing@caucasus.net).

ამჯერად „ცხელი შოკოლადის“ მეშვიდე ნომერი მინდა წარმოგიდგინოთ. მართალია, ბატონ ლევან ბერძენიშვილის აზრით, „ცხელი შოკოლადი“ ყველაზე სერიოზული ჟურნალია ყველაზე არასერიოზულ ჟურნალებს შორის, ის მაინც მთელი სერიოზულობით მოეკიდა ჩვენს „ავანტიურისტულ“ ფოტო-გადაღებებსა და ინტერვიუების მთელ სერიას, და ვიმედოვნებთ, შედეგით თქვენც ისიამოვნებთ.

თბილისში დროებით ჩამოსული დიტო ცინცაძე და ლევან უჩანეიშვილიც ამ ნომრის სტუმრები არიან, და ვფიქრობთ, მათ შესახებაც ბევრ ახალ ამბავს შეიტყობთ.

ერთი თვის წინ ანა კორძია-სამადაშვილი ირანში გახლდათ; 8 დღიანი ირანული ვოიაჟის შესახებ ჩანანერებიც ცხელ გულზე დანერა და ვფიქრობ, ჩვენი მკითხველი სრული სიზუსტით წარმოიდგენს ანას ირანულ შთაბეჭდილებებს. ანას „ირანულმა დღიურებმა“ პოეტი და მთარგმნელი, გიორგი ლობჯანიძე წააქეზა; მანაც სამი წლის მანძილზე დაგროვილი ირანული შთაბეჭდილებები გაიხსენა და ჩვენთვის „უცხო აღმოსავლეთი“ შიგნიდან დაგვანახა. რაც მთავარია, ამ ყველაფერს საუცხოო იუმორი გასდევს.

ჩვენდა გასაკვირად, დიდი აუიოტაჟი გამოიწვია ამ ნომრის სპეც-პროექტმა „სიზმრები“. სპეც-პროექტის თამაშის წესებს თავად გაეცნობით, მე მხოლოდ იმას გაგიმხელთ, რომ ჩვენს რესპოდენტებს სიურპრიზები, თურმე, არ ჰყვარებიათ. მოცემულ შემთხვევაში ეს ალბათ არცაა გასაკვირი - სიზმრები ხომ ჩვენი ქვეცნობიერი სამყაროა და სხვისი სიზმრების ჩხრეკაც ხომ ერთი სიამოვნებაა.

ასევე მინდა სიამაყით გაცნოთ, რომ ჩვენს ჟურნალს ლოს-ანჯელესში სპეციალური კორესპონდენტი „აღმოაჩინდა“. სერგი ნაკაიძის მეშვეობით „ცხელი შოკოლადი“ ამ ნომერში გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს „ყველაზე სექსუალურ“ მესაყვირე, კრის ბოტისთან. ბოტის სწორედ მაშინ ვესაუბრეთ, როცა ის დიდ ჯაზმენებთან ერთად ახალი ალბომისთვის დაუეჭებს წერდა.

მოკლედ, კიდევ ბევრით მინდა გაგახაროთ, მაგრამ აქვე თუ არ დავასრულე, ჟურნალი სტამბაში შემასწრებს. ამიტომ, ვიდრე დაგემშვიდობებით, ერთსაც გეტყვი: მერვე (ავგისტო-სექტემბრის) ნომერზე მუშაობა დავიწყეთ და ის უკვე ორმაგი „ცხელი შოკოლადი“ იქნება, ძალიან გემრიელი ნალებით.

შორენა შავერდაშვილი

NAOMI  
CAMPBELL  
PARADISE PASSION

A **NEW** PASSIONATE FRAGRANCE





## თამარ ბაბუაძე

ხელით ველარ ვნერ, ვჩქარობ, აზრს ველარ ვენევი და იმიტომ. ვბეჭდავ ბრმად Microsoft Word-ში და სულ არ მადარდებს ის, რომ ცუდი კალიგრაფია, ან მისი საერთოდ არქონა ინდივიდუალობას მაკლებს. ვბეჭდავ ბრმად და ტყუილუბრალოდ ვოცნებობ: რა მოხდება, ისეთივე სისწრაფით შემეძლოს სიტყვების რეალობაში ამოქმედება, რა სისწრაფითაც ისინი ჩემს მონიტორზე წინადადებებს ქმნიან.

მე ვცხოვრობ სიტყვებში, სიტყვებით და სულ სიტყვებს ვეძებ, წინაზე უკეთესს, მძაფრს, ეფექტურს და ხშირად მავეინცდება ყველაზე მართალი სიტყვის მოძებნა, რომელიც დანარჩენზე მეტად იქნება ჩემი. ეს მანუხებს. ამიტომ ისევ სიტყვებს ვიყენებ და მათი დახმარებით ვადგენ მორიგ წინადადებას უტოპიური სურვილით: მიხდა, მქონდეს ახალი ანბანი, ახალი ასოებით, რომლებიც ახალ სიტყვებს დამაწერინებდნენ.

სანამ ეს მოხდება, ძველებურად მაღიზიანებს და forward-ებული იმეილები, ვერ ვუგებ ადამიანს, რომელიც საკუთარი მობილური ტელეფონის მენიუში ერთი ამაზრზენი ფუნქციით სარგებლობს — sms templates — აპარატში წინასწარ ჩატვირთული მზა ფრაზებით წერს მესიჯებს, და მიყვარს “ცხელი შოკოლადი”, სადაც ყოველთვის უამრავი სიტყვა მხვდება — წინაზე უკეთესიც, მძაფრიც, ეფექტურიც, თბილიც, ცივიც, ჩემიც და სხვისიც. აქ ყველანი სიტყვებით ვცხოვრობთ, სიტყვებს ვხარჯავთ და სიტყვებს ვაგროვებთ. იკითხეთ ისინი, რადგან ჟურნალის სათაურის მიუხედავად, ჩვენს სათქმელს ყველაზე ნაკლებად ეთქმის ტკბილ შოკოლადში ამოვლებული. მართალია, ჩვენ ცუდი კალიგრაფია გვაქვს, იმიტომ, რომ მივეჩვიეთ წერას Microsoft-ის Word-ში, მაგრამ ჩვენი Word-ები მაინც ცოცხალია, რადგან „გაჭრი და სისხლი წამოუვათ“ = ნაიკითხავ და იმ ამბავს ააგებ, რომლის მოსმენაც გენატრებოდა.



## გიორგი ლოშვიანიძე

გამოგიტყდებით და, „ცხელ შოკოლადში“ პირველად ვიბეჭდები. არადა, იმის მიუხედავად, რომ შოკოლადი ყველა ფორმასა და გამოვლინებაში ძალიან მიყვარს, ამ დასახელების ჟურნალთან ჩემს თანამშრომლობას, სულ ცოტა ხნის წინ, ვერაფრით დავუშვებდი: მსგავსი სახელწოდება, ჟურნალთან დაკავშირებით, შოკოლადისფერის კი არა, ყვითლის ასოციაციას უფრო აღძრავს და ყვითელი ფერი იმპრესიონისტებთან, გაგინარია, კარგი იყო, მაგრამ არამც და არამც უამისოდაც გვარიანად აფერადებულ სამამულო წარმოების ჟურნალისტიკაში.

მაგრამ თურმე სასტიკად ვცდებოდი: ასეთი უცნაური სახელწოდების მიუხედავად, ეს ჩვენი „ცხელი შოკოლადი“ უგემრიელესი და ძალიან საინტერესო ნუგბარი აღმოჩნდა, სადაც სერიოზულ საკითხებზე სერიოზულად წერენ და მის პატივცემულ ავტორებს დათაფლულ-დაშაქრულობისაც არაფერი ეტყობათ. მე, მაგალითად, როგორც ირანის ექსპერტი, ისე მინწვიეს. სახელწოდებაზე გამახსენდა: სპარსულად ექსპერტს „ხებრე“ ეწოდება. ხოლო რას ნიშნავს ეს სიტყვა ქართულად, უჩემოდაც კარგად მოგეხსენებათ. რატომ განიცადა სპარსული „ხებრეს“ შინაარსმა ქართულ „ხებრემდე“ ასეთი უცნაური მეტამორფოზა, ძნელი სათქმელია. მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ის, ვინც ერთისთვის შეიძლება ექსპერტი იყოს, მეორესთვის ადვილი შესაძლებელია „ხებრედ“ მოჩანდეს და პირიქით. ამიტომაც ასე უბოდიშოდ შევიფერე ექსპერტობა და ამიტომაც გადავწყვიტე მეთანამშრომლა „ცხელ შოკოლადთან“, რომელიც სახელის მიუხედავად, დღევანდელ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო და საინტერესო ჟურნალია.





## ანა კორძაია-სამადაშვილი

შესანიშნავი გვარი მაქვს - უგრძელესი. ერთი გვარი მამისგან მერგო, მეორე - დედისგან. ზოგჯერ გული მწყდება ხოლმე, რომ მხოლოდ ანა მქვია, ნეტავ რამე ჩახლართული ან ბევრი სახელი მქონოდა, ხომ ერთიანად გავერთობოდი!

მაშ ასე, ანა კორძაია-სამადაშვილი გახლავართ, "ცხელი შოკოლადისთვის" ვწერ სტატიებს ჩემი თანამემამულეების, კარგი ქალებისა და შორეული ქვეყნების შესახებ. იმის გამო, რომ ყოველ ამ სტატიას ჩემი გრძელი სახელი და გვარი აწერია, მათში ამ ადამიანებისა თუ მხარეების მიმართ ჩემი პირადი დამოკიდებულება გადმოცემული: მე ისინი ძალიან მომწონან და, დანართის სახით, რესპონდენტის საყვარლების ნუსხას არასოდეს გამოვაქვეყნებ. თუ მაინცდამაინც მსგავსი ინფორმაცია გიზიდავთ, შეგიძლიათ სტატიის გმირის კეთილ მეგობრებს მიმართოთ - მილიონნახევრიანი მოსახლეობის მიუხედავად, თბილისი, მოგეხსენებათ, პატარა ქალაქია.

მერე, როცა ძალიან გავმდიდრდები, აუცილებლად გამოვცემ ჟურნალს „ვაი ამ საათს“, სადაც წვრილბურჟუაზიული იდეალების მქადაგებლებისა და მარად უკმაყოფილო ინტელიგენციის წარმომადგენელთათვის სულ ნაირ-ნაირ სამინელებებს დავბეჭდავ ხოლმე - ასე მაინც ვეცდები, სიცოცხლე მთლად ჯოჯოხეთად გადავუქციო.

შენ კი, ჩემო საყვარელო, „ცხელი შოკოლადის“ მკითხველო, ათასგვარ სიხარულს გისურვებ და მარადიული სიჭაბუკის საიდუმლოსაც გაგანდობ: ღრმად არ ჩაფიქრდე და სიყვარულზე არ იდარდო. როგორც ერთი კარგი ჩინელი იტყოდა ხოლმე, *и так жизнь тяжёлая, ещё этой х...ей заниматься...*



## გიორგი გვახარია

ერთხელ ნაირა გელაშვილმა თქვა სადაც, არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ამბობენ, დეპრესია მაქვს, სიმარტოვეს ვერ ვუძლებო... მერე კი ასეთ ხალხს ურჩია, ბოლოს და ბოლოს სახლში კატა მიიყვანეთ, მოუარეთ და აღარ იქნებით მარტო.

კატა არა მყავს და ჯერჯერობით არც მჭირდება. მოსავლელიც ბევრი მყავს და არც მარტოობას ვუჩივი. დეპრესიის დრო კი, აბა, ვინ მომცა - ყველაფერთან ერთად, „შოკოლადს“ 33 სტატია უნდა შევუქმნა!

ჩვენმა საყვარელმა რედაქტორმა ხმა გამივრცელა, გოგი გვახარია ჩვენს ჟურნალში თავის მემუარებს დაბეჭდავსო. არა და არა, მეგობრებო. არ დაუჯეროთ! ეს სარეკლამო ტრიუკია.

ჩვენს რედაქტორს „ცრემლიანი სათვალის“ მხოლოდ ერთი წერილი აქვს წაკითხული. ჰგონია, რომ დანარჩენშიც გადაგიშლით ჩემს ჩაკეტილ - როგორც ზაზა იტყოდა, ბურჭულაძე - გულსა. არაფერი შეგეშალოთ. ძლივს ჩავკეტე და ახლა რატომ უნდა გავხსნა? პირიქით, თუ არ დაიზარებთ და ყველა წერილს წაკითხავთ, დაინახავთ, როგორ ნელ-ნელა იკეტება გული, და შესაბამისად, როგორ იძაბება ნელ-ნელა მზერა, როგორ იხსნება ეს მზერა და როგორ იწყებს თავისუფალ მოძრაობას სივრცეში. როგორ ხდება მნიშვნელოვანი არა ის, რაც შენშია, არამედ ის, რაც შენს გარეთ არსებობს. ის, რასაც ხედავ მხოლოდ, მაგრამ ვერ ეხები. ამასობაში, 33 ნომრის გამოსვლის შემდეგ, რუსეთის ჯარებიც გავლენ და იბერიაც გაბრწყინდება. ამასობაში საბოლოოდ გავიზრდებით და უკან დავგვრჩება ბავშვობა.

მემუარებს დეპრესიული ხალხი წერს. თანაც ბებრები. მე კი არც ისეთი ბებერი ვარ, ჩემს წარსულში რომ დავინყო ლივლივი, და არც ისეთი სადისტი - თქვენც რომ გალივლივით.

„ცრემლიანი სათვალე“ - გოგი გვახარიას წარსული არ არის. ეს არარეალიზებული რეჟისორის მრავალსერიანი ისტორიული ფილმია. სერიალის ბოლოს ავტორი გაქრება და დარჩება გაბრწყინებული იბერია, სადაც ადამიანი კატას იმიტომ კი არ უვლის, რომ როგორმე თავი იხსნას მარტოობისგან, როგორმე დამკვიდრდეს, არამედ იმიტომ, რომ ცხოველები უყვარს და უსიყვარულოდ ცხოვრება ველარ წარმოუდგენია.


# კასი, რობაღლიც ისინის

ავტორი: ზაზა ბურჭულაძე ფოტო: ლევან ბერიხულოძე



ძნელია მოძებნო ადამიანი, ვინც ლევან ბერძენიშვილთან ხუთი-ათი წუთის საუბრის შემდეგ არ მიხვდება, რომ ის ყოფილი პოლიტიკური პატიმარია. როგორც ჩანს, ამ ვითარებამ, ამ ამბავმა ბატონ ლევანზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. თვით პატიმრობაში, ამ გამოცდილებაში არის რაღაც ისეთი, რასაც ბერძენიშვილი არათუ არ მალავს, არამედ ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად მიანოდოს ეს ინფორმაცია სხვას. ეს არის ის, რამაც განსაზღვრა ლევან ბერძენიშვილი. ბერძენიშვილი ნამდვილად განსაზღვრა უშიშროების კომიტეტის გადაწყვეტილებამ, დაეპატიმრებინა იგი. ეს არ იყო მარტო ერთ-ჯერადი აქტი, ეს იყო ოთხწლიანი დევნა, ძალიან თავისებური, რომელიც პატიმრობით დასრულდა და ამით დამთავრდა გარკვეული ეპოქა... ამით ლევან ბერძენიშვილის ახალგაზრდობა დამთავრდა.

მძაფრი შთაბეჭდილებები ბევრი შემოიძლია გავიხსენო. მაგალითად, შემთხვევა, რომელიც მქონდა ბრაზილიასა და სამხრეთ აფრიკაში. ამ ქვეყნებში გამძარცვეს. ძალიან თავისებური განწყობაა ეს. ბრაზილიაში ორჯერ გამძარცვეს. სამხრეთ აფრიკაში ერთხელ, თუმცა მეტს ვერც მოასწრებდნენ. უბრალოდ, ცოტა ხნით ვიყავი. ასევე კარგად მახსოვს, ბავშვობაში ერთმა ჩემზე ნაწყენმა გოგონამ თავისი ბიძაშვილი რომ დამახვედრა. ამ დანებიან შეხვედრაზე მეგობართან ერთად აღმოვჩნდი, რომელმაც მიმატოვა. ასეთი რამეების დავიწყება შეუძლებელია. არის ბევრი რამ, რაც გახსოვს კაცს, მაგრამ არის ერთი რამ, რაც მუდმივად მახსოვს. ეს არის პატიმრობა, რაც იმდენად არანორმალურია და იმდენად არასაჭირო, რომ ეს კრიზისი განუკურნებელია და მუდმივად თან ახლავს და თავის დაღს ასვამს ადამიანს.



ვფიქრობ, ამაში არის გარკვეული ფატალიზმი, და რომ რაღაც თვალსაზრისით, ისინი ცოდონიც კი არიან, ვისაც ამგვარი გამოცდილება არა აქვს. ესაა გარკვეული სიმდიდრე. რა თქმა უნდა, არ ვიცი, რამდენი მომცა უზენაესმა ძალამ, თუკი ის არსებობს, და რამდენ ხანს უნდა ვიყო ამქვეყნად, მაგრამ ვიცი, რომ უფრო მეტ ხანს ვიქნებოდი, ის წლები რომ არ ყოფილიყო, იმიტომ, რომ ფიზიკურად ჩემი სიცოცხლიდან რაღაც მნიშვნელოვანი წაიღეს. თუმცა ნელსონ მანდელას რომ ვაკვირდები, რომელიც 30 წელი იჯდა ციხეში, ვხვდები, რომ ციხე გარკვეული გაგებით, რაღაცეებსაც ინახავს. მაგრამ დადებითი ელემენტები, ანუ პლუსები და მინუსები რომ დაფუთვალთ ჩემს დაპატიმრებას, რა თქმა უნდა, პლუსები გადააჭარბებს. ამით არავის მოვუწოდებ, რომ სასწრაფოდ ციხეში გაიქცეს. მაგალითად, შენი მეუღლის ერთგულებსა

და სიყვარულში რომ დარწმუნდე, ამისთვის დაპატიმრება არ არის საკმარისი. ჩემს ირგვლივ ბევრი დააპატიმრეს, აქედან 90 პროცენტმა დაკარგა თავიანთი ძვირფასი მეუღლეები. ციხეში პანტაპუნტით მოდიოდა ტელეგრამები – *Милый, яшла другого человека*. ამ ტელეგრამაზე, მის შინაარსზე, საბჭოთა კავებე მუშაობდა. ის აიძულებდა ქალებს, უარი ეთქვათ დაპატიმრებულ ქმრებზე. ჩემი შემთხვევა იმიტომ კი არ იყო გამორჩეული, რომ ქართული კავებე სხვანაირად მუშაობდა, ქართული კავებე საბჭოთა კავებეს ღირსეული ნაწილი იყო...

**3 წელი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ სათავეში გორბაჩოვი რომ არ მოსულიყო, ახლაც იქ იქნებოდა, თუკი იქნებოდა საერთოდ. მერაბ კოსტავასაც ცოტა მიესაჯა, მაგრამ ის იჯდა და იჯდა, იმიტომ, რომ უმატებდნენ და უმატებდნენ, და კიდევ დაუმა-**


ტებდნენ, ქვეყანაში გლობალური ცვლილებები რომ არ მომხდარიყო. მძიმე სტრესულ მდგომარეობაში ადამიანი ცდილობს გაერკვეს, რა და როგორ არის, და თუ იგი ამას, როგორც ტრაგედიას და უსამართლობას აღიქვამს, მაშინ ის შეიძლება გადაგვარდეს. მაგრამ თუ თავისთავში საკმარის ცოდვილობას ხედავს, რის გამოც შეიძლება ზოგადად დაისაჯოს, მაშინ იგი გადარჩება.

ცხოვრებაში ბევრი დამიშავებია საიმისოდ, რომ გასაჭირში ჩავვარდნილიყავი. თუ დაინახავ, რომ სამყაროში არის გარკვეული სამართლიანობა, – თუნდაც იმაში, რომ შენს ჩაგვრაში არის რაღაც კანონზომიერება, იმიტომ, რომ შენც დაგიშავებია, ან კიდევ დააშავებ, – მაშინ შეიძლება იოლად გადარჩე. მორალური მდგრადობის გარანტია საკუთარი თავის შეფასების უნარია.

კარგად მახსოვს როსტოვის ციხეში გაგონილი პირველი დიდი სიბრძნე: 'В Грузии – როსტოველმა ქურდმა მითხრა, – все воры до первого светофора'. ქართველი პატიმრების დიდი ნაწილი ძალიან მაგრად იქცევა პირველ გასაჭირამდე, ანუ როსტოვის ციხემდე. ეს არ ეხება პოლიტპატიმრებს, რომლებიც, როგორც წესი, – ქართველებიც და სომხებიც და ა.შ. – ძალიან მედგარნი არიან ხოლმე, არამედ ეხება ე.წ.

ლი განაგდო, და დატოვა სუფთა, დაუთანხმებელი მასალა – ხალხი, რომელიც არ ეთანხმებოდა სისტემას. ასეთ ადგილას მოხვედრა არ იყო პატარა რამ, და მიმაჩნია, უშიშროებაში, გარკვეულწილად, პატივი დაგვდო იმ თვალსაზრისით, რომ არ მოგვისაჯა, ვთქვათ, გაუპატიურებისთვის... არადა, შეეძლოთ, ნებისმიერი საქმე შეეკერათ. მაგალითად, სამშობლოს ღალატისთვის გავესამართლებინეთ, მაგრამ პატიოსნად გვინოდა ხალხი, რომელიც ანტისაბჭოთა მეთოდებით იბრძოდა. მერე, როცა საბჭოთა კავშირი დაინგრევა და მთელი მსოფლიო გაიგებს, რომ ეს იყო ბოროტება, აშკარად მუხამყება, რომ ანტისაბჭოთა აგიტაციის და პროპაგანდის მუხლით ვიყავი ბრალდებული, და არა, ვთქვათ, ხულიგნობის ან გაუპატიურებისა.

ვინაიდან გაირკვა, რომ საბჭოთა კარგი არ ყოფილა და საქართველოში საბჭოთა კავშირს არცერთი სერიოზული ადამიანი (მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმას, რომ ხალხი თავის ახალგაზრდობას მისტირის. თუმცა, რეალურად, საბჭოთა კავშირში დაბრუნება არავის უნდა, ერთი-ორი დამთხვეული კომუნისტის გარდა, რომელთაც ასევე თავისი უფლებები აქვთ) არ მისტირის, ამიტომ, გარკვეული გაგებით, ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისთვის ჯდომა კარგია.



სოსარაზი



მიხეილ მორაბაიოშვილი



ელეონორ შივარდნაძე

ახალგაზრდა, მომავალზე მოფიქრალ ხალხს. ბევრი ფიქრობს, რომ ის ქურდული ცხოვრების გზას დაადგება, ოღონდ როსტოვის ციხემდე. პირველივე სერიოზული გამოცდა – როსტოვის ციხე, რომელიც ცუდი ადგილია, ძალიან აკნინებს, ასე ვთქვათ, იმ რომანტიკულ წარმოდგენებს, რომლებიც ახალგაზრდებს ქურდულ სამყაროზე აქვთ. ახლა ვერ ვიტყვი, გაუმარჯოს როსტოვის ციხეს-მეთქი, მაგრამ მან თავისი ფუნქცია უთუოდ შეასრულა ჩვენს ისტორიაში, და ბევრი ქართველი ადამიანი დააბრუნა დედამიწაზე იმ საეჭვო ზეციდან, რომელსაც ქურდული სამყაროს ზეცა ჰქვია. ბევრი კარგი რამ, რაც იქ იყო, ისედაც იქნებოდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, საბჭოთა კავშირში გვევლო და ყველაზე ჭარბი თავისუფალი ინტელექტუალური შემადგენლობა შეგვეკრიბა. უშიშროებას ამის საშუალება ჰქონდა. მან შეკრიბა და, გარდა ამისა, ამ ხალხს გამოცდა მოუწყო, და ვინც, ასე ვთქვათ, თანამშრომლობას იოლად დათანხმდა, მათგან ჩვენი რიგები განმინდა, ასე ვთქვათ, ჯირკვა-

მეორე მხრივ, ღარიბია ის ადამიანი, რომელსაც მიღმური გამოცდილება არა აქვს. მწერლებს ეს გამოცდილება აქვთ, იმიტომ, რომ თვითონ გადადიან სამყაროდან სამყაროში, ქალღმერთზე მაინც, ხოლო ქალღმერთზე ვერ მოხდება, თუ შიგნით არ მოხდა სულიერი ძვრა. ერთსახოვნებაში დიდი სიღარიბეა, მაგალითად, ხუთოსნობაში, კათედრის გამგეობაში, დაფასებაში, მთანმინდაზე დაკრძალვაში... აქვს ადამიანს შანსი იწვეს მთანმინდაზე და არავის ახსოვდეს და აინტერესებდეს იგი. მაგრამ არის სხვა შანსიც. შეიძლება ადამიანი საზოგადოებისთვის სრულიად მიუღებელი იყოს, მაგრამ ელვარებდეს, როგორც გმირი და იდეალი.

მე ვიცნობდი ასეთ კაცს, რომელიც ხანდახან ყველას გვაკნინებდა ძალიან სერიოზულად და რომელიც აბსოლუტურად მიუღებელი იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის XX საუკუნის საინტერესო ქართველთა სამეულში შევიდოდა. ეს ჯაბა იოსელიანია. ნამდვილად არ ვიყავი მისი გულშემამტკივარი, და ნამდვილად მგონია, რომ მისი აზროვნება, არათუ დროს ჩა-

მორჩებოდა, არამედ ძალიან გაღმა იყო, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომანის დაწერას რომ ვაპირებდე, ნამდვილად ვიცი, რომ ხუთოსნების ბედი არ დავინტერესდებოდი, რადგან მათში არაფერია საინტერესო. იოსელიანისნაირ ადამიანებს საზოგადოება ჩუქნის ქალთა მეტ ყურადღებას, უკეთეს გარეგნობას, და კარგ ფიზიკურ შესაძლებლობებს. მინახავს, როგორ არბოდა 75 წლის ჯაბა იოსელიანი მეთხუთმეტე სართულზე. შევარდნაძე ლიფტით ადიოდა, ის კი ასწრებდა ხოლმე. ადამიანი ელვარე უნდა იყოს. უფრო სწორად, კარგი იქნება, რომ იყოს. ხოლო ეს ადამიანი სწორ გზასაც თუ დაადგება, მაშინ ეს დიდი ბედნიერებაა. ასეთი ადამიანები გმირებად იქცევიან ხოლმე. ასეთი ხალხი, განსაკუთრებით საინტერესოა ამ გარდამავალ დროში. ვინ არის ის, ვისაც უნდა მიბაძო.

**პატივსაცემია პრეზიდენტის აზრი მის მოხელეებზე, მაგრამ საეჭვოა, პრეზიდენტმა ერთი ახალგაზრდა კაცი მაინც გვაჩვენოს, რომელიც ღამე იმ ფიქრით იძინებს, რომ ხვალ გაიღვიძებს და დავით კეზერაშვილს ემსგავსება.**

დღევანდელ გმირებზე, რომლებიც ხელოვნურად იქმნებიან, არ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი. მაგალითად, 'ეს გმირია', - იტყვის ხოლმე პრეზიდენტი, მაგრამ ისინი ასეთები არ

**სამართლიანობა ყველაზე საშიში სიტყვაა, ეს არის სიტყვა, რომლის გამოც ყველაზე მეტი სისხლი დაიღვარა, ვიდრე სხვა რომელიმე სიტყვის გამო. საქართველოში ჩვენ უკვე ვიცი, რომ სამართლიანობა იოლად მიღწევადი რამ არ არის. ჩვენ მოგვინვეს შეგუება იმისა, რომ ვინც იშოვა, იმან იშოვა. ეს ამ ქვეყნისთვის გადამწყვეტი მომენტი, ანუ ქვეყანა უფრო მალა უნდა დადგეს, ვიდრე მარტივი წარმოდგენა სამართლიანობაზე. არსებობს დიდი და პატარა სამართლიანობები. ნელ-ნელა ცხოვრება გასწავლის სიბრძნეს. იყო ბრძენი, ნიშნავს – არ იყო ჭკვიანი. რუსთაველი რომ ამბობს, ამ ამბავს ჭკვიანები ვერ მიხვდებიანო, სწორედ ამას გულისხმობდა. ჭკვიანი არის – ორჯერ ორი ოთხია. უკანონოდ მოპოვებული ქონება რომ უნდა ჩამოერთვას ვინმეს, ეს ჭკვიანობაა და, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ სიბრძნე მდგომარეობს იმაში, რომ საქართველომ არ უნდა იზრუნოს ყველა სამართლიანობის აღდგენაზე.**

მაგალითად, 44 წელს მოხდა ე.წ. თურქ მესხთა ანუ მაჰმადიან ქართველთა გასახლება საქართველოდან. სრულად რომ აღდგეს სამართლიანობა, საქართველოში ნახევარი მილიონი ადამიანი უნდა ჩამოვიდეს, რომელიც ჩვენს მიმართ აგრესიულად იქნება განწყობილი. ანუ ძნელი წარმოსადგენია სრულად აღადგინო სამართლიანობა, და შეინარჩუნო ქვეყა-



მირაზ ჟურეკი



ჯაბა იოსელიანი



მიხეილ სააკაშვილი

არიან. მათ არავინ ბაძავს, არავის უნდა მათნაირი იყოს.

**მხედრიონის დროს, ტელევიზიით აჩვენეს ფილმი 'ერთხელ ამერიკაში', რომელმაც წარუშლელი გავლენა მოახდინა საქართველოზე, ფორმების თვალსაზრისით. 'გრანდ ჩეროკებზე' მომჯდარი ბიჭები და მათი საქციელი პირდაპირ იმ ფილმიდან იყო გადმოღებული. ანუ ისინი საქართველოში ამერიკული რეკეტის გარიჟრაჟს ქმნიდნენ. და ძალიან კარგი, რომ ეს ფილმი არსებობდა, რადგან უამფილმოდ ეს ბიჭები სისასტიკის უფრო რთულ და გაუგებარ ფორმებს მოიფიქრებდნენ.**

მათ აირჩიეს სისასტიკის ის ფორმები, რომლებიც მხატვრული გაფორმების საშუალებას იძლეოდა. საბედნიეროდ, ისინი არ გახდნენ ქართული საზოგადოების ისეთი ორგანული ნაწილი, როგორც მაფია იყო სამხრეთ იტალიის საზოგადოების ნაწილი. ამით იმის თქმა მინდა, რომ კარგია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსაწონი იყო, მაგრამ კარგია ნიშნავს, რომ სწრაფად მოვინელეთ და მოვიხადეთ ეს სენი. გარკვეული გაგებით, ეს ნაციონალური სენია.

ნა. ამავე დროს, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამ ხალხს არ დააბრუნებ. სრულიად წარმოუდგენელია, თუნდაც პრაგმატული თვალსაზრისით. საქართველოს არ ექნება ამის შანსი. ანუ სიბრძნე სხვაგანაა, იქ არაა, სადაც ორჯერ ორი ოთხია, სიბრძნე გაცილებით უფრო რთულია და სიბრძნის შემთხვევაში, ორჯერ ორი ხანდახან არ არის ოთხი, ნამდვილად არ არის. თუ ვინმეს უჭირს ამის წარმოდგენა, უნდა ახსოვდეს, რომ არის ერთი თეორია, რომელსაც ეფუძნება ჩვენი ცოდნა, ანუ ერთი ნერტილიდან წრფისადმი შეიძლება გაავლო ერთი პარალელი, და არის ორი სხვა თეორია, რომელიც ამბობს, რომ ვერც ერთს ვერ გაავლებ. აქედან ერთი ამბობს, რომ ისინი ერთმანეთს გადაკვეთენ, მეორეს მიხედვით კი ისინი ერთმანეთს არასოდეს გადაკვეთენ. ამ ორივე თეორიის მიხედვით, კაცობრიობა კოსმოსში დაფრინავს, და ცხოვრებას აწყობს, და ის თეორია, რომ მხოლოდ ერთი პარალელის გავლება შეიძლება, სამწუხაროდ, დაახლოებით ისეთ ქვეყნებს ახასიათებს, როგორც საქართველოა. ლობაჩევსკის და

რიმანის გეომეტრიები, ეს არის პასუხი იმაზე, რომ სიბრძნე არ არის მარტო ევკლიდობა. თუმცა ელემენტარული ცოდნა ამის გარეშე არ არსებობს. უნდა გესმოდეს, რა არის სამართლიანობა, რომ მერე გაიგო უფრო მაღალი სამართლიანობა. ასე რომ, ზედმეტი თავგამოდება რომ არ გამოვიჩინო, ვიცი, რა არის სიბრძნე-მეთქი, ვიტყვი, რომ ერთ რამეს ჩავწვდი: მარტივი ნაბიჯები თითქმის არასოდეს ნიშნავს წარმატებას, მარტივი, ანუ სწორი ნაბიჯები. გარკვეული გაგებით, ის სტრატეგიული გათვლები, რომელიც შეიძლება არსებობდეს ცოდნას დაეფუძნოს, ადამიანზე უკეთ შეიძლება კომპიუტერმა გააკეთოს. მაგრამ არ მეფუძნება საქართველოში არცერთი მეტ-ნაკლებად სერიოზული საკითხი, რომელიც ამ დონეზე შეიძლება იქნას გათვლილი, და არ გაითვალისწინოს ის ადამიანური ფაქტორები, რომლებსაც კომპიუტერი ვერ გაითვალისწინებს. ანუ ჯერჯერობით უმარტივესი სტრატეგიული საკითხებიც კი, არ ექვემდებარება სრულ ალგორითმიზაციას, და ის ხალხი, ვისაც ერგვება, რომ ამ მხრივ რალაციის გაკეთება შეუძლია, ბრძენ ხალხად ითვლება.


**ხანდახან ამ სიტყვას არ უწოდებენ, მაგრამ ეუბნებიან: 'თქვენმა ზოგმა პროგნოზმა გაამართლა', – რაც დაახლოებით იგივეა, ანუ ეს უფრო თავაზიანი ფორმაა იმისა, რომ კაცს უთხრა,**

სხვა კრიმინალური სამყარო, ეს იყო რომანტიკულ-კრიმინალურ-მხედრონული იდეოლოგია, თავისი შესანიშნავი, დახვეწილი სისასტიკის ფორმებით. მათ შორის თავის მოჭრებით, ტრაბახით, ვის რამდენი კაცი ჰყავს მოკლული და ა.შ. ეს ორი რამ ჩვენ მოვინელებთ. ამჟამად საქართველო სხვა იდეურ სფეროში გადავიდა. ყველა ძალიან სწრაფად იქცა ჩვეულებრივი მოქალაქედან მრევლის წევრად.


საბურთალოზე არის ერთი პატარა ეკლესია, სადაც 20-30 კაცის მეტი არ ეტევა. არადა, ბუნებრივია, მრევლი მეტია. ამიტომ იქ ხმამაღლა მოლაპარაკებია გამოტანილი. ხალხი ეზოში დგას და ისმენს. იდგე იქ რამდენიმე საათი – მძიმეა. ფარისევებს ეს შეუძლია ერთხელ, ორჯერ... ხუთჯერ არ შეუძლია. ეს იმას ნიშნავს, რომ პატარა ეკლესია, თავისი ზომებით, ხელს უწყობს მრევლის დაწმენდას. ბოლოს შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ის პატარა ეკლესია, სწორად არის პატარა. ანუ იმხელაა, რამხელაც უნდა იყოს. ამას ძალიან პირობითად ვამბობ. სულაც არ ვგულშემამტკივრობ მრევლის შემცირებას. ნამდვილად ვიცი, რომ გულწრფელ რწმენაში არავისთვის არ არის საფრთხე. შეუძლებელია ეს იყოს საფრთხე. მთელი 100 პროცენტი თუ იქნება ღრმადმორწმუნე, ეს არავის არაფერში არ შეუქმნის საფრთხეს, მათ შორის მათ, ვინც არ არი მორწ-



როზიანი ნინო



კახიანი გიორგი



ბაბუნიშვილი გიორგი

ბრძენი ხარო, რაც ნიშნავს, თქვენ ლამის მკვდარი ხართ. ჩვენ არ გვიყვარს ეს სიტყვა, ჩვენს კულტურაში ის ცოცხალი ადამიანის მიმართ არ გამოიყენება. როცა სოკრატეს ღმერთმა უთხრა, რომ იგი ყველაზე ბრძენია, შედეგად ამას რაც მოჰყვა, ყველამ კარგად იცის. სხვათა შორის, არა ვარ მომხრე, რომ ათენელები, როგორც ბოროტმოქმედები განვიხილოთ, რომლებიც ვერ გაერკვნენ, ვინ ვინ არის. ძალიან კარგად გაერკვნენ, 220 კაცმა, რომელმაც თქვა, რომ კაცს, რომელიც ანგრევს სახელმწიფოს, სიცოცხლის უფლება აქვს. 280-მა კი თქვა, რომ არა აქვს. ასე რომ, გარკვევა შესანიშნავი იყო.

დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ სტრესული მომენტებიდან და სხვა ადგილებიდან მიღებული სიბრძნე ჩვენს ქვეყანას უთუოდ გამოადგა. ამ წლების განმავლობაში გარკვეული რალაციები გამოვიარეთ, მათ შორის ჩვენს თვალწინ ორი დიდი სამყარო დაინგრა. პირველ ყოვლისა, ქურდული სამყარო დაეცა, ჩვენ ახლა მის ნანგრევებზე ვიმყოფებით. ფაქტობრივად, ეს იდეოლოგია კვდება, და მეორე – დაეცა

მუნიციპალიტეტები. მაგრამ თუ ამ გრძნობაში არ არის გულწრფელობა, მაშინ მირჩევნია ჩემნაირი კაცი, რომელიც აცხადებს, რომ ის არ არის ეკლესიური.

ხსნა მხოლოდ ინდივიდუალური შეიძლება იყოს, ნაციონალურ-ქრისტიანული ხსნა არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს ნაციონალურ-მუსულმანური ან ბუდისტური ხსნა. ეს კერძო ადამიანის გზაა. ამიტომ, როცა მოდის ვინმე და მეუბნება, შენ რატომ არ იქცევი ისე, როგორც უნდა მოიქცე, – ძალიან მიკვირს. განსაკუთრებით ყურნალისტებმა იციან ძალიან აგრესიული შემოტევა, დღეს ესა და ეს დღესასწაულია, რა იცით ამის შესახებო. თუ იტყვი, რომ არაფერი იცი, – გიტყვენ, რატომ არ იციო და ა.შ. ამის მერე იწყება ძალიან სერიოზული საქმის გარჩევები, როგორ შეიძლება ეს არ იცოდეო და სხვა. ლამის სამშობლოს მოლაღატედ შეგრაცხონ. ვისურვებდი, რომ ასეთმა ადამიანმა ოდნავ მაინც იცოდეს, რა არის რწმენა. და ერთხელ მაინც გამოსცადოს თავისი თავი. მე, მაგალითად, გაუფლვილებივარ სისხლის წვეთებს,



**TED LAPIDUS**  
PARIS



საქართველო, თბილისი, კერესელიძის 1 შესახვევი № 12 (სავაჭრო ცენტრი „მეგალინი“)



რომელიც ყელგამოღადრულ კაცს სდიოდა ჩემს ზემოთ. და ვიცი, რა არის სიკვდილი. ყოველ შემთხვევაში, მინახავს, სიცოცხლის და სიკვდილის შეხვედრის წამები. გამოცდილება რაღაცას გეუბნება. რწმენის თვალსაზრისითაც, რა თქმა უნდა, რაღაც დავიჯერე და რაღაც არ დავიჯერე.

ყველა მიდრეკილება თვითგვემისკენ, თვითმკვლელობისკენ, არაქრისტიანულია. არ ყოფილა ქრისტიანობაში არცერთი წამი, როცა საკუთარი სხეულის დანგრევა რამენაირად მოწონებული ყოფილიყო. მოძღვრებაში დევს, რომ ყველაფერ ამას გაფრთხილება სჭირდება, სხეულსაც კი. ბიბლიაში ნათქვამია, რომ სანამ აქ არის მეფე, მანამდე ზეითუნის ზეთიც უნდა წავეუსვათ მას. გლოვა მერეც გვეყოფა, როცა ის აქ აღარ იქნება. ეს ძალიან პირდაპირი და ნათელი მინიშნებაა იმაზე, თუ რა ფასი აქვს სიცოცხლეს და სხეულსაც, და ამ ქვეყნიერებასაც,

**რომელიც არ არის მირაჟი და არაფერი.**

ასეთი რამ ბევრჯერ მსმენია, და ასეთები რომ მსმენია, ამიტომ ვარ ეკლესიისგან მორიდებულად და მოკრძალებულად შორს. თუმცა სახარების კითხვა მეც მიყვარს. ბევრი ვიცი, ვინც ამბობს ამ მძიმე სიტყვებს, სიცოცხლეს აზრი არა აქვსო, რომ ეს ყველაფერი წარმავალია, გარეთ კი 'ტოიოტა ლენდკრუზერი' ელოდება... არადა, სახარებაში წერია, რომ აქლეგი უფრო იოლად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში. არაფერი მაქვს სანინაღმდეგო მდიდრების მიმართ, თუმცა არც სკოტ ფიცჯერალდით ვარ მათი მომლერალი. ვიცი სიმდიდრის ნაკლი. კარგად მესმის, რომ სულიერ ხსნას და დაფიქრებას სიმდიდრე ძალიან ხელს უშლის.

გაკვირვებული ვარ, როგორ დაუშვა თუნდაც კათოლიკურ-





მა ეკლესიამ ('თუნდაც' იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენში ისე ითვლება, თითქოს კათოლიკური ეკლესია ყველანაირ სისულელეს დაუშვებდა), რომ პიერ პაოლო პაზოლინიმ მათი ფულით და მათი დაკვეთით გადაიღო ფილმი ქრისტეზე. პირველი ის, რომ პაზოლინი კომუნისტი იყო, მეორეც – ის კათოლიკური ეკლესიისთვის სრულიად მიუღებელი ორიენტაციის მქონე ადამიანი გახლდათ. კიდევ, ის იყო კაცი, რომელმაც 1968 წელს სტუდენტების წინააღმდეგ პოლიციელთა ქმედება გაამართლა. მან პოლიციელებზე თქვა, რომ ხალხი ესაა, თორემ სტუდენტები – ელიტა არისო. არადა, თვითონ ძალიან ელიტური იყო, მაგრამ ესმოდა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, გლდანის და მუხიანის, და ეს ვაკელი კაცი, მათი მომღერალი იყო. თავის ფილმში პაზოლინიმ ლამაზი მდიდარი კაცი გვაჩვენა, რომელსაც ადევს ძალიან ლამაზი თავსაბურავი,

რომელიც მოოჭვილი არაა და ძვირფასი ქვები არ აყრია, ანუ მან გვაჩვენა მაღალი რანგის სიმდიდრე. ქრისტემ ამ კაცს თავსაბურავის გადაგდება მოთხოვა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს კაცი თავსაბურავის გადაგდება არ არის. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ფარისევლობა დამთავრდება მაშინ, როცა ადამიანს 'ლენდკრუზერით' აღსარებაზე წასვლა შერცხვება. თუმცა, ეს მთელ მსოფლიოში ასე ხდება, ყველგან დაქრიათ 'ლენდკრუზერები' ცოდვილი ადამიანებით, რომლებიც მიიღებენ თუ არა ინდულგენციებს, სასწრაფოდ ახალი ცოდვის ჩასადენად გარბიან. ამ ფარისევლობას ვუყურებ, როგორც ერთ-ერთ განსაცდელს მას შემდეგ, რაც ჩვენ იდეოლოგიური განსაცდელი გამოვიარეთ. იყო კომუნიზმი, იყო კომუნიზმის მიუღებლობა, იყო ჩვენი გამოცდა დისიდენტობით, რომელმაც გარყვნა და წაახდინა სახელმწიფოებრიობის იდეა.

მე ყოფილი დისიდენტი ვარ და კარგად მესმის, რა საშიშია დისიდენტობა დამოუკიდებელ ქვეყანაში, და რა საფრთხეს უქმნის კანონის მიმართ აგდებული დამოკიდებულება მშენებარე სახელმწიფოს. ჩემნაირი ტიპები ბევრი რომ იყოს საქართველოში, ეს ქვეყანა არ აშენდებოდა. მე უკვე იმდენი ვიცი ამ ქვეყანაზე, რომ ჩემთვის ძალიან იოლი იქნებოდა, სრულიად ცინიკოსი ადამიანი ვყოფილიყავი, რომელსაც არაფრის სჯერა. პრეზიდენტი რომ პათეტიკურ სიტყვებს ამბობს, შემოიძლია თითოეული მისი სიტყვის უკან კითხვის ნიშანი დავსვა, სამწუხაროდ, ისე კარგად ვიცნობ მას. მაგრამ ჩემი ბედნიერება იმაშია, რომ ვიცი, ჩემი პრეზიდენტი ალაგ-ალაგ გულწრფელია. ეს ბედნიერებაა, ღმერთმა ისეთი უნარი მომცა, რომ არ დამეკარგა ეს მზერა. ანუ დამენახა ის კარგი, რაც არის მასში. და არა მარტო პრეზიდენტში, სხვებშიც. არავინაა წყალნალეული და განწირული. სასიკვდილო სარეცელზეც შეიძლება კაცი ცხოვდეს. შანსი არსებობს მუდმივად და ყველასთვის. და ეს ბევრმა არ იცის, ეკლესიაში დადიან და არ იციან, რომ ეს შანსი არსებობს.

**ხშირად ამბობს, კარგი იქნებოდა, რომელიმე თავისუფალ ქვეყანაში დავბადებულიყავი თავისუფალ ადამიანადო, მაგრამ როგორც მასთან საუბრისას ხუთ წუთში ნებისმიერ კაცს ეცოდინება, რომ ბერძენიშვილი ყოფილი პოლიტპატიმარია, მეორე ხუთ წუთში ისიც ეცოდინება, რომ ის ბათუმელია. ბათუმში 16 წელი იცხოვრა. დანარჩენი ცხოვრება სხვაგან გაატარა.**

მე ბათუმელი ვარ და ეს ძალიან სერიოზული რამ მგონია. არა თუ არ უნდა თქვა უარი შენს ამ ფესვებზე, არამედ ვერ უნდა თქვა. მე რომ ბათუმელი ვარ, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან სერიოზულად მეცინება ყველა ცენტრალურ იდეაზე, როგორიც არის ვთქვათ, ქალაქის ცენტრალური ნაწილის მკვიდრობაზე, საქართველოს ცენტრალურ ნაწილზე და საქართველოს მსო-

კარბია, იყო ბახსნილი და დემოკრატიული, მაგრამ არსებობს საფრთხე, რომ ვილახეაზა შენითომფრინავის ტარება ისწავლონ და შენივე ქალაქები აგოფთქონ. ეს უკვე ვნახეთ, ამიტომ, მართალია, ამის გამო დემოკრატიაზე უარს ვერ ამბობ, მაგრამ შენივე თვითმფრინავი რომ ააფრინოს და შენვე ასწავლო, როგორ აგოფთქონ, ამაზე რაღასწავლიან უარის თქმა გინდა. ამერიკელებმა მოიფიქრეს ასეთი რამ: მათ დაასახელეს ბოროტების აღბილები, ანუ ამერიკიდან გაიტანეს ომი, ახლა სხვაგან ისოცებიან ის ამერიკელები, რომლებიც ამერიკაში დაიხოსებოდნენ. თუ არ იქნება ომი ერაყში, იქნება ომი ამერიკაში. მათ მოახერხეს ბოროტების ლოქალიზაცია. მთელი ყურადღება იქ გადაიტანეს, სადაც ომია. ამით იმის თქმა მივს, რომ ამერიკელებს მოუწიათ იმ ფარისევლობიდან, რომ დემოკრატია ქალაქ და იქ ვერავინ შევს, რომ ის დაუმარცხებელია და სხვა, – გადასვლა იმ რელატიურ სამყაროში, როდესაც დემოკრატია, თავისუფლებაც და ქრისტიანობაც, და ყველა სხვა სიკეთაც, თავს ისავეს ძალიან თანამედროვე მეთოდებით.

ფლიოს ცენტრად წარმოდგენის იდეაზე. ბათუმელობა ძალიანაც დამეხმარა, რომ არ გავმხდარიყავი ფაშისტი, ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით. ბათუმელობა ჩემთვის დემოკრატობას ნიშნავს. და, სხვათა შორის, ეს არის კიდევ ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ადგილი. ალბათ იმიტომ, რომ განაპირა საქართველოა, მოსაზღვრეა და პირველი ხვდება სტუმარს, უცხოელს და კონტაქტშიც იოლად შედის.

**დიდხანს არ ჰქონდა საკუთარი ბინა. თბილისში უბანი არ არის, სადაც არ უცხოვრობა. ამის გამო ბევრი იწვინა. მერე ერთმა ძალიან ჭკვიანმა კაცმა უთხრა, ყველაფერი ჰქენი, რაც გინდა ჩაიღინე, ოღონდ ერთი ჭერის ქვეშ აღმოჩნდიო. სადაც გინდა იყო, ოღონდ შენი ბინა გქონდესო. ეს ასწავლა ირაკლი შენგელიამ, მისი ლათინურის მასწავლებელმა.**

ჩემი თაობის ხალხმა იცის, რომ ასეთი გენიალური მასწავლებელი მეორე არ ყოფილა. არა მარტო ლათინურის გამო. საერთოდაც გენიალური პიროვნება იყო, წარმოუდგენლად გენიალური. ასეთ ხალხს ამჟამად ვერ ნახავთ. XXI საუკუნე ასეთ ხალხს ვერ ამზადებს. ეს XIX საუკუნის მასალაა. ეს კაცი იონა მეუნარგიას შვილიშვილი და საქართველოს უკანასკნელი ოქრომჭედლის შვილი გახლდათ. რა თქმა უნდა, თავის დროზე ნაჯდომიც იყო. სულ მახსოვს, რომ მარტო მე კი არ ვარ კლასიკოსებიდან, რომ მეც მყავს რეპრესირებული წინამორბედები. ჩვენი დარგი ამ მხრივ ამაყია. ჩვენს კლასიკურ ფილოლოგიას შეუძლია იამაყოს. მსოფლიო სახელის მეცნიერები გვყავდა, რომლებიც რეპრესირებულნი იყვნენ. მაგალითად, გრიგოლ წერეთელი, სიმონ ყაუხჩიშვილი და ძალიან სე-

**ფულადი გზავნილი**

**Travelex**



**სახალხო ბანკის**

**122 ფილიალში; ტელ.: 55 55 00**



რიოზულად რეპრესირებული ირაკლი შენგელია.

მერე, 1980 წელს, როგორც იქნა, გაუჩნდა სახლი. მანამდე თბილისში 10 წელი იმოძრავა – ძირითადად, ენტრალურ უბნებში. 'ხაზიკებთან' ურთიერთობების გახსენება არ უყვარს, იმდენად არასაინტერესო და რუტინული იყო. ამ ურთიერთობამ არაფერი მისცა მას და მით უფრო მის 'ხაზიკებს', იმიტომ, რომ ცუდი მოზინადრე გახლდათ. როგორც ნამდვილ ქართველს, უნდა, მდგმურობა თავისი ცხოვრებიდან ამოშალოს, რადგან ქართველისთვის ძალიან მაღალი ღირებულებაა მკვიდრობა.

ფიცხი კი ვარ, მაგრამ თუ სიტყვა არ მომცევს, სიტყვით არ გამოვალ. ეს ჩემი არამოკრძალებულობის და ქედმაღლობის ნიშანი მგონია. მაგრამ ასეთი ვარ. არ შემოძლია, საუბარში ვინმეს ჩავეჩხირო. ამის გამო ბევრს ეგონა, რომ დებილი ვარ. მსმენია შეფასებები ჩემზე, მაგრამ არ გავბრაზებულვარ, რადგან მესმის, საიდან მომდინარეობდნენ ისინი. გარკვეული გაგებით, თვითდაფასებული კაცი ვარ, რომელსაც სიტყვის მიცემა სჭირდება. ხშირად მიმიღია შენიშვნა, რომ დებატებში გამოსვლა არ მეხერხება, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვამ შეიძლება ჩემზე მეტი ილაპარაკოს, მე კი ჩუმად ვიჯდები. ამ თვისებას ჩემში ნავეშლიდი.

ლევან ბერძენიშვილმა, ერთმა კაცმა, მთელს საზოგადოებას გამოწვევა გამოუცხადა. საზოგადოებას უთხრა, რომ მისი აზროვნება ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან მარტივი და ტენდენციურია. საზოგადოებას ეჩვენება, რომ სიმართლე იცის; ვთქვათ, რომ ლევან ბერძენიშვილი მსუქანია. როდესაც ადამიანზე ამბობენ, რომ ის მაღალია, დაბალია, მსუქანია და გამხდარია, ეჩვენებათ, რომ რაღაც სიდიდეებზე ლაპარაკობენ. არცერთი ეს სიდიდე მუდმივი არ არის. სიმსუქნე და სიგამხდრე ხომ განსაკუთრებულად

ქალიშვილობის ინსტიტუტი, ჩემი აზრით, ბათივისუფლავალი უნდა იყოს ყველანაირი აკვიატაბებისგან. ანუ, ეს უნდა იყოს ბავშვის არჩევანი და ის თავისუფალი უნდა იყოს ამ არჩევანში. არ ვამბობ, რომ ბავაქილმთ ყველას დაწვართვათ ქალიშვილობა, თუნდაც ხელოვნურად ან დაბადებისთანავე, რომ მერე ველარ გახდოს ქალიშვილად დარჩენა, მაგრამ ამავე დროს დრამატულად მიმაჩნია, რომ ადამიანი ცხოვროვს და ამ ცხოვრებიდან რაღაც ქალიან ძვირფასი გამოცდილება არ მიიქვს. ვფიქრობ, მათ ეს გამოცდილება საზოგადოებას წაართვა... ქალიშვილი და არაქალიშვილი ადამიანი ჩემთვის არ განსხვავდება, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც ის ვალდებულია უბრალოდ არ იყოს ქალიშვილი. ძნელად წარმოგიდგინია, რომ ქალიშვილმა ყველაფერი შეძლოს, მაგალითად, ვერ იქნება მსახიობი. მინახავს მძაპვი ქალის როლი, რომელიც ქალიშვილმა ითამაშა და ვერ შეასრულა. ისევე, როგორც, თუკი პატიმარი არ ყოფილხარ, ვერასოდეს მიხვდები, ბარიერს იქიდან რომორ ბიჭურებად... ადამიანი, რომელიც ამ მხრივ სხვა ადამიანებისთვის დახურულია, როცა რაღაც თვალსაზრისით ის უსოდველია, შეიძლება რაღაც უნარებს კარგავდეს; და პირიქით, რაღაც უნარებს ინარჩუნებდეს. იაკონიაში ელიქტრონულ ქარხანაში აღბილია, სადაც მხოლოდ ქალიშვილები მუშაობენ იმიტომ, რომ ქალწულის თითები გამოყოფენ რაღაც ნივთიერებას, რომელსაც არაქალწულები არ გამოყოფენ. თუმცა მარტო ამის გამო, იყო ქალიშვილი, სასასილოა. ქალიან მცხოვრებიან ქალიშვილები.

ადამიანის ხელშია. დღესდღეობით 20-30 სანტიმეტრით სიმაღლის მომატება ნებისმიერ ასაკში შეიძლება. სიმსუქნე და სიგამხდრე ძალიან ფარდობითია. არ არის მართებული, როცა ადამიანს ეტყვი, რომ შენ მართალი არა ხარ, იმიტომ, რომ ხარ მსუქანი, და ეს ლევან ბერძენიშვილმა საზოგადოებისგან მოისმინა.

არ ვიცი, ლევან ბერძენიშვილი რა კაცი, მაგრამ, სულ ცოტა, ორი კაცი მაინც არის. ერთი არის კაცი, რომელიც რაღაცით შეიძლება იყოს საინტერესო, იმიტომ, რომ ჩემი სახელი და გვარი ნამდვილად არსებობდა სიმსუქნის დროს, და გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესი ამასთან დაკავშირებით იყო. ერთი ლევან ბერძენიშვილი ხომ არსებობდა, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ მე ჩემთან დაკავშირებული მეორე თემა გავაჩინე. ერთია ბიბლიოთეკა, პოლიტიკა, არასწორი გამონათქვამები და სხვა, და არსებობს კიდევ მეორე ლევან ბერძენიშვილი, მხოლოდ პოზიტიურ ასპექტში, – კაცი, რომელმაც წონაში დაიკლო, და კაცი, რომელიც იცინის. ამით ჩემს თავს კომფორტი შევუქმენი. ეს არის კომფორტი ლევან ბერძენიშვილის პოზიტიურად მოხსენიების საშუალებისა. ისე, სასაცილოა, როცა მარტო ის ხარ, ვინც დაიკლო. მაგალითად, ერთ თავხედურ შედარებას ვიტყვი: ავა გარდნერს ალიზიანება, რომ ის ლამაზი იყო. ანუ, ეს როგორ გააღიზიანებდა ღმერთივით ლამაზ ქალს?! მაგრამ როდესაც ის მარტო ლამაზი იყო, ადამიანებისთვის ის მხოლოდ სილამაზესთან ასოცირდებოდა. რა თქმა უნდა, ეს მას ალიზიანება. ამის გამო, ის თვრებოდა, ქმარს ღალატობდა და თავს იუშნოვებდა. განგებ ისეთ მაკიაჟს იკეთებდა, რომ ლამაზი არ ყოფილიყო. სილამაზეს უბედურებად თვლიდა. არადა, ბევრი ქალი ასეთ 'უბედურებას' ნატრობს. ასევე, შემე-



ღვეთიანთა ქუჩა #14

თბილისი, 0179,  
ახალი ქუჩის #14  
Tbilisi, Georgia  
14 Arakishvili Str. 0179  
ტელ / Tel. 995 32 953434  
[info@axis.ge](mailto:info@axis.ge)

## AXIS PALACE

აქსისპალასი

აქსისი გთავაზობთ კომფორტულ ბინას  
სანატორიის ტიპის თანამედროვე  
კომპლექსში - საბურთალოსა

ძლია ვთქვა, რომ, როგორც ავა გარდნერს აღიზიანებდა ლაპარაკი მარტო მის სილამაზეზე, ასევე მეც უნდა მაღიზიანებდეს ლაპარაკი ჩემს სიგამხდრე-სიმსუქნეზე. მაგრამ ავა გარდნერისგან განსხვავებით, ბედნიერი ადამიანი ვარ. მსიამოვნებს ამაზე ლაპარაკი, შემძლია გაუთავებლად ვილაპარაკო დიეტებზე, დაკლებაზე და სხვა, ეს ჩემი საყვარელი თემაა. მართალია, არა ისეთი, როგორც დიდმა ადამიანებმა, მაგრამ მგონია, რომ მე ჩემი საზოგადოების ცხოვრებაზე რაღაც კვალი დავტოვე ამ ნაბიჯით, ჩემი 90 კილოთი და ჯანსაღი ცხოვრების წესით. არა ვარ რელიგიური მოძღვარი, მე ვთქვი, რომ ხსნა სიმსუქნიდან ყოველთვის არსებობს, რომ 50 წლის ასაკში შეგიძლია ცხოვრება დიამეტრულად გამოცვალო, თუნდაც ფიზიკურ ასპექტში.

ყოველთვის უნდოდა, კომპიუტერი შეესწავლა. თუმცა მაშინ დღევანდელი ფორმის კომპიუტერი არ არსებობდა, ის სხვა რამე იყო – დიდი სახლისხელა რაღაც. მაგრამ ეს არ არის მთავარი, ყოველთვის აინტერესებდა ხელოვნური ინტელექტი. ყოველთვის რაციონალური გემოვნება ჰქონდა. რაციონალიზმი მისი იდეალი იყო. მაგრამ დიდი მადლობელია პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, რომელმაც ორი წლის მერე თავისი არტახებიდან გაუშვა. რა თქმა უნდა, ფრიადოსანი სტუდენტი იყო. როცა მიდიოდა, დეკანი უკან მისდევდა, არ ნახვიდო. მაგრამ კარგია, რომ ნავიდა. რაციონალიზმი მისთვის ყოველთვის მაღალი ღირებულება იყო. პოეტი ის არ გახდა, მაგრამ კლასიკურ ფილოლოგიაში რომ ნავიდა, ამით დღემდე კმაყოფილია. იმიტომ, რომ კლასიკურმა ფილოლოგიამ მისი გემოვნება სერიოზულად შეცვალა. ეს იყო სამყარო, რომელიც დისიდენტებს ამზადებდა.

მე მასწავლიდა რისმაგ გორდუნიანი, რომელიც ითვლებოდა, რომ კომუნისტურ სის-

ერტი კახური გამონათქვამი – ‘კარბუნახავი’. ქალიშვილები სწორად ასეთი კარბუნახავები გონია. ვიცი ორჯერ ბათხოვილი ქალი, რომელმაც ბარდასვალეზის წინ შემოგრივლა, ქალიშვილი ვარო. მან ეს ბულისტკივილით თქვა. ეს ჩემთვის შოკი იყო. გონია, რომ ეგზისტენციურ პირობაში, სიკვდილის წინ, მან სიმატლე თქვა. თქვა, რომ რაღაც აკლდა. და მეჯერა, რომ ამ აღამიანებს რაღაც აკლიათ. ქალიშვილოვის ინსტიტუტი საზოგადოებას არ უნდა მოითხოვოს. დანარჩენი – აღამიანის არჩევანია. რა თქმა უნდა, ქალით ვერავის ვაიძულებთ, რომ გინდა თუ არა, დაკარგოს ქალიშვილობა. ერთხელ, ქალიან გულმოდგინედ რომ მივაროდა კასი და სიმღერა არ გამოსდიოდა, პროფესორმა რეზო სირაქიამ, რომელიც ჩემი მასწავლებელი იყო, იმ კაცს უთხრა, სოტა აიბლე სიმღერაო. ქალწულობაზე ასე გინდა ვთქვა, ქალაგა უნდა აიბლონ ქალწულობის ინსტიტუტი, და ქალის უნდა აიბლონ. ეს არის თავისუფლება, რომელსაც ისინი იმსახურებენ. როცა ფრანგი ხალხის 55 პროცენტმა თქვა, არ გვინდა კონსტიტუსიანო, საფრანგეთის პრეზიდენტმა ბრძანა, რა ვქნა, ეს არის ჩემი ხალხის არჩევანიო. თუ ქართველი ქალები იტყვიან, რომ ქალიშვილობის ინსტიტუტი მათ ფახზე ჰკიდიათ, საზოგადოება იტყვის, რომ ეს მათი ქალების არჩევანია. თუ ვინმეს ჰგონია, რომ აღამიანი ძვირფასია იმით, თუ სხეულის რომელ ნაწილში მოხდა შეხება და რამდენად ღრმად, და თუ გოლოდ ესაა მნიშვნელოვანი აღამიანები, მაშინ სულად ყოფილა ჩვენი საქმა. ამის მიხედვით აღამიანი არ უნდა ინონეზოდეს.

ტემაში ჩანერილი კაცი იყო, მაგრამ გარწმუნებთ, რისმაგი დასაჭერი კაცი იყო. დასაჭერი – ლიბერალური ღირებულებების გამო.

ძალიან დიდ პატივს ვცემ იმ ადამიანებს, რომლებიც, ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი იდეოლოგიისა არ არიან. მაგალითად, უღრმეს პატივს ვცემ გოგი გვახარიას. მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, ის არც ამერიკას უყურებს ჩემსავით და არც მემარჯვენეა. მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ მას ჩემგან პატივისცემა ერთი გრამით არ აკლდება.

40-42 წლის ასაკში ქალების გარეგნობაზე წარმოდგენა შეეცვალა. მანამდე მყარად ეგონა, რომ მხოლოდ ერთი ტიპის ქალი შეიძლება იყოს ლამაზი. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით კამათიც კი ჰქონდა თავის დროზე.

ერთი კაცი მისხნიდა, რომ გრძელთმიანი ქალი შეიძლება იყოს ძალიან ლამაზი. ვეუბნებოდი, ეს შეუძლებელია-მეთქი. რა თქმა უნდა, დებილი ვიყავი. როგორ შეიძლება, რაიმე შეუძლებელი იყოს. მერე და მერე სხვა რამეც დავინახე, ასე ვთქვათ, მხედველობა გამეხსნა.

არის რაღაცეები, როცა აღამიანის ერთგულება არ იკარგება, თუნდაც მან უარი თქვას თავის ნაციონალიზმზე. შეიძლება ვინმემ უარი თქვას ქართველობაზე, მაგრამ ხაჭაპურის მიმართ დარჩეს ერთგული. თუ ხაჭაპურზე უარს ამბობ, მაშინ ქართველიც აღარ ხარ. სომეხი, რომელსაც არ უყვარს სუფუხი, უკვე აღარ არის სომეხი. შეიძლება სომხურად აღარ ლაპარაკობდე, მაგრამ სანამ სუფუხი გიყვარს, ვერ კიდევ სომეხი ხარ.

როდესაც ვნახე, რომ სომხური წარმოშობის ერთი დიდი რუსი რეჟისორი სუფუხს და ბასთურმას არათუ არ ჭამს, არამედ ვერ ჭამს, ვუთხარი, რომ მისი გვარის ‘იან’ დაბოლოება მისთვის ზედმეტია. ეს არის უკანასკნელი ფონე-



#1 ბანკი  
მცირე  
ბიზნესისათვის



კაფე "კადა"



მოდა + სპორტი



ინტეჩჰდასტი

+995(32) 202 222

## ყველაზე მოქნილი ბანკი საქართველოში

პროკრედიტ ბანკი ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური ინსტიტუტია საქართველოში, რომელიც მომსახურებას უწევს ხომალც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს

### ჩვენი უპირატესობები:

- პროკრედიტ ბანკს გახსნილი აქვს 23 ფილიალი ქვეყნის მასშტაბით
- ყველა ფილიალი მუშაობს კვირისა და ღრუ მუშაობის განხორციელებას
- ყველა ფილიალი აღჭურვილია ბანკომატით და ჩვენ გვაქვს ბანკომატების ყველაზე ფართო ქსელი საქართველოში
- ყველა ფილიალი უჭირვალე საბანკო სტანდარტების შესაბამისად ახის აღჭურვილი



### ჩვენი უპირატესობები:

- პროკრედიტ ბანკს უმჯობესია "Fitch Ratings" მიერ მიანიჭებული აქვს CCC+ საერთაშორისო რეიტინგი
- ჟურნალი "The Banker" პროკრედიტ ბანკს აღიარა ყველაზე დინამიურად განვითარებად ბანკად საქართველოში
- ჟურნალი "Global Finance" პროკრედიტ ბანკს აღიარა 2005 წლის საუკეთესო ბანკად საქართველოში
- პროკრედიტ ბანკს ახის მცირე ბიზნესის მომსახურე ნომერი პირველი ბანკი საქართველოში. ჩვენ ვუმსახურებთ 14,000-ზე მეტ მცირე ბიზნესს ნახშირბადგაყვანილ
- პროკრედიტ ბანკს ახის საერთაშორისო საბანკო ჯგუფის წევრი, რომელიც ნახშირბადით ფუნქციონირებს აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანაში, სამხრეთ ამერიკის 5 ქვეყანაში და აფრიკის 4 ქვეყანაში

დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ ჩვენს ვებ გვერდს: [www.procreditbank.ge](http://www.procreditbank.ge)



ტიკური ნიშანი. ეს კაცი დამთავრებულია, როგორც სომეხი, ის ნამდვილი რუსია. სვამს ლიტრობით არაყს და არა კონიაკს. მართალია, ხაჭაპურისადმი ერთგულება არსად მიდის, მაგრამ მაინც, ხაჭაპურის სიყვარული შენს ნაციონალობას განსაზღვრავს.

თუკი წინა ცხოვრება არსებობდა, მაშინ აუცილებლად სოკრატეს ერთ-ერთი მოწაფე იქნებოდა, თვით სოკრატე თუ არა. ირაკლი შენგელია ხშირად ეუბნებოდა, რომ თითქოს ბერძენიშვილი მას სოკრატეს ფიზიკურადაც კი აგონებდა. თუმცა ცხვირი ცოტა პაჭუა აქვს. როდესაც მამარდაშვილს ქართველი სოკრატე უწოდეს, მან ეს ძალიან დიდ კომპლიმენტად ჩათვალა. თუმცა, ვილაციებს დღეს რომ უწოდონ ქართველი სოკრატე, შეიძლება შეურაცხყოფად მიიღონ. არიან ადამიანები, ვისაც სოკრატე არ მოსწონთ.

პირველ ყოვლისა, მე ვარ მასწავლებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მე ვარ ქართველი. თუ მოვახდენთ ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზს, 'მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი', ჩემთვის ეს ნიშნავს, მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ მასწავლებელი.

მასწავლებლობა არის ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ნიშანი. ეს არის ვალდებულება ყველა იმ ხალხისა, ვინც ძალიან ძველია. ამდენი ხანი რომ ხარ, ვალდებული ხარ, გუშინ რომ ხალხი გაჩნდა, იმათ რაღაც სიტყვა უთხრა. მაგრამ ამას ხანდახან ისეთი უხერხული ფორმით ვაკეთებთ, რომ სხვებს ეს აღიზიანებს.

სააკაშვილმა რომ თქვა, ჩვენ ყველაზე ძველი ევროპელები ვართ და ჩვენგან ევროპა მაგალითს უნდა იღებდესო, ევროპაში სიცილით მოკვდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მესმის,





რას ამბობს სააკაშვილი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ევროპელებისაც მესმის და სააკაშვილისაც.

ეს ჩვენში დევს, ჩვენ მასწავლებლები ვართ. ჩვენ ჩვენი სიძველის გამო გვინდა, რომ ვინმეს რამე ვასწავლოთ. ახლა ბერძენიშვილი შესანიშნავი მასწავლებელია დიეტოლოგიის სფეროში, მაგრამ, გარდა ამისა, ახლაც კითხულობს ლექციებს, კითხულობს სოკრატეს აპოლოგიას.

კრიზისი, როგორც ასეთი, ოჯახში არასოდეს ჰქონია, დაძაბულობები – რამდენიც გნებავთ. ვთქვათ, უნდა ეშოვა კარგი სამსახური თავისი შვილისთვის. თუმცა კარგი სამსახურის შოვნაში არასოდეს უმართლებდა. ბევრს უჭირს იმის დაჯერება, რომ მას ამის გაკეთება არ შეუძლია, ანუ არ შეუძლია სხვისთვის სამსახურის შოვნა. ბევრი ეუბნება, როგორ უყვარს და რა დიდ პატივს სცემს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, კარგ სამსახურს

მაინც ვერავისთვის ვერ შოულობს. მისულა და უთხოვია ვიღაცებისთვის, დაპირებთან კიდევ, მაგრამ წარმატებისთვის ვერ მიუღწევია. როგორც ჩანს, არ იცნობს რომელიღაც წესებს, და არც უნდა, რომ იცნობდეს.

ესაა ლევან ბარძენიშვილი დღეს და ლევან ბარძენიშვილი გუშინ... კასი, რომელიც გახდა.

კასი, რომელიც ისინის...

ხვალ რას შემოგვთავაზებს ახალს? საკითხავი, აი, ეს არის!



**სალომე ტყაბლაძე – შეძლებისდაგვარად ახლოს**

ავტორი: სალომე კიკაღიშვილი ფოტო: ლათო მესხი





უმორჩილესად გთხოვთ, პლაგიატობას ნუ დამაბრალებთ. არც ის იფიქროთ, წინა ნომრის ერთ-ერთი სტატიის სათაურით რომ არ გაემეორებინა, სხვა ვერაფერი მოიფიქრაო!!! მე კი მოვიფიქრებდი, მაგრამ... დამიჯერეთ, ჩემი მხრიდან ეს მკრეხელობის ტოლფასი იქნებოდა, რადგან ამ სათაურზე უკეთესად ვერავინ და ვერაფერი გიამბობთ სალომეზე.

**ფეხზე:** პრიალა ვარდისფერი ბოტასები; მგონი, „პუმები“ა, ზუსტად არ ვიცი.

**ქვედა:** აშკარად, გემრიელად ნახმარი ნაჭრის სადა, წითელი სპორტული შარვალი.

**ზედა:** გოტიეს ფირმის კრემისფერი სპორტული მაისური, წითლად დახატული კაცის და ქალის ტანსაცმლის საერთაშორისო ზომების ცხრილით;

კიდევ... კიდევ რა?... ჰო, საოცრად ლამაზი, ცისფერი თვალები და... რალაც უცნაური... ნებოს, ჰო, ფეხსაცმლის ნებოს სუნი.

**აბაშიძის ქუჩა.** ორ ოთახიანი, პატარა სახელოსნო. ერთში – სხვადასხვანაირი ტყავის და ფეხსაცმლის კალაპოტების გარემოცვაში, ვიღაც მამაკაცი ზის და გამუდმებით ეწევა; მეორეში – ბევრი ძაფი და ნაჭრები, ორი თუ სამი მანეკენი, მკერავი ქალი, და კუთხეში, ერთმანეთის პირისპირ – ორი სალომე. სასაუბრო თემა: მოდა, დიზაინი, იაფფასიანი რეკლამა, „ვარსკვლავები“ და ის, რასაც ვერ გავექცევით – კალაპოტი. აი ის, მენალეებს ჩანნიკნიკებულად რომ უწყვიათ ხოლმე თაროებზე: წვრილი, მრგვალი, ოთკუთხედი ცხვირით – გააჩნია, როგორი მოდაა.

არც ერთ ჩემს ყოფილ რესპონდენტს არ ჰგავს. ის არც ემანსიპირებულად, ხელების ქნევით გესაუბრება, რასაც შიგადაშიგ, მიმიკების ფართო არჩევანი ემატება ხოლმე; არც მელანქოლიური სევდა ანუხებს. აშკარად არა. უბრალოდ, ყველაფერს ნელა, დიდი გულისყურით და სიდინჯით აკეთებს. ოღონდ არა აქვს მნიშვნელობა, რას: ფეხსაცმლის დიზაინს ქმნის, ინტერვიუს აძლევს თუ... მწვანილს ქრის, მაგალითად.

ფეხსაცმელს რაც შეეხება, ეს არც ისე ცუდია – ხომ გაგიგიათ, ათასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო;

ინტერვიუს – თქვენ თვითონ ხედავთ, რომ ამ სათაურზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე;

აი, მწვანილს რაც შეეხება, როცა მითხრა – შემეძლია მართო მწვანილის ქრას მთელი დღე მოვანდომო, იმიტომ, რომ ჩემი საქმიდან გამომდინარე, დიდ ყურადღებას ვუთმობ მილიმეტრებსო, ყოველგვარი მორიდების გარეშე ნამომცდა: – ოო, მაგას ნამდვილად სჯობს, კეროთ-მეთქი.

**მაშ ასე, დაიწყეთ:** სალომე ტყაბლაძე – შეძლებისდაგვარად ახლოს.

## საიდან დაიწყო?

– დაიწყო ბავშვობიდან, როცა ფერად-ფერად ჟურნალებში პირველად დაინახა ლამაზი სამოსი. მაშინ ალბათ არც უფიქრია – აი, გავიზრდები და დიზაინერი გავხდები. არა. უბრალოდ, ხშირ-ხშირად დაიწყო ასეთი ჟურნალების ფურცლა და ფურცლებზე საინტერესო კაბების გადმოხატვა. როდესაც ის ასაკი დადგა, როცა პატარა მართკუთხა ფურცლის სივრცე აღარ აკმაყოფილებდა, მერხებზე გადავიდა და საოცარი სიდინჯით დაიწყო კლასის უსახური მაგიდების აჭრელება. „სკოლაში, ამის გამო სულ კონფლიქტი მქონდა მასწავლენ-





ბლებთან. გამუდმებით ვხატავდი მერხებზე: ქალებს, ტან-საცმელს... ძალით მაშლევიდნენ. ვშლიდი და მერე ისევ ვხატავდი“.

საკმაოდ სერიოზული ბავშვობა ჰქონდა: პიონერთა სასახლეში ხატვის გაკვეთილები, მუსიკა, ტანვარჯიში. მაგრამ იმ დროს მაინც გამოძებნიდა, რომ კარგად მოკალათებულიყო თოჯინებთან ერთად და მაკრატელმომარჯვებულს, მათი პატარა სამოსის გადაკეთებ-გადმოკეთება დაეწყო. „ჯერ თოჯინებით დავიწყე, მერე ნელ-ნელა ჩემთვისაც ვიკერავდი რალაცეებს...“ თოჯინებთან საქმიანი ურთიერთობების გარდა, არაფერი აკავშირებდა. ტანსაცმელს კი უკერავდა, მაგრამ თოჯინებით არასდროს უთამაშია – აი, ბიჭებთან ერთად ფეხბურთის კი ყოველთვის სიამოვნებით ვთამაშობდით.

**როგორ დაიწყო?**

– „როდესაც „ბორჯომი“ ჩვენებას აწყობდა, კოსტიუმების შექმნა შემომთავაზეს. დავიწყე იმით, რომ დავხატე ტანსაცმლის ესკიზები და, რა თქმა უნდა, ფეხსაცმელიც გავაკეთე. ჩემთვის ნარმოუდგენელია, როგორ უნდა შექმნა ერთი, და მეორე ანდო სხვას? ეს ხომ ერთი მთლიანობაა?! ვარცხნილობიდან დანწყებული, აქსესუარებით დამთავრებული – ყველაფერი შენი უნდა იყოს! მაშინ საინტერესო ჩექმა-ბოტი გავაკეთე, ბორჯომის ბოთლისმაგვარი. მქონდა უტრირებული, სტილიზებული ფეხსაცმელები: გრძელი, წვრილი ცხვირით, რაც მაშინ არ ეცვათ; და უცნაური ოთხკუთხა ქუსლები. იდეა მოეწონათ, კარგიაო, მაგრამ საბოლოოდ არ დამაფინანსეს – ძალიან არარეალურიაო. არადა, საშინლად არ მიყვარს არარეალური რალაცეები; არც არასდროს მიოცნებია რალაც განუხორციელებელზე, იმიტომ, რომ მიყვარს ყველაფერი, რაც განხორციელებადია. სწორედ მაშინ გადმოვერთე მთლიანად ფეხსაცმელზე და ესკიზებით ხელში, სახელოსნოში წავედი – ასეთი ფეხსაცმელები მინდა-მეთქი. მე თვითონ მაინტერესებდა, რამდენად რეალური იყო და რას შევძლებდი; – შენ, შვილო, ვერა ხარო, – მომიგეს პასუხად.“

მაინც შეიკერა. და თავისივე თავის პირველი კლიენტი, თვითონვე იყო. მერე მეგობრებმა ნახეს: – შენ რა მაგარი ხარ, ჩვენც გვინდაო და ასე... თუმცა საკუთარ სახელოსნომდე, სახლში იჯდა და ფურცლებზე დახატული ფეხსაცმელებით, მენალებთან დარბოდა. თან, ტვინსაც უბურღავდა – გამოვა, არ გამოვა, ასეთი უნდა გავაკეთოთო. საშინლად ჯიუტია, ეტყობა. თუ რამე დაისახა მიზნად...

**სალომის ხილვაში.**

ეს ამბავი მაშინ ხდება, სანამ... ერთხელაც, გემრიელად ჩაძინებულს, უცნაური სიზმარი ესიზმრება: ხედავს, თითქოს სადღაც ეპატიჟებიან. იქ, ანუ სადღაც, თვითმფრინავით მიემგზავრება. უკვე ჩასულს კი, გემზე ათავსებენ. დილაა, რა საინტერესო ადგილია ეს “სადღაც“... ფარდას სწევს და რას ხედავს? უშველებელი, უკიდევანო წყალი – ალბათ ზღვაა, გაიფიქრა თავისთვის და უნებურად იმ რალაცისკენ დაიხედა, რასაც ორივე ხელით, გულმოდგინედ ეყრდნობოდა – რა ლამაზი ფერებია, ნაქარგია ალბათ – ჭრელ-ჭრელი ნაქსოვის დანახვისთანავე, თავში გაუეღვა. სიზმრის მეორე ნაწილში, სალომემ რალაც





ხალხმრავალ ღონისძიებაზე ამოჰყო თავი, ერთ რუს მონაწილე გოგოს დაუმეგობრდა და... ჰოი, საკვირველებავ... უეცრად, რაღაც ჯილდოც გადასცეს.

არ ვიცი, როგორ გაშიფრავდა ამ სიზმარს რომელიმე დიპლომიანი ფსიქოლოგი, მაგრამ სალომეზე უკეთესად რომ ვერ შეძლებდა ამას, ფაქტია! ჩვენ კი, თუ დრამატურგიულად გავარჩევთ, ქალბატონ სალომეს, ერთი შეხედვით, ყოვლად უწყინარ, და ვინმემ ასეც შეიძლება უწოდოს – ამბიციურ სიზმარსო, გეტყვით, რომ ეს ჯერ კიდევ კულმინაციის მომენტია; კვანძის გახსნამდე კი, რამდენიმე დღე გვაშორებს.

მოკლედ, გაეღვიძა, მაგრამ მაცდური სიზმარი კიდევ კარგა ხანს ახსოვდა... რამდენიმე დღეში დაურეკეს: – სალომე, კიევში მოდის ფესტივალი იმართება – „ალტა-მოდა 96“-ო. წავიდა, თვითმფრინავით იფრინა, იქ ჩასული, გემზე ავიდა. დილით კი, როცა გაიღვიძა და გემის მრგვალ სარკმელს მიუახლოვდა, ფარდა გადასწია და... დაინახა უშველებელი, უკიდევანო ზღვა. ქვემოთ კი საკუთარი, მულინის ძაფებით მოქარგული ჭრელ-ჭრელი ნაქარგი იდო. აქ სიზმარიც გაახსენდა და ისიც, რომ წინ ახალი ნაცნობობა და, რაც მთავარია, ჯილდო ელოდა. რა თქმა უნდა, ასეც მოხდა. პიერ კარდენს სრულიად ბედნიერმა გამოართვა ჯილდო და სცენიდან კმაყოფილი სახით ჩამოვიდა: წინ, თბილისში ხომ სასტუმრო „მეტეხში“ პერსონალური ჩვენება ელოდა... აბა, როგორ? იმ უცნაური სიზმრის ბოლოს, კარგად ახსოვს, როგორ შეისეირნა „მეტეხში“. რა თქმა უნდა, ესეც ასე იყო. “ვისაც ამ ამბავს ვუყვები, ყველა ისეთი სახით მიყურებს, თითქოს... რა ვქნა, ასე იყო და...”

**ბიზნესი + ხელოვნება.**

როგორც თვითონ ამბობს, ამ ორ ცნებას მშვენივრად ათავსებს. და მართალიც არის. თუმცა მის შემთხვევაში, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პრიორიტეტი მეორეს აქვს – ხელოვნებას რომ ვეძახით, იმას. მიუხედავად იმისა, რომ სალომე ტყაბლაძის ფესხაცემელი ყოველთვის ძვირად ფასობდა, თავისუფლად შეეძლო, პროდუქციის გაზრდის ხარჯზე, მეტი ფული ეკეთებინა. მაგრამ ეს ხომ სალომეა! თავისი ხასიათით და უცნაური ახირებებით. მას ხომ თავისი პროფესიული, პირადი „წმინდა სამება“ აქვს – ხარისხი, ვიზუალური მხარე და კომფორტი. „ამ ყველაფერს მარტო ფულის გამო არ ვაკეთებ. რა თქმა უნდა, ფულის კეთებაც შემიძლია, მაგრამ მაშინ ნაკლები ყურადღების მიქცევა მომიწევს ხარისხზე, რასაც, უბრალოდ, არ გავაკეთებ. მეორე ის, რომ მასობრივი გავხდები. ეს კი, წარმოუდგენელია. ჩემთვის ხომ ისევ და ისევ მთავარი ხარისხი და მისით კმაყოფილი კლიენტია.“

ერთხელ ია კინმარიშვილმა დამირეკა – „მის საქართველოს“ ვატარებთ და ერთ კვირაში ფესხაცემელები მინდაო. უარი ვუთხარი, რადგან ამ დროში მაქსიმუმ ორს ან სამს თუ მოვასწრებ-მეთქი. მერე ეს კოლექცია სხვამ გააკეთა. თან, უცნაური ის არის, რომ რატომღაც, ყველას ყველაფერი უფასოდ უნდა. აბა, რეკლამას ხომ გიკეთებთო! არ მჭირდება რეკლამა. ეს რაღაც ისეთი მომენტია – მოდით, ჩემთან შეიკერეთ! ჩემი რეკლამა კი, ჩემივე კლიენტია, რომელიც კიდევ მოვა და მეგობარსაც მოიყვანს. სერიულად რომ გავაკეთო, ფიზიკურად ვერ ვიმუშავებ. ცოტა ხელოსანი მყავს, და ისიც, ძალიან ძნელად თუ ვპოულობ ისეთს, რომელიც ჩემს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. მკერავს თუ მენალეს გამუდ-







მეზობით თავზე ვადგავარ; 24 საათი აქ ვარ. ფაქტობრივად, ჩემს გარეშე არაფერი კეთდება.“

**ფინანსებსა და ზამთრის სხინებულ პლაზიატობაზე.**

ის, რაც მართლა სიამაყით აღნიშნა: – ეს საქმე 70 დოლარით დავინყე, და მას შემდეგ, ფინანსურად არასდროს არავინ დამხმარებიაო. “მართალია, დღეს უკვე აღარ მაკმაყოფილებს ის, რაც მაქვს, იმიტომ, რომ მინდა გავფართოვდე, გავხსნა მაღაზია, სადაც რასაც მინდა, იმას გავაკეთებ და დავანყო. მეც მაინტერესებს, როგორ გამოვივა“.

რაც შეეხება პლაზიატობას: „ერთ-ერთი დიზაინერი დღესაც იყენებს ჩემს სადიპლომო ჩვენებაზე გამოგონილ ქუდს. რა ვიცი, ალბათ შეიძლება ვილაც დიდ, ზუმბერაზ დიზაინერს მოპარო... მაგრამ აქვე, შენს გვერდით მყოფს?“ ახლახანს, რაღაც საინტერესო ჩანთის დიზაინი შექმნა, რომელიც ჩვენი პატარა ქვეყნის მანიაკალურად პრანჭია ქალბატონებს ალბათ დაინტერესებს, მაგრამ... მოდით, ჯერ არ დაგიკონკრეტებთ, როგორც თავად თქვა: „რა იცი, რა ხდებაო?“



**რა ჰქნას, როსა არ შეუძლია – არ შეუძლია!**


როცა იწყებდა, ერთადერთი – წვრილცხვირა, წაგრძელებული კალაპოტი ჰქონდა. ჰოდა, მისულა ერთ დღესაც ახალი კლიენტი: – გენაცვალე, აი, ზუსტად ეგეთი ფეხსაცმელი მინდაო. აქ კი ძალიან შეწუხდა სალომე, იმიტომ, რომ... არ მითქვამს? ასე მითხრა – ჩემი შთაგონება ჩემივე კლიენტიაო; ჰოდა, რა ექნა, რომ ეს კლიენტი არათუ შთაგონებას, პროპორციებითაც კი არ უხდებოდა თურმე ფეხსაცმელს?! ისე, ამას დაუმატა, ზოგჯერ სახეზეც შეიძლება არ მოუხდეს ადამიანს ესა თუ ის ფეხსაცმელიო... რაზეც სულ გავოგნდი. სახეზე? ფეხსაცმელი? “პირდაპირ უარი ვერ ვუთხარი, ვერც ვერაფერი ვურჩიე, სხვა კალაპოტი ხომ არ მქონდა?! რა მექნა, ხან რა მოვუგონე და ხან – რა! ბოლოს, რომ არ მომეშვა, არარეალურად ძვირი ფასი ვუთხარი და... არ დამთანხმდა!

- მერე?
- მერე მაინც მოვიგონე, ტყავი ვერ ვიშოვე-მეთქი. ისე, აკადემიაშიც სულ ასე მჭირდა. თუ არ შემიძლია, არ შემიძლია. დამიდებდნენ ჩაიდანს და დახატეო. არ შემიძლია. არა, ცოტა ჯიუტია-მეთქი, ხომ ვთქვი?!
- არც დღევანდელ „ვარსკვლავებთან“ თანამშრომლობს: – თუ ადამიანმა არ განმანყო, არ მაინტერესებს, ვერაფერს ვერ შევუკერავ. რა ექნა? ვცდილობ, მათ საერთოდ არ შევხვო.

**სოტა რამ პირადულზე.**

დამამედებლად დავინყეთ: – პირადი ცხოვრება, საერთოდ არ მაქვს. ეს საქმეა ჩემი პირადიც, საქმეც და ყველაფერიც. ეს მე ვარ. ვნახოთ, შეიძლება მერე რაღაც შეიცვალოს, მაგრამ ახლა ეს ასეაო. იცი, რა კარგია, სახლიც აქვე მაქვს და სახელოსნოც. ჩამოვირბენ ხოლმე სპორტულეებში. მაღაზიაც აქვე მინდა, ვაკეში.

- სიყვარული?
- ზოგადად, სიყვარული?





– არა, კონკრეტულად სიყვარული.  
 მხოლოდ ერთხელ, და ისიც, განსხვავებულები ვიყავით.  
 ჰარმონია არ იყო.

10 წელია, რაც ფეხსაცმლის დიზაინერია, მაგრამ... „როცა სადმე მივდივარ, ყველა ფეხზე მიყურებს – აბა, რა აცვიაო. 7 წელია ერთი და იგივე მაცვია. შეიძლება არ იყოს მოდური, მაგრამ მერე რა?! ამას არა აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, რას იფიქრებს სხვა. იმდენი შეხება მაქვს ფეხსაცმელთან, რომ... უკვე ამით ვკმაყოფილდები.“ ესე იგი, ჩემს წარმოდგენაში არსებული ფეხსაცმლის სპეც. კარადა ნამდვილად არა აქვს. – „არც ახალი ტანსაცმლის ჩაცმა მიყვარს. მაქვს ერთი რაღაც, რაც „ჩემი“ გახდება და ის მაცვია. აბსოლუტურად არ ვაქცევ ჩაცმას ყურადღებას. გახუნებული მიჩვენია, შენ თვითონ რომ გაცვეთ ტარებით. თუ დავინყე ფიქრი, ხომ... იმდენ ესკიზს დაფხატავ, რომ მერე მე თვითონ მბეზრდება და თავს ვანებებ. არ ვიცი, რა მინდა! მოკლედ, სხვისთვის ვცხოვრობ.“

ჰო, ისე, ერთი წელია, რაც სამოსის კერვაც დაიწყე, რადგან მხოლოდ ახლა მოახერხა საჭირო ტექნოლოგიის შექმნა. ხომ გახსოვთ? – ხ ა რ ი ს ი. „დილეტანტურად არ მინდოდა დაწყება, საჭირო ტექნიკით და კარგი მკერავებით კი საჭირო ხარისხს მივიღებ“.

მართალია, მამაკაცის 23 კოსტიუმი უკვე ერთი წელია, რაც საკიდზე უკიდია, ჩვენების მოწყობა უნდა, მაგრამ... „ხომ გეუბნები, თავი ვერ მომიბამს იმისთვის, რომ ფეხსაცმელებიც შევკერო. ახლა, ალბათ იმას მკითხავ, ერთი წლის წინ შეკერილი, როგორ იქნება დღეს აქტუალური?“ ისე, ეგ არც კი მომსვლია აზრად, მაგრამ კი-მეთქი, დავუქნიე თავი. „ეს სპორტულის და კლასიკურის საინტერესო სინთეზია. ისეთია, რომ... იქნება, იქნება“.

**აინტერესებს:**

- აინტერესებს – მათი აზრი, ვინც თავად აინტერესებს;
- აინტერესებს – თეატრში და კინოში მუშაობის ცდა;
- აინტერესებს – იმიჯის შეცვლა. ბევრ ქალბატონზე ექსპერიმენტსაც ჩაატარებდა;
- აინტერესებს – რამდენად მისაღები იქნება მისი სამოსი საზღვარგარეთ;

ჩააცმევდა: ნანი ბრეგვაძეს, ნატო მურვანიძეს, ლიკა ქავთარაძეს... რამ, დამავინყა! – მითხრა, „პირველ ლედისაც ჩააცმევდი. ისეთი ფაქტურა აქვს, სიამოვნებით შევმოსავდი, რადგან არ მომწონს, როგორც აცვია“.

**დიზაინი:**  
**სალომე ტყაბლაძე**

**მოდელები:**  
**თიკა ფაცაცია, დათო მანუჩაროვი, ვახო გელაშვილი**






# პითონა...

## სკან-პროექტი >>>



„ცხელი შოკოლადი“ და ნესტან კვინიკაძე წარმოგიდგენთ სკან-პროექტს, სახელწოდებით „სიზმრის ახსნა.“ ამ, ერთგვარ თამაშში, ჩვენი რესკონდენციების განსაკუთრებული ნიშნით გამოჩეული სიზმრების ილუსტრირებულ ვერსიებს შემოგთავაზებთ და არა მხოლოდ! ქვესწოებიერი სამყაროს სიღრმეში ჩაძირული რესკონდენციებისთვის არ გაბვიმხელია მთავარი, ანუ ის, რომ




# სიზმრის ახსნა >>>

ილუსტრაციებს თან დაერთვება ფსიქოლოგის კომენტარები. თამაშის პრინციპის დასვინს მიხედვით, ფსიქოლოგმა არც სიზმრის ავტორის ვინაობა იცოდა, არც პროფესია.

თქვენს წინაშეა ცნობილი და ნარკოტიკული ადამიანების ქვეცნობიერი სამყარო და ანონიმური ფსიქოთერაპევტის მიერ მათი მოქალაქე ანალიზი.




მან სუმბამ



ენიკ ბარანიძე



მან სუმბამ



ენიკ ბარანიძე

აკვიატებული სიზმარი >>>

**ვითომ** ვარ ჰავანაში, სასტუმრო "Havana Libre"-ში, 24-ე სართულზე, იმ ნომერში, რომელშიც ყოველთვის ვჩერდები, როდესაც კუბაში ჩავდივარ. ფანჯრიდან ვხედავ ხედს: 23-ე ავენიუ, ჰავანის ცენტრი; 5-კილომეტრიანი სანაპირო; ოკეანე; უზარმაზარი შუქურა – იქაური რევოლუციის სიმბოლო. სანაპირო უხვევს და მერე სადღაც იკარგება, ღრუბლებსა და ცას შორის; კაპიტოლიუმი; სახლები; ეკლესიები. ვხედავ, როგორ ბნელდება, ირთვება მაიამელი კუბელების დამონტაჟებული უცნაური განათება, რომელიც ზღვარს ავლებს წყალსა და ჰავანას შორის. ვხედავ მალეკონს – ეს მსუბუქი ყოფაქცევის ქალების სანაპიროა, 5 კილომეტრის მანძილზე ჩამწკრივებული ულამაზესი კუბელი გოგონები. ვხედავ, იმ მანქანას, რომელსაც ჩასვლისას ვქირაობ ხოლმე – კაბრიოლეტი ჯიპი. მივქრევარ მალეკონის მიხვეულ-მოხვეული გზაზე. ვხედავ იმ ლამაზ გოგონებს, რომლებიც გეძახიან, ხელს გიქნევენ: მოდიითი... სიზმარშივე ვხვდები, რატომ ცხოვრობდა იქ ჰემინგუეი. ვგრძნობ, რომ არაფერი მინდა. კუბაში, უბრალოდ, ბედნიერი ხარ.



სიზმრის ახსნა >>>

სიზმარი პატარა ეტიუდით არის - კადრი და შეგრძნება დატვირთული და გაზიარებულია. რას გვიყვება ჩვენი პერსონაჟი ამ სიზმრით? რომ ის ეძებს თავისუფლებას, სიამოვნებას, პასუხისმგებლობის მოხსნას.. რომ მას „იდეალურ“ კაცთან იდენტიფიკაცია (ჰემინგუეი - ძლიერი, ჭკვიანი, გამორჩეული) და საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნება უნდა... აგრეთვე, შეგვიძლია ვისაუბროთ სიტუაციის კონტროლის სურვილზე და იმაზე, რომ ის შეიძლება ანონიმურობას ნატრობდეს. თუმცა აქვეა მცდელობა საკუთარი „ნიშნის“ დატოვებისა; ის თავისებურ რუტინას „აგებს“ (სასტუმროს ერთი და იგივე ნომერი, ერთი და იგივე მანქანა), რომ თავი შინ იგრძნოს. ეს იქნებ თავის დასამკვიდრებლად სჭირდება?

ის, რომ სიზმარი აკვიატებულია, უკვე მნიშვნელოვანია - რადგან ნიშნავს, რომ სიზმარი „ცდილობს რაღაც უთხრას“ მესიზმრეს. რა არის ცხოვრების ამ ფრაგმენტის შემდეგ ან მის წინ?

„მხოლოდ აქ ვარ თავისუფალი? რას ვეძებ? რას მეუბნება ეს „უბრალო ბედნიერება“? ამ შეკითხვებზე პასუხები, ეტყობა, ჯერ არ აქვს.

მოკლედ, ჩვენი პერსონაჟი გრძნობს, რომ დასვენება და სილალე მხოლოდ სიზმრისეულ სამყაროში შეუძლია იპოვოს, სადაც ხელახლა ბრუნდება ამ რეალობისგან გასაქცევად და ახალი გზების საპოვნელად. მხოლოდ საკითხავია, უსვამს ის საკუთარ თავს ამ შეკითხვებს?





ნამდვილი ამავენი, რომლის ყოველ 6 ივნისს ესიზმარება, დაბადების დღის წინა ღამეს >>>

**ვითომ** ექვსი წლის ვარ, ექსკურსიაზე დედასთან და 3 წლის დეიდაშვილთან ერთად, დავით გარეჯში მივდივარ. დეიდაშვილი საოცრად გამხდარი და უსუსური გარეგნობისაა. უკანა გზაზე ავტობუსში ვსხდებით. ავტობუსი იძვრის და მოულოდნელად აღმოვაჩენთ, რომ ჩემი დეიდაშვილი არ არის ავტობუსში. ინყება პანიკა....ფანჯრიდან ვხედავ სცენას: გაურკვეველი წარმომავლობის ოქროსკბილებიანი მამაკაცები გზად გაშლილ სუფრასთან სხედან და ღრეობენ. იქვე ცხვარს ყელს ჭრიან. სისხლი აქეთ-იქით ასხამს. მათ შორიახლოს წერტილივით მოჩანს ატირებული ჩემი დეიდაშვილი. ავტობუსიდან ჩავრბივარ, უკან უფროსები მომდევნენ, მაგრამ ვერავინ მენევა. ბავშვს ხელს ვკიდებ, ვიხუტებ და მომყავს.

ამ ნამდვილ ისტორიას, დღემდე, ყოველ 6 ივნისს ვხედავ და სიზმარში ისევ 6 წლის ვარ.



სიზმრის ახსნა >>>

სიზმარი კომპოზიციურად შესანიშნავად არის შეკრული. ის იმპრესიულია, იმპრინტინგული/ჩაბეჭდილი, მეხსიერების flash-back.

ამ მოგონებიდან შეგვიძლია „წავიკითხოთ“, რომ ავტორს სათუთი დამოკიდებულება აქვს პატარა და უმწეო ბავშვის მიმართ. ის სპონტანურად, უშიშრად რეაგირებს - სისხლიან „სცენაზე“ იჭრება.

სიზმარი, როგორც ჩანს, ყოველწლიურად ერთგულად შეახსენებს ჩვენს პერსონაჟს მის ცხოვრებისეულ ფასეულობებს - ზრუნვას უსუსურთათვის, გაბედულებას, პასუხისმგებლობას.



პერმანენტული სიზმარი >>>

**ვითომ** ჭუჭყიანი წყლითა და ტალახით სავსე ქუჩაში მივდივარ, სრულიად შიშველი. ხალხი დადის და მიყურებს. უხერხულობის შეგრძნება მეუფლება.



სიზმრის ახსნა >>>

ეს ჭუჭყიანი, სველი და ტალახიანი (ანუ ის, რაც გაჭუჭყიანებს) - მომზირალი და განმკითხავი ქალაქია. ეს კრებითი სახე - ქუჩა, ხალხი - ქალაქის ფასადია და როცა არ გაცვია, ნილაბი და ფასადი აღარ გაქვს და ხარ მგრძნობიარე, დაუცველი... ქალაქი გიყურებს და გაფასებს, შენ კი გრცხვენია.

რას გეუბნება ეს სიზმარი და რა პროგნოზი აქვს მას?

რომ რეალობა განძარცულია - ეს არ არის მწვანე მდელო ან მშვენიერი სანაპირო, სადაც სიშიშველე უფრო ბუნებრივია (და შეიძლება მშვენიერიც იყოს); რომ ავტორი შემოფოთებული და მგრძნობიარეა.

სიზმარი უხერხულობის განცდაზე მიგვანიშნებს. ამ განცდისგან (სირცხვილის, შესაძლოა, რაღაც მომენტში - უმწეობისაც) თავის დასაღწევად რამდენიმე გზა არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთი ჰიპერკომპენსაციას გულისხმობს. ამ შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ, რომ საკუთარი შინაგანი მდგომარეობის „გასანეიტრალებლად“, ჩვენი პერსონაჟი, არაცნობიერად, „ხალხში გათქვეფას“, დისტანციის შემოკლებას ცდილობდეს. შესაძლოა, ზედმეტი აქტიურობა და ძლიერი ფსიქოლოგიური დაცვის სტრატეგიების გამოყენება სჭირდებოდეს.



დამახსოვრებული სიზმრები >>>

**ვითომ** პირველი სიზმარი, რომელიც დამამახსოვრდა, 5 წლის ასაკში მესიზმრა: ბაბუაჩემის მონაყოლი ზღაპარი, სადაც პერსონაჟები მე და ჩემი ბიძაშვილი გურამ ფალავანდიშვილი ვიყავით. მე მიტაცებენ, გურამი ცხენს მოახტება, გამოეკიდება მატარებელს და გადამარჩენს.

12-13 წლის ასაკში დაიწყო ფრენა: ხეებს ზევით, ცაში. სიმაღლის მოულოდნელი ცვალებადობა ისეთ დისკომფორტს მგვრიდა, რომ იმნამსვე მეღვიძებოდა.

კიდევ იყო ქვიშის დიდი მთა, რომელზეც ავდიოდი, ავდიოდი და ბოლოს ქვემოთ ვეშვებოდი. ისევ მეღვიძებოდა.

დეტექტიური სიზმრების მთელი სერია, როცა ჩაკეტილ სივრცეში დამწყვედელი მთავარი მოქმედი გმირი ვიყავი და იქიდან თავის დაღწევას მოხერხებულობით და მამაცობით ვცდილობდი.

ვხედავდი ტარკოვსკის ფილმების მსგავს მწვანე მინდორს, სადაც თეთრი ცხენით მივქროდი. სადარბაზოში შესულს, ფეხები ეკვეთებოდა და ვამხნევებდი: ადექი, შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია.



სიზმრის ახსნა >>>

სიზმრების ამ „სწრაფი“ მოზაიკიდან ჩანს ქალური, რომანტიული ბუნება, შთაბეჭდილებიანი, მგრძნობიარე, სუფთა...

სიზმრები თითქოს პერსონაჟის განვითარების საფეხურებზე მიგვანიშნებს:

თავიდან - ბავშვის პასიური, სხვაზე დამოკიდებული სახე გვიმზერს. ის ცხენზე ამხედრებულმა რაინდებმა უნდა „გადაარჩინონ“...

შემდეგ - „ფრთების გაშლის“ ფაზა მოდის; უკვე შეუძლია მოსწყდეს შეჩვეულ გარემოს და ყოფას, ბავშვობას. უკვე ჩნდება გამბედაობა და სივრცეების შეცნობის ნადილი, თუმცა ეს ცვალებადობა და სივრცეები აშფოთებს. სიზმრიდან სწრაფად ბრუნდება რეალობაში, ფხიზლდება, მაგრამ სიზმარი თანდათან აჩვევს „ფრენას“.

ქვიშის დიდი მთა, რომელიც ფეხქვეშ „გეფშვნება“, რომელზე ასვლაც თითქმის შეუძლებელია, – იქნებ ცხოვრების ახალი გზების შესწავლის, შრომის, ახალი ძიების მანიშნებელი იყოს. ასევე, ეს შინაგანი ცოდნის სიმბოლოა, რომ ეს გზები ილუზორული და არამდგრადია და მიზანი - სიმაღლეების დაპყრობა - ძნელი რამ...

ეს უკვე ზრდასრული, განვითარებული ადამიანის სიზმარია. ვფიქრობ, ამ სიზმრების გაზიარებით, პერსონაჟმა საკუთარი ცხოვრების მთავარი მონაკვეთები დაგვანახა და, რაც მთავარია, ისიც, რომ მისი სიზმრული სამყაროდან წამოსული იმპულსი პიროვნული ზრდის იმპულსია.



თრილარი >>>

**ვითომ** ქუჩაში ვდგავარ, ბევრი ხალხია. ატყდა ჩხუბი, დამარტყეს დანა, ხელი მოვიკიდე და სისხლი ვიგრძენი. ვიფიქრე, არ უნდა მოვკვდე! და გავიქეცი, უკან მომდევნ. თან ყვირიან, არ მომკვდარაო. გავრბივარ. უეცრად სადღაც გადავხტი, ავფრინდი და ზემოდან ვხედავდი მთელს საქართველოს: კავკასიონს, ცას და მდელს... მიფერინავ სამოთხეში, შეიძლება ჯოჯოხეთში, მაგრამ ლამაზი და მწვანე იყო. ტკივილს ვეღარ ვგრძნობდი, ყველაფერს სიამოვნების განცდა ჩაენაცვლა.



სიზმრის ახსნა >>>

სიზმარი მიუთითებს პერსონაჟის ღრმა განცდაზე, რომ „აქაურობა“ ძალადობის და მოულოდნელობის ასპარეზია; რომ ის ვერ აკონტროლებს სიტუაციას; რომ უეცრად, შეიძლება მსხვერპლი აღმოჩნდეს, დევნილი დამნაშავე, რომლის დასჯასაც/სიკვდილსაც ბრბო მოითხოვს..

ამ დროს სულ ერთ ნაბიჯზე თავისუფლებაა, სხვა რეალობა (სამოთხე? ჯოჯოხეთი?) — დამამებელი და სასიამოვნო... ხედვის განსხვავებული კუთხით და რაკურსებით...

რას გვეუბნება ეს სიზმარი? ჩვენი პერსონაჟი დაღლილია და „ხალხმრავალ თავყრილობებს“ ვერ ენდობა; რომ გრძნობს, თუ რა „არათანმიმდევრული“, უეცარი ექსცესებით და საშიშროებებით სავსეა ცხოვრება. მაგრამ აქვეა შინაგანი ცოდნა იმისა, რომ შვების მოპოვება შესაძლებელია, თუ ძალებს მოიკრებს და ახალ „ნახტომს“ გააკეთებს. ამ ახალი ხედვის მოსაპოვებლად კი, განსაცდელის გამოვლა, უბრალოდ, აუცილებელია...





ამ სიზმრის შიშველი ყველაფერი სულად წავიდა >>>

**ვითომ** პირობითი გარემო იყო, თუმცა ძალიან შინაური. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც თევზი წყალში. ირგვლივ ჩემიანები იყვნენ და მე თვითონ ვიყავი ყველა. მოულოდნელად, ჩემს ეზოში აღმოვჩნდი, უცხო ბიჭები მოვიდნენ. ჩხუბი დავიწყეთ. ისინი დამარცხდნენ და წავიდნენ. ვგრძნობდი, რომ პასუხის გასაცემად აუცილებლად დაბრუნდებოდნენ. ამისთვის მზად ვიყავი. ისინი მართლაც მოვიდნენ და წამიყვანეს. არ ვიცი, რა მიქნეს. მერე უკვე გარედან ვუყურებდი ჩემს თავს. საშინელი განცდა მქონდა, ვერავინ მიშველა. არავინ იცის, რა მომივიდა. ვგრძნობდი, რომ დავიკარგე. გავქერი. ვხედავდი, რომ, უბრალოდ, აღარ ვარსებობ. აღარ ვარ.



სიზმრის ახსნა >>>

ეს სიზმარი შეიძლება „გამაფრთხილებელი“ სიზმრების ჯგუფს მივაკუთვნოთ. ხაზგასმულია პირობითობა — ეს სიტუაცია მეტაფორულია, თუმცა ძალიან ბანალური ჩანს.

სიზმარი ავტორს ორ უკიდურესობას აჩვენებს: მდგომარეობას, როცა ის ზედმეტად ასოცირებულია გარემოსთან, ზედმეტად გაშინაურებული და გაერთიანებულია („მე თვითონ ვიყავი ყველა“) და მეორეს - „გაქცეულ“, საკუთარი თავიდან მოწყვეტის, დაკარგვის, დისოციაციის გამოცდილებას.

პირველი მდგომარეობა - სიფრთხილედაკარგული, რელაქსირებული მდგომარეობაა; მეორე კი - განსაცდელის დროს აღმოცენებული, გაურკვევლობით, სასონარკვეთით, მარტოობის და უსუსურობის განცდით დამუხტული. ავტორი ძალიან ემოციურია (თუმცა, აღსანიშნავია, რომ განცდების სახელდების შესანიშნავი ლინგვისტური ნიჭი აქვს), შეიძლება იოლად კარგავდეს წონასწორობას, ენერგიას, ლალატობდეს (გაურბოდეს) საკუთარ თავს. მისი ცხოვრება შეიძლება „რიტმული“ იყოს - ნათელი და რთული პერიოდების ხშირი მონაცვლეობით.

სიზმარი „ქანქარის“ ორ ზღვარზე მიუთითებს და ჩვენს პერსონაჟს „ოქროს შუალედის“ არსებობას შეახსენებს. სიზმარი ამ რიტმულობის გაცნობიერებას „თხოვს“: ორივე უკიდურესობა „საზიანოა“, თუმცა მეორე - განსაკუთრებით მტკივნეული, რადგან მე-სთან კავშირის განწყვეტის და დეზინტეგრაციის საფრთხეს გულისხმობს.

ჩემი აზრით, რადგან „ამ სიზმრის შემდეგ, ყველაფერი ცუდად წავიდა“, ავტორმა ამ მეორე ზღვარზე „გაჩხერილი“ ქანქარა უნდა დაძრას (შეცვალოს სიზმრის მიმართულება) — თუნდაც წარმოდგენის ძალით (ვიზუალიზაციის, მართული წარმოსახვის გამოყენებით). შემდგომი, ასოცირებული ფაზის დადგომისას კი, საკუთარ თავს ახალი ამოცანები უნდა დაუსახოს...



HORROR >>>


**ვითომ** ვარ ჩემს ოთახში. დღის განათებაა. ეს ოთახი გარდაცვალებამდე ბებიჩემს ეკუთვნოდა. ველოდები მეგობარს. მუქი, ნაღებისფერი ტყავის დივანზე, ბებიჩემის მოქარგული ფერადი ბალიშები ყრია, მილაგებას ვაპირებ. მოულოდნელად, ბებიჩემის შიშველ გვამს ვხედავ. ფაქტი არ მაშფოთებს, უბრალოდ, სტუმართან მეუხერხულება, ისიც წმინდა ესთეტიური თვალსაზრისით. სწრაფად ვინცებ გვამის ბალიშებით დაფარვას, რადგან კარზე უკვე ზარის ხმა ისმის. კარს ჩემს მაგივრად ვილაც აღებს, მოულოდნელად შემოდის მეგობარი. გვამის სათანადოდ დაფარვა ვერ მოვასწარი, ამიტომ ზემოდან ვაჯდები. მეგობარს ჩვეულებრივი განწყობით ვესაუბრები. ბებიჩემის ხელი ვარდება. ვცდილობ, ხელი ისე დავმალო, რომ სტუმარმა არ დაინახოს, ბალიშებში ვჩურთავ. ვეხები, ის ხელს მაშვებინებს, დგება და ამბობს – კაი რა! ვინ არ მომკვდარა! ბებიჩემი გვიერთდება. ვსვამთ ყავას, ვენევიტ სიგარეტს.



სიზმრის ახსნა >>>

სიზმარი დეტალებით არის სავსე, ავტორისთვის მნიშვნელოვანი და ნაცნობი ნივთებით — ეს მისი რეალობაა, საიდანაც „მოდის“; მაგრამ აქ რაღაც საიდუმლოც იმალება – ძველი ამბავი, „ჩონჩხი კარადაში“, რომელიც გარეშე თვალთაგან საგულდაგულოდ არის დასაფარი - თუნდაც ესთეტიკური თვალსაზრისით... ეს ძველი, უხერხული, გაუგებარი (წარსული) ამბავი „მოქარგული ბალიშებით“ ან მოქარგული სიტყვებით უნდა დაიფაროს. ის, რაც დასამალია — პიროვნულად ძვირფასია, მაგრამ უადგილოა თანამედროვე კონტექსტში. ავტორი გაორებულია, თუმცა თამაშს აგრძელებს და ამას წარმატებით ახერხებს. პრობლემა კი არ იმალება (როგორც ყოველთვის). ის შემოდის თამაშში, აქტიურდება. ბოლოს და ბოლოს, თავად პრობლემა ათავისუფლებს ჩვენს პერსონაჟს, ხსნის მის დაძაბულობას, ჩვეულებრიობას უბრუნებს სიტუაციას...

ავტორი, თითოეული ჩვენგანის მსგავსად, ცდილობს შენიღბოს საკუთარი ცხოვრების, წარსულის, წარმოშობის (?) ზოგიერთი ასპექტი; დეტალები, რაც მიაჩნია, რომ მის „სახეს“ მომხიბვლელობას აკლებს. დრო შეახსენებს მას, რომ ცდებოდა. სიზმარი უხსნის, რომ რაც უფრო თავისუფლად გაათამაშებს „სამარცხვინო კარტს“, არ განდევნის და დაფარავს, არამედ „გააცოცხლებს“ და მოიპატიუებს თავის რეალობაში – მით უფრო ბუნებრივი და თავისთავადი იქნება. პრობლემები გადასახედი და გადასალაგებელია, ავტორს წარსულის „ინვენტარიზაცია“ სჭირდება...



K H A V N A

V B E B I A  
S i

M R .

უსწაური სიზმარი

**ვითომ** უცხო ქალაქში ვარ. უცნობია გარემო, სადაც რომის პაპია ჩამოსული. მიდის დიდი პროცესია, რომელსაც უკან უამრავი ხალხი მოყვება. მოულოდნელად, იოანე პავლე II ჩემსკენ მოდის, საუბრით მივუყვებით ბალს, რომელსაც ვერცხლისფერი ნაძვები მიჰყვება. ვსაუბრობთ ზოგად თემებზე: მე პოლონურად, რომის პაპი – ქართულად. უკან ამაღლა მოგვეყვება, ხალხი აღარ ჩანს. საუბარი დავასრულეთ, თბილად დამემშვიდობა და წავიდა. უცხო სახლში აღმოვჩნდი, რომელიც სავსე იყო ჩემი ნათესავებით და ყველა ეჭვის თვალით მიყურებდა. მეღიმებოდა და ჩემთვის ვფიქრობდი, არაფრის აზრზე არა ხართ-მეთქი.



სიზმრის ახსნა >>>

სიზმარი თავისებურ მარტოობაზე ან განდეგილობის ფორმაზე მიგვანიშნებს. პერსონაჟში ბევრი რამის მიმართ გაუცნობიერებელი გაუცხოება იგრძნობა. შესაძლებელი პიროვნული კრიზისი, სულიერებასთან მიმართებაში, მოძღვრის პერსონის ან სულიერი მეგობრის უშედეგო ძიებაა, რომლის კრებითი სახე შეიძლება იყოს რომის პაპი.

პიროვნება შინაგანად გახსნილია მისგან განსხვავებული ადამიანის მიმართ და მზად არის მის ენაზე სალაპარაკოდ და იმის გაზიარებისთვის, რაც სხვის სულიერ სამყაროს ეხება. ანალოგიურის მოლოდინშია თვითონაც. ჩემი აზრით, რომის პაპი ამ „სხვის“ სახესაც გულისხმობს.

პიროვნება გადაღლილია ყოველდღიური ურთიერთობებით, რაც გარემოსა და ახლობლებისადმი გაუცხოების ნიშანია. ის სულიერი, ინტიმური ურთიერთობებისთვის „ჩაკეტილია“, რადგან მისი ბოლომდე არავის ესმის, თუმცა ამ სიტუაციისადმი მისი ირონია კარგად ფარავს ამ განცდას.

შესაძლებელია უცხოეთისადმი ნოსტალგია, ან სამშობლოს დატოვების სურვილი ჰქონდეს, რადგან სულიერი ფასეულობები ამ მშობლიურ გარემოში ვერ აღმოაჩინა.

თუმცა მასში ტრაგიზმი არ არის...





ამ სათაურზე, ანიეს ვარდას ფილმი მასხენდება – „კლეო 5-დან 7-მდე“, სადაც მშვენიერი კლეოს ცხოვრების ორი მნიშვნელოვანი საათია ნაჩვენები.

„დიტო 6-დან 9-მდე“ კი ცდაა. ცდა დღევანდელი ერთ-ერთი საინტერესო ქართველი რეჟისორის – დიტო ცინცაძის მთელი ცხოვრების თუ არა, მისი ფრაგმენტების ჩვენებისა.

#### 18:00.

ვცდილობ, სწრაფად გავიკვლიო გზა წვიმაში და სწრაფ-სწრაფად ვახტები გუბებზე დაგროვილ ივნისის წვიმას. დანიშნულების ადგილას დროზე და ნახევრად მშრალი მაინც მინდა მივიდე. აი, ისიც: მაღალი, გამხდარი, მართლაც რომ კლდიაშვილისეული ტიპაჟი (რატომ კლდიაშვილისეული, ამაზე მოგვიანებით) შავი კეპით, ჩემსკენ მოემართება: „ვაა, ეს რა პუნქტუალურები ვართ ორივე!“

სტუდიაში შესვლამდე:

– „ბედი არ გინდა?! მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, ოთარ იოსელიანთან მეშუაგა. არ დარეკა იმ დღეს? როლი მაქვს შენთვის, ჩამოდიო. მერე? მე თვითონ გადაღებებს ვინცებ აქ და სად წავალ?! ესეც შენი „ზაკონ პოდლოსტი“! არა უშავს. ვეტყვი, ან როლი შემინახოს, ან მერე ჩემთან გადავიღებ.“ ვერ ვიტან ამ მინანქრს, მაგრამ ამ ადგილს, მგონი, მოუხდებოდა – (იციინის).

სტუდიაში:

- ყავა გინდა?
  - მინდა.
  - მაშინ, ცოტა მადროვე.
- ისევ ისე უბედურად წვიმს.

#### 18:15

აღბათ ელოდებით, რომ ბავშვობით დავინწყებთ. მოგიყვებით, როგორი ონავარი იყო სან-სებასტიანის „ოქროს ნიჟარის“ მფლობელი დიტო ცინცაძე, როგორ დარბოდა ეზოში, თამაშობდა ფეხბურთს... არა, ფეხბურთს „ქუჩის დონეზე კარგად“ თამაშობდა, მაგრამ დიტოს ისტორია სულ სხვა ადგილიდან, ჯერ კიდევ მის დაბადებამდე იწყება, როცა დედამისი, ქალბატონი ნარი ორსულობის მე-9 თვეში თბილისის ერთ-ერთ კინოთეატრს ესტუმრა. იჯდა თავისთვის, დიდი ეკრანის წინ და ვაიმე! ტკივილებიც დაეწყოოო. ახლა ხომ ხვდებით, რომ გვარში ექიმობის ტრადიციის მიუხედავად, არასდროს, არასდროს არ უნდა ჰკითხოთ დიტო ცინცაძეს:

– ბატონო დიტო, გიფიქრიათ ოდესმე სხვა პროფესიაზე? იმიტომ, რომ არა! არ უფიქრია და არც იფიქრებს! ბავშვობიდან დავინწყებ-მეთქი.

ამ სიტყვასთან პირველ რიგში წყნეთი ასოცირდება. მაშინ, როდესაც მშობლები ერთმანეთს შორდებიან, ძმებს ცალ-ცალკე უწევთ ცხოვრება: დიტოს – დედასთან, ძმას კი მამასთან; ანუ „რალაც დავიშალეთსავით“-ო. როგორც თვითონ ამბობს – „მშობლების დაშორება დიდად არ განმიცდია. რა ვიცი, ოთხი წლის ბავშვს დიდად არაფერი მესმოდა.“ თუმცა, სიტყვა „ბავშვობაზე“ მაინც წყნეთი, და ზაფხულობით ისევ ერთად შეკრებილი ოჯახი ახსენდება. უეცრად, ჩემი სევდამელანქოლიური გამომეტყველების დანახვისას კი, ოპტიმისტურად მპასუხობს – „იცი, ამ ყველაფერს რალაც დადებით, პლუსიც კი ჰქონდა“ და ის ისტორია ახსენდება, როცა უკვე წამოზრდილი, რალაც ძალიან ცუდ ამბავში გაეხვია. ვილაც დაჭრეს, თუ რალაც ამგვარი. ატეხილა ერთი ამბავი და ყველა დაუჭერიათ. ყველა, დიტოს გარდა. რატომ? იმიტომ, რომ ვერ იპოვეს. არავინ იცოდა, სად იქნებოდა – ერთ სახლში, მეორეში თუ მესამეში. ესეც შენი პლუსი!

მგონი, დიდი მოჩხუბარი არც ყოფილა, რადგან საკმაოდ მორიდებულად მითხრა: – ნუ... ყველა ჩხუბობდა და მეც ვჩხუბობდიო. მართალია, ერთხელ იარაღითაც მოსულან, მაგრამ სერიოზული არაფერი. „ხომ იცი, 53-ე სკოლა, ვერა, თბილისი...“

ჰო, აქ ერთი წამით შეეჩერდეთ და დიტოს ერთ უცნაურობაზე მოგიხსნათ; ერთ ჩვევაზე, რომელიც მეგობრების მარად სახუმარო თემაა. როგორც თვითონ უწოდებს, „დოუბლე ცჰეკინგ“-ი სჭირს. ერთი და იგივე კითხვას რამდენჯერმე დაგისვამს. ეტყობა ამონებებს, გაიგე თუ არა. რა ვიცი, ალბათ ამიტომ იყო, რომ სკოლის მეგობრების სახელები ორჯერ ჩამომითვალა: ალექო გურგენიძე, ზაზა ალექსიძე, გიორგი გვახარია (ოლონდ კინომცოდნე არაო), მამუკა მანისაია, გიორგი ჭკუასელი, პაატა ჩახნაშვილი, ზაზა ჩაჩუა, ზურა ერისთავი.

მე კი ყველა დავიმასხვორე, მაგრამ... სწორედ ამ „double checking“-ობის გამო იყო, ერთხელ ძალიან რომ აწყენინეს. არ დამავინწყდეს, მოგვიანებით მოგიყვებით.

#### 18:45

კინო? კინო სულ იყო. დაიწყო იმით, როცა „კინოშნიკა“ დეიდამ, ერთ დილას სასეირნოდ წაიყვანა და შინ მხოლოდ დაღამებისას, ცხრა საათზე დაბრუნდნენ. დიდი სკანდალი



# დიტო 6.00\_დან 9.00\_მდე



დახვდათ — აქამდე სად იყავითო!!! მთელი ოჯახი ნერვიულობდა. ეს სკანდალი არ ახსოვს. დაამახსოვრდა მხოლოდ კინოდარბაზში გატარებული მთელი დღე და ნანახი... ასე, ათი ფილმი მაინც! ჩარლი ჩაპლინი და ბასტერ კიტონი!

მერე 10 წლის იყო, როცა ბაბუამ 8 მილიმეტრიანი კამერა აჩუქა, და... აქედან დაიწყო, თუ დაიწყო. იღებდა ყველაფერს, დგამდა სცენებს... ერთმა ასეთმა „გადაღებამ“ კინალამ მეგობრის ნეკნები შეინირა, რომელიც მკვდარს თამაშობდა და კიბეებზე უნდა ჩამოგორებულყო. რა ქნას, რომ არ მოსწონდა დიტო რეჟისორს მეგობრის დაგორება, და იმ საწყალს ხუთი დუბლი მაინც გადაუღო. სერიოზული ამბავი იყო! კაცი ვესტერნს იღებდა და..!

„დამოუკიდებელი ცხოვრება ადრე დავიწყე. ისე, ცოტა ძნელია, როცა ძალიან აქტიური მშობლები გყავს და სულ შენს ცხოვრებაში ერევიან. ცალკე ბინა მქონდა კეკელიძის ქუჩაზე და იყო ერთი ამბავი, გნისი, გიჟური ისტორიები. მამას იშვიათად ვხედავდი. მერე უფრო დავახლოვდი. დედა? დედა ძალიან აქტიური ადამიანია. ერთხელ, პატარაობისას, დიდი არაფერი, თავი გავიტეხე და ისეთი ამბავი ატყდა... მთელი ქუჩა გაჩერდა. არა, ძალიან აქტიური დედა მყავს. ჩემზე რომ ჰკითხო, გეტყვის ასეთი წყნარი ბავშვი და კარგი მოსწავლე, მეორე არ იყო. არადა, მე-7 კლასის მერე, რა ხდებოდა მათემატიკაში, აზრზე არ ვიყავი. ერთადერთი, თავისუფალი თემების წერა მიყვარდა ლიტერატურაში. ეგ იყო და ეგ. დედა ახლაც აქტიურობს. სულ მირეკავს, არ დალიო, ბევრი არ მოწიო, რას აკეთებ...“

საუბარს ტელეფონის ზარი წყვეტს:

– „ალო, ჰო... დედა! ახლა ზუსტად შენზე ვლაპარაკობდი. რაა?.. ჰო, ჰო, კარგი. არა, არ ვარ მთვრალი... კაი, კაი, ნავედი...“

აჰა, დამტკიცდა.

## 19:00

თეატრალურ ინსტიტუტამდე პუშკინის ინსტიტუტი და რუსული ფილოლოგია იყო, როცა მოსკოვში უმაღლეს კურსებზე უნდოდა ჩაბარება და აქ, იძულებით მოუხდა საბუთების შეტანა. „მაშინ ასეთი წესი იყო. თუ რაიმე არ გექნებოდა დამთავრებული, არ მიგიღებდნენ“. ზუსტად ერთ წელიწადში კი, თეატრალურ ინსტიტუტში კინოს ჯგუფი გაიხსნა და... ხომ გახსოვთ, რა არ უნდა ჰკითხოთ არასდროს? საბუთები მაშინვე გადაიტანა. ელდარ შენგელაიას სახელოსნოში ჩაირიცხა.

სარეჟისორო ჯგუფში, საფეხბურთო გუნდით თერთმეტნი იყვნენ. იმ დროს, მოკლედ, ასე ახასიათებს – ვლოთობდით, უსაშველოდ ვგოჭობდით, მაგრამ თან ვმუშაობდითო.

„მიხვდით, რომ რალაცნაირი კინო არსებობს, სხვა კინო. ეს იყო ელდარ შენგელაია, ოთარ იოსელიანი, რომელიც მონტაჟს გვასწავლიდა. მიყვარს ელდარის იგავური თბრობა, მისი სამყარო, მისი ადამიანურობა. დღესაც მახსოვს, „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ჩვენებისას, კინალამ რომ დაინგრა დარბაზი როტერდამში. ასეთი რამ არსად მინახავს. ისე, მეც ვინატრებდი ასეთ ჩვენებას.

ოთარის სუფთა კინემატოგრაფი, სტრუქტურა, სადაც ენა არ არის საჭირო. ეს აღმოჩენა იყო ჩემთვის. დღესაც, ჩემს ფილმებს მათ ვუჩვენებ ხოლმე და... ისე ვნერვიულობ, როცა ოთარი უყურებს. ის ხომ არასდროს არ იმეორებს კადრებს, მე კი ხშირად ვიმეორებ. ჰოდა, როცა ამ გამეორებებს ხედავს, ვიცი, იმ მომენტში რას ფიქრობს!

რეზო ესაძე, რომელიც ასევე გვასწავლიდა მონტაჟს. მაგარი მსახიობია. ისე იცოდა ფილმის მოყოლა, რომ გაგაფუდებოდი, გაიქცეოდი სანახავად და რა?! რეზოს მონაყოლთან შედარებით, ფილმი უინტერესო იყო ხოლმე.“

კარგად ახსოვს, როგორ გაუმწარა ერთხელ სიცოცხლე ჯგუფულ ტატო კოტეტიშვილს. „არ მახსოვს, რალაცას ვუნლიკინებდი“, რომ ბოლოს აიღო და ერთი კარგად მოისროლა ეს ჩვენი დიტო ტატომ. სახსოვარიც დარჩა: ფრენის შედეგად გადამტყდარი და შემდეგ არასწორად შეხორცებული ლავინის ძვალი.

დასაწყისში კლდიაშვილისეული ტიპაჟი ვუნოდე. და აი, რატომ. როცა ჯგუფის ხელმძღვანელი, ბატონი ელდარი ფილმ „სამანიშვილის დედინაცვალს“ იღებდა, დიტოს თქმის არ იყოს, „დაციკლული“ ყოფილა კლდიაშვილზე. ამიტომ ჯგუფი ინტენსიურად დგამდა კლდიაშვილის პიესებს და მთავარ როლებს ყველგან ჩვენი გამხდარი, აწონილი დიტო თამაშობდა. მე შენ გეტყვი და გარეგნობა აქვს ისეთი, ვერ დაიჯერებ, გაძვალტყავებული აზნაური რომ შეიძლება არსებობდეს?!

გასუსული დარბაზი. სცენაზე სადიპლომო წარმოდგენაა. ვისი პიესაა? ეს რა იკითხეთ? კლდიაშვილის, რალა თქმა უნდა. პიესის მონაწილეებს შორის ძალიან. უფრო სწორად, ძალიან არ ჩანს, მარტო ყეფა ისმის. ეს სამამულოშილო საქმე ჯგუფულ მამუკა მინდიაშვილს აკისრია, ანუ მამუკა ყეფს. დიტოს გამოსვლის დროა. ცოტა ნერვიულობს. ვაა, ლევან ერისთავს არაყი მოუტანია. ცოტას მოსვამს, რა! ცოტა – ნახევარი ბოთლი გამოვიდა. აი, უკვე დაგიარა სისხლში

თბილმა ჟრუანტელმა. თან ჰა, ჰა, გაგეხსნება და... სცენაზე გასვლის დროც მოსულა. ჯოხმომარჯვებული, ამყად, ყოველგვარი შიშის გარეშე – არაყმა თავისი საქმე და იმაზე მეტიც ქნა – სცენაზე გადის. ახლა კი გაგრძელებას რომ წაიკითხავთ, თქვენც ჩემნაირად იფიქრებთ – ეჰ, ნეტავ არ გასულიყო, რადგან იქ ისეთი ამბები დატრიალდება... სულ ტკბილ-ტკბილ სიზმრებშიც კი არ დაესიზმრებოდა კლდიაშვილს. როლში შევიჭერიო, – იმართლებს თავს, და სცენაზე გასული, ხელის ერთი მოსმით სწევს ფარდას – ეტყობა, ყველას კარგად რომ დაენახა ძაღლის როლის შემსრულებელი. მერე კი, მომარჯვებული ჯოხით, უცებ, ენერგიულად იწყებს ჯგუფელის ცემა-ტყეპას. „მამუკა თან მიყურებს, თან ვერ მაგინებს, ითმენს. აგრძელებს ყეფას... რა ჰქნას, რა ჰქნას და არ დაიწყოს ნკმუტუნი!... წინ ტატო მიდგას, ამ ამბის შემყურე, ძლივს იკავეს თავს. არადა, დიალოგი გვეწყება, თან ძალიან მნიშვნელოვანი. რა უნდა გვექნა? ერთმანეთს თვალელებში ვერ ვუყურებდით! სიცილისგან ისე ცუდათ ვიყავით, რომ გვერდიგვერდ, მაყურებლისკენ ზურგით დავდექით და ისე, რომ არც შეგვიხედავს ერთმანეთისთვის, ჩავარაკრაკეთ დიალოგი. კულისებიდან გამწარებული მამუკას მუშტები მოჩანდა.“

სადიპლომო ფილმი ლევან ერისთავთან ერთად გადაიღო – „კვაზიმოდო“. მთავარ როლში მამუკა კიკალიშვილი იყო. მამუკა მასწავლებელს თამაშობდა, ოღონდ ისეთს, რომლის შიში და ძრწოლა მთელ კლასს უნდა ჰქონოდა. დიტოს ძალიან უნდოდა, რომ ბავშვები გადალებებამდე დაეშინებინა მამუკათი. ამიტომ ბევრი იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა: ზოოპარკში მგლებთან შევასეირნებ მამუკას და ბავშვებს დავანახებო. მართალი ვითხრათ, არ ვიცი, დაფიქრდა თუ არა მამუკა შესაძლო შედეგებზე. ალბათ არა, რადგან ბავშვებთან ერთად ზოოპარკშიც წავიდა და გალიასთან თავისი ფეხითაც მივიდა. „ოპერატორმა თქვა, მე არ წამოვალ. ფილმის დირექტორმა, მე ვითომ არც გამიგიაო. მოკლედ, ვერ ვართ, რა. დგანან ეს ბავშვები დაჭყეტილები, მამუკა გალიასთან მივიდა და... არ შექუჩნდნენ გალიასთან ეს მგლები?! თან, ლამის ნერწყვი მოუვიდათ! ბოლოს, კიდევ კარგი, ჩემმა მეგობარმა, რომელიც კარგად იცნობდა მგლებს და მათ ჩვევებს, აგვიხსნა, წამითაც არ დაფიქრდებიან, ისე შეახრამუნებენ მაგ თქვენს მამუკასო. ამის გამგონე მამუკასაც ნელ-ნელა ჩაუქრა ენთუზიაზმი. მეც დავფიქრდი და... მოკლედ, გადარჩა, თორემ ბოლომდე არ ტყდებოდა და მიდიოდა“.

### 19:35

საკუთარ ფილმებზე პირდაპირ და გულახდილად საუბრობს. ზოგჯერ, ძალიან იშვიათად თუ გადმოიღებს და ნახულობს. ისიც იმიტომ, რომ მაინტერესებს, როგორი ვიყავიო. როგორც შემფასებელი, საკმაოდ კრიტიკულია – „არ მიყვარს „დახატული წრე“, რალაც ამბიციით გავაკეთე. აი, ახლა ყველაზე მაგარ ფილმს გავაკეთებ-მეთქი და ეს ცუდი ფილმი გადავიღე, რომელსაც სულ ვმალავ. „სტუმრები“ კი მიყვარს. მაშინ იმდენად თავისუფალი ვიყავი, შეიძლება ითქვას, სითავხედემდე თავისუფალი. მარტო ამის მერე მივხვდი, რომ რაც უფრო თავისუფლად შეხედავ და ითამაშებ, მით უფრო სასიამოვნო და საინტერესო გამოვა ფილმი.“

პირველი ნამუშევრებიდან დაწყებული, თითქმის ყველა ფილმი: „დღე“, „კვაზიმოდო“, „სტუმრები“ სხვადასხვა ფესტივალებზეა პრიზირებული. თვითონვე გაუკვირდა, როცა „ხუთი ფირი „კოდაკით“ და დანარჩენი შავ-თეთრით“, 1993

წელს გადაღებულმა ფილმმა „ზღვარზე“, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი „ვერცხლის ლეოპარდი“ მოიპოვა. რა თქმა უნდა, ძალიანაც გაუხარდა და ისიც იფიქრა, აი, ახლა დაიწყება კარგი ცხოვრებაო. მაგრამ ქვეყანა აირია და თვითონაც ხომ აირია და აირია!

თუ გინდათ ოდესმე, – რატომ უნდა გინდოდეთ, მაგრამ მაინც – დიტო ცინცადეს დღე ჩაუშხამოთ, ყოვლად უწყინარად უნდა წარმოთქვათ: პროდუქტორე იტალიანო ვიტო დიბარი. ისე, ხუმრობა იქით იყოს და, ვითომ საქმე გაუკეთა დიტოს, მტერს არ უსურვებდა კაცი! მოკლედ, ლოკარნოზე გამარჯვების შემდეგ, დიტოს თბილისში ჩამოაკითხა და ოქროს მთებს დაპირდა... ამას გავაკეთებთ, იმას გავაკეთებ-

ბანელიძე ნოდარისი და დიტო ხინცაძე



თო... თანაც, მილანში წაიყვანა! ასეირნა, აქეიფა და “კაცო, მაშინ ცოტა თავქარიანი ვიყავი“, მითხრა და გააგრძელა იმ ამბის მოყოლა, თუ ნასვამმა როგორ მოაწერა ხელი რაღაც კონტრაქტს. რას? მაშინ ზუსტად არ ახსოვდა. აქაოდა, სერიოზული კონტრაქტი მაქვსო, მილანური ჰაერი გემრიელად ჩაისუნთქა და ტკბილადაც ჩაიძინა. როცა გამოფხიზლდა, მხოლოდ მეორე დღეს გაიგო, რომ კონტრაქტი ექსკლუზიური იყო და ბატონი ვიტოს გარდა, ვერავისთან, ველარასოდეს იმუშავებდა. იმ დღიდან, ვიტო დიბარი გახდა მისი მზეც, მთვარეც, და დარჩენილი ცხოვრებაც. ამბავი 1994 წელს ხდება. „ექვსი წელი გამაჩერა. დამღუპა, რა! საერთოდ არ მამუშავებდა! არც ფულს მაძლევდა! ვერც სხვასთან წავიდოდი სამუშაოდ! წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიყავი?“ ნუ გგონიათ,

რომ გეკითხათ – რატომ ვიტო? მხრებს ნაზად აიჩეჩავდა და გიპასუხებდათ – რა ვი, აბაო. არა! ბოლოს თვითონ შესთავაზა: – თუ თავის გამოსყიდვა გინდა, 20 ათასი გადამიხადეო! ესეც შენი ვიტო! აი, თურმე რატომო! მერე? მერე თბილისში სახლი გაყიდა, „კულტურული“ ტყვეობიდან თავი გამოისყიდა და გერმანიაში წავიდა, სადაც ერთგული მეგობარი, „ჩემი კლაუსიკო“ რომ ეძახის, სწორედ ის ეგულეობდა.

### ორიოდე სიტყვა კლაუსიკოზე.

„ეს კლაუს ესერია. რომელმაც ჩემს ცხოვრებაში გარდატეხა მოახდინა. შემთხვევით შევხვდი და დავძმაკაცდი. ეს რაღაც „მეჯიქ“ მომენტია“. ისე, ჯერ არ მითქვამს? დიტოს



ცხოვრებაში ხომ ასეთი „მეჯიქ“ მომენტები საკმაოდ ხშირად ხდება. უბრალოდ, ზოგი ვის უკავშირდება და ზოგი – ვის. „მეჯიქებში“ ლიდერი კი, როგორც მიხვდით, გერმანელი კლაუსია – „თვალები ამიხილა, ხომ არის რაღაც კარები, ფანჯრები, რაც არ იცი; სადაც არასდროს შეგიხედავს. კლაუსი სწორედ მათ გახსნაში დამეხმარა. ცხოვრებაში ყველაფერს სხვანაირად შევხედე. ძალიან დამეხმარა ჩემი კლაუსიკო. მის გამო ავირჩიე გერმანია, იქ მეგულებოდა. ჰო, სხვათა შორის, კლაუსი ჯიმი ჰენდრიქსის მეგობარი იყო“. ოო, აქ კი ვცქვიტე ყურები, მაგრამ დავაგვიანე. დიტო მოყოლას აგრძელებს.

20:05

„ძალიან დამეხმარა ნანა ჯორჯაძე, გერმანიაში საჭირო ხალხს დამაკავშირა და ასე. მაგრამ იცი, მთელი ეს პერიო-



კადრი ფილმიდან „ხელმოცარული მკვლელები“

მოუტყუებიათ. სალონიკის საერთაშორისო კინოფესტივალზე „ვერცხლის ალექსანდრეც“ აიღეს. მანამდე კი, ოთარს უჩვენა, რომელმაც სადღაც გადარეკა, დიტოს შედევი გადაუღიაო. ფილმი კანში უჩვენეს. აი, ასეთი – დაიცადე, როგორ ამბობენ – ია-ვარდებით მოფენილი არ ყოფილა დიტო ცინცაძის გზა. გზა „ხელმოცარულ მკვლელებამდე“.

გადაღებები დაიწყო და პირველი სამი დღე დაბნეული დიტო გადასაღებ მოედანზე, ალბათ, კარგად დაამახსოვრდათ – „მომცეს ეს ვოქი თოქები, პირდაპირი ჩანერა, მონიტორი... არ მქონია ასეთი გადაღებები. მოკლედ, არაფერი არ ვიცი და ვთამაშობ“. ძალიან დაეხმარა დღეს უკვე ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, მაშინ კი, უბრალოდ, ჯგუფის სრულიად უცხო ნევრი, ფილმის ოპერატორი ბენედიქტ ნოინფელსი. „ნარმოიდგინე, ენა არ ვიცი, უცხო ტექნიკის გარემოცვაში, სრულიად დაბნეული ვარ... ბენედიქტი კი ბოლომდე გვერდში ამომიდა. ვილაცას რაიმე ცუდის თქმა ძალიან ადვილად შეეძლო, მაინც ხომ ვერაფერს გავიგებდი. ხომ ხვდები, არა?... მოკლედ, დამიცვა ყველაფრისგან...“ აქ კი, თავისთავად, ის ცუდი გაახსენდა, რაც მაინც მოხდა მოგვიანებით, „გასროლის შიშზე“ მუშაობისას. ერთგულ ბენედიქტს არ ეცალა და ფილმისთვის ახალი ოპერატორი აიყვანეს. „გაგიკვირდება, რომ გითხრა, ვის უნდოდა ჩვენთან მუშაობა. ვიმ ვენდერსთან, ფასბინდერთან ნამუშევარ ოპერატორებს. ყველას უარი ვუთხარი. ახალგაზრდა, რისკიანი ადამიანი მჭირდებოდა. ბევრი სანინააღმდეგო აზრის მიუხედავად, ძალით გავიტანე ეს ბიჭი. დავამტკიცეთ ფილმზე და... იცი, როგორ ჩაიჭრა? ადამიანურად ჩაიჭრა. ბოლმა არა ვარ, მაგრამ ისე მანყენინა... ერთ-ერთი ასეთი „double checking“-ის შემდეგ, შეტრიალდა

**მასინ უსუსტად არ ახსოვდა. აქაოდა, სერიოზული კონტრაქტი მატვსო, მილანური ჰამარი ბამრიძელად ჩაისუნთქა და ტაქილადას ჩაიძინა. როსა გამოფხიზლდა, მხოლოდ იმერა დღეს გაიგო, რომ კონტრაქტი ექსკლუზიური იყო და ბატონი ვიტოს გარდა, ვერაპისთან, ველარასოდეს იმუშავებდა.**

დი ალბათ საჭირო იყო, რომ „ხელმოცარული მკვლელები“ გადამელო. იქ, კიდევ მომატყუეს. კაცო, მოვიდოდნენ ამ ლიმუზინებით. მე, როგორც გოიმი, „ვებმებოდი“ ამაზე და... ერთხელ წამოსვლაც ვიფიქრე, რადგან მიუნჰენში ისეთ ბუნაგში ვცხოვრობდი, ისეთ ცუდ სიტუაციაში ვიყავი, რომ... მართლა დაღუპვის პირას აღმოვჩნდი. აქაც იყო ერთი გერმანელი პროდიუსერი, ფულს არ მაძლევდა. ჰოდა, ერთხელ რომ მოვუქნიე საფერფლე – ახლა, ჩაცვებ თუ ფულს არ მომცემ-მეთქი და... გაჭრა.“ ერთი პერიოდი... არა, კი არ უფიქრია, მაგრამ მორბენალი სტრიქონით გაურბინა თავში. ის, რასაც „მკვლელებში“ ზანგი გმირი სჩადის, – ფულის საშოვნელად ცალ თირკმელს რომ აბარებს. ხომ გეუბნები, სერიოზულად არ მიფიქრია, მაგრამ სადღაც მაინც გამიელვაო.

ასე ნელ-ნელა დაიბადა „ხელმოცარული მკვლელების“ ისტორია. „ხომ იცი, რაღაც რომ ილექება, ილექება და ჰოპ! შემთხვევით შევხვდი ერთ გაქუცულ, ჭუჭყიან, ტალახიანი პალტოთი, ველოსიპედით მოსულ პროდიუსერს. მოფუყევი სიუჟეტი და ვიღებო, მითხრა.“ მართლა გადაიღეს. აღარ



კადრი ფილმიდან „ხელმოცარული მკვლელები“ ფრანსა

და გერმანულად თქვა, – ამან, ხომ გამიტრაკა თავისი „checking“-ებითო, რაზეც ვილაცეებმა ჩაიციინეს. ეს მხოლოდ გადაღებების დამთავრების შემდეგ მითხრეს. მაშინ არ გამიგია, საქმეში ვიყავი ჩართული, თორემ წამდვილად გადავამტვრევი კამერას თავზე. უბრალოდ, რა არის იცი? შეეძლო ეთქვა

# ახალი ასტრა

ბანჯაღება 1 და 6 წლია



„OPEL-ი 2004 წლის ყველაზე ხაზისხიანი ევროპული ავტომობილი“

Tel/Fax: 53-07-14

„შემთხვევით შემხვდი ერთ ბაჭუსულ, ჭუჭყიან, ტალახიანი პალტოთი, ველოსიპედით მოსულ პაროდუსურს. მოვუყვინი სიუჟეტი და ვიღებო, მითხრა, მართლა გადაიღეს. ატარე მოუცუხებით“. სალონიკის საერთაშორისო კინოფესტივალზე „ვერცხლის ალექსანდრე“ აიღეს.

ინგლისურად, ხომ გავიგებდი, ვუპასუხებდი კიდეც, თუნდაც ხუმრობით. არა, გერმანულად თქვა. არადა, მანამდე მარტო რეკლამებს იღებდა, და ეს მისი პირველი ფილმი იყო, რაშიც გერმანულ კრიტიკოსთა პრიზი აიღო. მერე, ლამის ყოველ კვირას, მეილებს მიგზავნიდა, მაპატიეო. მაგრამ... პატიება არ მიჭირს, მე თვითონ იმდენჯერ მაპატიეს, რომ რატომ არ უნდა ვაპატიო სხვას...“

აქ, ნელ-ნელა დიტოს ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ და სათუთ მომენტს მივუახლოვდით. უფროსი ქალიშვილი მარიკა ნიუ-იორკში ცხოვრობს. ერთმანეთს მხოლოდ ახლახანს შეხვდნენ. „ჩემი ბრალია... სულ ვნანობდი ამ სიმორეს... ისეთი მადლობელი ვარ, რომ მაპატია და მიმიღო! ჩამეტუტა კიდეც.“

იმ დროს, მარტინ სკორსეზეს და რობერტ დე ნიროს დაარსებული ერთ-ერთი „ახალგაზრდა“ კინოფესტივალი იმართებოდა. დახურვაზე, ჟიურის თავმჯდომარეს, პიტერ სკარლეტს – სხვათა შორის, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე „პრომეთე“, სწორედ პიტერმა გადასცა მთავარი პრიზი დიტოს, ფილმისთვის „გასროლის შიში“ – ჩემთვის და მა-

რიკასთვის ორი მოსაწვევი ვთხოვე. წარმოიდგინეთ, ვსხედვართ მეორე რიგში, დახურვაა. ყველა ვარსკვლავია გარშემო და პიტერი სიტყვით გამოდის: – იცით, ჩემო მეგობრებო! ამ ფესტივალმა კიდეც ერთი მნიშვნელოვანი რამ მოიტანა. წლების მერეც კი, დაშორებული ადამიანები დააკავშირაო და არ დაგვასახელა?! ამერიკული ფილმების ფინალებში რომ არის, ზუსტად ისე, მთელი დარბაზი ჩვენსკენ შემოტრიალდა. მე და მარიკა კი, გაოგნებულები ვუყურებდით ერთმანეთს.“ მეორე ქორწინებიდან „პრინცესა“ ნუცა ჰყავს; პატარა ნიკუშა ხომ... ნიკუშა, მესამე ქორწინებიდან, დიტოს და მარიკა გიორგობიანის შვილია. როგორც მარიკაზე ამბობს, ფილმ „სტუმრების“ გადაღებებზე გავიცანი, და „სახლზე“ მუშაობისას შემეცვარდაო“.

„ნიკუშა რეჟისორი არასოდეს არ იქნება. მე და თავის ძმას (მარიკას პირველი ქორწინებიდან), დათოს გვეუბნება, რა გინდათ, გამოვალ რონალდინო, ბევრ ფულს ვიმოვი და მერე შენც და დათოსაც დაგაფინანსებთ“.

რა გინდა, ძალიანაც რომ პრაქტიკულია.

– ბევრჯერ გყვარებიათ?

– კი, კი, უფფ... ხანმოკლე ურთიერთობები სულ მქონდა. სიყვარულით კი ხანდახან ორი ქალიც მყვარებია. და სწორედ ამიტომ იყო, რომ შეცდომები მომდიოდა.

– სასიყვარულო წერილები?

– არა. – და ღიმილით ამატებს, – პირდაპირ პრაქტიკას ვამჯობინებდიო.

ისე, სიყვარულზე მალევე მოვრჩით. პირადულზე საუბარი მაინცდამაინც არ სიამოვნებს. ჯერ კიდევ ტელეფონით საუბრისას გამაფრთხილა, ინტიმურზე არ ვილაპარაკებო. სულ იმეორებს, რა გითხრა, ცუდიც მაქვს და კარგიც: „კარგი ჩემია და მიინდა შევინახო. ცუდზე კი უფრო შემიძლია მოვყვე“. ძალიან ცუდი, რამდენიმე ხნის წინ იყო, როცა ქრონიკულ ჰეპატიტს მკურნალობდა. „ინტერფერონი საშინელი პრეპარატია, სულ ანგრევს ორგანიზმს – ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად. აუტანელი ვიყავი. უხეში. ახლა მითხრა ნიკუშამ, სახლში რომ მოდიოდი, არ მიყვარდა, ასე ვამბობდი, ნეტა არ მოვიდეს-მეთქი“.

20:25

ფრანკა.

თუ „ხელმოცარული მკვლევები“ ნანახი გაქვთ, მაშინ აუცილებლად დაგამახსოვრებოდათ ქალის კაბაში ჩაცმული დიტო. „ამ როლზე ლენი რიფენშტალის დროინდელი ქალი გვინდოდა, მაგრამ არ დაგვთანხმდა“, ლაშა ბაქრაძის მერაბი, ისე, ამ როლზე მერაბ ნინიძე ყოფილა დამტკიცებული. მაგრამ აქაც მომხდარა „მეჯიქ“ მომენტი. ერთ საღამოს რესტორანში ლაშას შეხვედრია და... როგორც იტყვიან, მყის მი-

მხვდარა, რომ ის – “ის“ იყო. მოკლედ, დარწმუნებული ვარ, რომ ამ კარგი ფილმიდან ბევრი, გაცილებით ბევრი რამ დაგამახსოვრებოდათ. მათ შორის კი, უდავოდ იქნება პორტუგალიელი ქალის როლის შემსრულებელი, ველური ფრანკა.

დღეს ფრანკა, ბერლინის თეატრალურ საზოგადოებაში თითქმის ლეგენდაა. თუმცა, თავის დროზე, ყველა თეატრიდან გამოაგდეს იმიტომ, რომ... მაგალითად ერთგან, სადაც მთავარ, ლულუს როლს თამაშობდა, ფინალში მისი გმირი უნდა მომკვდარიყო. უცებ გამოაცხადა: – დღეს თქვენთვის ლულუ არ მოკვდებაო. დატოვა პირდაღებული დარბაზი და კულისებში ამაყად გავიდა. „კაი, რა ფრანკა. რა იცი ხოლმე. აუ, ფრანკა, რა“... მოკლედ, იმდენს სთხოვდნენ, რომ ჯანდაბას თქვენი თავიო, გაბრუნდა უკან და როგორც წინა დღეებში, ისე „მოკვდა“ სცენაზე; ერთ-ერთი სპექტაკლის მსვლელობისას კი, პარტნიორს ზედმეტად მოუყვია სახეში გარტყმა – ასე ეწერა პიესაში და... ამან ისე გააბრაზა, რომ აიღო სკამი და მთელი ძალით გადაამტვრია თავზე. შემდეგ ნერვაუტოკავად შემოტრიალდა და თამაში გააგრძელა. ის უბედური კი... მაშინვე წამოხტა, თუ კიდევ ცოტა ხანს ეგლო ძირს, – არავინ იცის.


ახლა ხომ თქვენც გაგიჩნდათ კითხვა – კი, მაგრამ რატომ, ბატონო დიტო? რატომ აიყვანეთ ასეთი ქალი?

პასუხი: ზუსტად ეგ მჭირდებოდაო. კაცო, რა უცნაური ხალხია ეს რეჟისორები?!

გადაღებები რთული იყო. ფრანკა ძალიან მომხიბვლელი ქალი იყო, და, ბუნებრივია, ყველა მამაკაცი ეარმყებოდა. ის კი არ იცოდნენ, რომ ფრანკას სულაც არ აინტერესებ-



Ein Film von Dito Tsintsadze



# LOST KILLERS

Auch töten will gelernt sein



**„პოეტური თრილერი“**

ერთხელ ერთ გენიალურ ჟურნალისტს შეხვდა: „ბატონო დიტო, თქვენი ფილმი „გასროლის შიში“ თავისი ხასიათით გერმანული არ არისო. – არა-მეთქი. – არც ქართული არ არისო. – არა-მეთქი. აბა, სადაურია? – მაღაიზიური-მეთქი. გულმოდგინედ ჩაინერა, მ ა ლ ა ი ზ ი უ რ ი.

„პოეტური თრილერიც“ ამ ამბავს ჰგავს. ასე მითხრა, ამ სახელით მწერალი დირკ კურბოვიდი „დავაბიო“. ეს მაშინ ხდება, როცა დირკის ნაწარმოების მიხედვით სცენარი მზად არის – დიტოს სიტყვებით, საშინლად გაუმართავი სცენარი – და რეჟისორს ეძებენ. ტელეფონის ზარი: ჰალო, „ხელმოცარული მკვლელების“ რეჟისორი გვინდოდა? არადა, სამ დღეში თბილისში მოდიოდა და აცდებოდა. სუფთა „მეჯიქ“ მომენტია! „ხომ იცი, ცნობილი ადამიანები რომ ჰყვებიან ხოლმე – აი, სასტუმრო „რიცის“ რესტორანში როცა ვისხედით... აქაც ასე იყო. შევხვდით „რიცში“. კარგი ისტორიაა-მეთქი, ვუთხარი მწერალს.

- წაიკითხეთ, არა? – მკითხა.
- არა. გერმანული არ ვიცი. ვერსელამ, – მემონტაჟე ბულგარულ ქალზე მივუთითე, – ამან მიაგმო-მეთქი.
- აა, – ცოტა დაიბნა მწერალი. და რა ენაზე გიამბოთო, – იმასაც უჩნდება რა, კითხვები.

რუსულად-მეთქი, რომ ვუთხარი, სახე წაეშალა. იფიქრა, main gott, ეს რა გიყვებში მოხვდითო. „ძალიან მიკვირს, რომ არ ადგა და არ წავიდა. ეტყობა, დიტოს სპონტანურად გამოგონილმა – „ეს სცენარი კარგი „პოეტური თრილერიაო“, ისე მოხიბლა დირკი, რომ არამარტო მის კანდიდატურას, არამედ

**ოთახში როსა შევიდნენ, გახიდავა „ხელმოცარული მკვლელების“ გადაღების ფოტოები იდო. „არ ვიცი, სულ მეუბნებოდა დიტო, შენ გოიმი ხარ, ფრენა არ იცი, მე კი ვიციო, რა ვიცი, იქნებ გაფრინდა?“**

და მამაკაცური ღირსებები და სიგიჟემდე იყო შეყვარებული მემონტაჟე ბიჭის... ცოლზე. დასანახად ვერ იტანდა კაცებს, არც დიტოზე გიჟდებოდა. აბა, რა საყვარელია რეჟისორი, რომელიც გამუდმებით დირექტივებს იძლევა? თანაც, კაცი! ერთხელ ანტისემიტობაც კი დააბრალა, სიზმარში ასე განახეო. „სერიოზულ ნარკოტიკებზე იჯდა. რთული იყო მასთან მუშაობა, ზოგჯერ 40 დუბლსაც კი ვუღებდი, რადგან არ მიჯერებდა. მაგრამ მაინც ვთვლი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. გახსოვთ ყმუილის სცენა? მანდ ყვირილი მჭირდებოდა და თვითონ მითხრა, არ გინდა ვიყმუელოო? მინდამეთქი. კარგი სცენა გამოვიდა. ბოლო დუბლის გადაღების შემდეგ რომ ვთქვით, მორჩა გადაღებები, დასრულდა-თქო, კინალამ გაგიჟდა, რას ჰქვია დასრულდა? კიდევ, კიდევ მინდაო, ყვიროდა“. ერთი წლის შემდეგ, ფრანკა ბერლინის ცენტრში, მაღალსართულიანი სახლიდან გადმოხტა. როცა ოთახში შევიდნენ, მაგიდაზე „ხელმოცარული მკვლელების“ გადაღებების ფოტოები იდო. „არ ვიცი, სულ მეუბნებოდა, დიტო, შენ გოიმი ხარ. ფრენა არ იცი, მე კი ვიციო. რა ვიცი, იქნებ გაფრინდა?“

მთელი სცენარის და ფინალის გადაკეთებაზეც დათანხმდა. „თავიდანვე, იმით მომეწონა სცენარი, რომ აბსურდი, სიმარტოვე, სიურეალიზმი დავინახე. ბედისწერა... ყველაფერი რეალური, ამ დროს კი შინაარსით აბსოლუტურად აბსურდული. რაღაც კაფკას 'პროცესს' ჰგავდა.“

„გასროლის შიში“ თბილისური „ოქროს პრომეთე“ და ესპანური „ოქროს ნიჟარა“ მოიპოვა. „სან-სებასტიანის შემდეგ, ესპანურმა პრესამ გადაამიარა, მომკლა რა. თან, ვთქვი, ალმოდოვარი მომწონს-მეთქი და... ხომ ვერ იტანენ. შეიძლება რაღაც შოვინისტური მომენტიც იყო, იმიტომ, რომ ესპანურმა ფილმმა ვერაფერი ვერ მოიპოვა.... რა ვიცი, კარგ „სასტავში“ ვარ, თუ არც მე და არც ალმოდოვარი არ გევასებით... ძანაც კარგი-მეთქი. არადა, ევროპული პრესა პირიქით შეხვდა. ჟიურის თავმჯდომარე ჰექტორ ბაბენკო იყო, რომელმაც თქვა – ძალიან საინტერესო ფილმია, ძალიან შემანუხებელიო. ერთი სიტყვით, იმოქმედაო... და ესპანელებმა იცი როგორ დანერეს? ბაბენკო ძალიან შეანუხა ამ ფილმმა, და პრიზიც ამიტომ გადასცაო!“



## რაა მიხს, კაცო, ეს პოლივუდი!

„გასროლის შიშის“ შემდეგ, რაღ-რაღაცეები შეიცვალა. ევროპულ კინოსამყაროში უკვე კარგად მიცნობენ, საინტერესო წინადადებებიც შემომთავაზეს, მათ შორის პოლივუდიდან. ხომ იცი, სულ იმის იმედი გაქვს, რომ – რა არის, კაცო, ერთი პოლივუდში გადამაღებინა და... ძალიანაც მინდოდა, მაგრამ ისეთი ცუდი სცენარი იყო, რომ... ჯერ არ ვარ ამისთვის მზად. ახლა არ მინდა, რა! როცა საავტორო, არაპროგნოზირებადი რეჟისორის სახელი მოვიპოვე... არა, ჯერ არ მინდა. ერთი პროექტიც იყო „ბრიჯიტ ჯონსის“ პროდიუსერთან, მაგრამ იქაც მოხდა ისე, რომ ბალანსი დაირღვა. მართალია კომპრომისზე წავედი, მაგრამ ხომ არის ის, რასაც არ გადააბიჯებ?! თავის მხრივ, არც ის წამოვიდა დათმობაზე და ჩაიშალა პროექტი. ცოტას კიდე ვიბრძოლებ და მერე ვნახოთ. ხომ იცი, არასდროს არ თქვა 'არასდროს'. ხვალ რა მოხდება, ვინ იცის?“

გადაღებებს მუსიკალურ იმპროვიზაციას ადარებს, რასაც გადასაღებ მოედანზე ყოველთვის იტოვებს. „ყველაფერი თავშია. იქ, მოედანზე როგორ აენწყობა, ეს უკვე არავინ იცის.“

რადგან გადაღებებს შევეხეთ, იმასაც გეტყვით, რომ ამ დღეებში ახალი ფილმის გადაღებებს იწყებს. პირობითი სახელია – „ტაბუ“. გერმანელი კაცის, საელჩოს თანამშრომლის და ქუჩის ბიჭის ურთიერთობის შესახებ. მეგობრობის სევდიანი ისტორიაა, რომელსაც საზოგადოება არასწორად აღიქვამს ხოლმე. ამბავი ორი მარტოსული ადამიანისა – „უნიკალური შემთხვევაა, რომ გერმანიის ZDF-Arte-მ დააფინანსა ფილმი, რომელიც მის ბაზაზე არ კეთდება. და ეს მაშინ, როცა იქ



**„სან-სებასტიანის“ შეხლებ, ესაანურაჲ პრესაჲ ბაღაშიარა, თან ვითჳვი, ალმოღოჲარჳი მოგონს-მეთჳჳი და... ხომ ვერ იტანენ. შეიძლება რაღაც მოვიინსტურჳი მოგონს იყო, ესაანურაჲ ფილმაჲ ხომ ვერაფერი მოიკოჲა... ქარბ „სასტავჳჳი“ ვარ, თუ არც მე და არც ალმოღოჲარჳი არ გეჲასახით-მეთჳჳი“...**

რეჟისორების 30 პროცენტი უმუშევარია. პრობლემა კი ის არის, რომ ფული საკმარისი არ არის და არათუ მონტაჟს, გადაღებების დასამთავრებლადაც არ გვყოფნის. კინოცენტრში არ მინდა მისვლა, იქ ისედაც ბევრი პროექტია. ეს ხომ აქ გადაღებული ქართული ფილმი იქნება. მსახიობების ნაწილი იქიდან ჩამოგვყავს, მაგალითად მსახიობი მატეას ბრანტი. თან კანის, ტორონტოს, სან-სებასტიანის კინოფესტივალზე უკვე ელოდებიან, რადგან მათთანაც მისაუბრია და ფილმით დაინტერესებულები არიან. სერიოზული პროექტია. ძლივს მოვაბი თავი, რომ საქართველოში გადავიღო. ახლა ერთადერთი, რაც ძალიან მინდა ისაა, რომ ფული ვიშოვო. იცი, როგორ მინდა, რომ ყველაფერი კარგად წავიდეს და თბილისში გადავიღო?!

### 20:55

- გადაიღებდით ფანტასტიკას?
- კი, კი, ვცდიდი.
- საშინელებათა ჟანრის ფილმს?
- ვაიმე! ვგაჟღებო! პოლანსკი მიყვარს ძალიან. საერთოდ,

ისე მიყვარს კინო, რომ ყველაფერს ვცდიდი. ერთხელ ვთქვი, ეროტიკასაც-მეთქი და ისეთი მითქმა-მოთქმა ატყდა! (ცნობისთვის: 2002 წელს სცადა. "ხელმოცარული მკვლელებიდან" დარჩენილი ეპიზოდით, ისეთი „ეროტიკული ისტორია“ გადაიღო რომ... რაღაც ოცეულშიც კი შევიდაო – მითხრა).

- ყველაზე ხშირი სიტყვა ლექსიკონში?
- ტო. ბილსნიტყვაობას გერმანიაში შევეჩვიე, არავის არ ესმის და მიდი...
- შანსი. ერთი დღე ვისი ცხოვრებით იცხოვრებდით?
- ბანალურია, მაგრამ გულახდილი – მილიონერის ცხოვრებით.
- რატომ მითხარით, შეგხვდები, ოღონდ არა დილითო?
- ვერ ვფიზღლები. ამას წინათ, ტელევიზიაში დილით მივედი და ისეთი სისულელები ვიბლუყუნე, რომ...
- შეგიძლიათ თქვათ, ბერლინი ჩემი ქალაქია? თუ...
- რა ვიცი, არა. მაინც სულ უცხო ხარ, ამას მუდამ გრძნობ. მეც ვერა და ვერ ვისწავლე ეს გერმანული. არადა, ასეც არ შეიძლება. ვის სიამოვნებს, იქ ცხოვრობ და ენა არ იცი?! რა ვიცი, ან დებილი გამოვდექი, ან არ მოვისურვე. არ ვიცი.

# ფოტოგოთიხრობა იყო ასეთი ქალაქი

დათო ტურაშვილი



ასეთი ქალაქი მართლაც იყო, როცა თბილისს ტფილისი ერქვა და გამთენიისას, როცა მეფეზოვეები ქუჩებს ჰგვიდნენ, სწორედ იმ არიებს ლილინებდნენ, წინა სალამოს ტფილისის საოპერო თეატრის სცენიდან რომ ისმოდა.

ტფილისის საოპერო თეატრის თავგადასავალი XIX საუკუნის თბილისისა და საქართველოს ისტორიის ერთი უცნაური ფურცელია უცნაური დასაწყისითა და უცნაური დასასრულით. ახალი საოპერო თეატრის აგების იდეა ქართველებს არ ეკუთვნოდათ და გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, მეფისნაცვალმა ვორონცოვმა ზუსტად ამოიცნო გზა და ხერხი, რომელიც ამბოხებულ ქართველ თავადაზნაურობას რუსეთის მეკავშირედ და რაც მთავარია, შემგუებელ და მორჩილ უმრავლესობად აქცევდა. გრაფმა ვორონცოვმა, როგორც ჩანს, ზუსტად მიაგნო აქილევსის ქართულ ქუსლს და რამდენიმეგზის აჯანყებული თავადაზნაურობა, სწორედ ვორონცოვის დროს, რუსეთის იმპერიის ერთგულ ქვეშევრდომად იქცა. რამდენიმე (იშვიათ) გამონაკლისთა გარდა, რუსეთის მოძულე თაობამ, სწორედ რუსული მედლებითა და ორდენებით დაიმშვენა ქართული გულ-მკერდი და იოლად და სწრაფად დაიჯერა, რომ ტფილისისა და საქართველოში, ყურნალ-გაზეთებისა და თეატრების დაარსება, ქართველთა მიმართ რუსთ ხელმწიფის წყალობისა და სიყვარულის ნიშანი იყო. რასაკვირველია, იმ იშვიათ გამონაკლისთა გარდა, ვინც რუსულ ჩინსა და ეპოლეტებზე არ გაცვალა ქართული ჩოხები, მაშინვე ამოიცნეს ვორონცოვის მზაკვრობა, მაგრამ უმრავლესობის გადარწმუნება ველარ შეძლეს. უმრავლესო-

ბას კი სჯეროდა, რომ ყველა კულტურული წამოწყება ტფილისში ქართული ბედნიერებისთვის კეთდებოდა და არა იმ ქართველთა თვალის ასახვევად და დასამშვიდებლად, ვინც მთელი ცხოვრება რუსეთის უღელს ებრძოდა საქართველოში.

საოპერო თეატრის იდეასაც სწორედ ეს მიზანი ჰქონდა – ქართულ არისტოკრატის (და არამარტო არისტოკრატის) ოპერაში სიარულით თავი უნდა შეექცია და უმთავრეს საზრუნავზე აღარ ეფიქრა. ქართული აჯანყებებითა და შეთქმულებებით თავმოზრებულ რუსეთის იმპერატორს ძალიან მოეწონა ქართული პრობლემის მოგვარების ეს უმტკივნეულო გზა და სიხარულით დათანხმდა ტფილისის საოპერო თეატრის დაარსების იდეას. ოპერა უნდა ყოფილიყო იტალიური და შენობა უნდა აეგო თამამშევს, რომელმაც მინა ესტატე ციციშვილისაგან შეიძინა, როგორც მაშინდელი გაზეთები იუნყებოდნენ, “ორ დოზად და ორ საკაბედ”. თვითონ ბატონი ესტატე მუდამ ეჭვის თვალთ უყურებდა მუდამ ტალახითა და ლორლით სავსე მაშინდელ ერევნის მოედანს, რომლის ქვემოთაც მინისქვეშა არხი გადიოდა. სწორედ ამ არხით გაედინებოდა ზემო სოლოლაკიდან ჩამოვარდნილი წყალი, მუხრანის ხევის გავლით, მტკვრის მარჯვენა სანაპირომდე. სწორედ საოპერო თეატრის გახსნის წინ, “ნაშუადღევს თბილისში კოკისპირული წვიმა მოვიდა, ადიდებულმა წყალმა სოლოლაკში ძროხა მოიტაცა, გაატარა ერევნის მოედნის ქვეშ გაყვანილ ხვრელში და ჩაიტანა მუხრანის ხევთან”. გაზეთ “კავკაზის” ამ ინფორმაციას ზე-



პირგადმოცემაც ადასტურებს, რომლის თანახმადაც, ოპერის გახსნას სოლოლაკელი ძროხის ამბავი მართლაც უსწრებდა ნინ და იქნებ ამის გამოც, თეატრი მოგვიანებით, 1851 წლის 24 აპრილს გაიხსნა. შენობა ოთხსართულიანი იყო, რომლის არქიტექტორიც გახლდათ იმავე წელს ტრაგიკულად დაღუპული იტალიელი სკუდიერი. მხატვრობა თეატრისა ეკუთვნოდა გაგარინს, მაგრამ თეატრი სინამდვილეში მხოლოდ შიდა ნაწილში მოთავსდა შენობისა, რომელიც თამამშევის დაჟინებული სურვილით, უპირველესად უნდა აშენებულიყო, როგორც ქარვასლა. და ეს გასაგები გახლდათ იმის გათვალისწინებით, თუ როგორი მიზნები ჰქონდა თვითონ თამამშევის – ქართული თეატრისა და კულტურის აღორძინება-განვითარებაზე დარდი რომ არა სტანჯავდა, ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ იმ დროისათვის უმდიდრეს სომეხს, არათუ ქართული, სომხური თეატრის დარდიც ნაკლებად ჰქონდა, მიუხედავად ტფილისელ სომეხთა არაერთგზის თხოვნისა, სომეხებს მაინც დახმარებოდა, კაპიკიც ვერ გააგდებინეს ბატონ თამამშევის და რა გასაკვირია, რომ ქართული კულტურის დარდი არა ჰქონდა. ჰქონდა მიზანი – რაც შეიძლება მომგებიანი ყოფილიყო ყველაფერი, რაშიც დააბანდებდა ფულს და თამამშევის ყველაფერი გათვლილი ჰქონდა ისევე, როგორც რუსეთის იმპერიის თბილისელ მსახურებს – ქართველები ოპერას შეიყვარებენ, იმპერატორის მადლიერნიც დარჩებიან და თავისუფლებაზე ფიქრსაც შეეშვებიანო. საფუძველი ზემოთქმულისა კი, უდავოდ ჰქონდათ – თბილისის იტალიური ოპერის თეატრი ახალი გახსნილი იყო, დიდი შამილის ლეგენდარული, მაგრამ რუსეთის მიერ გადაბირებული ნაიბი ჰაჯი-მურადი თბილისში რომ ჩამოიყვანეს. იმ საღამოს ვინჩენცო ბელინის “ნორმა” უნდა წარმოედგინათ და “ნორმას” თბილისელთა უკვე საყვარელი სოპრანო, მშვენიერი ჯულია მინოცი მღეროდა. სპექტაკლის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, გაჭახჭახებულ დარბაზში, მალაჩინოსან რუსებთან ერთად, ჰაჯი-მურადი შემოვიდა, პარტერში კუთვნილი, საპატიო ადგილი დაიკავა და სინათლაც ჩაქრა. სინათლის ჩაქრობისთანავე (როგორც შემდეგ თვითმხილველნი ყვებოდნენ), ახალგაზრდა, თეთრ ჩოხაში გამოწყობილი ქართველი თავადი წამოდგა და ხმამაღლა, მთელი დარბაზის გასაგონად, ჰაჯი-მურადს, როგორც მოლალატეს, დედა შეაგინა. ჩვენი თეატრისათვის სპეციალურად პარიზიდან ჩამოტანილი უზარმაზარი ქალი სასწრაფოდ აანთეს, დაცვაც გამოიძახეს, მაგრამ ჰაჯი-მურადის ღალატით აღშფოთებული ქართველის ვინაობა ვერ დაადგინეს. არანაკლებ აღშფოთებულმა პუბლიკამ მხოლოდ ის დაადასტურა, რაც სიბნელეში შეინშნა – თეთრი, თავადური ჩოხა ზემოთ, “გალიორკაზე”. ჰაჯი-მურადისათვის გალიორკის რეპლიკა არ უთარგმნიათ, მაგრამ ის მაინც მიხვდა, რაშიც იყო საქმე და თეატრის შენობა ისე დატოვა, სპექტაკლი არ უნახავს. მან იცოდა, რომ საქართველოში ვიღაც მაინც ჩათვლიდა მოლალატედ, მიუხედავად

იმისა, რომ რუსებმა გადაბირება სწორედ ქართველებისგან დაიწყეს, მაგრამ არ იცოდა, რომ რევოლუციები, როგორც წესი, გალიორკებიდან იწყება.

იმ საღამოს, როცა შეურაცხყოფილმა ჰაჯი-მურადმა ქარვასლა დატოვა, სპექტაკლი მაინც გაგრძელდა, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენის დაწყება დაგვიანდა – თუმცა არა ლეგენდარული ნაიბის, არამედ ულამაზესი ქართველი ქალბატონის, მაიკო ორბელიანის გამო, რომელსაც თეატრში გული წაუვიდა. პარტერში იმდენი მონდომებული დამხმარე აღმოჩნდა, რომ მარათა სიმრავლემ (როგორც მოგვიანებით გაირკვა) ფილტვების ანთება დამართა მაიკო ორბელიანს. მოგვიანებით, ჭორების მოყვარულმა თბილისელებმა ისიც თქვეს, კნინა ორბელიანზედ ჰაჯი-მურადის შეურაცხყოფამ იმდენად იმოქმედა, შეუძლოდ შეიქნაო – ალბათ ის ღამე გაახსენდა, საქართველოში იმპერატორის სტუმრობისას, ქართველებმა პატივისცემის ნიშნად, ნიკოლოზს პირველს რომ მიჰგვარესო. იქვე იმითაც იმხნევედნენ თავს, იმ ღამეს იმპერატორი ისეთი მთვრალი გახლდათ, მაიკო ორბელიანის სიმშვენიერეს ველარ შეამჩნევდო...

იქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ლევ ტოლსტოიმ თბილისის ოპერის თეატრში ჰაჯი-მურადი ნახა (და, მოგვიანებით, ამიტომაც წიგნი დაწერა მასზედ), სინამდვილეს არ შეესაბამება. გრაფ ტოლსტოის ჰაჯი-მურადი არათუ ცოცხალი, მკვდარიც არ უნახავს – როცა ლეგენდარული ნაიბის მოჭრილი თავი თბილისში ჩამოიტანეს და ჰოსპიტალში დაასვენეს. ჰაჯი-მურადის მოჭრილი თავი უამრავმა ტფილისელმა ნახა (როგორც დამთვალეირებულმა), მაგრამ მნახველთა შორის ნამდვილად არ იყო ლევ ტოლსტოი. თუმცა, ტფილისში ნამდვილად იყო დიდი რუსი მწერალი და ნაიბზე წიგნის შექმნის იდეაც, საქართველოში სტუმრობის დროს გაუჩნდა. სწორედ მაშინ დაინტერესდა ჰაჯი-მურადის თემით და უამრავი მასალაც შეაგროვა, მაგრამ პირადად იგი არასოდეს უნახავს...

ქარვასლაში ოპერის მოსასმენად კი, ნამდვილად დადიოდა ლევ ტოლსტოი და წერილებში ვერც მალავდა აღფრთოვანებას თეატრის გამო. თბილისის საოპერო თეატრით აღფრთოვანებული იყო ალექსანდრე დიუმაც, მსოფლიოს ყველა ცნობილი თეატრი ნანახი რომ ჰქონდა, მაგრამ მაინც ჯიუტად იმეორებდა, რომ თბილისის ოპერას ვერაფერი შეედრებოდა დედამიწის ზურგზე. ვერაფერი შეედრებოდა თბილისელ მაყურებელსაც და მსმენელსაც, რადგან მაშინ, მართლაც ძნელად მოიძებნებოდა ქალაქი, სადაც ადამიანები, ერთმანეთთან შეხვედრისას, ერთმანეთის მოკითხვის ნაცვლად, იმ ტენორის ჯანმრთელობით ინტერესდებოდნენ, იმ საღამოს რომ უნდა ემღერა. უპირველესად იმას არკვევდნენ, სად და რამდენად შეიძლებოდა ზედმეტი ბილეთის შოვნა, რადგან ეროვნული თუ რელიგიური, კულტურული თუ სოციალუ-



რი სიჭრელის მიუხედავად, ყველა თბილისელს, გასაოცარის მონდომებით სურდა სწორედ სცენიდან მოესმინა "გა დონა ე მობილე". სწორედ სცენიდან, რადგან ტფილისის ქუჩებში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ისედაც ისმოდა "გა დონა ე მობილე", რომელსაც არა მხოლოდ მეთულუხჩე ბავშვები მღეროდნენ ერევნის მოედანზე, თურმე დინჯი კახელი მედუქნეებიც იგივეს ლილინებდნენ და რა გასაკვირია, რომ ანტონიო ტორეძელას ცოცხლად ნახვის მსურველი, მართლაც ბევრი იყო XIX საუკუნის თბილისში. იმასაც ამბობდნენ, ანტონიო ტორეძელა პარტიტურის გარეშე, ზეპირად დირიჟორობსო და არც ისაა გასაკვირი, რომ ჯუზეპე ვერდის "ტრუბადურის" პრემიერის წინა დღეს, 1857 წლის 5 ოქტომბერს, კოკისპირულ წვიმასა და მუხლამდე წყალში, მოთმინებით იდგნენ ტფილისელები ბილეთების რიგში. საერთოდ კი, თბილისის თეატრს ვერა-ვინ ასწრებდა ახალი ოპერის დადგმას და მთელს მაშინდელ რუსეთის იმპერიაში სწორედ თბილისში დაიდგა პირველად ბიზეს "კარმენიც" და "ჩიო-ჩიო-სანიც". იტალიური პრემიერა ჩვენს დედაქალაქში დაუჯერებელი სისწრაფით მეორდებოდა, როგორც წესი და მაგალითად, "რიგოლეტოს" იტალიური პრემიერიდან უკვე ორ წელიწადში, 1853 წელს, თბილისშიც განხორციელდა "რიგოლეტოს" დადგმა...

როგორც ჩანს, თბილისის მაშინდელი ოპერის მესვეურებს სარეკლამო საქმეც კარგად სცოდნიათ და ამ მიზნით, იმ აბელასაც კი იყენებდნენ, ვისი გვარიც ისტორიამ არ შემოინახა, მაგრამ ვიცით, რომ აბელა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ყველაზე მაღალი კაცი იყო ტფილისში და მის შესახებ ბაში-ჯანლიანცს მოთხრობაც კი აქვს დანერილი. აბელას შესახებ წერდა ილია ჭავჭავაძეც – წერდა ყველაზე მაღალი კაცის შესახებ ტფილისში, რომელიც ხის მაღალ ფეხებზე შემდგარი, მთელი დღე ქალაქის ქუჩებში დააბიჯებდა ხმაურით და ომახიანად ამცნობდა ტფილისის მოქალაქეებს, თუ რას შესთავაზებდა ოპერის თეატრი იმ საღამოს თბილისელებსა და ქალაქის სტუმრებს. ჯუზეპე გარიბალდის ფოტოც, ილია ჭავჭავაძის სამუშაო ოთახს რომ ამშვენებდა, ილიას დავალებით, სწორედ გრძელმა აბელამ მოიძია კამბიაჯოს ფოტოსტუდიაში. შემთხვევითი ალბათ არაფერია ამქვეყნად და მით უმეტეს ილია ჭავჭავაძე, შემთხვევით არ დაინტერესდებოდა ჯუზეპე გარიბალდის პიროვნებით – იმ ადამიანის პორტრეტით, ვინც სწორედ იმ დროს ედგა სათავეში იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. შემთხვევითი არც ის გახლდათ, რომ თვითონ გარიბალდისაც ძალიან უყვარდა ოპერა და იტალიაში იყო შემთხვევები, როცა (განსაკუთრებით "ნაბუქოს" მოსმენისას) აღელვებული იტალიელები, პირდაპირ ოპერიდან მოდიოდნენ საბრძოლველად და როგორც ჩანს, რუსებმა, მათთვის საშიში ტენდენციები თბილისის ოპერის თეატრშიც აღმოაჩინეს. თუმცა რა ძნელი აღმო-საჩენი იყო იტალიური ოპერის "მავნე" გავლენა ქართველე-

ბზე, როცა 1867 წლის 17 ოქტომბერს, გიმნაზიის ქართველ-მა მოწაფეებმა პირდაპირ პარტიტურში ააფრიალეს ქართული დროშები. მთავარმართებელი ბარიატინსკი იმან განარისხა, რომ გიმნაზიელებს, საერთოდ ეკრძალებოდათ თეატრში შესვლა და თეატრის ხელმძღვანელობა უმკაცრესად დასაჯეს. სინამდვილეში ეს იყო საბაბი, მიზეზი კი გახლდათ ნაციონალური გრძნობების კვლავ გამოვლიძება საქართველოში, რომელთა მისაძინებლადაც ააშენეს რუსებმა ოპერის თეატრი ტფილისში და შეცდნენ. მიხვდნენ, რომ შეცდნენ და საკუთარი შეცდომების გამოსწორებასაც შეეცადნენ – გადანყვიტეს თბილისის ოპერიდან იტალიელთა და ქართველთა გაყრა და თეატრის გადაკეთება მხოლოდ რუსული ოპერის ასპარეზად. დაითხოვეს კიდეც დასის შემადგენლობიდან იტალიელები და ქართველები. ქართველი მომღერალი ქალები ყველაზე ცუდ დღეში აღმოჩნდნენ – დირექტორ მურავიოვთან დაუჩვილიათ, გათხოვეს თუ არა ჩვენ ვეღარ გავთხოვდებით და რა უნდა ვქნათო. კაცები და განსაკუთრებით იტალიელები, ცოტა უკეთეს პირობებში იყვნენ – ბლოტამ და ტოლემ ყვავილების მაღაზიები გახსნეს, ასევე გაძევებულმა მომღერალმა სალვატორე კოკუცამ (ჯოზეფ ვილასთან ერთად), იქვე, თამამშევის ქარვასლასთან, ქუდების შეკერვა დაიწყო. დირექტორ მურავიოვს არაფრის გაგონება არ სურდა – აკეთებდა იმას, რაც ნაბრძანები ჰქონდა და დირიჟორები მიღერი და ბარბიერიც დაითხოვა. სასწრაფოდ დაიწყეს რუსული დასის შექმნა, რომელსაც მხოლოდ რუსული რეპერტუარი უნდა ჰქონოდა, ოპერა უნდა ყოფილიყო მკაცრად და კატეგორიულად მხოლოდ რუსული. ჩქარობდნენ კი იმიტომ, რომ ოპერისა და კლასიკური მუსიკის მოთხოვნილება მართლაც უზარმაზარი იყო ტფილისში, – ქალაქში, რომლის "მეიდანზეც კი მღეროდნენ "კასტა დივას" და ყოველს ფეხის ნაბიჯზე გაიგონებდით გამებსა და ტრილერებს, ფიორიტურებსა და ბემოლებსა"...

რუსულ ოპერას თბილისში საშინლად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, იტალიურ ოპერებს მიჩვეულებმა, გემოვნებიანმა და მომთხონებმა მსმენელებმა ვერაფრით აიტანეს მხოლოდ რუსული, თავსმოხვეული რეპერტუარი და ქალაქში უკმაყოფილებამ ახალი საშიშროება წარმოშვა ამბოხებისა. ალბათ, თბილისსა და საქართველოში, იტალიური ოპერის მოთხოვნით, არავითარი ამბოხება არც მოხდებოდა, მაგრამ შიშს, მოგეხსენებათ, ყოველთვის დიდი თვალები ჰქონდა (განსაკუთრებით ხელისუფლებაში) და უკმაყოფილოთა და საშოშმინებლად, ისევ დააბრუნეს იტალიელი დირიჟორები და მომღერლები და ისევ აღადგინეს იტალიური ოპერები. ზედმეტი ბილეთის შოვნა ისევ პრობლემად იქცა ჩვენს დედაქალაქში, მაგრამ მცირე წარმატების მიღწევამ, საკმაოდ გაამხნევა მაშინდელი ქართული საზოგადოება და ჭეშმარიტ ხელოვნებასთან ხელახლა ზიარებამ, კიდეც ერთხელ გაახსენ-

ნა ქართველებს თავიანთი დაპყრობილი სამშობლო. რამდენადაც გახშირდა სიტყვა: “თავისუფლების” ხსენება ტფილისში, იმდენად გაძლიერდა ცენზურა და გამკაცრდა ოპერაში მოხვედრის წესები – გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლების მონაფეებს საბოლოოდ აუკრძალეს არათუ პარტერში, “გალიორკაზე” ჯდომაც კი. მაგრამ ცხელი გულები მართო ახალგაზრდებს არ ჰქონდათ მაშინდელს საქართველოში და სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, მეფისნაცვალმა თეატრის დარბაზში საიდუმლო მიკროფონი დაადგმევინა მექანიკოს ბოჩარნიკოვს, რომლითაც მეფისნაცვლის სამუშაო კაბინეტიდან ყველაფერი ისმინებოდა, რაც სცენასა და პარტერში ხდებოდა. ამ ხაზის გაყვანისათვის (რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო იმდროინდელ მსოფლიოში) მექანიკოს ბოჩარნიკოვს, იმდროინდელი საზომით უზარმაზარი თანხა – 139 მანეთი და 72 კაპიკი გადაუხადეს, მაგრამ იმ პირობით, რომ საიდუმლოს არ გათქვამდა. ბოჩარნიკოვმა გონებაში რომ გადაიანგარიშა, იმ თანხით რამდენი ბოთლი არყისა და ღვინის შეძენა შეეძლო, სიხარულისაგან დამუნჯდა. თუმცა დროებით. რესტორან “ევროპაში”, რომელიც მუშათაიდის ბაღში იყო გახსნილი და რომელიც ქართველ თავად-აზნაურთა ლხინისა და თავშექცევის საყვარელ ადგილად ითვლებოდა, როცა უგონოდ მთვრალ მექანიკოსს სიმშვიდისაკენ მოუწოდეს, შეურაცხყოფილმა ბოჩარნიკოვმა ქართველი თავადები “დურაქებად” მოიხსენია და არგუმენტებს შორის თავისი ხელით აწყობილი საიდუმლო მავთული დაასახელა. მეფისნაცვლის მფარველობა იქ და იმ დროს, ვერაფერს უშველიდა მექანიკოს ბოჩარნიკოვს და გარდა ამისა, ინფორმაცია საიდუმლო მოსასმენი ხაზის შესახებ, პრესაშიც დაიბეჭდა. ალექსანდრე ორბელიანი, თურმე, განსაკუთრებით ცხარობდა – ვამბობდი, ტყუილად რუსები ოპერას არ აგვიშენებენ და რატომ არ მიჯერებდითო. ოპერა კი, მართლაც რუსების აშენებული იყო და, მართლაც, განსაზღვრული მიზნით, თუმცა მიზანი მიღწეული არ იყო და რუსებმაც ყველაზე ბარბაროსული, მაგრამ ყველაზე მარტივი გამოსავალი მოძებნეს – ოპერა, რომელიც თვითონ ააშენეს, თვითონვე დაწვეს. რუ-

სეთის ხელისუფლებამ 1874 წელს, თვითონვე დაწვა ტფილისის იტალიური ოპერა – ულამაზესი თეატრის შენობა მთელ მსოფლიოში, რომელმაც ქართველებში სრულიად სხვა გრძნობები გააღვიძა, განსხვავებით იმისაგან, რაც რუსებს ჩაფიქრებული ჰქონდათ და ამიტომაც დაწვეს. თუმცა ოფიციალური ვერსიით, ხანძარი სრულიად შემთხვევით გაჩნდა ვაჭარ ლაზარევის დუქანში და შემდეგ ცეცხლი მთელ შენობას მოედო. შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ სწორედ წინა დღეს, შემთხვევით გაემგზავრა მეფისნაცვალის ბორჯომში, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მუდამ წყლით სავსე უზარმაზარი აუზი, რომელიც ოპერის წინ მდებარეობდა, სწორედ იმ საღამოს, შემთხვევით აღმოჩნდა წყლისგან სრულიად დაცლილი. ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ თექვსმეტი საათის მანძილზე, მეხანძრეებმა ვერ მოახერხეს თეატრის შენობამდე მისვლა. არადა, თექვსმეტი საათის განმავლობაში, მთელი ტფილისი, დიდიან-პატარიანად, ცდილობდა საყვარელი ოპერის გადარჩენას და თექვსმეტი საათის მანძილზე, მტკვრიდან ვედროებით (სათლებით) ეზიდებოდნენ წყალს ხანძრის ჩასაქრობად. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს რომ თეატრის სახანძრო დაცვის უფროსი იაბლოჩკინი, არათუ დააპატიმრეს, მოგვიანებით დააჯილდოვეს კიდევ. დააპატიმრეს მხოლოდ მედუქნე, რომელიც სასამართლო პროცესზე ჯიუტად იმეორებდა, რომ ცეცხლი აშკარად განზრახ გაჩნდა შენობაში და ეჭვმიტანილებად თავის კონკურენტებს ასახელებდა, თუმცა, რასაკვირველია, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ხანძარი არათუ მეზობელ დუქნებში, პეტერბურგის უმნიშვნელოვანესსა და უბრწყინვალეს სასახლეში დაიგეგმა. დაიგეგმა და განხორციელდა კიდევ – მიუხედავად ტფილისელთა თავგანწირული მცდელობისა, შენობა ისე დაინვა, რომ მის აღდგენაზე ფიქრსაც კი აზრი არა ჰქონდა. აზრი არა ჰქონდა ცრემლსაც, მაგრამ ღამენათევი ტფილისელები მაინც იდგნენ და ტიროდნენ, რადგან, როგორც ჩანს, ქვეცნობიერად მაინც გრძნობდნენ, რომ იმ დღეს კიდევ ერთხელ დაკარგეს სამშობლო, რომელიც სხვათა შორის, ცეცხლსაც ჰგავს – სულს თუ არ შეუბერავ, უბრალოდ ჩაქრება...



*ბევრი ვერაფერი ორიგინალური დასაწყისია, მაგრამ მაინც: მე ძალიან მიყვარს ლამაზი ქალები. გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ ყოველი ქალი თავისებურად ლამაზია, სრულ სიბრძნევად მესახება – რა აუცილებელია, ლამაზი ვუნდოთ, ვთქვათ, რომ კეთილია, ან კარგი დიასახლისი, ან მაგარი ფიზიკოსი, ესეც ხომ კარგია?*

*ერთი ლამაზი ქალის, კრისტის შესახებ გიამბობთ. მე ის ძალიან მომწონს და თავიდანვე მოგახსენებთ, რომ მის შესახებ ობიექტური ნაამბობი ნამდვილად ვერ გამომივა. დარწმუნებული ვარ, არც არავის გამოსდის ხოლმე. კრისტის გაცნობის შემდეგ, ადამიანი ან შეყვარებული რჩება, ან შურით გამსკდარი.*

*მე ღმერთმა მიშველა, პირველთა კატეგორიას მივეკუთვნები.*

„ქრისტე, ჩემი მთავარი სიბილა!“

ლიზა ოსაფაიშვილი-ნემსოვა, ფოტოგრაფი,

ჩვენს ბმირს ძალიან ხშირად მიმართავს

ხოლმე. „არაჩვეულებრივი მოდელია, თქმაც

არ უნდა, სულ მზადაა საფუხაროდ“.

მე კი ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ

მომღიმარ ქრისტის სიბილაბთან რამე

აკავშირებდა – ექსტაზში მყოფნი,

როგორც წესი, ათასგვარ უხედურებას

წინასწარმეტყველებდნენ, სოტა კუდიანების

იყვნენ, როცა პატარა ბოგო ვიყავი,

მათ შესახებ კითხვისას, ოთახში მართო

დარჩენას ვერიდებოდი – მუშინოდა.

ყოველთვის ახალგაზრდა, ლამაზი

ქალების სახით კი გამოსახავენ ხოლმე,

მაგრამ მაინც... „სიბილაბი ჩვენს შორის

არქან, მათ ვერსად წაუხვალ,“ განმარტავს

ლიზა. თან ქრისტის ბარებნობას უწყობდა

ხელს: ჯადოქარი ქალი ხომ ძალიან

მიმზიდველია...

ლიზა ოსაფაიშვილი-ნემსოვას სერიოზულად „სიბილაბი, რითული და პაი“





ოდესლაც ერთი დიდებული ქალის, ნადია აუერმანის ინტერვიუ წავიკითხე, რომელიც ახლა დიდხანს ვეძებ და ველარ ვიპოვე და ამიტომ ჩემი სიტყვებით გადმოგცემთ. ინტერვიუ ეხებოდა ტოპ-მოდელს როგორც მოვლენას, და ნადიამ საზოგადოებს მოახსენა, იმისთვის, რომ ქალი ტოპ-მოდელად იქცეს, მასში, სულ მცირე, ერთი მილიონის ინვესტირება უნდა მოხდესო – არა უშავს?

როცა ეს ამბავი გაუზიარე, კრისტი, ჩვენი პოდიუმის, ვგონებ, ყველაზე შთამბეჭდავ ქალთაგანი, ძალიან გამხიარულდა და დაუფიქრებლად მიპასუხა, იმათი არ ვიცი და ჩემში კაცობილს არაფერი დაუბანდებია, უბრალოდ, ასეთი ვარო. არასოდეს არაფერი მომიჭრია, არ დამიჭიმია, არ გადამიკეთებია და ასე წლისაც რომ გავხდე, მაინც არც მოვიჭრი, არც დავიჭიმავ და არც გადავიკეთებო.

როგორც გაირკვა, ის არც გემრიელ საქმელს იკლებდა

ლობდა რუსულ სკოლაში, მერე – უცხო ენათა ინსტიტუტში, ქართულ სექტორზე, „მაგრამ არ გამჭირვებია, სახელმძღვანელოები სულ რუსულ ენაზე იყო და ქართულად ვაბარებდი“. თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად, ინგლისური ენის პედაგოგი უნდა გამხდარიყო.

მე: „ისე, ყოველთვის იცოდი, რომ ლამაზი გოგო ხარ?“

კრისტი: „ლამაზი – ნაკლებად. უფრო ეშხიანი. აი, ჩემი შვილი კი ძალიან მგავს და მე რომ მკითხო, ძალიან ლამაზია. ყველა დედას ასე ჰგონია...“

ნატალია მალე ოთხი წლისა გახდება, ერთი ციდაა, მაგრამ უკვე ცოტათი მოდელი. მისი დებიუტი სამოდელო სახლის, „სამოსის“ მიერ „მერიოტში“ გამართულ, მხატვარ დათუნა სულიკაშვილის ჩვენებაზე შედგა. ცოტა უჩვეულო ჩვენება იყო: მხოლოდ სამი მოდელი იღებდა მონაწილეობას, დანარჩენები მომღერლები, მსახიობები და სხვა ცნობილი ადა-

**მე: „ისე, ყოველთვის იცოდი, რომ ლამაზი გოგო ხარ?“**

**კრისტი: „ ლამაზი – ნაკლებად. უფრო ეშხიანი. აი, ჩემი შვილი კი ძალიან მგავს და მე რომ მკითხო, ძალიან ლამაზია. ყველა დედას ასე ჰგონია...“**

ოდესმე და არც ვარჯიშით იკლავდა თავს. უბრალოდ, ასეთად გაჩნდა. ახლა კი მენუნუნა, აქამდე გენეტიკა მანებივრებდა, ახლა კი მოვიმატე და რამდენიმე დღე, ჩვენებამდე, დიეტა უნდა დავიცვაო, მაგრამ მე ვერაფერი შევამჩნიე.

„პოდიუმი სულ სხვაა. არცერთი ზედმეტი გრამი არ გეპატიება. პოდიუმი უფრო პრეტენზიულია, ვიდრე სცენა: იქ მეტი ასპარეზია, სხვა თუ არაფერი, ხმა არსებობს – იცი, ვერ ვიტან, როცა მსახიობს უხეირო ხმა აქვს. პოდიუმზე კი ხელებსაც კი არ ხმარობ დიდად, შენი სხეულია მხოლოდ და, რაც მთავარია, თვალები. თვალებით თამაში. ყველაფერი თვალებით უნდა წარმოაჩინო: რომ საუკეთესო კოსტიუმი გაცვია, რომ ქალი ხარ და არა საკიდი...“

...იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგონა, კრისტი. ის სწავ-

მიანები იყვნენ. ჩვენებისთვის მზადების დროს, ნატალიას პროფესიონალი მოდელივით ეჭირა თავი, მაგრამ პოდიუმზე გასვლამდე კრისტი, ნატალიასთვის – კიკი, მაინც ძალიან ღელავდა. „ერთადერთი ჩვენება იყო, რომლის დაწყებამდეც ვღელავდი,“ – გამოტყდა კრისტი. დედასავით თეთრ კაბაში გამოწყობილი პატარა ქალბატონი პოდიუმზე მამაცად დაიძრა, მაგრამ შუა გზაზე აპლოდისმენტებმა დააშინა, მობრუნდა და დედას გულში ჩაეკრა. „მერე ისევ მოინდომა პოდიუმზე გასვლა, მეორე დღეს ტელევიზორის პულტით ხელში, დიქტორებს ბაძავდა და თუ ქუჩაში ან სუპერმარკეტში ვინმე გაუღიებდა და მიეაღერებოდა, გაკვირვებული მეკითხებოდა: „კიკი, იმ ერთი ჩვენების შემდეგ ვახსოვარ?“ შემეშინდა, ვარსკვლავი არ ეგონოს-მეთქი საკუთარი თავი...“







ფოტო: ლავით მისნი

გვ. 80-81

1	2	3	4
---	---	---	---

ფოტო: ირა კურაძე

გვ. 82

1	2	3
---	---	---

დედის სამოდელიო კარიერა სულ სხვანაირად დაიწყო, 1994 წელს, როცა – ალბათ, თქვენც გახსოვთ, – მოდა ყველაზე ნაკლებად იყო აქტუალური. მეგობარმა კრისტი მოდელიორ მაკა ნაცვლიშვილთან მიიყვანა – უბრალოდ, გააცნო, და მიუხედავად „ნომას“ ხელმძღვანელის დაპირებისა, როგორც კი კოლექცია საჩვენებლად მზად მექნება, შეგეხმინებო, ჩვენს გმირს ეს ამბავი მაინცდამაინც მნიშვნელოვნად არ ჩაუთვლია.

მაგრამ დაბადების დღეს, 30 სექტემბერს, კრისტიმ მოულოდნელი საჩუქარი მიიღო: დაურეკეს და იმხანად სასტუმრო „მეტეხში“ გამართულ ჩვენებაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს. პოდუიმზე კრისტი ერთობ შთამბეჭდავ ქალებთან ერთად აღმოჩნდა, და ამას დღესაც სიამოვნებით იხსენებს: ლიკა ქავუარაძე, დინი ვირსალაძე, ნინო სალუქვაძე... „მერე ბევრმა მითხრა, კარგად გამოგივიდაო, მაგრამ მე ვთვლიდი, რომ უკეთ შემეძლო ყველაფრის გაკეთება. ახლაც ასე ვფიქრობ ხოლმე – რომ მეტი შემეძლია“.

იმ ჩვენებაზე არ ვყოფილვარ, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩანს, მართლაც საუკეთესო ამბავი იყო, რადგან სულ მალე

გაივლი და მორჩა, დიდი-დიდი, ერთი კვირა ილაპარაკონ. ფოტო კი რჩება“.

კრისტი თვლის, რომ მხოლოდ გარეგნობა არაა საკმარისი. მოდელს სილამაზე უნდა უყვარდეს, ლამაზი ნივთები, დახვეწილი ხელოვნება, ცნობისმოყვარე უნდა იყოს და ექსპერიმენტების მოყვარული, და თუ შინაგანი სამყარო მწირი ექნა, არასოდეს არაფერი გამოუვა: „თუ შიგნით სიცარიელეა, თვალებიდანაც სიცარიელე გამოჩნდება“ (არამარტო თვალებიდან. დამეჯერება, მრავალ მოდელთან მქონია ინტერვიუ. იმის მერე, რაც უკვდავი ფრაზები მოვისმინე, როგორიცაა „კოსმოსში გაფრენაზე ვოცნებობ, იმიტომ რომ სინდი გაფრინდა“, და პასუხად კითხვაზე „თქვენი სახელი?“ გოგონა სრულიად გადამიბჟირდა და ჰაიდი კლუმის სახით მომიგო, ვითომ არ იცითო, აღარც მათი გრძელი ფეხები მინდოდა და აღარც მოპირკეთებული ცხვირ-პირი.– ა.კ.ს).

და კიდევ: ილბალი. სწორედ იქ უნდა მოხვდეთ და სწორედ იმ დროს. ისედაც ყველაფერი ბედის ამბავია, მოდელიობა – განსაკუთრებით.

ლირიკული გადახვევა: ეს მოხდა რუსეთის ერთ ქალაქში,

## „მე ფოტომოდელიოზა უფრო მომწონს. ჩვენება დიდ შრომას მოითხოვს, მაკა კი ერთს ბავივლი და მორჩა, დიდი-დიდი, ერთი კვირა ილაპარაკონ. ფოტო კი რჩება“.

1995 წელს გახსნილი და დღესაც ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სამოდელიო სააგენტოს „ნატალის“ ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნატა სამადალაშვილმა, კრისტი თავისთან მიიწვია. მას შემდეგ მათი თანამშრომლობა და მეგობრობა არ შეწყვეტილა და აი, უკვე თერთმეტი წელია, მოდის სამყარო კრისტის იცნობს.

„მოდელიობაზე დიდად არ მიფიქრია, თუმცა გულის სიღრმეში ამაზე ალბათ ყველა გოგო ოცნებობს. სინამდვილეში, მოდელის კოდი ყველა ქალშია ჩადებული, უბრალოდ, სწორად უნდა გააღვიძო. ისე, მე ფოტომოდელიობა უფრო მომწონს. ჩვენება დიდ შრომას მოითხოვს, მერე კი ერთს

სადაც ცხოვრება მიძინებულისა, ლოთობა ჩვეულებრივი ამბავია და სხვა და სხვა – აღარ გავაგრძელებ, ასეთი ქალები ყველამ ვიცით. ამ კარგ ქალაქში ერთი კარგი ოჯახი ცხოვრობდა, დედა და სამი ქალიშვილი, უმცროსი და – ინვალიდი, სულ სხვადასხვა, უცნობი მამების შვილები იყვნენ. დედის ნაირ-ნაირი კაცები გოგოებსაც გადასწვებოდნენ ხოლმე, მაგრამ ამასაც და ოცდაათილოგრაშიანი ხილის ყუთების თრევასაც უფროსი ქალიშვილი მშვიდად იტანდა – სხვა მაინც არაფერი დარჩენოდა.

ლეგენდის თანახმად, პარიზელმა სამოდელიო სკაუტმა (ასეთი პროფესიაც არსებობს, სამოდელიო სააგენტოების-





# გაუმჯობესებული ხარისხი ჯახვენი და ჯახონი



დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაუნდობელი მეტოქეობის დასრულების შემდეგაც კი, ყავის ნამდვილ გურმანებს შორის ჯერ კიდევ არსებობს გადაუჭრელი დავა იმის შესახებ, თუ რომელი – დაფქვილი, თუ ხსნადი ყავა სჯობს. ტურკა, რომელიც ამჟამად ჯეზვეს სახელწოდებითაა ცნობილი, Tchibo-ს ქილის სახეცვლილების შთაგონების წყარო გახდა. რამ გამოიწვია ეს? ალბათ, პასუხი ყავის წარმოშობის ისტორიასა და მისი ტრადიციული მომზადების წესში უნდა ვეძებოთ. ჯეზვე ყავის მოსამზადებელი უძველესი ჭურჭელია. უძველესი დროიდან, ჯეზვეს წვრილად დაფქვილ ყავის მარცვლებით ავსებდნენ, გემოვნებით უსხამდნენ წყალს და ცეცხლზე ან გახურებულ ქვიშაში ადულებდნენ. ითვლებოდა, რომ ქაფის გამოჩენისთანავე სასმელი მზად იყო. ის ჭურჭლის ნაპირიდან არ უნდა გადმოსულიყო. ამ მატონიზებელი სასმელის დამზადება, ჯერ კიდევ XII საუკუნეში, მართლმადიდებლურ მონასტერში დაიწყო. ბერები ყავას ღამის ლოცვების ჩატარებისთვის აუცილებელი ენერჯის მოსაკრებად სვამდნენ. ყავის ნამდვილი გურმანებისთვის, ჯეზვე ნამდვილ ყავასთან ასოცირდება. ყავის ისტორიისა და მისი მომზადების ტრადიციის პატივსაცემად, კომპანია Tchibo-მ არჩევანი ქილის ახალ დიზაინსა და ხარისხის გაუმჯობესებაზე გააკეთა. მთავარი მოტივაციის წყარო ჯეზვე გახლდათ. ხსნადი ყავა XX საუკუნეში კაცობრიობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოგონებად ითვლება. პირველად ხსნადი ყავის წარმოებას საფუძველი იაპონური წარმოშობის ამერიკელმა ქიმიკოსმა, სატარი კატომ ჩაუყარა. დაახლოებით 1909 წლიდან, გაყიდვაშია პირველი ხსნადი ყავის საცდელი ნიმუშები, რომელთაც დიდი წარმატება ხვდა წილად. მას შემდეგ, ყავის წარმოების ტექნოლოგიები შექმნა და მათი თანდათანობითი სრულყოფა დაიწყო. ყავის კულტივირებისა და მისი შემდგომი დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი, ყავის ბუნებრივი სურნელისა და გემოს შენარჩუნებით, მთელს მსოფლიოში ყავის მწარმოებელთა ერთ-ერთი უძველესი ამოცანაა.

გაუმჯობესებული ხარისხის შეთავაზებისას, იოლი გზების ძიება არ ღირს, – თვლის Tchibo, რომელიც აღნიშნულს დიზაინის სრულყოფით ახორციელებს. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების აქტიური მუშაობის შედეგად, კომპანიამ „ოქროს შუალედს“ მიაღწია. აქამდე ხსნად ყავას ჯეზვეში მომზადებული ნატურალური ყავის გემო და სურნელი არასდროს ჰქონია. ჩიბოს ქილის ცილინდრული მოყვანილობა უკვე წარსულს ჩაბარდა. მის ადგილს, Tchibo-ს საუკეთესო ტრადიციების მემკვიდრე – ტურკის მოყვანილობის, ნამდვილი ყავის სურნელისა და გემოს მქონე, გაუმჯობესებული ხარისხის ყავა იკავებს.





თვის პერსპექტიული გოგონების მადიებელი), ქართველთა გულის გასახარად, სახელად გია ჯიქიძემ, გადაწყვიტა, რომ სადგურ „სჩასტლივიაზე“ (თარგმანი, ვგონებ, საჭირო არაა) ხილის გამყიდველი გოგონა მისი ყურადღების ღირსი იყო. გოგონას დასაკარგი არაფერი ჰქონდა: „უარესი ველარაფერი მომივიდოდა, ამიტომ, უკეთესის იმედით, ბილეთი ავიღე და წავედი“.

მიხვდით? ამ გოგონას ნატალია ვოდინოვა ჰქვია.

იმ სამყაროს ამბებს, რომელიც, სიმართლე გითხრათ, დიდად არასოდეს მალეღებდა, კრისტი გემრიელად ჰყვება. „შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო მოვიარე, ყველგან ვიყავი მიწვეული, მაგრამ არსად წავსულვარ – მოსკოვის გარდა, იქ მაკა ასათიანის ჩვენებებში ვმონაწილეობდი, გახსოვს, „შავი ბრილიანტები“ რომ გვინოდეს? იქ ბევრი ფულია საჭირო, და თუ წავალ – მხოლოდ კონკრეტული კონტრაქტით“. დიდი გამოცდა კია ასეთი სიფრთხილე, ვფიქრობ, კრისტიც სიამოვნებით წარადგენდა მისთვის საყვარელი ჯანფრანკო ფერესა თუ პაკო რაბანის პატარა შედეგებს. მაინც, რატომ ვერ გაბედა? პასუხი ლაკონური იყო. „ექსპერიმენტები მიყვარს, მაგრამ ასეთი – არა“.

კრისტის ერთი არნასვლის ამბავი მეც კარგად ვიცი, უშუალო მონაწილე გახლდით, და კრისტიც სწორედ მაშინ გავიცანი. ამბავი 1999 წელს დაიწყო, როცა არქიტექტურული ჟურნალის, „შტატბაუველტის“ თბილისისადმი მიძღვნილი ნომრის მოსამზადებლად ჩამოსულმა ჟურნალისტებმა, რამდენიმე სხვა მოდელთან ერთად, კრისტისაც გადაუღეს ფოტოები.

ძალიან გამაჯავრეს: ჟურნალში დაუფერებელი ამბები ეწერა. მაგრამ კრისტის პორტრეტები მაინც კარგი იყო, ვერაფერი დააკლეს, და სად იყო და სად არა, შორეულ ქალაქ ბერლინში მე, როგორც ჟურნალის ერთ-ერთ შემდგენელს, ერთი უცნაური კაცი შემომიჩინდა.

ის იყო მდიდარი და აუტანელი. მას მიაჩნდა, რომ რესტორან „მესამე მსოფლიოში“ მესამე მსოფლიოს ქვეყნიდან ჩამოსული ანა ან ხარბი უნდა ვყოფილიყავი, ან უტივინო. მან ამიხსნა, რომ მოსწონს კრისტი – კაი ერთი, კაცო! – და ეროტიკული ხასიათის ფოტოალბომისთვის მისი გადაღება უნდა, ოღონდ – ყურადღება! უფასოდ, ოღონდ მე კი გადამიხდის, ოღონდ კრისტის არ გადაუხდის, გერმანიაში ჩამოიყვანს და ჩემთან დაასახლებს, ოღონდ მაგარი კატალოგი იქნება, ოღონდ კრისტის ნუ ვეტყვი, რომ ეროტიკულია.

მე ვკითხე: რატომ. მან მიპასუხა, რომ მე ეშმაკი ვარ. მე ვუთხარი, რომ ის დებილია. დიალოგი ვერ შედგა. დამშვიდობებისას მან მითხრა, რომ მე ეშმაკი ვარ და ამიტომ ის ლაშა ბაქრაძეს მიმართავს – მაგარი ლოგიკაა. ცოტა ხანში დამირეკა და მითხრა, რომ ლაშაც ეშმაკი ყოფილა, რადგან იმანაც დებილი უწოდა. ჩვენ ეს ამბავი კრისტის ჩავუკაკუეთე და დღემდე ძალიან ვერთობით. ის კაცი მართლა დებილი იყო.

მოკლედ, კრისტი საზღვარგარეთ სამუშაოდ არასოდეს წასულა – და ძალიანაც კარგი. ის კარგი გოგოს დედაა, კიდევ ერთი კარგი შვილის გაჩენას გეგმავს, კარგ საქმეს აკეთებს და თავის საყვარელ კაცთან ერთად დიდ, კარგ სახლში ცხოვრობს – სწორედ ისეთში, როგორც მოსწონს. თან ის საყვარელი კაცი სწორედ იმას სჩუქნის ხოლმე, რაც მას მოსწონს – კარელური არყის ხის ტრილიაჟი და ძველისძველი სასწორი, კრისტის ზოდიაქოს ნიშანი, ძალიან ამაყად მაჩვენა: „ბეჰემ მაჩუქა“.





ბეჭეს მიხილ ანდლულაძე ჰქვია და ვერასოდეს ვიტყვოდი, რომ ამ კაცს ბეჭე ჰქვია: ვითომ, რატომ „ბეჭე“? ბავშვობაში ეძახდნენო. კარგი...

ამ კაცთან ერთად, კრისტის ცხოვრებაში ერთი რამ ნამდვილად შეიცვალა: ვარცხნილობა. მშვენიერი, შავი, საამაყო თმა გადაიპარსა. შეუღლების დროს, მიშასაც გრძელი თმა ჰქონია და სწორედ მის გაკრეფას გადააყოლა კრისტიმ თავისი „საფირმო ნიშანი“ – თმები: ჯერ ორივე გრძელთმიანი იყო, ახლა ორივე მოკლედ შეკრეჭილია. ცოტა გული კი და-

დავინტერესებულვარ – არ მიყვარს მკითხავეები, შავი მაგია და მსგავსი უბედურებები. მაგრამ მაშინ მოვხვდი“.

მჩიბავმა 19 წლის ასაკში გათხოვილ და თავის ქმარზე შეყვარებულ კრისტის უთხრა, ამ კაცთან ერთად დიდხანს ყოფნა აღარ გინურია, გაცილები და გაცილებას ვერც მოასწრებ, უმაღვე გათხოვდებიო. ჰო, და კიდევ: მიშა ვინ არისო?

ბრიყვი მკითხავის ბრიყვული სიტყვები კრისტის მხოლოდ მერე გაახსენდა, 2004 წლის 23 თებერვალს, როცა საცხოვრებლად იმ სახლში გადავიდა, რომლის სტუმარიც ამ ამბის

**„14 თებერვლისთვის, სიყვარულის დღისთვის. მინდოდა, მიშასთვის რამე საჩუქარი გაეკეთებინა და მოვიფიქრა: გურამ ნიბახაშვილთან ნავიყვანე, თან გასასწოზად, თან ფოტოების გადასაღებად. მერე ეს ფოტოები ვაჩუქე“.**

მწყდა, მაგრამ ასეც უხდება, თმა, მოგეხსენებათ, იზრდება და, რაც მთავარია, კრისტიც კმაყოფილია და მიშაც.

მიუხედავად იმისა, რომ იმხანად არაფერი იყო ახალი სიყვარულის მაუწყებელი, ეს ამბავი 2003 წლის ზაფხულში დაიწყო, როცა კრისტი და ქალბატონი ნატა სამადალაშვილი კრისტისთვის სრულიად უჩვეულო ადგილას აღმოჩნდნენ: მკითხავთან.

მე: „ბატონო?“

კრისტი: „ჰო. არადა, ჩემს დღეში არ ვყოფილვარ და არც

მოსასმენად გახლდით, ანუ როცა მიშას ცოლი გახდა. მანამდე კი, 15 იანვარს, ის იმ სახლიდან წამოვიდა, რომელიც მე მის განუყოფელ ნაწილად მიმაჩნდა და რომელშიც ის პატარა ნატალიას მამასთან ერთად ცხოვრობდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ის კაცი კრისტის დათმობდა, მაგრამ რა არ ხდება ამ ცხოვრებაში...

კრისტის თქმით, მიშას განქორწინებამდე ისევე იცნობდა, როგორც მრავალ სხვას იცნობს ამ ქალაქში – ხელის აწევით. მეტი არაფერი. მერე, როცა ბევრი რამ აირია, კლუბ „ლიფ-



ტისკენ“ მიმავალ გზაზე დაუჩივლია, ქმარს ვცილდებიო, და ეს გაუგონია ნაწინასწარმეტყველებ კაცს, მიშას. ვფიქრობ, ძალიან ეამებოდა, მაგრამ არ მიკითხავს, ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ კრისტი დღეს მისი ცოლია.

კრისტი: „14 თებერვლისთვის, სიყვარულის დღისთვის, მინდოდა, მიშასთვის რამე საჩუქარი გამეკეთებინა და მოვიფიქრე: გურამ ნიბახაშვილთან ნავიყვანე, თან გასაცნობად, თან ფოტოების გადასაღებად. მერე ეს ფოტოები ვაჩუქე“.

კრისტის და მიშას სახლის კედლებს უამრავი ფოტოსურათი ამშვენებს, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფოტოგრაფების მიერ გადაღებული. ერთ-ერთზე აღმოვაჩინე, რომ კრისტი ძალიან ჰგავს პენელოპა კრუსს. მანამდე არასოდეს შემიმჩნევია.

კრისტი: „ჰო, ბევრს უთქვამს“.

მე: „უფრო სწორად, პენელოპა გგავს, თუ კარგია!“

კრისტიმ მითხრა, რომ მოდელი საერთოდ ქამელეონით უნდა იყოს, ყოველთვის სხვადასხვანაირი. ასე, ერთხელ კრისტი სულაც ეკატერინე ჭავჭავაძე ყოფილა (მართალია – მიწყინონ ქართველებმა, რა ვქნა! – ლეგენდარული ეკატერინეს პორტრეტმა თავის დროზე ზარი დამცა: რამხე-

შირები“ – ძალიან მიყვარს...“

მეც მიყვარს.

მე: „დაგტანჯეთ, ჰო?“

კრისტი: „არა, მე მიყვარს ინტერვიუები. ჟურნალისტებთან ურთიერთობაც მომწონს, თან ტესტივითაა – რომ ნავიკითხავ, მერე ჩემს შეცდომებს მოვძებნი და მივხვდები, რა შეიძლება უკეთ ვთქვა ან უკეთ გადაკეთო.“

მე – ფოტოგრაფს: „პაპარაცი, აცადე ადამიანს“.

კრისტი: „არა, არა, ვგიჟდები ფოტოგრაფებზე. გურამ ნიბახაშვილი ობიექტივის მანიაკს მეძახის“. – და მხოლოდ შემდეგ, ფოტოსურათების თვალიერების დროს მოგვიბრუნდა: „ეს ფოტო არ გვინდა, რა. რალაც ბოროტი კიკი ვარ...“

ბოროტი ნამდვილად არ იყო, უფრო – დაფიქრებული, მაგრამ კრისტის ნებაა. რა ვქნა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ლამაზი ქალები ძალიან მიყვარს და მათთვის რამეზე უარის თქმა მიჭირს ხოლმე.

## მოდელი, საერთოდ, ქამელეონით უნდა იყოს, ყოველთვის სხვადასხვანაირი. ასე, ერთხელ კრისტი სულაც ეკატერინე ჭავჭავაძე ყოფილა.

ლა მკლავი აქვს, გინახავთ? ეროვნულ იდეალებს რა ვუყო, თორემ მე მისი ძალიან პირადი მოხმარების საგანიც ვნახე, ძაალიან დიდი. ა.კ.ს.). „ძალიან კარგი იყო: მარიკა კორკელიამ, დიზაინერმა – ის, ძირითადად, ზუგდიდში მოღვაწეობს – კოსტიუმი ჩამაცვა, დიდი კაბა, შლაპა, ჩვენებისთვის საარქივო მასალის გამოყენებით იყო ესკიზები გაკეთებული, და დავდიოდი დადიანების სასახლეში, ბაღში... ჯადოსნური ამბავი იყო, რეინკარნაციასავით“... მერე დღეს ბაღში ფოტოგრაფმა ირმა შარიქაძემ სურათებიც გადაიღო, რომელთა დათვალიერების დროსაც, ყოვლად ბრიყვული კითხვა გამახსენდა, რომელსაც დიდ-დიდი ტოპ-მოდელების გამოცდილების გამო, ადრე ჩემს გამამწარებელ ქართველ მოდელებსაც ვუსვამდი ხოლმე: მსახიობობაზე არ გიფიქრია?

ექსპერიმენტების მოყვარულ კრისტის ეს საქმეც უცდია – რატომაც არა? პირველად გენო ცაავამ გადაიღო კარლო საკანდელიძის მუზის როლში, 1996 წელს – ქართული კინოს ტრადიციის თანახმად, პრემიერა მხოლოდ მარშანწინ შემდგარა. 2003 წლის ზაფხულში კრისტიმ აკა მორჩილაძის „ტოტალიზატორის“ მიხედვით მერაბ კოკოჩაშვილის მიერ გადაღებულ ფილმში ითამაშა ნანუკა ხუსკივაძესთან, ლევან ნულაძესთან, თემიკო ჭიჭინაძესთან ერთად – „კარგ „სასტავში“ მოხვდი, არა?“ ამჟამად კი კვლავ „კარგ სასტავთან“ თანამშრომლობს: შოთა კალანდაძე „პოეტურ ჩანახატებში“ იღებს, და კრისტი მოედანზე მარინა კახიანთან, ლენუკა ყიფშიძესთან, ნინელი ჭანკვეტაძესთან ერთად მუშაობს.

„კიდევ რა?..“ მე ასეთი კარგი რესპონდენტი იშვიათად მღირსებია: არაფერზე იბღვირება, არაფერი სწყინს, მარწყვითაც გამიმასპინძლდა – შიგ ჩალაგებული ორცხობილით, ჩინებული იყო; ხუთი საათი ვიჯექი კრისტისთან და სულ არ მინდოდა წამოსვლა. „კიდევ მიყვარს ნიგნი „სახიფათო კავ-



➤ **მაღალეფექტური ჩანახრისსანინააღმდეგო საშუალება ყველა ქალისათვის ნებისმიერ ასაკში**

➤ **ისავს სქესობრივი გზით გადაღებულ დაავადებებსაგან**

➤ **არ მოქმედებს პრორონალურ სისტემაზე**

➤ **არ აღწევს სისხლში და დღის რძეში**

➤ **გამოყენება მარტივია უსაფრთხო ჯანმრთელობისათვის**

წ/ს № R-000132  
წ/ს № R-000133  
წ/ს № R-000134  
წ/ს № R-000135

ქრალდებით გაცეანი სამკურნალო საშუალებას გახფენებს ინსტრუქციას

**ფარმატექსი**<sup>®</sup>  
ბანზალკონიუმის ქლორიდი

**უსაფრთხო ფრანგული კონტრაცეპსია მისაღებია ყველა ქალისათვის!**

**PSP** ჩინი ოჯახის ალთიაჟი  
სსიკ  
ქობაშვილის ბაზზ. 148მ

LABORATOIRE  
**ინოტეჯი**<sup>®</sup>  
INTERNATIONAL







სვეს-პროექტი: ირანი



„სჯობს უცხადველმა იძირი, ვიდრე უცხადველი გაქვიდეს. სჯობს  
ვხაძი უთიერის ვადაყარი, ვიდრე შან აყო გამოიყვარა“.  
ახუ ალა იბნ ანობა. „მოგზაურობათა ზეგა“



ავტორი: ანა ქორძია-სამადაშვილი  
ფოტო: როიტიარი, ერაქლე ნათაძე

# ირანში მიხდა

ჩემთვის სრულიად დაუდგენელი მიზეზების გამო, ირანის დრო დანარჩენი ქვეყნების დროს ნახევარი საათითაა ამცდარი. ცხადია, ამას რაღაც ლოგიკური ახსნა აქვს, მაგრამ გადავწყვიტე, არ ჩავძიებოდი – ასე უფრო სახალისოა. ისიც ძალიან მომეწონა, რომ 2005-დან უცებ 1384 წელში აღმოვჩნდი – რა კარგია!

მაგრამ ასეთები მხოლოდ საზღვრის გადაკვეთისას მართობდა. მერე ყველაფერი ამერია და არამართო დროს ავცდი, არამედ ბოროტსაც და კეთილსაც.



„იმასაც ჰყვებიან, ვხეზვებ ერთი ბრწყინვალე დადიოდა და თავისი ვინის  
ლავაში ექირათ ხელში“...

შეგვიჩვენებს სამს ოთხმოცდამეორე ლამე





- ნეტა, ვის მოუვიდა თავში აზრად, რომ ამ პაპანაქებაში ქალებს შავი ტანსაცმელი უნდა სცმოდათ? ხომ შეიძლება, მხიარული, ღია ფერის ქსოვილით იყო დაფარული?

- არა, ჩემო კარგო, აქ სულ სხვა ამბავია. მრავალი, მრავალი წლის წინათ, როცა არაბები შემოგვიცვივდნენ, ქალებმა ამგვარად გადანყვიტეს თავის დაცვა. საფრთხე ხომ ღამით მოდის, და წარმოიდგინე, ღამე ასეთი ქალი რომ ჩაგიქროლებს, ხომ ვერასოდეს მიხვდები, ქალია თუ ჩრდილი...

ამ ქალებს, მართლა ჩრდილებივით რომ დაფარფატებენ, არაჩვეულებრივად ღამაში პირისახე აქვთ, დიდი, ბრიალა თვალები და ჭეშმარიტი არიელების ჯანმრთელი კბილები. ერთადერთი, რისი დანახვაც შეიძლება, მათი სახეებია (წესით, არც თმა უნდა უჩანდეთ, არც ყელი, არც კოჭი, არც მაჯა; გამოუჩნდებათ და ვაი, მათი ბრალი!), და ამიტომ მშვენიერება, რომელიც სხვა მხარის ქალებს მთელს სხეულზე აქვთ გაბნეული – ზოგს ღამაში თმა აქვს, ზოგს – მოხდენილი ფეხები, ზოგს – წვრილი წელი, ზოგს – ყველაფერი ერთად, მაგრამ ეს ძალიან იშვიათი ამბავია – აქ მთლიანად სახეში, თვალებშია თავმოყრილი. ისინი მშვიდი ქალები არიან, მამაკაცების მიერ დაცულები, და ამიტომ თამამად შესცქერიან ყველას, ვინც პირისპირ ხვდებათ, აუცილებლად უღიმიან – ასევე მშვიდად, და ერთსა და იმავე კითხვებს სვამენ: „საიდან ხარ? მოგწონს ირანი?“ და როცა უპასუხებ, რომ გურჯი ხარ, ირანი ძალიან მოგწონს და მთელს ირანში ყველაზე მეტად ისინი მოგწონს, მშვენიერი ქალბატონები, კვლავ ღიმილი ეფინებათ სახეზე: მოგწონება, აბა, რა! ისე, ფრთხილად იყავით, ამ ღიმილს დიდად არ ენდოთ – შეიძლება მეფის ასულის გამო, შეშლილი დერვიშის ბედი გენიოთ.





ერთხელ ერთმა ღვრიგამმა ჰურის ლუკმა ჰართან დაიჯანა და ამ ღრის ძეგან ასული დაიხანა. ეს ძეგან ასული შვეგნებით ხანე მოგანეს ეღებოდა და მანა დამხანაგი ყველა მონუსხული რჩებოდა. ძეგან ასულმა ღვრიგამს გაულია. ჰურია მანხე დავჯა. მჯეგრმა. ღვრიგამი ია ექსჯანმა ხაგანდა და შაგა ხელი ამ მღვიმარეობაში დანყო. მანა ხანელი ჟუხა აყო. მანა მებოხლება - უჰანჯიონი ძილეგა...

შეშალია ღვრიგამი ცუდა ხანხანაგი აყო და მჯეგლეგმა მანა მოგლა განხანხანეს. ძეგან ასულმა ღვრიგამს უთხრო: „ხომ აჯა ხეგნს შირის არხანოღეს არაჟერი მონღება. ნადა ჟალა-ჟადან. ჟემა მხანურება მოგლას გაჰანეგნ“.

ღვრიგამმა მოგრო: „რაც შენ ვახლე. ჟემა ხაჯოჯხლე მანა დანანღა. დავ. მოძილან. მანგომ ხანამ მოგადღება. ერთი ხურგალია შემანხურლე. რადგან შენ ხან ჟემა დალუჰანს მანგნა. მანხანა. რაცომ გაძალიძე?“

„ძნაადი!“ უჰანხუხა ძეგან ასულმა. „რაცა დანანხე. ძალიან ხანაჯალი აყაგი. შემეჯოდე და იძიჯომ გავლიძე. ეს აყო და ეს“. ეს თჟა ძეგან ასულმა და თგალს მიღჯანა.





ამ ქალების შემდეგ, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ მეჩვენა ჩვენი მცდელობები, სხეულის ჩვენებით მოვიგოთ ძლიერი სქესის წარმომადგენელთა გული. იმ სასწულ ქვეყანაში ყოფნის დროს, სულ ნაკლებად ვგრძნობდი თავს: ვარდისფერი შარვალი, ზედ ჩამოცმული მოქარგული კაბა, ხუნ ვეი ბინივით შეკრული პერანგი, იასირ არაფატის თავსაფარი, რომელიც ყველაზე უხერხულ დროს მოსრიალებს თავიდან – რა უბედურებაა... თბილისში კი, უდაბნოების მტკვრით ფერშეცვლილი ყველაფერ ამის გახდისა და სარეცხ მანქანაში გაძლიერებული წმენდის რეჟიმზე შეყრის შემდეგ, ჩემმა სამოსმა ერთიათად შემანუხა – მგონია, რომ შიშველი ვარ და უხამსად ვიქცევი, და ის მცირედი ქალობაც კი, რომელიც საარსებო საშუალებების მოპოვებისა და თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლას გადაურჩა, გამვლელ-გამომვლელთა გულგრილ მზერას მიჰყვება.

ირანში მინდა.

ყავი ბრძენის მივიდა და უთხრა: „მასხაილე ქეშმარიცებისა და საყრუის, სილამაზისა და სიმახინჯის გარჩევა. საყოცხლის სიხარული მასხაილე ბრძენი“.

იფიქრა ბრძენმა და ყავს ცუფა ასხაილა.

ირანში ქალების ცეკვას ვერ შევესწარი, მამაკაცებისა კი ვნახე. ძალიან შთამბეჭდავი რამაა, ძალიან. უცნაურად ატკაცუნებენ თითებს, ვერაფრით ვერ მოვახერხე.

ფირდოუსის საფლავის სიახლოვეს, კაცი რალაც საკრავს აულარუნებდა – მამაკაცები გარს შემოერტყნენ და იცეკვეს; ავტობუსში მუსიკა ჩართეს – წამოცვივდნენ და იცეკვეს. თან მაღლიანად, გაშლილი ხელებით, უჰ, კარგია! სანყენიც კია, რომ ირანში ქალები და მამაკაცები ერთად ვერ ილხენენ, ალბათ მთლად ცეცხლი მოედებოდა იქაურობას. ამ პატიოსან ხალხს ასაცეკვებლად არც სასმელი სჭირდება და არც განსაკუთრებული ატმოსფერო. მთავარია, მუსიკა იყოს. ცოტა შემშურდა და მაგრად გამიკვირდა, ვერაფრით ვერ გავიგე, ასე, მონმენდილ ცაზე რა აცეკვებდათ.

მაგრამ როცა უდაბნოში აღმოვჩნდი, მივხვდი, რომ ამ მიწაზე აცეკვებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება. საერთოდ,





იქ ბევრი რამ გახდა გასაგები. ასე, სანამ მარილის უდაბნოს ვნახავდი, მეგონა, რომ ზღაპრები სულ ტყუილია – ვინ დამაჯერებდა, რომ დიდი შაჰის ჰარამხანიდან ქალი ბაზრის ბოგანოს გაედევნა! ახლა კი მჯერა და რამე რომ იყოს, მეც გავიქცეოდი – ცხადია, ჰარამხანასა და ბოგანოსაც გააჩნია, და სინამდვილეში არც ჰარამხანისკენ მიმექაჩება ვინმე და არც უდაბნოში. ისე, ვოცნებობ, რა.

როგორც მოგახსენეთ, უდაბნოში ვიყავი. ვნახე, როგორი ყვითელი ვარსკვლავები ინთება მდუმარე მინის თავზე, ვნახე მირაჟი – დიდ წყალში არეკლილი ხეები და ფრინველები, რომლებიც იქ არასოდეს ყოფილან, ვიჯექი აქლემზე, რომელიც ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ას მოძრაობას აკეთებს და ტვინის გალაყების საუკეთესო საშუალებაა. არ ვიცი, როგორ იქცევინ სხვა ადამიანები, როცა უდაბნოში პირველად ხვდებიან. მე ვერანაირად ვერ მოვიქეცი, იმიტომ, რომ ის, რაც იქ ვნახე, ვიგრძენი და მოვისმინე, ვერაფრით აღინერება, და ალბათ ასეთსავე ენით უთქმელ სისულელეებს ჩავდიოდი – თავი, სულ მცირე, დერვიში მეგონა.

ცოცხალი დერვიში მანამდე საჩაიეში მყავდა ნანახი და მიამბეს, დოლებს რომ შემოკრავენ და სტვირებს რომ ჩაბერავენ, დერვიშები ადგილზე იწყებენო ტრიალს, სულ უფრო და უფრო სწრაფად. მოცეკვავე დერვიშის ზევით აღმართული მარჯვენა ხელი ზეცის წყალობას იღებს, დამვებული მარცხენა – წყალობას დედამინას გადასცემს. ამ რიტუალის აზრი სწორედ ესაა. ცხადია, მსგავსი რამ აზრადაც არ მომსვლია, და კიდევ კარგი, უდაბნოში ვიყავი და ვერავინ იტყოდა, გადარეულაო.

ცოტათი, სულ ცოტათი, უდაბნოს დიდებას ნაი გადმოსცემს, ჯადოსნური სალამური, რომელზეც დერვიშები უკრავდნენ ხოლმე – მოგისმენიათ?





სუფიებს თუ დაფუჯვრებთ, ნათი იმაცობათ ასეთი მოხაყარულე და მისი ბერა იმაცობათ ასეთი მოხაყრებითა და ცაიგილით საიხე, რომ ის თღვსლაც ლეჩნმისგან გამოითალეს, და უდაბნოში ლეჩნამს მუღამ ენაყრება თაგისი სამშობლო, გზილი საღამო, შშვილი ცბა - ნათს ნყალობა ყოფილა, რომ საღვაც უდაბნოში, ძალიან, ძალიან ღრმად, ანყარა ნყალი მიღანება, და უხაყოცხლო ჟაიშის ჰაყი ვადაყუფრენს ხოლმე - გზა-ყაყალი ყი არი არყია, ნათს მოსასმენათაა შქმოყრენილი.

დაფუჯვროთ სუფიებს, რა გვენალვლება.  
 შესაძლოა, უდაბნო ასე ძალიან იმის გამოც შევიყვარე, რომ მერე, დასიცხული, გამომშრალი და ჭუჭყიანი, სამოთხეში ვხვდებოდი ხოლმე – ბალებში.  
 ალბათ ედემის ბალი სწორედ ისეთია, როგორც ირანის ნალკოტები, სადაც, ყველა სიკეთესთან ერთად, პატარ-პატარა სასახლეებიც დგას, რომლებიც აუზებში ირეკლება – რა კარგად ცხოვრობდნენ შაჰები! მაგრამ მეც ძალიან კარგად ვიცხოვრე, შაჰებზე ოდნავ უკეთაც კი: იმათ უამრავი საფიქრალი ექნებოდათ, მე კი რა... რალაც შუალედური საფეხური ვიყავი ქარავანს ადევნებულ მანანნალასა და დიდებულს შორის, ან ბაზრის რესტორანში ვისადილებდი, ან – აბასის სასტუმროში, ჩემი ნება იყო, მთავარია, თავსაფარი არ ჩამომვარდნოდა, მეტი არაფერი მქონდა საზრუნავი.  
 ხოლო ღამით, როცა ჯგუფის ნევრებთან ერთად ქართული ხალხური კულტმასობრივი ცნობიერებაც მიიძინებდა და რამდენიმე მშვიდ არსებასთან ერთად ბაღში ჩამოჯდომის საშუალება მქონდა ხოლმე, ვფიქრობდი, რომ დიდი სიმდიდრე კარგია, მაგრამ არ არის მთლად კარგი. მდიდარი სარკეებიან დარბაზში ძვირფას ვახშამს მიირთმევს და მომთაბარე სულ მტვრიან გზებზე დანანნალებს – სამაგიეროდ, მას აღმასებით მოჭედილი ცა ადგას თავზე. მდიდარს სულ ჭერქვეშ ძინავს და სულ ვილაცას ეპრანჭება – რა დამღლელია! მომთაბარე კი ყოველთვის ხედავს ახალ მთვარეს და ყოველთვის ესმის უამრავი მინარეთიდან მუეძინების სევედიანი მოძახილი – მართლმორწმუნეებს საღამოს ლოცვისკენ მოუწოდებენ, და მდიდარი კაცისგან განსხვავებით, მას გასაპრანჭი არაფერი აქვს, უნდა ილოცებს, უნდა – არა.







ძლიერი სქესის წარმომადგენლებს შევახსენებ, თორემ ქალებმა ისედაც იციან: ამქვეყნად ყველა გოგოს თავისი საოცნებო მამაკაცი ჰყავს. ზოგისთვის ეს პოპ-ვარსკვლავია, ზოგისთვის – ლიტერატურული პერსონაჟი, მოკლედ, პატარა გოგოებს ოცნების მამაკაცების ფართო არჩევანი აქვთ, და ის, თუ რამდენად მისაღები იქნებით ამა თუ იმ ქალისთვის, მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ჰგავხართ იმ ერთადერთ და განუმეორებელ კაცს, და თუ მისი ჩრდილის ანარეკლი მაინც აღმოჩნდით, ჩათვალეთ, რომ ძალიან გაგიმართლათ.

მე კი დავიჩაგრე – კიროსი მიყვარდა, ყველაზე ბრძენი, ყველაზე მამაცი, ყველაზე ღონიერი, ყველაზე მონყალე მეფე. შეიძლება, ასეთი სულაც არ ყოფილა, მაგრამ ეს არ მაინტერესებს, და მას აქეთია, სულ კიროსის ძებნაში ვარ – რასაკვირველია, ამაოდ.





„ალაჰის სახელით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თავისუფალ ადამიანებად დაბადებულთა, მგოსანთა, გასხივოსნებულთა, ფილოსოფოსთა და გმირთა მინაზე!“ – ამ სიტყვებით ეგებება სტუმრებს ფასარგადი, ადგილი, სადაც სავსებით მივივიწყე, რომ ღირსშესანიშნაობების ფონზე გადაღებული ტურისტული აუტანელი სანახავია, რომ საჯარო ვითარებაში ნიკაპის აკანკალეობა და ცხვირის მოხოცვა უზრდელობაა, რომ კიროს დიდს ჩემი იქ ჩასვლა სულ არ გახარებია და ნამდვილად არ მეტყოდა: „ძვირფასო, როგორც იქნა, მარტონი დავრჩით!“

ერთგან ნავიკითხე, რომ კიროს დიდის ცხედარი მშვენიერ, ყვავილებში ჩაფლულ პავილიონში იყო დასვენებული, რომ მეფეთა მეფის სიმშვიდეს იქ მრისხანე მეომრები იცავდნენ და მხოლოდ ყველაზე ერთგულებს და ღირსეულებს რთავდნენ პავილიონთან მიახლოების ნებას. სინამდვილეში, ყველაფერი სულ სხვაგვარადაა: უდაბნოს თეთრი ცის ქვეშ, გზასაყარზე აღმართულ ზიკურატს ოთხივე მხრიდან უბერავს ცხელი ქარი, და საუკუნეების განმავლობაში დაშავებული წარწერის ნაწილი იკითხება: „მე, კიროსი, მეფე, აქემენიდი“ და სხვა.

ფასარგადის აღწერა შეუძლებელია, იქ თავად უნდა ჩაბრძანდეთ. უცებ დაინახავთ, როგორ მიათრევდნენ ფაფარაშლილი ცხენები ჩამავალი მზისკენ ტაისის მშვენიერ სხეულს, უცებ გაიგონებთ უდაბნოში მის განწირულ კვილს – მერე რა, რომ ეს ყველაფერი ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა.

ბოდიში მომითხოვია, გადავუხვიე. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ კარგია, რომ ირანში არც დაღევა შეიძლება, არც ცუდი რამის მოწვევა – საუკეთესო შემთხვევაში, გაიმოლტებით – თორემ ნამდვილად ვიფიქრებდი, რალაცა შემეპარა და ეს ყველაფერი მომეჩვენა-მეთქი. მაგრამ თუ ჩემი ღმერთი კეთილ სიზმარს გამომიგზავნის, აუცილებლად ვნახავ ფასარგადის უდაბნოს და ძილში ძახილიც ჩამესმება : „ქურუმ, ქურუმ“...



# „მსოფლიოს კარიბჭე - ამსტერდამის სკიპჰოლის აეროპორტი“

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ევროპის უმარტივეს აეროპორტში. KLM-ისთვის სკიპჰოლის აეროპორტი ეფექტურად მომუშავე, კარგად ორგანიზებული და მომხმარებელზე ორიენტირებული ცენტრია. სკიპჰოლი ცნობილია რიგობრივ ევროპის საუკეთესო აეროპორტად, იგი იძლევა სწრაფი და მარტივი გადაჯდომის საშუალებას. რატომ? მარტივად რომ ვთქვათ, სკიპჰოლში არ არის ტერმინალები და მგზავრებს არ სჭირდებათ რაიმე სპეციალური ტრანსპორტის გამოყენება, რომ ერთი თვითმფრინავიდან მეორეში გადაჯდნენ. სკიპჰოლი ასევე ცნობილია მაღაზიებით და სავაჭრო ცენტრებით. თითქმის ყოველწლიურად მას აღიარებენ საუკეთესო აეროპორტად მსოფლიოში.



Royal Dutch Airlines



# ასტარა

ამ ადგილს პატარა მდინარე ასტარა ორ ნაწილად ჰყოფს: აქეთ – აზერბაიჯანი, იქით – ირანი, ან პირიქით, გააჩნია, რომელი მხრიდან აპირებთ საზღვრის გადალახვას.

რა ჰქვია აზერბაიჯანის ასტარას მსგავს დასახლებას, სოფელია, დაბაა – ვერ გეტყვით. სასწაული კია. უთენია ჩავედით და მეგონა, მესიზმრებოდა: პატარა ქუჩები, პატარა სახლები, ქუჩაში გამოტანილი უშველებელი ჩაიდნები და რატომღაც ხელოვნური ყვავილების ზღვა. ჩაი კი კარგი იყო და პურიც სანაქებო. უკანა გზაზე ორაგულსაც შევავლე თვალი, მაგრამ არ მიჭამია, რადგან ირანის საზღვარზე საშვილიშვილოდ დამაფრთხეს: საბრალო ქართველი ქალები, როგორც ჩანს, მეტისმეტად ვულგარულ არსებებად მოვეჩვენეთ და იყო ერთი გადაძახილ-გადმოძახილი; მესაზღვრეები



ბრაზობდნენ, ქალები წივნივებდნენ, მე კი სულ ბნელი ხარო, როზგები და ხმელი ლავაში მელანდებოდა... სადღა მეცხელა ორაგულისთვის! ასეთი რამ რომ იქითობას მენახა, შინ გამოვიქცეოდი, მაგიდის ქვეშ შევძვრებოდი და ვერასოდეს ვნახავდი ირანს.

მაგრამ ეს, საბედნიეროდ, დაბრუნებისას მოხდა. იქითობას კი აღმოვაჩინე, რომ ირანის ასტარა პატარა დაბაა, საკმაოდ სიმპათიური ხალხით დასახლებული, და იქვე მივხვდი, რომ ბრინჯის გადაყრა ძალიან დიდი ცოდვაა: ისეთი მოსაყვანია, რომ ძალიან რომ არ მიყვარდეს, სულ შევწყვეტი მის ჭამას. ხალხი წყალში დგას, ხელები წყალში აქეთ ჩაყოფილი, მცხუნვარე მზე აჭერს, ათასი საძაგელი ქინქლა ესევათ...

ძალიან შთამბეჭდავი სანახაობა კია ბრინჯის ყანები.



## თეირანი

თეირანი ირანის დედაქალაქია, ეს ისედაც ყველამ იცის. ის კი არ ვიცოდი, რომ ის დედაქალაქად ყაჯარების მმართველობის დროს იქცა, 1783-ში (ირანის ისტორიის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, მთლად გუშინნინ), და მაშინ იქ თხუთმეტი ათასი კაცი ცხოვრობდა.

ამჟამად თეირანში, საკამოდ მალლა, დაახლოებით, 1700 მეტრის სიმაღლეზე, უმშვენიერესი მთების კალთებზე (ამ მთებს ალბორზის ქედი ჰქვია) 12 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ორ მილიონზე მეტი მოტოციკლეტი დაქრის. გადასასვლელზე ძალიან გამიკვირდა, რომ ქალაქში ვინმე ცოცხალი გადარჩა, სრულიად წარმოუდგენელი ამბავი ტრიალებს და შუენიშანი რა საქმისთვისაა, ვერ გავიგე, წითლად აპაჭუნებს თვალებს და მეტი არაფერი. მაგრამ მერე ვილაც ლეთისნიერმა გვასწავლა, რომ მანქანებს უნდა ანიშნო, სდექო. ძალიან მარტივი და საიმედო ამბავია. სძულხარ, მაგრამ აჩერებენ.

თეირანს უზარმაზარი ბაზარი აქვს, შესანიშნავი ბალები, ჯადოსნური სასახლეები და ერთობ შთამბეჭდავი მუზეუმები. თეორიულად, იქაურ რესტორნებსა და საჩაიებს არაფერი სჯობს, მაგრამ მარტოკა, ადგილობრივი მასპინძლის გარეშე ნახეტიალება მაინც არ ღირს, განსაკუთრებით, თუ ენა არ იცით და უბნებში გარკვეული არ ხართ. მაინც ძალიან აღმოსავლეთია, რა ძალა გადგათ.



## მამზადი

ხორასანი – თქვენთვისაც ჯადოსნურად უღერს? ამ პროვინციის დედაქალაქი მამზადია, რომელიც ოდესღაც ერთი ციდა სოფელი ყოფილა, მაგრამ მას მერე, რაც ჩვენთვის ავადსახსენებელმა ნადირ შაჰმა ის თავის რეზიდენციად აირჩია, დასახლება აშენდა და აყვავდა, და დღეს ორ მილიონზე მეტი ადამიანი ამბობს ამაყად, მამზადელი ვარო.

შიიტებისთვის მამზადი დიდი მწირობის ადგილია. იმამ რეზას სადიდებლად და მისი ნყალობის სათხოვნელად, ამ ქალაქში უამრავი ადამიანი ჩადის. მავზოლუმი მართლაც გრანდიოზულია: ორი მეჩეთი, სასულიერო სასწავლებლები, მუზეუმები და სხვა და სხვა. შიგნით სულ სარკეებით მორთული დარბაზები, მოვერცხილილი კარები, ოქროსფრად მობრწყვიალე გუმბათები და მინარეთები ყოფილა – ეს ყველაფერი მხოლოდ გარედან ვიხილე, რადგან აღმსარებლობისა და გაუგებარი გარეგნობის გამო, წმინდათა წმინდაში, ცხადია, არავინ შემიშვებდა. უნდა ითქვას, რომ მაინც ძალიან კორექტულად გვექცეოდნენ, ხმა არ ამომეღებო.

იმან კი მართლა ძალიან დამწყვიტა გული, რომ მამზადში ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდი ყოფილა დაკრძალული და მე ვერ ვეახლე. რა სამწუხაროა!



დახანდებულზე დაღუპებულ უყაყიელ ქუჩაზე გაიღოდა. მიფარის შუქით ჯადოსნურად შეცვლილ ქალაქში - ცისფერი ლანდები, მიძინებული ხალის ბუჯბუჯი, - და რომელიმე ყელის ან ვალაგის იღუმალი ჩრდილიდან აუცალკებლად შექმეგებებოდა დაფინსარნი ჰარუნ ალ რაშიდი. შეგნიდან აღმსახებით მოიქვილ მათხოვის ლაბადაში.

მამზადის ბაზარზე ისეთი სამკაულები იყიდება, თვალთ დამიბნელდა, მაგრამ იმის თვალ-მარგალიტი უფრო გამიხარდებოდა.

ფირდოუსის საფლავთან კი ვიყავით. ესეც კარგი იყო. ირანელები „შაჰ-ნამეს“ კითხულობდნენ, და იქ დავიჯერე, რომ ოდესღაც ქართველებმაც ვიცოდით ზეპირად ჩვენი „ვეფხისტყაოსანი“: ბოლო კაცს რომ სთხოვოთ, ერთი, ზაალის ამბავი მითხარიო, დაინყებს და აღარ მორჩება, დაამლერებს, გაითამამებს – რაღა ჩვენ გვჭირს „ინფორმაციული გადატვირთვა“ და სხვა ჭკვიანური უბედურებები?!

ამავე სახელწოდების პროინციის დედაქალაქი, იაზდი, მარილის უდაბნოსთან თუ მთლად უდაბნოშია გაშენებული და, როგორც ამიხსნეს, უდაბნოს ქალაქის საუკეთესო ნიმუშია. მარკო პოლოს უთქვამს, „კარგი და წმინდა ქალაქიაო“ – და მხოლოდ? ამ ქალაქის აღწერა შეუძლებელია, ის არის ნამდვილი სასწაული, რომელსაც არაფერი შეედრება, რაც აქამდე მინახავს – მეტსაც მოგახსენებთ: რის შესახებაც აქამდე მოცნობია.

უდაბნოა, შესაბამისად, ძალიან ცხელა. ძველ იაზდში ხეტილისას, აუცილებლად წამოჰყოფენ თავს ზოროასტრიტის ფესვები, ცეცხლის ტაძარში თუ დუმბილის კომპლექსში თავს ისე იგრძნობთ, თითქოს დიდი ხნის წინათ მიტოვებულ და დავიწყებულ სახლში დაბრუნდით, და ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ადიდებთ ბრძენ ბატონს, აჰურა მაზდას – ჯობს, საკუთარი სიტყვებით, ჩემს მიერ ცუდი თარგმანიდან ცუდად თარგმნილი საგალობლით ნუ იხელმძღვანელებთ:



„გადიდებ აჰურა მაზდას, რომელმაც ცხოველები შექმნა, სინძინღე შექმნა.

ნაალი და იაივი ხეები.

რომელმაც ნათელი შექმნა, მინა და აეღლაფერა იაივი.

მისია დიდება, ძალთუფლება, ძალა.

...გადიდებთ ჩვენი სხეულებით, ჩვენი საციოცხლით.

გადიდებთ საუკეთესო სინძინღეს, აეღლაფერს, რაც ლამაზია, წმინდა, უაღდადი.

აეღლაფერს, რაც სხივზენია, აეღლაფერს, რაც იაივია;

გადიდებთ ჩვენი სულს, გეთაყვანებთ ჩვენი სამეფოს და ჩვენი იაივის და ჩვენი ბაჯიბობას და ჩვენი

სინძინღეს“.



## შირაზი

თუკი ვინმემ შირაზის ვარდს შეგადარათ, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ის თქვენზე გიჟდება. შირაზი ოაზისია, ფერადი, მდიდარი, ლამაზი. მის შესასვლელში მდგომი ფარშევანგი სწორედ სილამაზის სიმბოლოა: ფარშევანგის კუდი მდელოა, – წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფერის ყვავილებით მოჩითული. ფარშევანგამდე ყურანის კარი უნდა გაიაროთ ბინდებოდა, კლდოვან ტერასებზე შავად შემოსილი ქალები მიფარფატებდნენ, თითქოს დამესიზმრა...

შირაზი მგოსანთა ქალაქია, საადიცა და ჰაფეზიც შირაზში დაიბადნენ და მისსავე მიწას მიეპარნენ.



„ინც ჩემი საფლავის თაფზე შეისუნთქავს ჰაერს,  
სიყვარულს იგონებს, თუნდაც ათასი წელი იყოს გასული“...

პოეტთა საფლავებთან უამრავი ხალხი ირევა და ირანელი გოგოები გამჭვირვალე წყალსაცავებში მონეტებს ჰყრიან, ზოგმა მითხრა – დაბრუნებისა, ზოგმა – ჩემი სიყვარულისაო. მეც ჩავყარე, არც ერთი მანყენდა, არც მეორე.

თუ სპარსული მინიატურები, ხალიჩები, სამკაული, ქსოვილები და სხვა და სხვა – რომელი ერთი ჩამოვთვალო? – გიტაცებთ, შირაზს ეწვიეთ. მართალია, თემურ ლენგს თავის დროზე სამარყანდში ბევრი რამ გაუზიდავს, ჩვენი სამყოფი მაინც დარჩა.



## პერსეპოლისი

– გამაგებინე, – ვკითხე მასპინძელს, – დარიოს დიდი ბაბუაშენი იყო?  
– კი, ახლა მიხვდი? ხალხს რომ ჭკუა ჰქონდეს, აქ დგომაში გადამიხდიდა ფულს.  
თვითკმაყოფილი კაცი საძაგელი არსებაა, მაგრამ ამას ვერ შევედავე.

2500 წლის წინათ დედამიწაზე მრავალი სამეფოსგან შემდგარი პირველი სახელმწიფო შექმნილა. ამ სახელმწიფოს მოქალაქე ოცდარვა ერის ხალხი ყოფილა. მათ არავინ თვლიდა ჩაგრულ ვასალებად, თანასწორუფლებიანი იყვნენ. მათი მეფეთა მეფე დარიოსი იყო, და მე მისი ოცნების ქალაქი, პერსეპოლისი ვნახე.



გალაგნები, ცაში აღმართული სვეტები, ჯადოსნური ბარელიეფები – ეს ყველაფერი წიგნებში მქონდა ნანახი, რომელთა თვალყურებაც ჩემი თაობისთვის ზოგადი განათლების აუცილებელ ნაწილად ითვლებოდა. იქ, პანორამული ფოტოსურათის გვერდზე, ყოველთვის იყო ცალკე სურათი – დეტალი. ახლა კი ეს ყველაფერი მართლა ვნახე! და ყველაფერი სულ სხვანაირი ყოფილა!

ეს დაუფერებელი ნაგებობები მონებს კი არა, თავისუფალ ადამიანებს აუშენებიათ. მეფეთა მეფის ჯარი, ათი ათასი უკვდავიც თავისუფალი ადამიანები იყვნენ – მათი გამოსახულებები მოულოდნელად გულთბილია: ყვავილებიც კი უკავიათ, არც სახეები აქვთ მძვინვარე, ძალიან მომეწონა.

ნაყმ-ე როსთამში, პერსეპოლისის სიახლოვეს, აქემენიდთა დიდი მეფეების ნეკროპოლისში, მცოდნე ხალხმა კლდეებზე ამოიკითხა, რა კაცი იყო დარიოს დიდი:



„აბურა მახდას ნებით მაქვს ასეთი ზნე, რომ მართლის მეგობარი ვარ და უსამართლოს მტერი. არ მსურს, რომ სუსცს ძლიერი უსამართლოდ მოექცეს. მაგრამ არც ის მსურს, რომ სუსტი მოექცეს ძლიერს უსამართლოდ. ჩემი სურვილი სამართლიანობაა. ცნო ყაყის მეგობარი არ ვარ. რისხვია არ მხევიან. რიჯა გრისხვები, ამას სულში გინახავ. მუყაყედ ვუღობ თავს. გინც ხელს მიმართავს, მეც ხელს ვუმართავ. გინც მინებს, მას ვსჯი. მე არ მჯერა დამხმენის. მე დიდებული სარდალი ვარ. ხელ-უფლები დიდი ძალა მაქვს. დიდებული მხედარი ვარ. მე დიდებული მშვილდოსანი ვარ. ჩვენი ლაშქარიშიც და ცხენზე ამხედრებულაიც, ეს ნიჭი აბურა მახდამ მიბოძა და მე მისი გამოყენება შეეძელია... ჩემშვიდობში, ავიღე, რიგონი ვარ და ის თვისებები მაქვს და რითი აღვემსჯება. სუ ჩათვლი ამას საყრუედ. სუ ჩათვლი საყრუედ იმას, რაც მე მაქვს ჩადგნილი“.

გადავწყვიტე, დავიჯერო და მივხვდი, რომ მეც მინდა ასეთი მეფე.

დარიოს დიდის ოცნებამ, პერსეპოლისმა, მხოლოდ 200 წელი იარსება – მერე ის ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო, აქემენიდთა საგანძური ათ ათას წყვილ ჯვორსა და ხუთ ათას აქლემს აჰკიდა და ბოლოს ქალაქი გადაწვა. ამბობენ, მთლად ასეთი სამინელების დატრიალებას არ აპირებდა, ყველაფერი ტაისის ბრალი იყო – ყველა უბედურება ხომ ქალს უნდა დაბრალდეს!

უბედური ტაისი სპარსელებს ძალიან ერჩოდა, განსაკუთრებით – პერსეპოლისს. მჯერა, რომ ამ უცნაურ ქალს გულზე მოხვდებოდა პერსეპოლისის სტატიკური ფიგურები და ორნამენტები – ვერცერთ ქალს ვერ ნახავთ, გასაოცარია! ყველა აქაა: მეომრებიც, მრავალი ეროვნების მრავალი მამაკაციც – მეფისკენ ძღვენით მიემართებიან უფალ აჰურა მახდას წყალობის სათხოვნელად. სამ რიგად არიან დამწკრივებული, თან ჩვეულებრივი ცხოველებიც მოჰყავთ, – ვთქვათ, ვირუკელები – და რალაც ეგზოტიკური არსებებიც. ოთხთავიანი ლომები, ხარები, კაცები – მოკლედ, აქ ყველა და ყველაფერია გამოსახული, ქალების გარდა. მე რომ მკითხოთ, ამის გამო პერსეპოლისის აოხრება ნამდვილად არ ღირდა, მაგრამ ქალები, მოგეხსენებათ, ახირებული ხალხია.

მეშვიდე საუკუნეში ქალაქი ასპადანა არაბებმა დაიპყრეს, 1051 წელს სელჯუკებმა თავიანთი სამეფოს დედაქალაქად გამოაცხადეს, 1387-ში ის თემურ ლენგმა აიღო და ყველაფერი უქნა, რაც კი მტერმა შეიძლება ქალაქს დაჰმართოს. ისპაჰანის აღორძინება შაჰ აბას I-ის დამსახურება ყოფილა (მასთან ერთად – ალავერდი ხანის, უნდილაძისა, რომელიც, ოცდაცამეტი თალის ხიდით დიდი აღტაცების მიუხედავად, დიდად არ მესიმპატიურება და ამიტომ მის ქება-დიდებას სხვას დავუთმობ). მერე ქალაქს ავღანალები შეესივნენ და მათაც საშინელი ამბავი დაატრიალეს. ირანელებმა მიიხრეს, მას მერე ისპაჰანი გონს ველარ მოეგო, მაგრამ მე რომ მკითხოთ, მაინც სამოთხის კარია.



ყველაზე ბევრი ტურისტი სწორედ ისპაჰანში ტრიალებს – საერთოდ, ირანს დიდად არ წყალობენ, როგორც ჩანს, ემინიათ, რომ ვინმე შეჭამს. თქვენ ნუ შეშინდებით, გაიარ-გამოიარეთ საღამოს ისპაჰანში, ოთხი ბალის ბულვარზე, ხოჯუს ხიდთან თვალეზანთებულ ლომებს ჩახედეთ სახაში – იქ მამაც კაცს დაინახავთ, და თუ მამაკაცი ბრძანდებით, ხიდების ქვეშ, ჩაიხანაშიც შეძლებთ ჩამოჯდომას, სურნელოვანი ბოლის შესუნთქვას და ირანელი მამაკაცების სიმღერის მოსმენას. ეს უკანასკნელი სიხარული მე არ მეღირსა, აფსუსი კია.

სამაგიეროდ, ერთი დღე ბაზარში გავატარე და ვნახე, როგორ მუშაობდნენ ვერცხლის ოსტატები, როგორ ბეჭდავდნენ ფერად სუფრებს, ვივაჭრე კიდეც – ძალიან მხიარული საქმეა. შაჰის მოედანზეც გახლდით და ყველაზე ლამაზ მერეთებშიც, მოქანავე მინარეთები და ორმოცი სვეტის სასახლეც ვნახე – ჩემო დედა! სინამდვილეში, ოცი სვეტი აქვს, დანარჩენი ოცი წყალში ირეკლება.

## ქაშანი

ოდესღაც აქ დიდი საქარავნო გზები გადიოდა, ახლა კი ირგვლივ ქარვასლების ნანგრევებია დარჩენილი.

ქაშანი უდაბნოს პატარა ქალაქია, რაც არ უნდა უჩვეულოდ გეჩვენოთ – ვარდებითა და ვარდის წყლით განთქმული. ვარდის სურნელი მთელს ქალაქში ტრიალებს, და თუმცა ვარდის წყალზე დამზადებული ტკბილეული სულ არ მომწონს, ქაშანმა უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა.



ძალიან კარგია, როცა ცხელა, შენ კი ბაღში სეირნობ, დიდებულ პავილიონში კედლის მხატვრობას ათვალიერებ და ხანდახან არსებში მოჩუხჩუხე წყალშიც ატყაპუნებ ფეხებს. უცნაურია: ამ საქმეს, ისევე, როგორც სიგარეტის საჯაროდ მოწევის, ირანელები ძალზე მშვიდად შესცქერიან. ლოგიკა ვერ გავიგე, მაგრამ ეგ არაფერი.


თუ ჰამადანში ეკბატანას ნაშთების ნახვის იმედით ჩახვალთ, იმედი გაგიცრუვდებათ – ჩვენს წელთაღრიცხვამდე 700 წელს დაარსებული ამ ქალაქისა აღარაფერი დარჩა. სამაგიეროდ, ავიცენას საფლავის ნახვას შეძლებთ, ალისადრის გამოქვაბულს დაათვალიერებთ და თუ მთლად გული აგიჩუყდებათ, ესტერისა და მორდებხაის ხსოვნასაც მიაგებთ პატივს – ძველი ალთქმის ესტერზეა საუბარი.

მე მთელ ამ სიხარულს ვერ ვეზიარე, რადგან ქალაქში ღამის პირველ საათზე ჩავედი და ხუთზე წამოვედი, და ეკბატანას ვარდების ნაცვლად, სასტუმროს რესტორანში თაბაშირის ვარდები დამცქეროდნენ ჭერიდან.



P.S. ამ ჯადოსნური მოგზაურობისთვის და კიდევ მრავალი სიკეთისთვის მადლობას მოვახსენებ ნინო ჭანიშვილს, ძალიან კარგ გოგოს, რომელმაც წასვლის წინ მომიწოდა, აქემენიდები სულ რომ აღდგნენ, ერთი დღე მაინც ვიგორავოთ წყლის პირასო.

ეს ირანში ერთადერთ აუსრულებელ ოცნებად დარჩა.



سازمان اسناد و کتابخانه ملی جمهوری اسلامی ایران  
۱۳۵۸  
جنبش دانش آموزی

درمانگاه  
دندانپزشکی  
**نگین**  
سفر به پاره‌های آرزوی شما  
متراف فرار داد بانگها و ریاده

درمانگاه  
دندانپزشکی  
نگین

# საქართველო ამერიკის ბარეში

ავტორი: ბიორბი ლოხაძანიძე ფოტო: ანტონ ჩუროჩინი

ანა კორძაიას ირანში წასვლა რომ არ აეტყობა, შეიძლება ის, რასაც ახლა ვწერ, არასოდეს დამეწერა. თუ რატომ, შევეცდები, ახლავე აგისნათ: ეს ჩვენი ანა იმხელა შთაბეჭდილებებით დაგვიბრუნდა და ამ შთაბეჭდილებებს ისე ცოცხლად ყვებოდა, რომ უცებ საკუთარი თავისა და იმ მოგონებებისა შემრცხვა, რომლებიც მესხიერების კუნჭულში მიყუყულან და ნაწერად თუ სიტყვად ქცევის ყველანაირი იმედი დაუკარგავთ. დიდი-დიდი, ათასში ერთხელ, ჩემს სიზმრებში შემოაღწიონ და თავი ასე, მოკრძალებულად შემეხსენონ.

კაცმა რომ თქვას, ირანში ჩემი სამწლიანი ცხოვრებაც დღეს უკვე ლამაზი სიზმარით მახსენდება. ამ ფრაზის ბანალურობის გამო კი უხერხულობას სრულებითაც არ ვგრძნობ, რადგან ქვეყანა, რომლის შესახებაც ვლაპარაკობთ, თავისთავად ტოვებს სიზმრისა თუ ხილვის ასოციაციას.

ეს ახლა ვიცი, თორემ მაშინ, 1997 წლის დასაწყისში, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, ანა კორძაიასაგან განსხვავებით, გვარიანად დამფრთხალ-შეშინებული გავემგზავრე, რადგან ამ ქვეყანაზე ჩემი წარმოდგენა, ბევრის მსგავსად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ მონოღებულ ცნობებს

ჯერ მოხდა, რომ ქართულის უცოდინრობის მიუხედავად, მისი სიტყვები მაინც დამამახსოვრდა და ეგებ ამისხნა, რას მემართლება, ასე მიყვირის: გამოდი, შე შეხაბაზის შვილიშვილო, თავი უნდა წაგაცალოო.

მოკლედ, გიორგი სააკაძეზე, ხმაზე და სამშობლოსთვის აძგერებულ გულზე მოგახსენებდით...

იარაღში კარგად ვერ ვერკვევი და ჩვენი მამა-პაპური სატევარიც, პირდაპირი დანიშნულებით ნახმარს, სუვენირად მორთმეული ანდა მოცეკვავეთა აქსესუარად გამოყენებული მირჩვენია, მაგრამ რა იცი, ეშმაკს არა სძინავს, მით უმეტეს, როცა 22 წლისა ხარ, თვითმფრინავში ზიხარ და გაურკვეველი მომავლისაკენ მიეშურები, უფრო ზუსტად, წარსულისაკენ, რადგან ამ ჩვენს „იაკ-40“-ს, რომელიც საკმაოდ მოძველებულია და ნიავის ყოველ ქროლვაზე „ისე ირხევა, ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“, ერთგვარი „დროის მანქანის“ ფუნქციაც აკისრია: საათსა და ორმოც წუთში XX საუკუნიდან XIV საუკუნის შუახანებში უნდა ჩავგაფრინოს. საქმე ისაა, რომ მუსლიმური ირანი მზის ჰიჯრის კალენდრის მიხედვით ცხოვრობს. ამ კალენდრით, დროის ათვლა მუჰა-

კაცმა რომ თქვას, ირანში ჩემი სამწლიანი ცხოვრებაც დღეს უკვე ლამაზი სიზმარით მახსენდება. ამ ფრაზის ბანალურობის გამო კი უხერხულობას სრულებითაც არ ვგრძნობ, რადგან ქვეყანა, რომლის შესახებაც ვლაპარაკობთ, თავისთავად ტოვებს სიზმრისა თუ ხილვის ასოციაციას.

ეფუძნებოდა, რომლის მიხედვითაც, ირანში რელიგიური ფანატიზმი მძვინვარებდა და ჰაფეზისა და ომარ ხაიამის სამშობლოს ყველაფერი სჭირდა, რაც კი შეიძლება აღმოსავლური ტირანის მარწმუნებში მოქცეულ მხარეს დაემართოს.

ეგეც არ იყოს, იქით ჩვენი „მაია წყნეთელი“ და „გიორგი სააკაძე“ მახსოვდა ზეპირად და სკოლაში ისტორიასაც რიგიანად ვსწავლობდი, ამიტომ თვითმფრინავში ჩუმ-ჩუმად ცრემლს ვყლაპავდი და გიორგი სააკაძის ხმლის წარწერას ვიხსენებდი (თქვენც ხომ გახსოვთ შაჰის: რას ინატრებდი, შვილო პაატა? და სააკაძის ბოკერის: მხოლოდ ხმაღს მამაჩემისას, რომელზეც აწერია: „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული!“)

ხმაზე გამახსენდა: მოგვიანებით, საქართველოში რომ დავბრუნდი და ირანის საელჩოში თარჯიმნად მუშაობა დავინწყე, ჩემმა ერთმა ირანელმა თანამშრომელმა თავისი გასაჭირი შემომჩივლა და დახმარება მთხოვა. იმ კაცს ბინა ვაკეში ჰქონდა დაქირავებული და თურმე ერთი უცნაური მეზობელი შესჩენოდა. მითხრა: ძალიან კარგი ადამიანია, ოღონდ ერთი ნაკლი აქვს, ხშირად სვამს. მთვრალი კი ხანჯალმომარჯვებული კარზე მიბრახუნებს და გამუდმებით ერთსა და იმავე სიტყვებს გაიძახის. ეს ამბავი უკვე იმდენ-

მად მოციქულის მექიდან მედინაში გადასახლების – ჰიჯრის მომენტიდან ანუ 622 წლის 10 ივნისიდან იწყება. შესაბამისად, იქ ახლა გაგანია XIV საუკუნეა და ძალიანაც ცდება ის, ვისაც ირანი ჩამორჩენილი ქვეყანა ჰგონია. წარმოიდგინეთ, XIV საუკუნეში რომ თვითმფრინავი, მანქანა, კომპიუტერი თუ ცივილიზაციის ყოველგვარი სიკეთე გააჩნიათ, XX-XXI საუკუნეებში რა აღარ ექნებათ!

ხუმრობა იქით იყოს და, დროის პირობითობას ალბათ ყველაზე უკეთ ირანში შეიგრძნობ. დრო აქ თითქოს დაუნაწევრებელი სახით არ არსებობს და წარსულიც, აწმყოც და მომავალიც ერთმანეთში გახლავთ არეული.

თეირანის უნივერსიტეტში სწავლისას, ქრისტიანული თეოლოგიის პროფესორმა, ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორმა მოჰამად მოჯთაჰედ შაბესთარიმ რელიგიურ დღესასწაულზე საუბრისას, ასეთი რამ გვითხრა: დღესასწაული დროის დაბრუნებისა თუ ერთ წერტილში დაფიქსირების ადამიანური მცდელობაა, როცა საუკუნეების წინათ მომხდარ მოვლენებს ისე განიცდი, თითქოს ახლა, შენს თვალწინ ხდებოდეს და ამით წარმავალში სიმყარის შეგრძნებას ინარჩუნებო.

პარიზისა რა მოგახსენოთ (ჩემმა ერთმა უსაყვარლესმა მწერალმა „განუყრელი დღესასწაული“ რომ უწოდა), მაგრამ

ვინს მეტყვის, რომ ირანელი ქალი დაჩაბრულია, იმას აღმოსავლეთისა არაფერი  
გაეგება და არც ის გგონია, მაინცდამაინც დასავლურ ღირებულებებშიც კარგად  
ერკვეოდეს.





ამ მხრივ ირანი მართლაც ერთი დიდი, მარადიული დღე-სასწაულია. ზემოხსენებულ დროის პირობითობას რომ თავი დავანებოთ, ეს ქვეყანა, როგორც ნებისმიერი თეოკრატიული სახელმწიფო, უქმეების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის: ხან ვილაცის დაბადების დღეა, ხან ვილაცის გარდაცვალების და, შესაბამისად, შრომადღეები წელიწადში ძალიან ცოტა გამოდის.

თუმცა იქაური უბრალო ადამიანები გასაოცარი მუყაითობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან. ძალიან ცდ-



ბა ის, ვისაც აღმოსავლელი (უფრო ზუსტად, ირანელი) კაცი უქნარა, მხარ-თეძოზე წამოგორებული ჰგონია. პირიქით, ეს ხალხი დილიდან, უფრო ზუსტად, შუალამიდან გვიან ღამემდე მუხლჩაუხრელად, უდრტვინველად შრომობს. ამ შრომის შედეგია, მძიმე კლიმატური პირობებისა და აუტანელი სიცხის მიუხედავად, ქალაქებში მუდმივად მოყვავილე სკვერები და გაზონები, ახალ-ახალი შენობები და განკურნებული ქუჩა-მოედნები.

თუმცა ეს ყველაფერი მერე იყო, იმ საოცარი სამი წლის მანძილზე. მანამდე კი 1997 წლის თბილისიდან 1376 წლის თეირანში გვიან ღამით ჩავფრინდით და ჩვენი საცოდავად, უმწეოდ ჩაბნელებული ქალაქიდან თავი ბრდღვიალა, მოჩახჩახე ზღაპარში ამოვყავი. ილუმინატორიდან ვხედავდი, სინათლე როგორ იზრდებოდა და თანდათან როგორ იღებდა ვეება, 12-მილიონიანი ქალაქის სახეს.

საზღვარზე გადასული კი, პირველი, რამაც გამაოგნა, აქ მაცხოვრებელი ხალხის წარმოუდგენელი სილამაზე იყო. ფაშისტებს არასოდეს ვენდობოდი, მაგრამ ირანელების შემხედვარემ, წამით ღამის ვირწმუნე არიული სისხლის თეორიისა. ქართველ კაცს სილამაზით როგორ გააკვირვებ, მაგრამ ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდი. მოდიოდნენ უმშვენიერესი სპარსელი ხანუმები და ჩადრის ქვეშოდან ისეთ ცეცხლოვან თვალებს აკვესებდნენ, ღამის ადგილზე დამამუნჯეს და გამაქვავეს.

სხვათა შორის, ქალის ტრადიციული მუსლიმური სამოსი, რომელსაც ქართულად ჩადრს, სპარსულად კი „ჰეჯაბს“ ეძახიან, ჩემი აზრით, გაცილებით უფრო სექსუალურია, ვიდრე დასავლურ-ევროპული „სასიამო მოღვლილობანი“. თუ ფსიქონალიზის მამამთავრებს ვერწმუნებით, კაცი მუდმივად ბავშვად რჩება, ამიტომ მასთან ურთიერთობის ასანყობად, ქალებს ერთგვარი თამაშის ელემენტთა გამოყენებას ურჩევენ. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, „ჰეჯაბიც“ სწორედ ამ თამაშის ნაწილია: გაინტერესებს, რა იმალება ჩემს სამოსელში?! შეგიძლია, ამას თვალების ცეცხლით, ანდა ტანის კენარი რხევით მიმიხვდე!

ყოველ შემთხვევაში, ვინც მეტყვის, რომ ირანელი ქალი დაჩაგრულია, იმას აღმოსავლეთისა არაფერი გაეგება და არც ის მგონია, მაინცდამაინც დასავლურ ღირებულებებშიც კარგად ერკვეოდეს.

თავი დავანებოთ სამთავრობო ლოზუნგ-ბილბორდებს, ირანის ქალაქების ქუჩებში რომ გამოუკრავთ. ამ სარეკლამო დაფებზე გამოსახული ქალი გვარწმუნებს, რომ „ჰეჯაბი“ მისი ციხე, კი არა ციხე-სიმაგრეა, ანუ ეს ჩაცმულობა ვინმემ თავს იძულებით, პატიმარივით კი არ მომახვია, მე თვითონ ავირჩიე, რომ გარეშეთა ღირსი მზერისაგან თავი დამეცვაო.

თითოეული ადამიანის პიროვნული არჩევანის ასეთი საყოველთაოობა მუდამ საეჭვო და საკამათო რამაა, მაგრამ სამაგიეროდ ერთი რამ უეჭველია: ირანელი ქალი სოციალურად კარგად დაცულ ბასტიონს წარმოადგენს, რომლის ერთი-ორი „ლიობიც“ სწორედ ამ ციხე-სიმაგრის მიუვალობას გვიდასტურებს და არა პირიქით.

უფრო საქმიანად კი ჩემი თვალსაზრისის გასამყარებლად შემიძლია შემდეგი მოგახსენოთ:

დღევანდელ ირანში ქალს აქვს განათლების, შრომის, საზოგადოებრივი აქტიურობის შეუზღუდავი უფლებები. თეირანის უნივერსიტეტის სტუდენტთა 58 პროცენტი ქალია. ქალი თავისუფალია პროფესიის, ქორწინების, განქორწინე-

ბის, სამუშაო ადგილის არჩევანში. ოჯახის შექმნის შემდგომ, როგორც წესი, კაცი ვალდებულია სრულად დაფაროს საოჯახო ხარჯები, ქალი კი თუ მუშაობს, თავის ხელფასსა და აგრეთვე მშობლების მიერ გამოტანებულ მზითვის საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავს.

ძალიან გამიკვირდა, ერთი ჩემი ირანელი მეგობრისა, რომელმაც მითხრა, რომ რაღაცა საქმის წამოწყებას აპირებდა, მაგრამ ფული არ ჰქონდა და იძულებული იყო, გარკვეული თანხა თავისივე ცოლისგან ესესხა. როგორც მერე გავიგე, ასეთი პრაქტიკა ირანული ოჯახისთვის იშვიათი არაა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, თანამედროვე ირანს ხშირად აკრიტიკებენ ხოლმე ქალთა ძირითადი უფლებების შელახვისათვის და მაგალითად განქორწინებისას მისთვის შვილების ჩამორთმევა ანდა მრავალცოლიანობის ტრადიცია მოაქვთ.

სწორედ ჩემი ირანში ცხოვრებისას, დასავლეთში ძალზე განხიზხილი ირანელი რეჟისორი ქალის ბანი ეთემადის ფილმი, რომელიც ამავე პრობლემას – განქორწინებული ქალისათვის შვილების წართმევას ეხებოდა. ფილმი ემოციურად ძალიან დამთრგუნველად მოქმედებდა და ბუნებრივია, საზოგადოების თანაგრძნობა დაჩაგრული დედის მხარეს იყო, მაგრამ ჩემი აზრით, რეჟისორმა სიმართლე ბოლომდე არ თქვა, ანუ რეალობა ისე წარმოსახა, რომ დასავლეთში გატანილი ფილმი პოლიტიკურად მომგებიანი და, შესაბამისად, სარფიანი ყოფილიყო. სინამდვილეში, საქმე ისაა, რომ განქორწინებულ ქალს შვილების ნახვას, წესისამებრ, არავინ უკრძალავს. მუს-

ჯრი ერთცოლიანობაა და ეს საკითხი დიდად არც არავის ანალვლებს.

ეგეც არ იყოს, ერთხელ ერთმა ჩემმა ირანელმა მეგობარმა ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად მითხრა: კაცი რომ ერთხელ ცოლს მოიყვანს, მეორედ ასეთ სისულელელს როგორ ჩაიდენსო და, მგონი, სადღაც მართალი იყო. თუმცა ალბათ ესეც ვისთვის როგორ, ან უფრო ზუსტად, ყველაფერი იმაზე დამოკიდებული, პირველი ცოლი ქალთა მოდგმაზე კაცს რა შთაბეჭდილებას შეუქმნის.

მაგალითად, ცნობილია, რომ მუჰამად მოციქულს 14 ცოლი და უამრავი მხევალი ჰყავდა. იმავე ჰეჯაბის ან ჩადრის შემოღება კი მისი მეორე ცოლის აიშას ერთ თავგადასავალს უკავშირდება. გადმოცემის თანახმად, მუჰამადმა იგი თან იახლა ერთი ნაკლებ მნიშვნელოვანი ლაშქრობისას. უკან მობრუნებულ შემდეგ კი, როდესაც აქლემზე შემოდგომილი აიშას ჩარდახი გადახსნეს, ქალი იქ ვერ აღმოაჩინეს. ცოტა ხანში გზაზე მომავალი ერთ-ერთი მუჰაჯირი – საფვანი დაინახეს, რომელსაც აღვირი ჩაებლუჯა და აქლემს წინ მოუძღვოდა, უნაგირზე კი აიშა შემოესვა.

ქალმა განაცხადა, რომ გულსაბნევი დამეკარგა და მის ძებნაში ქარავანს დავეცილდიო. სწორედ ამ დროს მტვრითავე მოსულან და ჩარდახი აქლემის ზურგზე ისე შემოუდგამთ, რომ ქალის არყოფნა ვერავის შეუნიშნავს. ასეთი შეცდომა მართლაც იოლად შეიძლებოდა დამართნოდათ, რადგანაც აიშა გამხდარი და ტანწერწეტი ყოფილა.

## რას შეეხება მრავალცოლიანობას უფრო ზუსტად, ოთხცოლიანობას, რელიგიით ეს მართლაც დაშვებულია, მაგრამ მეორე ცოლის მოყვანას წინ ისეთი რთული პროცედურა უძღვის, რომ პრაქტიკულად ირანში ამ ფუფუნებაზე ხელი თითებზე ჩამოსათვლელ ადამიანებს თუ მიუწვდებათ. მეორე ცოლის მოსაყვანად საჭიროა კაცმა პირველი ცოლისაგან ოფიციალური თანხმობა მიიღოს, რაც იმ შემთხვევაში ხდება, თუკი ქალს ეჭვიანობის ნასახიც კი არა აქვს (ეს კი, დამერწმუნეთ, აღმოსავლეთისათვის ისეთივე იშვიათობაა, როგორც წყალი გვალვიან უდაბნოში). ხოლო, თუ ვთქვათ და, ასეც მოხდა, მაშინ უნდა მოვიდეს სახელმწიფო აუდიტი და შეაფასოს, ამ კაცის სურვილები მის ქონებრივ შესაძლებლობებს რამდენად შეესაბამება, ანუ შეუძლია თუ არ მას, ორი ქალი და მთელი მათი ნაგრამი არჩინოს. თუ, ვთქვათ, აუდიტმა დადებითი დასკვნა დაწერა, მერე იმავეს, იმავე მიზნებით ექიმი გააკეთებს და საბოლოო შედეგის მისაღწევად მისგანაც ასეთივე დასკვნაა საჭირო. მოკლედ, ამიტომაც არის, რომ ოფიციალურად მრავალცოლიან ირანში რეალურად მკა-

ლიმური სამართალი კი შვილის მამისადმი მიკუთვნებას სწორედ ქალზე ზრუნვით ამართლებს. მამა ვალდებულია მათ აღზრდაზე იზრუნოს. ქალმა კი შეიძლება საამისო ნივთიერი სახსრის მოპოვება ვერ მოახერხოს.

რაც შეეხება მრავალცოლიანობას უფრო ზუსტად, ოთხცოლიანობას, რელიგიით ეს მართლაც დაშვებულია, მაგრამ მეორე ცოლის მოყვანას წინ ისეთი რთული პროცედურა უძღვის, რომ პრაქტიკულად ირანში ამ ფუფუნებაზე ხელი თითებზე ჩამოსათვლელ ადამიანებს თუ მიუწვდებათ. მეორე ცოლის მოსაყვანად საჭიროა კაცმა პირველი ცოლისაგან ოფიციალური თანხმობა მიიღოს, რაც იმ შემთხვევაში ხდება, თუკი ქალს ეჭვიანობის ნასახიც კი არა აქვს (ეს კი, დამერწმუნეთ, აღმოსავლეთისათვის ისეთივე იშვიათობაა, როგორც წყალი გვალვიან უდაბნოში). ხოლო, თუ ვთქვათ და, ასეც მოხდა, მაშინ უნდა მოვიდეს სახელმწიფო აუდიტი და შეაფასოს, ამ კაცის სურვილები მის ქონებრივ შესაძლებლობებს რამდენად შეესაბამება, ანუ შეუძლია თუ არ მას, ორი ქალი და მთელი მათი ნაგრამი არჩინოს. თუ, ვთქვათ, აუდიტმა დადებითი დასკვნა დაწერა, მერე იმავეს, იმავე მიზნებით ექიმი გააკეთებს და საბოლოო შედეგის მისაღწევად მისგანაც ასეთივე დასკვნაა საჭირო. მოკლედ, ამიტომაც არის, რომ ოფიციალურად მრავალცოლიან ირანში რეალურად მკა-

უკან მობრუნებულ აიშას მოლაშქრეები რომ უწინდელ ადგილას აღარ დახვედრიან, დიდად შეწუხებულია. ტანსაცმელი ტანზე მჭიდროდ შემოუხვევია და გზისპირ ჩამომჯდარა, რომ ეგებ, ამასობაში ვინმეს გამოეგლო.

ამასობაში მართლაც გამოჩენილა საფვანი, რომელიც ასევე შემთხვევით, რაღაც საქმის გამო, თანამომძიებებს ჩამორჩენოდა. ქალი უცვნია, ასეთ უცნაურ ყოფაში რომ უნახავს, გაჰკვირვებია, თავის აქლემზე შემოუსვამს და მედინისაკენ წამოუყვანია. მაგრამ როგორ სწრაფადაც არ ევლოთ, მოლაშქრეებს დროით მაინც ვერ წამოსწევია.

ასე ჰყვებოდა ამბავს აიშა, მაგრამ სხვათა გასაკილად და მასხრად ასაგდებად გამუდმებით მზადყოფმა არაბებმა მომხდარი სულ სხვაგვარად გაიაზრეს. თვითონ მუჰამადიც ვერაფრით დანყნარდა და ქალს ძალიან ცივად მოეკიდა. აიშამ ეს ამბავი გულთან მომეტებულად ახლოს მიიტანა და ავად გახდა თუ თავი მოიავადმყოფა. თუ უწინ ეს ხერხი მოციქულის შემორიგების უებრო საშუალებას წარმოადგენდა, ამჯერად ვეღარ გაჭრა და მუჰამადი უწინდებურად უგუნებოდ იყო. მაშინ აიშამ მისგან მამის სახლში დაბრუნების ნება ითხოვა და მუჰამადმაც დართო ამის ნება. ქალის მტრები და მოშულეები ზეიმობდნენ: თუკი ქმარი მას ასე მოექცა, ცხადი იყო, რომ მისი ცოდვა საბოლოოდ დადასტურდა.



თვითონ მუჰამადისათვის მომხდარი ძალზე უსიამოვნო იყო, ამიტომაც მოისურვა ყველაფრისათვის ნერტილი დაესვა და ერთხელაც მეჩეთის კათედრიდან სალოცავად შეკრებილ მორწმუნეებს განუცხადა:

– რაში გჭირდებათ, იმ საქმეებს რომ გამოკიდებხართ, რომელიც მხოლოდ პირადად მეხება. საიდან გყოფნით გაბედაობა, რომ ჩემი ოჯახის წევრებზე იჭორაოთ?! მე, ყოველ შემთხვევაში, მათზე კარგის მეტი არაფერი ვიცი. ამას გარდა, თქვენ კიდევ ერთ კაცზე ჭორაობთ, რომლის შესახებაც ასევე კარგის მეტი არაფერი მსმენია!

მაგრამ ამბის საბოლოო დასასრულისათვის ეს ყოველივე საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, იყვნენ ადამიანები, რომლებიც აიშას ღირსებას გულწრფელად და დაბეჯითებით იცავდნენ. თუმცა, რაკი ეს ღირსება იმხანად სარწმუნოების სიმბოლოდ ჯერაც არ ქცეულიყო, ისეთებიც მრავლად გამოჩნდნენ, რომელთაც აიშას უმანკოება ეჭვქვეშ დააყენეს.

მუჰამადი რჩევას ოსმანსა და ალის დაეკითხა. პირველმა განაცხადა, რომ ეს ყველაფერი ჭორი და ცილისწამებაა. ალიმ კი უფრო ფრთხილი პოზიცია დაიკავა და ურჩია მოციქულს, ამბის შედეგთა მოგვარებისათვის გარჯილიყო (აიშამ შემდგომში ალის ეს ვერაფრით აპატია). მაგრამ რა უნდა ექნათ? თვითმხილველები არ არსებობდნენ. ამიტომაც, უნდა მოქცეულიყვნენ ისე, როგორც ყველა დროში ყველა სალი ადამიანი მოიქცეოდა: ან უნდა დაეჯერებინათ აიშას მონათხრობი, ანდა იგი გამოგონილად მიეჩნიათ. მაგრამ მისი არც ბრალისა და არც უბრალოების დამტკიცება ამით არ შეეძლოთ. რასაკვირველია, ეს მუჰამადსაც კარგად ესმოდა. იგი აიშასთან მივიდა და უთხრა: „შენც კარგად იცი, ხალხი შენზე რასაც ლაპარაკობს. გეშინოდეს ალაჰისა. თუ დამნაშავე ხარ, მოინანიე და ალაჰი შეინყნარებს სინანულს იმისა, ვისაც ღვთისა ეშინია.“

აიშა დუმდა. შემდეგში იგი ყვებოდა, რომ იმედი ჰქონდა, მის მაგივრად მუჰამადს პასუხს მისი ოჯახის წევრები გასცემდნენ, მაგრამ მათ რომ ხმა არ ამოიღეს, ქალმა თვითონვე დაიწყო კვილი და დაიძახა:

–ალაჰსა ვფიცავ, არასოდეს დამჭირდება თავისმართლება იმის გამო, რაზეც ლაპარაკობ. შევლას არსაით ველოდები! თუ დანაშაულს ვაღიარებ, ღმერთმა ხომ იცის, რომ უბრალო ვარ. ხოლო თუ ყველაფერს უარვყოფ, სულერთია, მაინც არავინ დამიჯერებს. ამიტომაც, იოსების მამის მსგავსად (აიშას სიტყვებით, იმ წუთას, იაკობის სახელი ვერაფრით გაიხსენა და იძულებული გახდა, იგი ასე მოეხსენიებია) ისლა დამრჩენია, ვთქვა: „დათმენა მშვენიერი! მარტოოდენ უფალია ქომაგი ჩემი!“

ქალის სიტყვებს საშინელი დუმილი მოჰყვა. მაშინ მუჰამადი წინასწარმეტყველურ ექსტაზში ჩავარდა. იგი ჩაათბუნეს და თავქვეშ ბალიში ამოუდეს. რამდენიმე ხანს უგონოდ იწვა. თვალი რომ გაახილა, ტანიდან სახვევი შემოიხსნა, წამოჯდა, შუბლიდან ოფლის მსხვილი წვეთები მოინმინდა და დაიძახა:

–აიშა, გიხაროდენ! ჭეშმარიტად ალაჰმა განაცხადა უმანკოება შენი! დაბნეულმა აიშამ მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, მადლობა ალაჰსო.

ამის შემდეგ მუჰამადმა შეკრიბა თავისი მიმდევრები და მათ იმ გამოცხადების შესახებ ამცნო, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით უფლისგან მიიღო.

გამოცხადების ეს ფრაგმენტი შესულია კანონიკური ყურანის XXIV სურაში. იგი ბრძანებს, რომ ყოველი, ვინც გათხო-

ვილ ქალს ბრალს დასდებს მრუშობაში და თავისი სიტყვების დამადასტურებლად ოთხ მონმეს (თვითმხილველს) ვერ მოიყვანს, სამოცდაათ როზგს მიიღებს.

აიშას ორი ცილისმწამებელი ამ სასჯელს ვერ ასცდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ცნობილი პოეტი ჰასან იბნ საბითი. ამის მიუხედავად, ჰასან იბნ საბითს კარგად ესმოდა, რომ ხელს არაფრით მისცემდა იმ ქალთან მტრობის გაგრძელება, ვისთვისაც უნინ შეურაცხყოფა მიეყენებინა და ვინც მალევე მოახერხა თავის ქმარზე ადრინდელზე უფრო დიდი გავლენის



ქალის სიტყვებს საშინელი ღუმელი მოჰყვება. მაშინ მუჰამადი წინასწარმეტყველურ  
ექსტაზში ჩავარდა. იგი ჩაათბუნეს და თავქვევ ბალიში ამოუღეს. რამდენიმე  
ხანს უბოროდ იწვა. თვალში რომ გაახილა, ტანიდან სახვევი შემოიხსნა, წამოჰყდა,  
შუბლიდან ოფლის მსხვილი წვეთები მოიწმინდა და დაიძახა: –აიშა, გინაროდენ!



მოპოვება. ამიტომაც, იმის მაგივრად, რომ ქალზე კვლავაც სატირული ლექსები ეწერა, ჰასან იბნ საბითმა, პირიქით, მას გონიერება, სიკეთე და განსაკუთრებით, უმანკოება შეუქო, რაც, თავის მხრივ, აიშამ დიდად დაუფასა. ამ ლექსისათვის ზეიდ იბნ საბითს ბოდიშის მოხდა აღარასოდეს დასჭირვებია. პირიქით, სწორედ ეს ლექსი გამოადგა, რომ დარჩენილი ცხოვრება აენყო.

საქმე მოგვარდა. ამ ამბისაგან კი სამომავლოდ ის საკვირველი კანონილა შემორჩა, რომლის თანახმადაც, გათხოვილი ქალის ბრალეულობის დადასტურებას ოთხი თვითმხილველი ესაჭიროება, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ქმარი თავის ცოლს დანაშაულზე პირადად წაუსწრებს. ამ შემთხვევაში კაცის ხუთჯერადი ფიცი საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევა (მდრ: ყურანი, XXIV, აია 7-8).

ამას გარდა, მუსლიმურ სამყაროს ამ ამბისაგან დარჩა ზემოთქმულზე უფრო მნიშვნელოვანი წესი, რომელიც დღემდე სხვადასხვა მუსლიმურ ქვეყანაში მეტ-ნაკლები ინტენსივობით მოქმედებს, და რომელიც ქალის ჩაცმულობის საგანგებო ყაიდას ეხება. თუმცა, ყურანში ქალის ჩაცმის სტილი და მანერა დაწვრილებით არ არის განხილული და ამ თემასთან დაკავშირებით, მუსლიმთა საღვთო წიგნი მხოლოდ ზოგადი ფრაზებითა და რამდენიმე საკმაოდ ბუნდოვანი მინიშნებით იფარგლება, რომელთა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება. ამიტომაც, სხვადასხვა მუსლიმურ ქვეყანაში სხვადასხვაგვარი „ჰიჯაბი“, ე. წ. ჩადრი გამოიყენება.

მაგალითად, დღევანდელი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში „ჰიჯაბი“ გრძელი, სანვიმარ ლაბადის მაგვარი, ე. წ. „მანთო“ და ერთგვარი თავსაბურავია, რომელსაც „მაყნას“ ეძახიან. „ჩოთორს“ კი (საიდანაც, სხვათა შორის, ქართული „ჩადრი“ მომდინარეობს) იქ „მანთოზე“ ზემოდან შემოსახვევ მოსასხამს უწოდებენ, რომელსაც განსაკუთრებით რელიგიური, ანდა ის ქალები ატარებენ, სხვადასხვა მიზეზით (ძირითადად, სასწავლებელ ანდა სამუშაო ადგილას, მომგებიანი იმიჯის შესაქმნელად), საკუთარი ღრმად მორწმუნეობის ხაზგასმა რომ სწავლიათ.

ყოველ შემთხვევაში, ჩემი ირანში ცხოვრების მანძილზე, ნებისმიერი დონის, სოციალური წრისა თუ განათლების ოჯახში ვყოფილვარ, და ყველგან, როგორც კი ზღურბლს გადააბიჯებდა, ქალი სახლ-კარის სრული ბატონ-პატრონი და ერთპიროვნული განმკარგველი ხდებოდა, რომლის მითითებებსაც სამზარეულოში მოფუსფუსე ქმარი ხმის ამოუღებლად და მორჩილად ასრულებდა.

სამზარეულომ ირანის სატირულ-იუმორისტულ ჟურნალში – „გოლ აყა-ში“ გამოქვეყნებული ერთი კარიკატურა გამახსენა, რომელსაც თავში ირანული სერიოზული ჟურნალიდანვე ამოღებული ციტატი უძღვოდა: „ჩვენს ქვეყანაში ქალი უკიდურესად იჩაგრება“, კარიკატურაზე კი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ბინის მისაღები და სამზარეულო ეხატა. მისაღებში ფეხიფეხზე გადაჯვარედინებული, გემოვნებით ჩაცმულ-გამოპრანჭული ქალი წიგნს ჩასჩერებია, გვერდით ყავის ფინჯანი და საფერფლე მოუდგამს, კითხულობს და ამქვეყნისა არ არის. სამზარეულოში კი ქმარს ცალი ხელით ერთი ბავშვი უჭირავს, ცალი, თავისუფალი ხელით ჭურჭელს რეცხავს, ყელზე და კისერზე კიდევ ორი ბავშვი ებლაუჭება და მისავათებული, თავისთვის, ჩუმად, ძლივს გასაგონადლა დუდუნებს: „კიდევ კარგი იჩაგრება, თორემ რომ არ იჩაგრებოდეს, რა მეშველებოდა?!“

სხვათა შორის, თანამედროვე ირანის პოპულარიზაციას

ხელი დიდწილად ქვეყნის თავისებურმა კინემატოგრაფიამც შეუწყო. თუმცა ეს ფილმები მაინც უცხოურ პუბლიკაზეა გათვლილი და იმდენად ირანის ამსახველი არ არის, რამდენადაც დასავლეთისათვის გასაგები და მისაღები აქცენტების დასმას ემსახურება. პრაქტიკულად კი, რეალური აღმოსავლეთის ნაცვლად, ეგზოტიკურ, ევროპელთა წარმოდგენას შეხამებულ გამოგონილ მხარეს გვთავაზობს.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა იმ უცხოურ ფილმებთან დაკავშირებით, რაც დღეს ირანულ კინობაზარზე შემოდის,



ფილმის პირველივე კადრში აღწენ დელონი რომ გამოჩნდა და სვარსულად დაიწყო ლაპარაკი, რომი შენიღბას რომ მოუხმოს: ხანაშ, ერთი აქეთ მოიწიო, ან აგზავნა ჩაგზა ისე იმოქმედა, ისეთი ფსიქოლოგიურ-კულტუროლოგიური შოკი მივიღა, მეტი აღარც არაფერი გამიგია.



როცა გეუბნებიან, რომ სპარსულად კარგად ლაპარაკობ ან ლამაზად გამოიყურები, შენ უეჭველად უნდა უთხრა: თქვენი თვალები ლამაზად ხედანო ან კიდეც: როცა როგელიმე ქალბატონი შეამხვევით ზურგით აღმოჩნდება და ზოღიშს მოიხდის, ზრდილოზიანი კასი მიუბეზს: რას ბრძანებთ, ქალბატონო, ვარდს ზურგი და პირი არა აქვსო!





ოლონდ იმ განსხვავებით, რომ თუ დასავლეთში გატანილი და აღიარებული ირანული ფილმები წინასწარ რეჟისორის ან დამდგმელი ფგუფის მიერ იმგვარადაა ჩაფიქრებული, რომ როგორმე ფულიან დასავლეთს თავი მოაწონონ, ირანში შემოსული უცხოური კინემატოგრაფი მკაცრ იდეოლოგიურ ცენზურას გადის და, საბოლოოდ, ვთქვათ, საათნახევრიანი ფილმიდან იმდენი იჭრება, რომ შეიძლება ორმოცი წუთი ან ნახევარი საათი დარჩეს და მაყურებლის ფანტაზიაზე ეკიდოს იმის წარმოდგენა, თუ პიკანტური ან სასიყვარულო სცენების



შემდგომ, სიუჟეტი როგორ ვითარდება.

აქვე საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ირანული დუბლაჟის განსაკუთრებულად მაღალი დონე, რომელიც საბჭოთა კავშირისას რუსულად დუბლირებულ ფილმებს გაგახსენებთ და შეგეცოდებათ ჩვენი მაყურებელი, დღემდე იძულებული რომაა ყური უგემოვნო და, ხშირ შემთხვევაში, არაპროფესიულ სინქრონს მიაღვენოს.

მახსოვს, ირანში ახალჩასული, რომელიღაც ფრანგული ფილმის სანახავად წავედი, მის შინაარსს კი ვერაფერი გავუგე და არა მხოლოდ იმ ცენზურული „დაჩეხილობის“ გამო, რის შესახებაც უკვე მოგახსენეთ, არამედ იმიტომ, რომ ფილმის პირველივე კადრში ალენ დელონი რომ გამოჩნდა და სპარსულად დაიწყო ლაპარაკი, რომი შნაიდერს რომ მოუხმო: ხანუმ, ერთი აქეთ მოინიო, ამ ამბავმა ჩემზე ისე იმოქმედა, ისეთი ფსიქოლოგიურ-კულტუროლოგიური შოკი მივიღე, მეტი აღარც არაფერი გამიგია.

არადა, ყველაფერი მიჩვევის ამბავია, თორემ, ვთქვათ, იმავე ალენ დელონის რუსულ დუბლაჟს თვალსა და ყურს ძალიან ჩვეულებრივად ვადევნებდი და მესამუშებოდა კი არა, მეგონა, რომ ყველა უცხოელ მსახიობს, რატომღაც სრულიად ბუნებრივად, სწორედ რუსულად უნდა ემეტყველა.

სპარსული ენის სიტკბოზე ქართველებს არა თუ ჩემნაირ უბრალო მოკვდავთაგან, თვით დიდებულ ქართველ მეფეთაგანაც კი ბევრი სმენიათ და ამიტომ ამ თემაზე სიტყვას მეტად აღარ გავაგრძელებ. უბრალოდ, რადგან ლაპარაკი ლიტერატურაზე ჩამოვარდა, აუცილებლად უნდა ითქვას ერთი რამ: თვით უმდიდრეს ორიგინალურ სპარსულ მწერლობას რომ თავი დავანებოთ, დღეს ამ ენაზე იმდენი იწერება და ითარგმნება, თავისდაუნებურად, იმდენი ხალხი მუშაობს მის სრულყოფასა და დახვეწაზე, რომ ამჟამად სპარსული ერთი ყველაზე მოქნილი და თანამედროვე მოთხოვნათა შესაფერისი ენაა.

ეგეც არ იყოს, სპარსელს გენეტიკურად მოსდგამს ლაპარაკის, დახვეწილად საუბრის ნიჭი. იგი შაქარყინულივით აგემოვენებს თითოეულ სიტყვას და ჩვეულებრივ, ყოფით თემებზე ბაასისას ისეთ მხატვრულ სახეებს გადმოგიშლის, რომ ჯერ ეს მხატვრული სახეები უნდა ამოშიფრო და მერე ის გაიაზრო, რას როგორ გეუბნება.

ირანში დღემდე არსებობს „ზრდილმეტყველების“ მეტად თავისებური ინსტიტუტი, ე. წ. „თააროფი“ და თუ ამ უცნაური მეტაენისა არაფერი გაგეგება, სპარსული რაც არ უნდა კარგად იცოდე, ირანელი, როგორც უზრდელს, ლაპარაკს დიდხანს მაინც არ გაგიბამს. „თააროფი“ ძირითადად გულისხმობს და გვასწავლის იმას, შენთვის ნათქვამ კომპლიმენტსა თუ კეთილ სიტყვას რა პასუხი უნდა მიაგებო. მაგალითად: როცა გეუბნებიან, რომ სპარსულად კარგად ლაპარაკობ ან ლამაზად გამოიყურები, შენ უეჭველად უნდა უთხრა: „თქვენი თვალები ლამაზად ხედავენო“ ან კიდევ: როცა რომელიმე ქალბატონი შემთხვევით ზურგიტ აღმოჩნდება და ამის გამო საზოგადოებას ბოდიშს მოუხდის, როგორც წესი, ზრდილობიანი კაცი მიუგებს: რას ბრძანებთ, ქალბატონო, ვარდს ზურგი და პირი არა აქვსო!

თუ მართალია ის ამბავი, რომ ქალს, ძირითადად, ყურებით (და ყურებმადე) უყვარდება, ამ სიტყვების გაგონებაზე, არა მგონია, რომელიმე ხანუმმა თავი ძალზე დაჩაგრულად და უბედურად იგრძნოს.

„თააროფის“ ინსტიტუტში შედის საზოგადოებაში მოქცევის საუკუნეობით ჩამოყალიბებული წესი, რომელიც იმდენად

მკაცრია და ზოგჯერ ისეთ კომიკურ ელფერს იღებს, რომ უცხოელისათვის არაბუნებრივად და, უფრო მეტიც, პირფერობად გამოიყურება. ამ უხერხულობას ზოგჯერ თავად ირანელებიც გრძნობენ, თორემ სხვა შემთხვევაში ეს ანეკდოტი არ შეიქმნებოდა:

ირანელს ტყუპები ეყოლა. მშობიარობა კი ორ დღეს გაუგრძელდა იმიტომ, რომ ძმები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ: ჯერ შენ მიბრძანდი, არა, ბატონო, ჯერ შენ მიბრძანდიო.

მახსოვს, ერთხელ ავად გავხდი და ორი კვირა უნივერსიტეტში ვერ ვიარე. როცა მივედი, ერთმა ჩემმა კურსელმა მითხრა: „ნამდვილ თოვლის პაპად იქეცი. წელიწადში ერთხელ მოდიხარო.“ მე რე კი თავისთან, სტუდენტულაქში დამპატიჟა და ყველა ის ლექცია დამაზუთხა, რაც ავადმყოფობის გამო გამოვტოვე.

სხვათა შორის, ირანელი სტუდენტის ცოდნისმოყვარულობა და პუნქტუალურობა კიდევ ერთი განსაკუთრებული თემაა. ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობა აქ შუასაუკუნეთა მოძღვარ-შეგირდის დამოკიდებულებას მოგაგონებთ. ირანელი ახალგაზრდობა ხარბად ისრუტავს ყველაფერს, რასაც ასწავლიან და ხშირად, ლექციის მერეც კი არ ეშვება საყვარელ მასწავლებელს. დასვენებებზე გუნდ-გუნდად დაჰყვებიან ყველა ლექტორს და უამრავი შეკითხვით, ამოსუნთქვის ნებას არ აძლევენ.

ირანელისთვის პოეზია მთელი ცხოვრება, ყოფასთან დამოკიდებულება და სამყაროს აღქმის წესია. აქ არის აკუმულირებული მთელი მისი შემოქმედებითი ენერჯია თუ ეროვნული ხასიათი და ყოფისაგან ძალადაშრეტილი პოეზიიდანვე იღებს ახალ სასიცოცხლო ნიშანს და ენერჯიას.

სპარსელების ეროვნული ხასიათი კი, ჩემი აზრით, ყველაზე მკვეთრად XI საუკუნის ირანელი მისტიკოსის, აბუ საიდის ერთ რობაიში ჩანს, რომელიც წლების წინათ ქართულად გადმოვიღე:

„მკითხა: სად არის სატრფო, ხსნა თუ სიყვარულშია?  
ვუთხარ: ამ გულში, განა სადღაც დაკარგულშია.  
– გული სადღა გაქვს? – მკითხა. ვუთხარ: სატრფოსთან არის,  
– სატრფო სად არის? – მკითხა. ვუთხარ: სატრფო გულშია.“

ერთ-ერთი გავლენიანი ირანელი პოლიტოლოგი, ბუშის ჩვენს ქვეყანაში ვიზიტის შემდეგ, თავის მთავრობას პირდაპირ მოუწოდებდა საქართველოსთან ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობა გაენწყვიტა და ამბობდა: დღეს ამერიკის პირდაპირი აგრესია ირანისათვის ისე საშიში არ არის, როგორც საქართველოდან და საქართველოს გავლით ჩვენს წამოსული ინიციატივები. ჩვენ რევოლუციის ექსპორტიორები არ გვჭირდება და ვარდებიც თავზესაყრელად გვაქვს, ამიტომ კარგი იქნებოდა, ბატონი სააკაშვილი, ირანში ვიზიტისას, ფერეიდნის მაგივრად, შირაზში მოგვეპატიჟებინა და აქაური ვარდები საკუთარი თვალით ენახა, რომელიც ჰოლანდიურსა და ამერიკულს ბევრად სჯობიაო.

სხვათა შორის, ამ პოლიტოლოგის განცხადებაში, სხვა ყველაფერთან ერთად, ქართველთა და ირანელთა ერთი განმასხვავებელი ნიშანიც მკაფიოდ იკვეთება: ქართველი დახმარებას მუდამ გარედან ელის და ჰგონია, რომ მისი გასაკეთებელი უეჭველად ვიღაც სხვამ უნდა გააკეთოს, ირანელი კი

თვითონ ზრუნავს თავის პრობლემებზე და თვით ვარდებიც კი სამამულო წარმოებისა ურჩევნია... მით უმეტეს, შირაზში მართლაც შესანიშნავი ვარდებია და თუ ვინმე ზურგით ჯდომას მისაყვედურებს, ვეტყვი, რომ ვარდს ზურგი და პირი არა აქვს...

ქაიროში ყოფნისას, ერთი უცნაური რამ გავიგე, თუმცა არ ვიცი, რამდენად მართალია: თურმე, ვისაც აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში სამი წელი მაინც უცხოვრია, კანადისა თუ



რომელიღაც დასავლური ქვეყნის სასამართლოში მოწმედ გამოსვლის ნება აღარა აქვს.

ამ ინფორმაციის სიმართლეში ეჭვი საფუძვლიანად მეპარება, მაგრამ ვინ იცის, ეგებ მართალიც იყოს, მით უმეტეს, როცა კაცი აღმოსავლურ სივრცეში ზანტი აქლემივით რწევარწვევით წამომართულ მირაჟს დაინახავს, იმას ჭკუა მართლაც აღარ მოეკითხება, რადგან ეს კაცი მერე გამუდმებით ჩაჰკითხავს საკუთარ თავს: ის კი ნამდვილია, რასაც მართ-


ლა ხედავს თუ ესეც, მირაჟისა არ იყოს, მიახლოებისთანავე გაუქრება.

ეს ტექსტი ჩემი თეირანში სამწლიანი ცხოვრების ერთ-ერთი მირაჟია. გულთან ძალიან ახლოს ნუ მიიტანთ, ხელიდან არ გაგისხლტეთ...



# გოლი თარაყი: „ღმერთმა ნუ ქნას, მთელი მსოფლიო ერთნაირი იყოს...“

ავტორი: გიორგი ლოხაინიძე ფოტო: ლაიონ ბესნი



მე რომ პატარა ჟურნალისტი ბიჭუნა ვიყო, წერილს ალბათ ასე დავიწყებდი: იგი ძალიან ჰგავს თავის ნაწერებს — გულწრფელია, კაცთმოყვარე და ემოციური.

მაგრამ არც ჟურნალისტი ვარ და, ვაი რომ, არც ისეთი პატარა გახლავართ, არ მესმოდეს, რა საშიშია მწერლის გულწრფელობა, როცა ის ცხოვრებისეული თამაშის ნაწილი ხდება, როცა მწერალი ნილაბივით ირგებს მასზე შექმნილ საზოგადოებრივ წარმოდგენას და თვითონვე გულმოდგინედ უწყობს ხელს, ხალხმა ნიღბის სწორედ ეს მხარე, ეს ნაწილი დაინახოს. მოკლედ, უმრავლეს შემთხვევაში, თუ გინდა რომ მწერალი გიყვარდეს, სამწუხაროდ, მას პირადად არ უნდა იცნობდე, თორემ შეიძლება ხელში თავისი ნაწერისაგან რადიკალურად განსხვავებული „მეწერილმანე“ შეგერჩეს.

ასეთი შესავლის მიუხედავად, უნდა ვაღიარო: ბედნიერი ვარ, რომ გოლი თარაყი — თანამედროვე ირანული პროზის ოსტატი და არაჩვეულებრივად საინტერესო მწერალი ქალი პირადად გავიცანი. ეს ბედნიერება კი, ჩემთან ერთად, ცოტა ხნის წინ ძალიან ბევრ ქართველს მიანიჭა გამომცემლობა „დიოგენემ“.

ქალბატონი თარაყი საფრანგეთში ცხოვრობს, მაგრამ თავის ნაწერებს პრინციპულად მხოლოდ მშობლიურ ირანში აქვეყნებს, რადგან თავისი ნამდვილი მკითხველი და გულშემატკივარი, მის მიერ წერისას პირობითად ნაგულისხმევი აუდიტორია, უპირველესად საკუთარ სამშობლოში ეგულება. მოგზაურობით კი ბევრს მოგზაურობს და ამიტომაც, საქართველოში ჩამოსვლა შესთავაზეს თუ არა, მიპატიჟება უყოყმანოდ მიიღო და იმ მხარისაკენ გამოემშურა, რომლის შესახებაც ბავშვობიდან ბევრი რამ სმენოდა და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს მის წარმოსახვაში რალაც მითიური, ზღაპრული ელფერი გადაჰკრავდა. ეს რომ მართლაც ასეა და მიუხედავად ჩვენი ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვისა, ირანელებს საქართველოზე მაინც ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა რომ აქვთ, ქალბატონი გოლის თეირანში მცხოვრები ძმის დაჟინებაც მიგვახვედრებს, რომელმაც ცხელი მაისის ბოლოს დას ურჩია, საქართველოში თბილი ტანსაცმელი წამოეღო: იქ ორმოცგრადუსიანი ყინვებია და თუ შესაბამისად არ ჩაიცვი, შეიძლება სიცვიისგან სულიც გააცხოო. საქართველოში ჩამოსულ მწერალს კი აქ თეირანზე უფრო მწველი სიცხე დაუხვდა...

– უნივერსიტეტში თქვენთან გამართულ შეხვედრაზე ბრძანეთ, რომ ის ადამიანი ხართ, რომელსაც „ორ სამყაროს“ შორის ცხოვრება უხდება. ორ სამყაროში დასავლეთსა და აღმოსავლეთს გულისხმობდით, რამდენადაც უკვე კარგა ხანია



ევროპაში, საფრანგეთში ცხოვრობთ და შეგიძლიათ, დასავლეთიც, დასავლური ფასეულობებიცა და მშობლიური ირანიც, მისი კულტურაც „შიგნიდან“ შეაფასოთ.

როგორ ფიქრობთ, ამ ორ სამყაროს შორის მართლა ისეთი ღრმა უფსკრულია, როგორც კიპლინგი ამბობდა, თუ არსებობს მთავარი, უხილავი და სათუთი ძაფები, რაც მაშრიყსა და მალრიბს აკავშირებს?

– დღევანდელი მსოფლიო, იმავე კიპლინგის ეპოქასთან



შედარებით, წარმოუდგენლად დაპატარავდა. ტექნიკის განვითარებასთან ერთად, ძველად არსებული მანძილი გაქრა და ამან ხალხთა დაახლოებას შეუწყო ხელი. განსხვავებული კულტურები უფრო ახლოს გაეცნენ ერთმანეთს და ერთურთისაგან ბევრი რამ შეითვისეს. ახლა თქვენ თუნდაც ტელევიზიის საშუალებით შეგიძლიათ კავშირი მთელ მსოფლიოსთან იქონიოთ. თუმცა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის განსხვავება ხალხის ბუნება-ხასიათში დარჩა და შეუძლებე-

ლია, რომ ისინი ერთმანეთს ტყუპისცალებივით დაემსგავსონ. უბრალოდ, დღეს დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც უფრო მეტი ინფორმაცია აქვს ერთმანეთზე და ერთურთი წინანდელზე უკეთესად გაიცნეს. ხალხი სწავლობს სხვათა ენებს. მე თვითონ ამდენი ხანია საფრანგეთში ვცხოვრობ, ბევრი ფრანგი მეგობარიც მყავს, მაგრამ არ შემიძლია ვთქვა, რომ ფრანგები ირანელებს გვანან. თუმცა მე მათ ისეთებს ვიღებ და ისეთები მიყვარს, როგორიც არიან. ღმერთმა ნუ ქნას,

მთელი მსოფლიო ერთნაირი იყოს, სიმდიდრე ხომ სწორედ განსხვავებულობაა. მთავარია, ეს ორი სამყარო ერთმანეთს ომს ნუ დაუწყებს და ჯიბრში ნუ ჩაუდგება, თორემ გაცნობასა და სიახლოვეს წინ რა უდგას? მთავარია, არცერთ მხარეს მეორის დაჩაგვრა და საკუთარი უპირატესობის მტკიცება არ მოუხდეს...

სამწუხაროდ, ჩვენ – ირანელებს თვითკმარობისა და ჩაკეტილობისაკენ სწრაფვა გვახასიათებს. საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი, როგორც კი ათი-თორმეტი ადამიანი ერთად შევიყრებით, სხვების გაგონებაც აღარ გვინდა. მეგობარი ფრანგები ხშირად მსაყვედურობენ, ირანელები თვითონვე უწყობთ ხელს საკუთარ განცალკევებას, უცხოელებს ახლოს არ გვიკარებთო და მართლებიც არიან. ირანელებს მხოლოდ ერთმანეთთან კონტაქტი გვსიამოვნებს, გვინდა, ჩვენთვის, მშვიდად ჩამოვსხდეთ და მშობლიურ ტკბილ სპარსულზე ვისაუბროთ...

„ჩვენ ირანელებს ინფორმაცია არასოდეს გვინტერესებს. ინფორმაციის, გონების ხალხი არა ვართ, ტკობის, გულის ხალხი ვართ. გულის სიღრმეებში ვიძირებით და გამუდმებით ვნეტარებით...“

– შეიძლება, ეს იმიტომაც ხდება, რომ თქვენ უცხო ქვეყანაში ცხოვრობთ და სამშობლოსთან, მშობელ მიწა-წყალთან კავშირს სწორედ ამგვარად ინარჩუნებთ...

– შეიძლება, მაგრამ მეტისმეტი არაფერი ვარგა. თანაც, ჩვენ დასავლელებისაგან უამისოდაც ძალიან განესხვავდებით. მე ერთი ფრანგი მეგობარი მწერალი ქალი მყავს – არაჩვეულებრივი, თბილი, მოსიყვარულე ადამიანია და ისე ახლოს ვართ, რომ ხშირად მითქვამს, ფრანგი კი არა, ირანელი მგონიხარ-მეთქი. მაგრამ როცა ეს ჩემი მეგობარი ირანში მივიპატიჟე, ჩვენ შორის განსხვავება სწორედ მაშინ აღმოვაჩინე. ეს კი დროსა და დისციპლინასთან ჩვენი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება გახლდათ.

იმ მოგზაურობისას, ჩემს მეგობარს თან ირანის შესახებ წიგნი წამოეღო. გამუდმებით კითხულობდა, თავისთვის რაღაცას ინიშნავდა და უნდოდა, ყველაფერი ენახა. პირველად

რომ მითხრა, დილის შვიდ საათზე გამალვიძეო, მე გაოცებულიმა ვკითხე, რა გეჩქარება-მეთქი. იმას კი პირზე მუდამ ერთადერთი ინგლისური სიტყვა ეკერა – „ქვიქლი“ – ჩქარა, სწრაფად – სიტყვა, რომელსაც ირანელის ლექსიკონში ძნელად თუ ნაანყდებით. სპარსული კულტურა, სიზანტის, სიზარმაცის, დუნე აუჩქარებლობის კულტურაა.

როცა კი სადმე ნავიდოდით, მე მუდამ გრილოში ჩამოჯდომას ვთავაზობდი, სადმე ჩამოვსხდეთ, ჩაი დავლიოთ და ვისაუბროთ-მეთქი. ის კი გამუდმებით საათს დასცქეროდა და დროზე, ნუთებზე იყო მიჯაჭვული. მაშინ ვუთხარი: თუ გინდა ირანის მულამი გაიგო, საათი მოიხსენი და გადაადგე, რადგან აქ დრო გრძელია, დუნეა, განელილია-მეთქი. თუმცა მე თვითონ სწორედ მაშინ აღმოვაჩინე, დროსთან ჩემი და რომელიმე გერმანელის დამოკიდებულება ერთმანეთისაგან როგორ განსხვავდება!

მაშინ იმ ჩემს მეგობართან ერთად ქაშანშიც წავედით. ქაშანის სახელგანთქმულ ბაღში რომ შევედით, იგი რაღაცეებს მეკითხებოდა და პასუხებს აჩქარებით ბლოკნოტში ინიშნავდა. მე ვიდექი და ბუნებით ვტკბებოდი. თავს ფოთლების შრიალითა და წყლის რაკრაკით ვიქცევდი... მისთვის კი

მთავარი ინფორმაცია იყო – აქაურობა როდის აშენდა, ვინ ააშენა და ამგვარი მაზალო რამეები...

ჩვენ ირანელებს ინფორმაცია არასოდეს გვანტერესებს. ინფორმაციის, გონების ხალხი არა ვართ, ტკობის, გულის ხალხი ვართ. გულის სიღრმეებში ვიძირებით და გამუდმებით ვნეტარებთ...



– თქვენ დიდი ხანია საფრანგეთში ცხოვრობთ, მაგრამ თქვენს ნაწერებს პრინციპულად ირანში აქვეყნებთ. როგორც ჩანს, ცენზურა იქ არც ისე მკაცრია, თუ უბრალოდ სწორია აზრი, რომ მწერალს ცენზურა კიდევაც სჭირდება, რათა სათქმელისა და ფორმის ურთიერთშეთავსებაზეც იფიქროს და საკუთარ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზეც.

გარდა ამისა, ირანისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართულ სინამდვილეში გავრცელებული ერთი ტენდენციაც, მე, პირადად, ცენზურის გარკვეული სახესხვაობა მგონია. ვითარება, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეოხებით ხდება ავტორთა ხელოვნური გადარჩევა.

– თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილი არ მგონია მთლად ცენზურას უკავშირდებოდეს. ეს უფრო გარკვეული საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც ირანშიც და დასავლეთშიც ერთნაირად გავრცელებულია. თუმცა დასავლეთში საქმე ცოტა სხვაგვარადაა, რადგან იქ მწერალი წიგნიდან წიგნამდე იზრდება, თავისთავზე მუშაობს და პოპულარობა მოულოდნელად არსაიდან ატყდება... ამა თუ იმ ადამიანისათვის სახელის მოხვეჭაში პრესა და ტელევიზია დიდი როლს თამაშობს, მაგრამ პოპულარობა საბოლოოდ შეიძლება ძალიან საშიში და დამლუპველი აღმოჩნდეს.

ირანში მწერლის პოპულარობის მიზეზები კი ევროპული ვითარებისაგან მეტწილად რადიკალურად განსხვავდება. მაგალითად, ჩვენში რომელიღაც წიგნი ხშირად ძალზე გახ-

მაურდება ხოლმე, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცუდი წიგნია, მაინც რაღაც პრემია მიიღო. პრემია კი იმიტომ მისცეს, რომ ავტორის რამდენიმე ნაცნობმა კრიტიკოსმა მასზე სახოტბო რეცენზიები „ალავლინა“. ამის შემდეგ საბრალო მწერალი, რომელიც ისედაც რიგიანი ლიტერატორი ვერ არის, თავის თავზე ფუყე, მცდარ წარმოდგენას იქმნის და მისი შემდგომი ნამუშევრები, რომ იტყვიან მტრისასო, ისეთია...

ამდენად, პოპულარობა ძალზე საშიში შეიძლება იყოს, ხელისშემშლელი და დამაბრკოლებელი... რადგან ადამიანი უნდა ცდილობდეს, რომ თანდათანობით უკეთესობისაკენ წავიდეს. ნამდვილი მწერალი, ვთქვათ ისეთი, როგორც XX საუკუნის დიდი ირანელი პოეტები – ფორუყ ფაროხზადი და სოჰრაბ სეფეჰრი იყვნენ, მუდამ იმის ცდაშია, სიახლე იპოვოს და შემოქმედებითად განვითარდეს. მაგალითად, იმავე ფორუყ ფაროხზადთან ვხედავთ, დასაწყისიდან დასასრულამდე როგორ მიაბიჯებდა მალლა-მალლა და თანდათანობით, დიდი შრომითა და ცხოვრებისეული გამოცდილებებით იხვეწებოდა. თუ მის შემოქმედებას თანამიმდევრულად წავიკითხავთ, შევნიშნავთ, რომ პოეტი გამუდმებით მუშაობს, მუშაობს, მუშაობს საკუთარ თავზე და ზემოთ-ზემოთ მიიწევს. ასეთივე აღმასვლას ვხედავთ სოჰრაბ სეფეჰრის შემოქმედებაშიც...

აქვე არც სხვა ტიპის მწერლები უნდა დაგვაგინდეს. მწერლები, რომლებიც რაღაც, გარკვეული ზემო ზღვიდან იწყებენ, მაგრამ მუდმივად იმავე საფეხურზე რჩებიან. ვხედავთ – მათი პირველი ნიგნი შესანიშნავია, მეორე კიდე უკეთესი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ისინი იქვე დარჩნენ, საიდანაც დაიწყეს...

ჩვენ „თითონიგნიანი მწერლებიც“ გვყავს. მაგალითად, ფათანე ჰაჯიზადე, რომელმაც ერთი რომანი – „ნაბახუსევის განთიადი“ დაწერა და ამის მეტი აღარაფერი შეუქმნია...



**– მაგრამ ეს „ნაბახუსევის განთიადი“ შესანიშნავია...**

– კი, ბატონო, ყაბულსა ვარ, თუმცა მე ამ შემთხვევაში სხვა რამეზე გელაპარაკებით. საქმე ისაა, რომ ჰაჯიზადეს მეტი აღარაფერი დაუნერია. არადა, შეეძლო გავითარებულიყო, თავისი ნიჭისათვის სხვაგვარად მოველო. მაგრამ როგორც ირანელ ქალებს სამწუხაროდ ხშირად ემართებათ, ოჯახური ცხოვრების განამანამ, დიასახლისის მოვალეობებმა გადაიყოლა და გასაქანი აღარ მისცა, მწერლური ტალანტისათვის მიეხედა.

თანამედროვე ირანული სალიტერატურო პროცესების მეორე დიდი პრობლემა კარგი კრიტიკოსის არარსებობაა, კრიტიკოსისა, რომელიც შეიძლება მწერალს საიმედო მეგზურად მოვლენოდა.

ჩემს ნაწერებს, მაგალითად, კრიტიკა გამუდმებით აქებდა, მაგრამ ჩემთვის არც ამ ქებას მოუცია რამე და არც იმას, ზოგჯერ, „ზრდილობის გულისათვის“, თითო-ოროლა მოთხრობაზე რომ უთქვამთ სუსტიაო. რაკილა ესეც კრიტიკა კრიტიკისთვის იყო და არა — საქმის ცოდნიდან წამოსული,

კონკრეტული დეტალებისა და პერიპეტეიების დეტალური გააზრებიდან მიღებული შეფასება. კრიტიკა, თუნდაც ძალზე მწვავე, მიყვარს და ვაფასებ. ოღონდ კი დასაბუთებული იყოს, პროფესიული და ჩემს საქმიანობას რაღაცით წაადგეს.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანია კარგი რედაქტორი, რომლის ნაკლებობასაც დღევანდელ ირანში უმწვავესად განვიცდით და რომლის ფასიც, პირადად, საფრანგეთში გავიგე. ყველა მწერალმა, თუ ის პროფესიონალია, რასაკვირველია, ყველაზე უკეთ იცის, როგორც მწერალმა, სად იზარმაცა, სად რა შეცდომა მოუვიდა, ან ყურადღება სად მოადუნა. ჩემმა ფრანგმა რედაქტორმა ამგვარ იაღლიშებს უცდომლად მიაგნო და სათუთად, ფრთხილად და მაღალპროფესიულად გაასწორა. ირანში კი, სრულიად საპირისპირო ამბავი ხდება. ჯერ რედაქტორი არ არის, ხოლო თუ სასწაული მოხდა და ამ საქმის მცოდნე კაცი გამოჩნდა, რომელიც ავტორს ნაკლებ მიუთითებს და ტექსტის ამა თუ იმ ადგილის გასწორებას შესთავაზებს,

„ჩემს ნაწერებს კრიტიკა გამუდმებით აქებდა, მაგრამ ჩემთვის არც ამ ქებას მოუცია რამე და არც იმას, ზოგჯერ, „ზრდილობის გულისათვის“, თითო-ოროლა მოთხრობაზე რომ უთქვამთ სუსტიაო. რაკილა ესეც კრიტიკა კრიტიკისთვის იყო.“

მწერალი მის აზრს ყურს მაინც არ ათხოვებს, ზემოდან ყურებას დაუნყებს და ეტყვის: შენ საიდანღა გამომიტყვერი? ნადი, შენს თავს და საქმეს მიხედეო...

**– თქვენი საუბრებისას ადამიანს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩენოდა, რომ ფემინისტი და, უფრო მეტიც, მამაკაცთა მოძულე ბრძანდებით. ნუთუ ჩვენს ცხოვრებაში ერთი მამაკაცი მაინც არ გამოჩენილა, რომელიც კაცთა მოდგმაზე აზრს შეგაცვლევინებდათ და მათ მიმართ სიმპათიით განგანყობდათ?**

– მგონი, უბრალოდ, არასწორად გამიგეთ. მე გუშინ ირანელი მწერალი ქალების მდგომარეობაზე ვსაუბრობდი, რომელიც ჩემი, პირადი მდგომარეობისა და ყოფისაგან რადიკალურად განსხვავდება. მე თვითონ ირანელი კაცისათვის სასაყვედურო არაფერი მაქვს და ისედაც, როგორ შემიძლია ვთქვა, რომ ისინი ცუდები არიან, როცა თვითონ შესანიშნავი

ირანელი კაცის დედა ვარ. ჩემი განსვენებული მეუღლეც – ხელოვანი, კარგი რეჟისორი იყო. ისიც მუდმივად მათამამებდა და ჩემს საქმეში არც ჩემი ცხოვრების სხვა მამაკაცები ჩარეულან, არ უცდიათ ჩემთვის თავიანთი აზრი და ნება მოეხვიათ. შეიძლება იმის გამოც, რომ თვითონაც მუდამ ვცდილობდი, დამოუკიდებელი ვყოფილიყავი და პიროვნულ თავისუფლებას ვერაფერში გავცვლიდი. საერთოდ, ჩემთვის ცხოვრებაში ორი რამ იყო და არის მთავარი: შვილები და საქმე. მე ვერასოდეს შევძელი, შვილების მიმართ ყურადღება მომედუნებინა და ამიტომაც, თითქმის ათი წელი, წერაზე საერთოდ ხელი მქონდა აღებული...

**– მაპატიეთ, ესე იგი, სიყვარული თქვენთვის მნიშვნელოვანი არასდროს ყოფილა?**

„მე ვნახე, რა უქნეს ფორუჟ ფაროხზადს – ქალს, რომელმაც გაბადა ყოფილიყო მართლა თავისუფალი; როგორ აწამებდნენ, როგორ ავიწროვებდნენ, რას ალარ ამბობდნენ ზურგსუკან მის შესახებ... ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქალებს, ბრძოლის მეტი, სხვა აღარა დარჩენიათ და ამ პატრიარქალურ, მუსლიმურ ქვეყანაში ქალები მართლაც იბრძვიან ისე, როგორც შეუძლიათ... მაგრამ მე არც ის გრძნობა მაქვს, რაც თქვენ ბრძანეთ და არც ბრძოლისათვის საჭირო გაღიზიანება მახასიათებს; შეიძლება იმიტომ, რომ 15 წლის ასაკიდან უცხოეთში ვცხოვრობ და ჩემი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი იმ ქვეყანაში გავატარე, სადაც პატრიარქალური განწყობილებები არცთუ ისე მწვავედ იგრძნობოდა... თანაც მე თვითონ ძალიან კულტურულ ოჯახში დავიბადე. ამ ოჯახში ქალს მომეტებულად უფრთხილდებოდნენ და აფასებდნენ. დედაჩემი კი, ჩვენი ოჯახის სული და გული იყო...“

– სიყვარული ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ შვილების სიყვარული და მათი აღზრდის პასუხისმგებლობა უმთავრესი გახლდათ. ამის გამო, ერთი წამითაც კი არ შემეძლო იმის დაშვება, რომ ჩემს ცხოვრებაში გამოჩენილიყო მამაკაცი, რომელიც ჩემს შვილებს ზემოდან ყურებს, მბრძანებლობას დაუწყებდა. ეს გამორიცხულია. მე ფეთიანი, შვილებზე კრუხივით გადაფოფრილი დედა ვარ. ეს ალბათ იმანაც გამოიწვია, რომ ბავშვები უმამოდ დაეზარდე, ორ უსუსურ ბავშვთან ერთად ცხოვრება კი, უცხოეთში სრულიად მარტოს მომიწია...

რაც შეეხება ჩემს გუშინდელ ლექციას, მე უბრალოდ მინდოდა იმ ვითარებაზე მელაპარაკა, რასაც დღეს ქალთან დაკავშირებით ირანში ვხედავთ. თორემ თვითონ ფემინისტი სულაც არა ვარ. გუშინ ჩემი პირით ირანელი ახალგაზრდა მწერალი ქალები მეტყველებდნენ, რადგან ჩვენი სამშობლო პატრიარქალური ქვეყანაა და ძალიან დიდი, დიდი ხნის მან-

ძილზე, მამაკაცი მწერლები ქალ მწერლებს აინუნშიაც კი არ აგდებდნენ, ყურადღების ღირსადაც არა თვლიდნენ. თუმცა როგორ არა! – ქალბატონი სიმინ დანეშვარი, რომელიც მწერალ ჯალალ აღ აჰმადის მეუღლე იყო, მუდამ საყოველთაო მონივნებითა და პატივისცემით გახლდათ გარემოსილი. მაგრამ მე ვნახე, რა უქნეს ფორუჟ ფაროხზადს – ქალს, რომელმაც გაბედა ყოფილიყო მართლა თავისუფალი; როგორ აწამებდნენ, როგორ ავიწროვებდნენ, რას ალარ ამბობდნენ ზურგსუკან მის შესახებ... ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქალებს, ბრძოლის მეტი, სხვა აღარა დარჩენიათ და ამ პატრიარქალურ, მუსლიმურ ქვეყანაში ქალები მართლაც იბრძვიან ისე, როგორც შეუძლიათ... მაგრამ მე არც ის გრძნობა მაქვს, რაც თქვენ ბრძანეთ და არც ბრძოლისათვის საჭირო გაღიზიანება მახასიათებს; შეიძლება იმიტომ, რომ 15 წლის ასაკიდან უცხოეთში ვცხოვრობ და ჩემი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი იმ ქვეყანაში გავატარე, სადაც პატრიარქალური განწყობილებები არცთუ ისე მწვავედ იგრძნობოდა... თანაც მე თვითონ ძალიან კულტურულ ოჯახში დავიბადე. ამ ოჯახში ქალს მომეტებულად უფრთხილდებოდნენ და აფასებდნენ. დედაჩემი კი, ჩვენი ოჯახის სული და გული იყო...

**– საერთოდ, ჩემი შთაბეჭდილებით, ირანული ოჯახის უფროსი ქალია...**

– ნამდვილად ასეა. მაგრამ მე სხვა სოციალური ფენისა და მდგომარეობის ქალთა შესახებ მოგახსენებდით. დღევანდელ ირანელ მწერალ ქალთა უმეტესობა საშუალო ფენას ეკუთვნის და მათი ნაწერებიდან შესანიშნავად ჩანს, როგორ ზენოლას განიცდიან ისინი კაცების მხრიდან. მათ მოთხრობებში ჩანს, როგორი დაღლილები არიან ისინი, როგორ იტანჯებიან და როგორ გულსაკლავად ჩივიან ცხოვრებაზე... წერასაც ხომ ხშირად იმის გამო იწყებენ, რომ ამით კაცებს თავიანთი უპირატესობა დაუმტკიცონ. მათ ერთგვარი საპროტესტო მოძრაობა შექმნეს და ცდილობენ, ქალთა ჩაგვრის წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით გაილაშქრონ...

ასე რომ, მე ჩემს თავსა და მდგომარეობაზე არ მისაუბრია...

**– მაშინ მოდით, ახლა ცოტა ხანს თქვენზეც ვისაუბროთ. თქვენი წიგნების მკითხველი, შეუძლებელია, იმ გარემოს მიმართ, სადაც იზრდებოდით, პატივისცემითა და სითბოთი არ განიმსჭვალოს. იმ ეპიზოდების გარდა, რამაც თავი თქვენს ორ წიგნში – „გაბნეულ მოგონებებსა“ და „ორ სამყაროში“ მოიყარა, კიდევ ხომ არ დაგრჩათ რამე მოგონება, რაზეც არ დაგინერიათ და რის შესახებაც ახლა მოგვიყვებით?**

– ადრეც მითქვამს, რომ იმხანად, როცა ხსენებული ორი წიგნის წერა წამოვიწყე, ეს საქმე ჩემთვის ფსიქოანალიზის ერთგვარი, უფრო უკეთ რომ გითხრათ, ერთადერთი სახეობა იყო, რომლის მეშვეობითაც მოძალებული ავადმყოფობისაგან განკურნება მსურდა და ამიტომაც ბავშვობის მოგონებათა გულწრფელ გახსენებას თერაპიის როლი უნდა ეთამაშა. ამდენად, მგონი, რაც მახსოვდა, ყველაფერი და-



ვნერე. ერთადერთი, რაც სპარსულ გამოცემაში არა, მაგრამ ნიგნის ინგლისურ და ფრანგულ თარგმანში შევიტანე, ჩემი დის სიკვდილის ამბავია. ხუთი წლის რომ ვიყავი, ცამეტი წლის და გარდამეცვალა. დედაჩემი ამას ძალიან განიცდიდა. როცა ნიგნს ვნერდი, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ვიცოდი, დედა ჩემს ნიგნს უსათუოდ ნაიკითხავდა და, ამდენად, ჩემი დის სიკვდილს – ეგებ ყველაზე მნიშვნელოვან ამბავს – თავი შეგნებულად ავარიდე, რომ ისედაც გატანჯული დედისათვის ამით ზედმეტი ტანჯვა აღარ მიმეყენებინა.

ასევე მძიმე იყო მამაჩემის სიკვდილის შესახებ წერა. ამიტომაც „გაბნეულ მოგონებებში“ ამის შესახებ მოკლედ და ნაჩქარევად მოვყევი. თუმცა ხელაჩქარებული ნაწერი, ადამიანი რომ თავიდან უცებ მოიცილებს, არ მიყვარს და ამის გამო ხსენებულ პასაჟებს შემდგომ ნიგნში – „ორ სამყაროში“ მიუჭრებუნდი...

– **საინტერესოა, რომ თქვენს მოთხრობებში ეგზისტენციალურ პრობლემებს ეხებით, სიკვდილზე წერას კი, ამა თუ იმ მიზეზით, თავს არიდებთ...**

– რაც ზემოთ მოგახსენეთ, ის, შეიძლება ითქვას, გამონაკლისია. ჩემთვის ძალიან მტკივნეული ამბები, რომელთა აღსაწერადაც საკუთარ თავში ძალას ვერ ვპოულობდი. თორემ ისე, თითქმის ყველა ჩემს მოთხრობაში სიკვდილის თემას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თემას ვეხები. მაგალითად, თუ გახსოვთ, იმავე „გაბნეულ მოგონებებში“ დედისძმაზე ვწერ, რომელსაც ჭლექი სჭირდა, ზემო სართულზე ცალკე ოთახში ეწვინათ და უვლიდნენ. ბავშვებს ამ ოთახში შესვლას გვიკრძალავდნენ. მე კი ერთხელ, ერთ-ერთი ჩვენის ქორწილისას, უფროსების უყურადღებობით ვისარგებლე, ზემოთ ავიპარე და უჩუმრად ბიძის ოთახში შევედი. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა სიკვდილთან, რადგან ზემოთ ბიძა თვალდახუჭული იწვა და კვდებოდა (მე მეგონა, უკვე მკვდარია-მეთქი), ქვემოთ კი ქორწილი და ლხინი იყო გაჩაღებული. ამით ისე დავითრგუნე და მთელი გულ-მუცელი ისე ამომიბრუნდა, რომ ქვემოთ როცა ჩამოვბრუნდი, ჩვენებმა იფიქრეს, ავადააო. სასწრაფოდ დამანვინეს და წამალ-შარბათები მომაშველეს.

საერთოდ, როცა ამ მოგონებებს ვწერდი, ჩემი მიზანი მოგონებათა უბრალო ქრონოლოგიური აღწერა არ ყოფილა. მე ყველა მნიშვნელოვან მოგონებას ცალკე მოთხრობა მიუძღვნენ და თითოეულ მოთხრობაში, თქვენი თქმისა არ იყოს, ამა თუ იმ ეგზისტენციალურ პრობლემას შევეხე.

ეს მოთხრობები პატარა გოგონას ზრდის ამბავია, მისი ცხოვრებისეული გამოცდილებები, რომელთაგან ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ სიკვდილთან მისი შეხების გამოცდილებაა. ასევეა „დიდების ამბავშიც“. გახსოვთ ალბათ, დიდება რომ ამბობს: ეს საათი ჩვენამდე 150 წელიწადი აქ იყო და ასევე იქნება მას შემდეგ დიდი ხნის მერეც, რაც ჩვენ თვითონ აღარ ვიქნებითო. ეს არის მინიშნება დროისა და სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთკავშირზე.

ასეთივე რამ ხდება „მამაჩემის ამბავშიც“. მამის სიკვდილმა ფეხქვეშ თითქოს ნიადაგი გამომაცალა. წარმოიდგინეთ ჯან-ღონით სავსე, ვეებერთელა კაცი, რომელიც თავისთავზე ამბობდა: ფოლადისა ვარ, ფოლადს კი ჟანგი არ ეკიდება და სიკვდილი ვერაფერს დამაკლებსო, ერთ მშვენიერ დღეს უზარმაზარი ხესავით წამოიქცა და ამით ჩვენი ტრადიციული ოჯახის – თეირანის ჩრდილოეთით შემირანის უბანში მდებარე სახლის არსებობასაც, ფაქტობრივად, წერტილი დაესვა.

მას შემდეგ დიდმა ხანმა გაიარა, იმ პატარა გოგონამ უამრავი ახლობელი თუ მეგობარი დაკარგა, სიკვდილის გაშინაურება, მის შესახებ ჩვეულებრივი, მშვიდი საუბარი კი ვერაფრით მოახერხა...

– **რაკი წელან გარდაცვლილი მეგობრები ახსენთ, არ შემოიძლია XX საუკუნის სპარსული ლიტერატურის ორი კლასიკოსის**

„**ჩამოვჯექი და სოცა სული რომ მოვიტყვი, კაფეში მჯდარი ერთი მოხუსტი ქალი შევახრნი. ყურთან რადიოლა მივლო და თავის ბარჯამო ვერავის ხელავლა. მისთვის მთელი ქვეყანა, მთელი სამყარო ეს პატარა რადიოლა იყო. იჯდა ნაღვლიანი, ეული და თავმოგაზრებული... უცაზ თითქოს ამ ქალში სარკისავით ჩავიხალე და მასში ჩემი მოგონალი შევიხანე...**“

– **ფორუყ ფაროხზადისა და სოჰრბ სეფეჰრის შესახებაც არ შეგეკითხოთ. ორივე ეს პოეტი ქართულად ჩემი თარგმნილია, და ამიტომაც მათზე თითოეული, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიც კი მაინტერესებს...**

– ფორუყიცა და სოჰრბიც სპარსული წელთაღრიცხვით... არა, უმჯობესია, ევროპულით გეტყვი... დაახლოებით 1960-62 წელს ერთდროულად გავიცანი. მაშინ ამერიკიდან ირანში ახალდაბრუნებული, სრულიად ახალგაზრდა ვიყავი. იმხანად ჰაჯირ დარიუშზე – ცნობილ ირანელ რეჟისორზე ვიქორწინე. გამოჩენილმა ირანელმა მწერალმა იბრაჰიმ გოლესთანმა თავისთან, შინ მიგვიპატიჟა. იქ მაშინდელი ირანის ინტელიგენცია შეკრებილიყო და ფორუყიცა და სოჰრბიც მათ შორის აღმოჩნდნენ.

მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და სპარსულადაც, ბუნებრივია, ისე ვერ ვლაპარაკობდი, როგორც იქ, იმ საზოგადოება-



ში მეტყველებდნენ. თავს ძალზე მარტოსულად ვგრძნობდი, ჩემთვის, ერთ კუთხეში მივიყუჩე და კრინტი არ დამიძრავს. უცებ ფორუყ ფაროხზადი მომიახლოვდა და მიჩურჩულა:

ამათი ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი ნუ დაგაფრთხობს. ესენი, ძირითადად, სისულელეებს რატრატებენ და იმას, რასაც ამბობენ, შენი დუმილი ათასგზის სჯობიაო.

ფორუყი მაშინ უკვე ცნობილი პოეტი იყო, მის ლექსებს სულმოუთქმელად ვკითხულობდი და ამ სიტყვებს ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

მერე იყო კაფე „ჩათანოფა“ – იმდროინდელი თეირანის ინტელექტუალთა თავშესაფარი ადგილი, სადაც მაშინდელი მწერლები, მხატვრები, რეჟისორები თუ მსახიობები იკრიბებოდნენ. ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, იმდროინდელი ყავამ ოს-სალთანეს ქუჩაზე მდებარე ეს პატარა კაფე მარტოხელა, ფიქრიან ადამიანთა თავშესაფარიც გახლდათ და შიგნით ისეთი საინტერესო ცხოვრება დუღდა, რომ ეგებ ოდესმე ამ კაფეზე დასაწერადაც მოვიცალო...

ერთხელ, როცა „ჩათანოფაში“ მივედი, ოთახის კიდეში, მაგიდასთან მარტო მჯდომი ფორუყი დავინახე. იმანაც მიცნო და თავის გვერდით მიმიპატიჟა. ჩამოვჯექი და ცოტა სული რომ მოვითქვი, კაფეში მჯდარი ერთი მოხუცი ქალი შევამჩნიე. ყურთან რადიოლა მიედო და თავის გარშემო ვერავის ხედავდა. მისთვის მთელი ქვეყანა, მთელი სამყარო ეს პატა-

რა რადიოლა იყო. იჯდა ნაღვლიანი, ეული და თავმოებზრებული...

უცებ თითქოს ამ ქალში სარკესავით ჩავიხედე და მასში ჩემი მომავალი შევიცანი. ვიფიქრე, ერთ მშვენიერ დღეს მეც ასეთივე მოხუცი და მარტოხელა ვიქნები-მეთქი ამის წარმოდგენამ შემადრწუნა და ჩემი განცდა ფორუყს გაუუმხილე. ფორუყმა მითხრა: გარნმუნებ, ნამდვილი მწერალი ხარ! რასაც ახლა მეუბნები, მშვენიერი ნოველაა, ეგებ ადგე და დანერო კიდევო. მე ვიუარე, რას ამბობ, მწერლობა იმხელა პასუხისმგებლობაა, კალმის ხელში ალებას როგორ გავბედავ-მეთქი?! ფორუყმა დაიჟინა: ერთი სცადე, ნახე, რა კარგი გამოგივალ!

სწორედ ფორუყის დაჟინებითა და ნაქეზებით დავწერე ჩემი პირველი მოთხრობა, რომელსაც სათაურად „პაემანი“ დავარქვი. მერე ეს მოთხრობა მწერალ სამიმ ბაჰარის გავატანე და ჟურნალ „ფიქრსა და ხელოვნებაში“ დამიბეჭდა.

კაფეს გარდა, ყოველ სამშაბათს ერთ კინოთეატრში ვიკრიბებოდი, სადაც მთელი მაშინდელი მწერლები დადიოდნენ. მოთხრობის დაბეჭდვის შემდეგ, იქ მივედი და მალე ფორუყ ფაროხზადიც გამოჩნდა. გადმომძახა: ყოჩაღ, ძალიან კარგი ნოველაა! ხომ გეუბნებოდი, ნამდვილი მწერალი ხარ-მეთქი!


ამის მერე ფორუყს ხშირად, რეგულარულად ვხვდებოდი და ვხედავდი, რომ იგი ზუსტად თავის ლექსებს ჰგავდა – მათსავით გულწრფელი იყო, ღრმა და ემოციური...

სოჭრაბ სეფეჰრისთან კი უფრო დიდი ხნის მეგობრობა გამომივიდა, რადგან ფორუყი ჩვენი ნაცნობობიდან სამი წლის თავზე, ავარიში დაიღუპა. მისი გარდაცვალება ჩემთვის ძალზე დიდი დარტყმა და დანაკლისი იყო. იმასაც კი ვამბობდი: მე ყველაფერს ამ ქალისთვის ვწერდი; იმისათვის, რომ მას ნაეკითხა; ახლა რა ვქნა, ვილასთვის ვწერო-მეთქი?!

სეფეჰრისთან კი დიდი ხნის მანძილზე ვმეგობრობდი. თუ წაგიკითხავთ ჩემი მოთხრობა „ჩემი სულის დიდი ქალბატონი“, იქ რომ პოეტი მყავს, ეს სწორედ სოჭრაბ სეფეჰრი გახლავთ. ერთხელ, ქაშანში სეფეჰრისთან სტუმრად ჩავედი და ეს მოთხრობაც მაშინდელი სტუმრობის შთაბეჭდილებებით დაინერა.

სოჭრაბიც, ფორუყისა არ იყოს, ძალიან ჰგავდა თავის ლექსებს. წარმოგიდგენიათ, ადამიანი რომ მის ლექსებს ნაიკითხავდა, და მერე უცებ ერთი უხეში, უზნეო, მატყუარა ადამიანის პირისპირ აღმოჩენილიყო, რა მოუვიდოდა. მაგრამ სოჭრაბი თავის პოეზიასავით უბრალო და დახვეწილი იყო, ნატიფი, მართალი და გაუსვრელი...

**– გამოგიტყდებით და, სანამ პირადად გაგიცნობდით, ძალიან მეშინოდა; ვაითუ, ისეთი კარგი არ აღმოჩნდეს, როგორც მგონია, როგორსაც მისი ნაწერებიდან ვხედავ-მეთქი. ახლა კი ძალიან მიხარია, რომ გაგიცანით. წარმატებებს გისურვებთ და იცოდეთ: თქვენს ნაწერებს უკვე ქართველი – ძალიან გემოვნებიანი, პრეტენზიული, მაგრამ მოყვარული და კეთილგანწყობილი – მკითხველიც ელოდება...**



# ეზმოტიკური სიახვენი Herbal Essences-ისგან

ახალი



FRUIT  
*fusions*



# გიორგი გვასარია / სრემლიანი სათვალე

კარადა „ლუდოვიკო“ და რუმინული „სტანკა“

თბილისში, აღმასენებლის გამზირზე, დგას შენობა, რომელსაც „აპოლო“ ჰქვია. თუმცა, შიგნით რა ხდება, დღეს არავინ იცის. როგორც ჩანს, არც არაფერი — ცარიელი ნანგრევებია — სიმბოლო, ჩვენი დღევანდელი ყოფის თუ არა, უახლესი წარსულის მაინც.

აი, შორეულ წარსულში კი აქ იყო კინოთეატრი „აპოლო“, რომელსაც კომუნისტებმა „ოქტომბერი“ დაარქვეს. 60-იან წლებში „ოქტომბერი“, კინო „რუსთაველთან“ ერთად, გაარემონტეს და ეგრეთ წოდებულ „ფართოფორმატიან დარბაზად“ გადააკეთეს. „ფართოფორმატიანი“ ფართოეკრანიან კინოთეატრს ნიშნავს, რომელსაც არა ბრტყელი, არამედ მრუდე ეკრანი და, რაც მთავარია, ხმის სტერეოფონური ეფექტი აქვს. 50-იანი წლების მიწურულს, ჰოლივუდში დანერგილი ეს ტექნიკა, მკვეთრად ზღუდავდა ტელევიზიების შესაძლებლობებს, რადგან ფართოფორმატიან ფილმებს სპეციალური კინოპარატი უჩვენებდნენ, რომელიც მცირე ეკრანისთვის ვერ გამოდგებოდა; პატარა კინოთეატრების მფლობელებს კი მისი დამონტაჟება ძალიან ძვირი დაუჯდებოდათ.

10 წლის შემდეგ ასეთი კინოთეატრები საბჭოთა კავშირშიც გაიხსნა. 1969 წელს, კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“, პირველი ფართოფორმატიანი სურათი ყველაზე მომგებიანი ფილმების ავტორს, ნიკოლოზ სანიშვილს დაუკვეთა. მისი „ჩერმენის“ პრემიერაც „რუსთაველსა“ და „ოქტომბერში“ გაიმართა. მაგრამ სანიშვილის ქართულ-ოსური მეგობრობის ამსახველმა „ბოევიკმა“ ეკრანზე დიდხანს ვერ გაძლო. „ოქტომბრის“ ფასადზე ქართული ფილმის აფიშა მოხსნეს და უზარმაზარი სარეკლამო ფარი ჩამოჰკიდეს, რომელიც ორსერიანი ამერიკული მიუზიკლის, „მუსიკის ჰანგების“ პრემიერას იუნყებოდა.

თარიღი კარგად მახსოვს — 1971 წლის სექტემბერი. უკვე მერვე კლასელი, სკოლაში ჩემი ჩანთით წავედი, რომლის დანახვაზეც კამოს ქუჩის ბიჭებს ზუსტად ისეთი რეაქცია ჰქონდათ, როგორც „ლამის შოუსა“ და „ნიკას შოუს“ ჩანერაზე გასაცინებლად მიბრძანებულ პუბლიკას. ძალიან მძიმე იყო ის ჩან-



თა. მასში ფრიადოსანი კომკავშირელისთვის საჭირო ყველა წიგნის გარდა, ნოტების სქელი რგეულიც იდო, რომელიც სკოლის შემდეგ, მუსიკის გაკვეთილზე მჭირდებოდა.

თარიღი კარგად იმიტომ მახსოვს, რომ მუსიკის მასწავლებელს სწორედ მე-8 კლასში ვთხოვე, შეგვესწავლა შუბერტის „ექსპრომტი“, რომელსაც ერთი წლით ადრე ერთი გოგონა სკოლაში უკრავდა. ის გოგონა ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო, და მეგონა, რომ შუბერტის დაკვრა მხოლოდ მე-8 კლასიდან შეიძლებოდა. რაც მთავარია, ის გოგონა სწორედ შუბერტის დაკვრისას შემიყვარდა. ახლა არ ვიცი, ვინ უფრო ამიჩუყა გული - გოგონამ, თუ თავად შუბერტის მუსიკამ... შუბერტისა, რომელმაც მთელი ცხოვრება ხეტიალში გაატარა, რომლის პირადი ცხოვრება იდუმალებით იყო მოცული ისევე, როგორც ის დაავადება, რომელმაც მას „ავე მარია“ დააწერინა და მერე ბოლო მოუღო კიდეც - დაავადება სახელად „syphilis“.

მაშინ შუბერტის შესახებ არაფერი ვიცოდი. უბრალოდ, ერთი წელი ველოდი ამ მე-8 კლასს, ანუ როცა „ექსპრომტს“ შევისწავლიდი, შეყვარებულ გოგონას მივბაძავდი და მოვასმენინებდი, როგორ ვუკრავ მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ყოფით, ყველაზე ინტიმურ საფორტეპიანო პიესას.

ჯერ ჩემს კონცერტზე დავპატიჟე, რომელიც პლენანოვზე, კინო „ოქტომბერთან“ ახლოს, რომე-



ლიდაც კლუბში გაიმართა. დაკვრა რომ დავასრულე, დარბაზისკენ გავიხედე. თავის კლასელებთან ერთად იჯდა. მე-9 კლასელი გოგონები დედაჩემის ასაკის ქალებს ჰგავდნენ. მაგრამ ამან სულაც არ შემაშინა. პირიქით. კონცერტის დამთავრებისთანავე, პარტერში ჩავედი და გაბედულად განვაცხადე: „გოგოებო, „მუსიკის ჰანგებზე“ გპატიჟებთ. აქვე გადის — „ოქტომბერში“.

კინოდარბაზამდე რამდენიმე მეტრი უნდა გავგველო. თუმცა ეს მანძილი სრულიად საკმარისი იყო, რომ მუსიკაზე გვესაუბრა. ჯერ მითხრა, შუბერტი „სახლის მუსიკას“ უკრავს, შენ კი მეტისმეტად პათეტიკური იყავიო (ალბათ ვერ იგრძნო, რომ „ექსპრომტი“ მას მივუძღვენი), მერე კი ამ უცნაურ კომპოზიტორზე მიაბო - „სვეცკი საზოგადოება“ სძულდა და მთელ დროს მარტოობაში ატარებდაო, მშიერი წერდა, რადგან ჰონორარი მხოლოდ სანოტო ქალაქის ყიდვაზე ყოფნიდაო. ამას რომ ამბობდა, რატომღაც მის თვალებსა და ტუჩებს ვაკვირდებოდი. საინტერესო იყო, როგორ უკეთებდა თვალი აკომპანემენტს ტუჩებს. პაუზის დროს, როცა შუბერტის გამონათქვამებს იხსენებდა („რატომ უნდა იყოს მხატვარი საცოდავი ვაჭრის მონა“ და ა.შ.), ცხვირს ათამაშებდა; აი, წარბი რომ უთამაშებთ, ისე. დიდი ცხვირი ჰქონდა, კეხიანი და თანაც წვეტიანი. მგონი ამ პატარა მანძილმა, „ბავშვთა შემოქმედებითი აღზრდის ცენტრიდან“ კინოთეატრ „ოქტომბრამდე“ შემაყვარა დიდცხვირიანი ქალები, და შემადულა ყველა, ვისაც ცხვირის ოპერაცია აქვს გაკეთებული. ცხვირნაოპერაციებ ქალებს უმალ ვცნობ და გაცნობისთანავე, მათ მიმართ დისტანცია მიჩნდება. ყველა ერთნაირი მგონია.

სხვათა შორის, მისი დაქალებიც ბარაქიანი ცხვირებით გამოირჩეოდნენ. თუმცა ერთმანეთს არ ჰგავდნენ. დროდადრო, შუბერტის შესახებ ისინიც გამოთქვამდნენ აზრებს. „ოქტომბერს“ რომ მივუახლოვდით, მკითხეს, კომკავშირის მდივანი მართლა ხდებო? კი-მეთქი. იმ დროს ასეთ პოსტს დიდ გამარჯვებად მივიჩნევდი. მერე „არტეკზე“ მკითხეს. ელიტური ბანაკიდან ახალი ჩამოსული ვიყავი და სულ იმას ვუყვებოდი ყველას, როგორ მცემა ერთმა იაკუტელმა (თუ „იაკუტიელმა“) ბიჭმა არტეკში, როცა მითხრა, კბილის ჯაგრის ხომ არ მათხოვებო. მე კი ახსნა დავუწყე, რას ნიშნავს კბილის გახეხვა და რა არის ჯაგრისი. მერე არტეკის „იზოლატორში“ ვინექი — ეს იყო პირველი საავადმყოფო ჩემს ცხოვრებაში.

ქალებს ძალიან მოეწონათ ეს ამბავი. „იტირეო?“ — მკითხა ერთმა, ყველაზე დიდი ცხვირი რომელ-



საც ჰქონდა. არა, შევაგინე-მეთქი. ეგრე იცით ბიჭებმა, გინებას იწყებთ ტირილის მაგივრადო. „ჩემმა“ სხვა კითხვა დამისვა — გეტკინაო?

ეს კითხვა უფრო პოეტურად ჟღერდა. ახლა მთავარი იყო, კინოში ჩემს გვერდით დამჯდარიყო. ვიე-შმაკე. ვითომ მოლარემ ორი ბილეთი ცალკე მომცა. „ოქტომბერში“ რომ შევედით, ქალებს ბილეთები გავუწოდე. ჩემი „შუბერტოვნა“ კი გვერდზე მოვისვია.


როგორც კი ფილმი დაიწყო, მივხვდი, როგორ მაღიზიანებდა სიბნელე დარბაზში. „ჩემი ქალი“ ფილმს კომენტარებს უკეთებდა. მე კი ვერ ვხედავდი მისი თვალებისა და ტუჩების მშვენიერ აკორდებს, ვერ ვხედავდი, როგორ აცმაცუნებდა თავის მშვენიერ ცხვირს. მაგრამ ყველაზე საწყლად მაინც მაშინ ვიგრძენი თავი, როცა გაირკვა, რომ „მუსიკის ჰანგები“ მიუზიკლი იყო. სიმღერებს კი იმხანად კომუნისტები ჯერ კიდევ არ ახმოვანებდნენ. სუბტიტრებს ადებდნენ. მე კი მაინტერესებდა, რაზე მღეროდნენ მარია და კაპიტან ფონ ტრაპის შვილები, რაზე მღეროდა მონასტრიდან (თუ სამოთხიდან?) გამოძევებული ეს ფიფქია, თავისი შვიდი ჯუჯვით.

ასე მიიპყრო ეკრანმა ნელ-ნელა ყურადღება და მეც „შუბერტოვნას ცხვირიდან“ რობერტ უაიზის მიუზიკლზე გადავერთე.

ქალები ლაქლაქებდნენ. ფონ ტრაპის ბავშვები დაინანილეს. ერთმა ისიც თქვა, კინოს ყურებისას ყველაზე მეტად რომ მეზიზღება, უი, ეს გოგო ქართველიშვილს არა ჰგავსო. ეს „ქართველიშვილი“, ეტყობა, მათი კლასელი იყო. პატარაზე ამბობდნენ, „ვაი, რა საყვარელიაო“... ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ როცა ჩემმა „შუბერტოვნამ“ ხმამაღლა განაცხადა, რა ბანალური მუსიკაა, რა უბედურებაა ეს „დო“, „რე“, „მი“-ო, ხასიათი სულ წამიხდა... არა იმიტომ, რომ ჩემს შეყვარებულზე გავბრაზდი... არა, გავბრაზდი საკუთარ თავზე. ეტყობა მაგარი გოიმი ვარ, ეს კინო რომ მომეწონა-მეთქი, ვფიქრობდი. მივხვდი, რომ რადიკალური ქმედება იყო საჭირო. იმ სცენაზე, უკვე შეხმატკბილებული მარია და გადამდგარი კაპიტანი ფონ ტრაპი „ედელვაისს“ რომ მღერიან, დავიკვილე: „რა ბანალური ფილმია, მართლა რა უბედურებაა ეს. მით უმეტეს, შუბერტის მერე, ნავედით რა, აქედან!“

„შუბერტოვნა“ კმაყოფილი იყო. როგორი დახვეწილი გემოვნება გაქვსო, მითხრა და თავისი ქალები აყარა. „ოქტომბერი“ ხმაურით დავტოვეთ. ბედნიერებისგან მთელი ღამე არ მეძინა - დახვეწილი გემოვნება მაქვს!

იმ ღამეს კამოზე, ბებიაჩემთან და ბაბუაჩემთან დავრჩი. ჩვენ მაშინ პავლოვზე ვცხოვრობდით — მე, მამაჩემი, დედაჩემი და ჩემი ძმა. ბებიასთან და ბაბუასთან ოთხშაბათობით და შაბათ-კვირას ვრჩებოდი ხოლმე. ეს ფრაზა „დახვეწილი გემოვნება“ და კიდევ ერთი: „интеллигентный человек“ ხშირად



მესმოდა ამ სახლში, ამ უზარმაზარ სახლში, სადაც მხოლოდ ორნი, პროფესორი გოგი გვახარია და მისი ლამაზი მეუღლე, ვერა კოზლოვსკაია-ციციშვილი ცხოვრობდნენ.

ისინი, ძირითადად, რუსულად ლაპარაკობდნენ. არტეკიდან რომ დავბრუნდი, ბებიაჩემი კმაყოფილი იყო, რა კარგად გისწავლია რუსულიო. თუმცა, ქართულისა და რუსულის გარდა, „კამოზე“ კიდევ ერთი ენა უღერდა — გერმანული. დედაჩემი მიყვებოდა, მაგ სახლში როცა მოვხვდი, ბებიაშენთან, გერმანულის სპეციალისტთან, დაქალები რომ მოდიოდნენ და არ უნდოდათ გამეგო, რაზე ლაპარაკობდნენ, გერმანულად იწყებდნენო საუბარს. ხანდახან ბაბუაჩემსაც რუსულ-გერმანულით ელაპარაკებოდა... ერთხელ, ჭამის დროს, შენიშვნა მომცა, ჩანგალი მარცხენა ხელში უნდა გეჭიროსო, მერე კი ბაბუაჩემს მიუბრუნდა და დაამატა: „Хихо, вроде Mutter“. მე-8 კლასელი ბიჭი, რომელსაც მსგავსი სიტყვა განუწყვეტლივ ესმოდა იმ ბიჭებისგან, მისი ჩანთის დანახვაზე რომ იცინოდნენ, რა თქმა უნდა, დაინტერესდა, რას ნიშნავდა „Mutter“ ქართულად. ჯერ ცრემლისგან დავიცალე. მერე კი, გონს რომ მოვედი, გადავწყვიტე, დამემტკიცებინა მისთვის, რომ მაგრად ცდებოდა.

„მინდა ჩემი საუკეთესო მეგობარი გაგაცნოთ“, – ვუთხარი ერთხელ და კლასელი მივუყვანე, რომელსაც, პირობითად, იოანე შეგვიძლია დავარქვათ.

იოანე სოფლიდან ახალი ჩამოსული იყო. თავდაპირველად კლასში მაგრად დასცინეს მისი მეტისმეტად რბილი „ლ“-ს გამო. იმაზეც იცინეს, რომ ეგრეთ წოდებული „თბილისის ფორმა“ ეცვა. იმ დროს სკოლაში ყველა ერთნაირ ფორმას იცვამდა. თუმცა მოსკოვში შეკერილი ფორმა ხარისხითაც და დიზაინითაც განსხვავდებოდა. „მოსკოვური ფორმა“, როგორც წესი, მდიდარი ოჯახის ბავშვებს გვეცვა. ცოტა ხანში, თბილისის ატელიეებშიც



დაიწყეს მოსკოვური სასკოლო ფორმის კერვა, თუმცა რუსულ ხარისხს ვერ მიაღწიეს... რაც შეეხება თბილისის სამკერვალო ფაბრიკაში შეკერილ ფორმას (სხვათა შორის, მამაჩემი ერთ-ერთი ასეთი ფაბრიკის დირექტორი იყო) — მსგავსი ფორმა მხოლოდ ღარიბებს ეცვათ. თუმცა, იოანეს ეტყობოდა, რომ მაინცდამაინც არ ანალვლებდა ეს ამბავი.

გარდამავალი ასაკი იოანემ ჩვენზე ადრე გაიარა. კლასში პირველმა დაიწყო წვერის გაპარსვა. ერთხელ, ფიზკულტურის გასახდელში, შარვლის გახდის დროს რაღაც დაუვარდა, მაგრამ ვერ დაინახა. დავიხარე. ჩემი ყურადღება ჯერ მისი შიშველი ტერფის დიდმა ზომამ მიიპყრო, მერე კი, როცა წამოვდექი, შევამჩნიე, რომ თმები ჰქონდა ერთ ადგილას. ბიჭებს მოვუყევი. სთხოვეს, გვაჩვენეო. იმას შერცხვა, მაგრამ უარს როგორ იტყოდა. ამ ბუნუნებმა ჩვენი „Хихо“ კლასში „კაროლი“ გახადა.

როცა იოანე კამოზე, ბებიაჩემს მივუყვანე, დარწმუნებული ვიყავი, რომ ისიც დააფასებდა ჩვენს მაჩოს. 1971 წლის სექტემბერში ვერა 58 წლის ლამაზი ქალი იყო (ასე ითვლებოდა, ყოველ შემთხვევაში). მეგონა, მოიხიბლებოდა სოფლელი ბიჭის სილამაზით და აღარასდროს იტყოდა სიტყვას „Хихо“. მაგრამ მწარედ შევცდი. რაღაცაზე დაუნყო რუსულად ლაპარაკი. იმან კი გაკვირვებული სახე მიიღო. მერე ტუალეტში შევიდა. ბებიაჩემმა დრო იხელთა და თავისი საყვარელი ფრაზა მესროლა „Он – интеллигентный мальчик?“ ხუთოსანია-მეთქი (მართლა ხუთოსანი იყო). რანაირად არის ხუთოსანი, რუსული არ იცისო. პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი - იოანე დაბნეული შემოვიდა. ბებუაჩემის ოთახში



გავიყვანე, სადაც ფირფიტების მართლაც რომ უნიკალური კოლექცია მეგულებოდა და ვკითხე, რა გინდა მოგასმენინო-მეთქი. გოგია პაპას (ასე ვეძახდი) კატალოგი ჰქონდა შედგენილი, უზარმაზარ კარადაში ჩაწყობილი ფირფიტები რომ ადვილად მოეძებნა. „ავტორები“ - ცალკე, „შემსრულებლები“ - ცალკე. იგი ცნობილი გეოლოგი იყო. ბევრს მოგზაურობდა და მივლინებებიდან სულ ფირფიტები ჩამოჰქონდა.

ეს ოთახი სამოთხე იყო ჩემთვის. მგონი ბროდსკის ჰქონდა ასე - „ბავშვობა, როგორც ფირფიტების მალაზია“. დავუმატებდი: „ბავშვობა, როგორც ფირფიტების კატალოგი“, ე.ი. დროში, ფირფიტების ყდებსა და, რა თქმა უნდა, აკორდებში მოგზაურობის საშუალება.

კატალოგის ხიბლი კიდევ ისაა, რომ აქ მოხსნილია სტილის დაცვის აუცილებლობა. ყველაფერი შეგიძლია ჩაყარო და მერე აირჩიო, სურვილისა და განწყობილების მიხედვით. კატალოგი არ ცნობს „მაღალ“ და „მდაბალ“ ხელოვნებას. კატალოგში ყველაფრისთვის გამოინახება ადგილი.

გოგია პაპას კატალოგებში რას არ გადაეყრებოდა კაცი - რიჰარდ შტრაუსის „სალომეს“, მაგალითად, „მშვიდობიანად“ ცვლიდა იოჰან შტრაუსის ვალსები და შეგეძლო, ერთიც მოგესმინა და მეორეც.

იოანეს კატალოგი ვუჩვენე. დიდხანს იქეჯა და ბოლოს, განყოფილებაში „შემსრულებლები“ რობერტინო ლორეტის სიმღერები აირჩია. მე, რა თქმა უნდა, „ავე მარია“ დავუდე. მერე კი ვკითხე, „გინდა, ნამდვილი „ავე მარია“ მოგასმენინო?“. შუბერტი მოვასმენინე. მერე ბახი, განსხვავება რომ დაენახა. დიდი ხნის მერე, როცა პირველად ვნახე „ოჯახის პორტრეტი ინტერიერში“, სადაც ასეთივე ოთახში ჩაკეტილი ბერტ ლანკასტერი ჰელმუტ ბერგერს მუსიკის ისტორიაში ყველაზე ლამაზ არიას, მოცარტის „Vorrei spiegarvi, oh Dio!“ ასმენინებს, ეს სურათი გამახსენდა. ვხედავდი, რომ ეს ბიჭი მუსიკამ ჩაითრია და ჩემს მიზანს ნელ-ნელა ვალწევდი. მხოლოდ ის მინდოდა, რომ ბებიჩემი შემოსულიყო ოთახში და დაენახა, როგორი შთაგონებით უსმენდა იოანე კლასიკურ მუსიკას.

შემოვიდა. ჯერ მკაცრად მითხრა, ცოტა ჩაუნჩეთო. მერე კი იოანეს ფეხსაცმელს მიაშტერდა და მანიშნა. ღმერთო




ჩემო, ეს რა დავინახე! იოანეს ფეხსაცმლის ზონარი დაეჭიმა და წინდებში ჩაეტანა! ბებიჩემმა იცოდა, როგორ მეზიზღებოდა ეს სურათი.

მას მერე, იოანეს მიმართ გულგრილი გავხდი. მხოლოდ იმ ბიჭებთან ვმეგობრობდი, რომელთაც „მოსკოვის ფორმები“ ეცვათ. შუბერტსა და ბახს არ უსმენდნენ, მაგრამ შეეძლოთ დეტალებში განეხილათ „Stairway To Heaven“. ერთხელ გავბედე და საყვარელი Led Zeppelin ბაბუჩაჩემსაც მოვასმენინე. ყურადღებით მოკალათდა თავის სავარძელში, ტრადიციულად, საფერფლე და სიგარეტი მომთხოვა (ფილტრიანი სიგარეტი საქართველოში ახლადგამოსული იყო) და ის-ის იყო მოსმენა დაიწყო, რომ ვერა შემოვიდა და ბრძანა, ჩაუნჩეთო. გავბრაზდი და გამოვრთე, ვის გაუგია „Stairway To Heaven“ დაბალ ხმაზე!

ბებიჩემს მუსიკა დიდად არ ეხატებოდა გულზე. როცა გოგია პაპა საოჯახო კონცერტებს აწყობდა (სხვათა შორის, კარგად უკრავდა) და მეგობრებს პატიუებდა, დიასახლისი ზრდილობიანად უდიმოდა ყველას და ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა კონცერტი და მაგიდას მიუხსდებოდნენ.







მოგვიანებით, როცა ვისკონტის ფანი გავხდი, ეს რიტუალი ხშირად მახსენდებოდა. კამოზეც ხომ მთელი თავადაზნაურობა იყრიდა თავს — ბებიაჩემის მხრიდან ციციშვილები, გედევანიშვილები, ბაბუაჩემის მხრიდან — ამირეჯიბები, მაჩაბლები. სუფრის თავში ვერას ღვიძლი ბიძაშვილი, თამარ ციციშვილი იჯდა — „თავადის ქალი დარიკო“. ენებს ერთმანეთში ურევდნენ, როგორც ტოლსტოის რომანებში. კომუნისტებზე ქილიკობდნენ, მუჟანაძის ცოლს ჭორავდნენ და მილიციის ახალი შეფის, შვევარდნაძის საგმირო საქმეებს განიხილავდნენ. შედარებით „გლობალური“ დისკუსიაც მახსოვს - „ჩინურ საფრთხეზე“ (1969 წელს საბჭოთა-ჩინურ საზღვარზე სისხლი დაიღვარა), ებრაელების ემიგრაციაზე, სოლჟენიცინისთვის ნობელის პრემიის გადაცემაზე, ჩეხოსლოვაკიაზე. პრალაში საბჭოთა ტანკების შესვლის თემა მეც გამომაცოცხლებდა ხოლმე.

1968 წლის ზაფხულში ვერამ და გოგიმ მოსკოვში გამასიერნეს. ბაბუაჩემი სასტუმროში „ამერიკის ხმას“ უსმენდა და ერთსა და იმავე სიტყვას ამბობდა: «Сволочи, сволочи». მაგრამ კამოზე, მაგიდასთან, თავისი ნათესავების თვალწინ, იგი ასეთი გულახდილი არ იყო. ეტყობა, მაინც არ ენდობოდნენ ერთმანეთს. მერე ბებიაჩემი მთხოვდა, დაუკარიო. მეც გატაცებით, პათეტიკურად ვუკრავდი ჩემი შუბერტის „ექსპრომტს“ და თავადაზნაურებისგან კომპლიმენტებს ვიღებდი: „какой талантливый мальчик!“

მაგრამ ვერას მუსიკა არ უყვარდა. ის კინოზე გიჟდებოდა. კვირაში ერთხელ, ჩვენ აუცილებლად უნდა ჩაგვეტარებინა ერთი რიტუალი — კინოში წავსულიყავით, მერე, ფილმიდან გამოსულვებს, ცხელი ქართული პური გვეყიდა, რომელსაც ვორონცოვზე აცხობდნენ და მტკვრის სანაპიროზე გაგვესიერნა — ფილმზე გველაპარაკა.

მტკვარი, რომელსაც ბავშვობიდან შევცქერო, იმ ნილოსს არ ჰგავდა, რომელშიც ფარაონმა ებრაელი ჩვილები დაახრჩობინა. ვერას მიერ ნამბობმა ამ ბიბლიურმა ისტორიამ ჩემზე განსაკუთრებით იმოქმედა. შეიძლება ისევე 1968 წლის ზაფხული გამახსენა, როცა მოსკოვში, მალაზიაში, ვერას უხეზად უპასუხეს. ის კი მოტრიალდა და რატომღაც მე, 11 წლის ბავშვს, მითხრა: „Чёрт, как я похожа на еврейку!“. მაშინ პირველად გავიგე ის სიტყვა, რომელიც მომავალში ჩემთვის ადამიანის შესაფასებელ ტესტად იქცა. ებრაელების აუგად მოხსენიება და შეთქმულების იდიოტური თეორიები - წინდებში ჩატანებული ზონრის ტოლფასი გახდა.

კინორეპერტუარს მე ვადგენდი. ვნახეთ ყველაფერი, რაც იმ დროს, 70-იანი წლების დასაწყისში ეკრანებზე გამოვიდა. განსაკუთრებით მოგვეწონა გლებ პანფილოვის „დასაწყისი“, სადაც საბჭოთა ფაბრიკის მუშა, ძალიან უმწონი ინა ჩურიკოვა - ჟანა დ'არკს ითამაშებს და კინოვარსკვლავი გახდება. ამ ფილმის განხილვისას ველარ მოვითმინე და ვკითხე: „ხიხო იყო და ჟანა დ'არკი გახდა, არა?“

მიხვდა, რომ ვუკბინე. უმალ თავის მართლება დაიწყო, წვრილ ბურჟუებსა და პროლეტარებზე მიაბო, რომელთაც რუმინული „სტენკა“ და ჩეხური ბროლი ოჯახის მთავარ მონაპოვრად მიაჩნდათ. ჩვენთან, პავლოვზე, თითქმის არ მოდიოდა, თორემ ასეთ „მონაპოვარს“ მრავლად ნახავდა. მე მაშინ ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“ გამახსენდა, რომელსაც ბაბუაჩემი მუჟანაძის წინააღმდეგ გადაღებულ ფილმად მიიჩნევდა. იოსელიანსაც ხომ ასე უყვარს — „ხიხოები“ ბროლში ცხოვრობენ, „ცისფერსისხლიანი თავადაზნაურობა“ კი ძველ ავეჯში, რომელიც უკვე ინგრევა, მაგრამ დიდგვაროვნების შარავანდი ადგას. მერე იოსელიანს სხვა ქართველმა რეჟისორებმაც მიბაძეს — მეშჩაენებს ჩეხური ბროლებით გაუფხვს სახლები, „интеллигентный человек“ გაურემონტებელ, ნახევრადდანგრეულ ბინაში დატოვეს, კედელზე კი ჰვინგუეის, ან ვაჟას პორტრეტი დაუკიდეს.

60-იანი წლების თაობისთვის დამახასიათებელი ეს ქედმაღლობა, ეს სნობიზმი, შუა საუკუნეებში დაბრუნების ვენება, მოგვიანებით გავიზარე. ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადებოდა, ძალიან აწყობდა ასეთი სახის პროპაგანდა. იგი „მაწვე ნეს-ჩვეულებებისა“ და „ვოლუნტარიზმის“ წინააღმდეგ კამპანიას ამზადებდა. ყველას, ვისაც ბევრი ბროლი ჰქონდა შინ, ციხე ემუქრებოდა. კაპიტალიზმი, გამოხატული „დელეცების“ წვრილბურჟუაზიულ ყოფაში, ჩანასახშივე უნდა ამოძირკველიყო. რამდენად უცნაურიც უნდა იყოს, ამ კამპანიაში შევარდნაძეს სწორედ ქართული ინტელიგენცია დაეხმარა.

„რუმინული სტენკა“ არც მე მიყვარდა და, აბა, როგორ გავაგებინებდი ბებოს, რომ ორივენი ვცდებოდით... მაგრამ რისთვისაა ღმერთი, ადამიანს გაჭირვებაში რომ არ დაეხმაროს? მოულოდნელად „მუსიკის ჰანგები“ გამახსენდა, უფრო სწორად, ამ ფილმის ერთი პერსონაჟი, ბარონესა ელზა — კაპიტან ფონ ტრაპის საცოლუე, ის დედაკაცი, თავისი დახვეწილი მანერებით რომ უპირისპირდება მონასტრიდან გამოძევებულ „ხიხოს“ — მარიას.

შაბათს, „ოქტომბერში“ წავიდეთ, „მუსიკის ჰანგებზე“, — შევთავაზე ვერას, სანაპიროზე სეირნობისას.

სეანსის დანყებისთანავე ვიგრძენი, რაოდენ სასიამოვნოა, როცა ნანახ ფილმს სხვას უჩვენებ, როცა წინასწარ იცი, რა მოხდება და ძვირფასი ადამიანის ცოცხალი რეაქცია უფრო გაინტერესებს, ვიდრე ეკრანზე ასახული ამბები.

ვერას რეაქცია აბსოლუტურად განსხვავებოდა შუბერტის მოყვარული ქალების საქციელისგან. როჯერსის მუსიკა ისე მოეწონა, რომ მისამღერებს ხმა ააყოლა. იმხიარულა იმ სცენაზე, როცა მარია ბავშვებს ფარდებისგან უკერავს ტანსაცმელს და, რაც მთავარია, ვერ აიტანა ბარონესა ელზა. მონაზვნებმა ხომ სულ გააგიჟეს! ეკლესია, რომელმაც შეიფარა დევნილები,



ეკლესია, რომელიც იმის მხარეზე აღმოჩნდა, ვისაც უყვარს და ზურგი შეაქცია იმას, ვისაც სძულს, ეკლესია, რომელიც ადამიანის ბედნიერებისთვის ზრუნავს და არა იმისთვის, რომ მან თვითგვემაში იცხოვროს, — რობერტ უაიზის შემოქმედებისთვის დამახასიათებელმა ამ თემაზე ბებო ისე გააბედნიერა, რომ მთხოვა, ოთხშაბათს კიდე ვნახოთ ეს ფილმიო.

ოთხშაბათს, ე.ი. 1971 წლის 13 ოქტომბერს, „მუსიკის ჰანგები“ კიდე ერთხელ ვნახეთ. კამოზე დავრჩი. „მუსიკალური ოთახის“ კატალოგში ვიქექე და დავიძინე. დილით ერთად ვისაუბრეთ. მასსოვს, რატომღაც ყურძენზე დამინყო ლაპარაკი, სასარგებლოაო. საუზმის მერე, სკოლაში წავედი, ის კი — გეპეში, ლექციაზე. გაკვეთილების შემდეგ, პავლოვზე დავბრუნდი. ჩვენები სახლში არ დამხვდნენ. მოგვიანებით დედაჩემმა დარეკა — ვერა ლექციაზე გარდაიცვალაო.

ბიძაჩემის მეგობრებმა გამომიარეს. ერთმა მითხრა — „ვერა ძალიან ცუდადააო“. გამიკვირდა. მართალია, მივხვდი, რომ მატყუებდნენ, მაგრამ მაინც ვიფიქრე, რაღაც ხომ არ შეეშალა Mutter-ს-მეთქი. რა თქმა უნდა, არა — ასე იყო, გეპეში დაფასთან მისულა და იქვე წაქცეულა.

უფროსებისგან განსხვავებით, ბავშვებს არა აქვთ დანაშაულის განცდა იმ ახლო-

ბლის მიმართ, რომელიც უკვდებოდა. მე უფრო სხვა მიზეზით ვტიროდი — ვინღა იქნება ჩემი მეგობარი კინოში, ვისთან ერთად ვისეირნებ მტკვრის სანაპიროზე და ვინღა დაინტერესდება, ვისთან ვმეგობრობ სკოლაში, რა მანუხებს, რა მახარებს?

მამაჩემი იმ დროს ბიჭვინთაში ისვენებდა. კამოზე რომ მოვიდა, ისე ხმამაღლა ტიროდა, რომ სახლიდან გავიქეცი. ჩემმა ბიჭებმა კინოში წამიყვანეს. ისიც კარგად მახსოვს, რა ვნახეთ — არტურ პენის „დევნა“, რომელიც, ტრადიციულად, ხუთშაბათს გამოვიდა თბილისის ეკრანებზე.

მაგრამ „ოქტომბერში“ ისევ „მუსიკის ჰანგებს“ უჩვენებდნენ. 1971 წლის ღვინობისთვის მიიწურა, მაგრამ უზარმაზარი სარეკლამო ფარი „ოქტომბრის“ ფასადზე ახალ, 1972 წლამდე ეკიდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ „მუსიკის ჰანგები“ ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ფილმი იყო ქართული კინოგაქირავების ისტორიაში. აღდგომაზე, თითქმის ყოველ წელს უჩვენებდნენ „ილუზიონში“. როჯერსის სიმღერები „მზიურის“ გოგოებმაც იმღერეს.

იმღერა ბიორკმაც, ლარს ფონ ტრიერის „წყვდიადში მოცეკვავეში“, თავისი თავსაფრიანი კატრინ დენევით; ფილმში, რომლის დასრულების შემდეგ, ჩემს თავს ვუბრძანებ: „არასდროს ნახო ამ პროტესტანტი სოცრეალისტის ფილმები!“.

ლარს ფონ ტრიერმა, ყველაფერთან ერთად, ბავშვობა დამინგრია.

„რადიო თავისუფლების“ ოფისიდან გამოვდიოდი. კინოს სახლში, „ქოლგის“ წინ, უამრავი ხალხი დავინახე — „წყვდიადში მოცეკვავეს“ უჩვენებდნენ. სურათი უკვე ნანახი მქონდა მოსკოვში. არ მინდოდა, ნაცნობი მენახა ვინმე და ჭკუის დარიგება დამეწყო, ამ სკანდინავიურ ნეკროფილიას როგორ უნდა უყურო-მეთქი. ამიტომ „წყვდიადში მოცეკვავის“ აფიშის დანახვაზე, სულ სირბილ-სირბილით გავემართე მანქანისკენ. მოულოდნელად ვიღაცამ ისტერიულად დამიბლაგვა:

– გოგი! გოგი! ვერ მიცანი?

ნამდვილად ვერ ვიცანი ეს ყვითლად შეღებილი ქალი, რომლისთვისაც ისე უხეიროდ მოექრათ ცხვირი, რომ გამომეტყველება საერთოდ არ ჰქონდა სახეზე.



–არ გახსოვს, შუბერტს რომ ვუკრავდით?

მერე თავის, ასევე ძალიან ყვითლადშეღებულ დაქალს მიუტრიალდა და უთხრა, გოგიმ ბავშვობაში სიყვარულიც კი ამიხსნაო.

–კინოში მოდიხარ? ტრიერზე ვაბოდებ!

ნანახი მაქვს-მეთქი. დაბნეულობისგან მარტო ის დაფუმატე, რომ ამ ფილმშიც „მუსიკის ჰანგებს“ მღერიან. მერე ჯიბიდან მობილური ამოვიღე, ბოდიში მოვუხადე და კიდეე ერთი ფიცი დავდე — არა თუ ტრიერზე, ამიერიდან არც შუბერტზე ამიჩუყდება გული!

თავისი ლამაზი ცხვირი, ეტყობა, საბჭოთა ეპოქას დაუტოვა.

# შეტყობინება ავტო-მოკვანსუხეზე

ავტორი: ნესტან კვინიკაძე ფოტო: ღათო მანსი

სიბნელის შედეგ ვტოვებ შეტყობინებას:

- ლევან! თუ სახლში ხარ, ყურმილი აიღე.....

მომისმინე! დავწერა და ახლა ტელეფონით ნაბიჯითხავ ტექსტს.

იქნებ სახლში ხარ?... მოკლედ, მე მაინც დაგიტოვებ შეტყობინებას:





რამდენიმე დღის წინ, ღამის კლუბში ვიყავი. ელექტრონული მუსიკა, ჯაზი, ბლუზი, ყველაფერი დაუკრეს. არ ვიცი, საიდან გამახსენდა, რატომღაც ჩემს მეგობარს გადავუჩურჩულე, იცი, ბავშვობაში, კონცერტებზე და კინოდარბაზებში რატომ მეძინებოდა-მეთქი? ცოტა დაბნეულმა გამომხედა და მითხრა: ბავშვებს თავისი სამყარო აქვთო... მთელი საღამო ამ ფიქრს ვუტრიალებდი და მივხვდი, რა ძლიერია ბავშვის სამყარო, როგორი მყარი და პოზიტიური, როდესაც მთელი დღის მანძილზე, გამუდმებით უცხო და ახალი საგნების შეცნობაში ატარებს; ეხება ყველაფერს, რასაც პოულობს, ხელით შეიგრძნობს და წარმოდგენას იქმნის მასზე. ხოლო როგორც კი აღმოჩნდება სივრცეში, სადაც ათასობით უფროსის ყურადღება ერთ წერტილს მისჩერებია, იმ წამსვე აცხადებს პროტესტს: ტირილი – „დე, წავიდეთ“; ან ძილი. ასეთ დროს ბავშვს არც ბლუზი ხიბლავს, არც კლასიკა, და „კაბირიას ღამეებიც“ უფროსების მოგონილი, მოსაწყენი თამაში ჰგონია.

ასეა თუ ისე, ეს არის ბავშვობა, ხელუხლებლად რომ გოგებს ყველა ადამიანი. ეს არის ის, რითაც ჩემი რესპონდენტები პირველი შეგრძნებების და განცდების ათვლას იწყებენ.

არც „ის“ ყოფილა გამონაკლისი, სწორედ ბავშვობისას, მესხიერებაში დალექილი კინოგმირი, „კუკარაჩა“ ანუ ლევან უჩანეიშვილი, რომელიც ამას წინათ თბილისში ჩამოვიდა და მასთანაც ბავშვობისდროინდელ შეგრძნებებზე საუბარით დაიწყო ჩანერა.

„ვაკის მეოთხე ჩიხი. იქ ღამაში ხეა, ჩემი ეზო, მსახიობთა ეზო: ეროსი მანჯგალაძე დილით ვარჯიშობს, სესილია თაყაიშვილი ფანჯარასთან დგას სიგარეტით ხელში, მიშა თუმანიშვილი თავზე ბერეტიტ ეზოს კვეთს და თეატრში მიდის.

კიდევ ბებია-ბაბუის სოლოლაკის სახლი, მრავალენოვანი ეზო, ძველი სახლის სურნელი, დიდი სუფრა.

პირველ რიგში მახსენდება ხოლმე დედა, ბებია, ბაბუა. მახსენდება მით უმეტეს მაშინ, როცა იმ ატმოსფეროში ვხვდები, სადაც გავიზარდე. ამისთვის ხელი არ მიხლია და ისეთივე დავტოვე, როგორც იყო.

ფოთის ზაფხული, მალთაყვა, ტურბაზა, რუსი ტურისტები და სანაპიროზე პიჯაკებით გასული ქართველი ბიჭები. არ ვიცი, ალბათ ის თაობა ვარ, რომელსაც საშუალება ჰქონდა, წინა და შემდგომ თაობებს მოსწრებოდა.“

კიდევ ის თაობაა, პრემიერის შემდეგ გარეთ გამოსულს, მანქანაზე რომ ხვდებოდა წერილები, თაყვანისმცემლების გულწრფელი აღსარებები. ზოგი სიყვარულს, ზოგი სურვილის ასრულებას, ვიღაც – უპასუხოდ დატოვებული წერილისთვის თხოვდა სამაგიეროს. იყო სანვაში ჩაყრილი შაქარიც, მუქარაც, დაშვებული საბურავები... ერთი სიტყვით, ქალაქის ორგანულ ნაწილთან გამუდმებული კონტაქტის სურვილი... სასიამოვნოა, რა თქმა უნდა, როდესაც უცხო ადამიანი ოცნების ობიექტად გირჩევს.

– შენ როგორ პასუხობდი?

– მე თვითონ ლექსით, სიმღერით ან მოთხრობით გამოვხატავდი სიყვარულს. არ ვიცოდი, სხვანაირად როგორ მეთქვა.

ეს დროც, თავისდაუნებურად, ისტორიას ბარდება. „ელე-

ქტრონები“ ურთიერთობების ალტერნატიულ საშუალებებს გვთავაზობენ. ნებისმიერ სიტუაციაში არჩევანი ჩვენზეა: ან ვამხელთ ვინაობას, ან ანონიმურები ვრჩებით.

მსახიობების შემთხვევაში, ყველაფერი სხვაგვარად ხდება. ერთი აჩემება და გარდერობით დაწყებული, პირადი ცხოვრებით დამთავრებული – ყველაფერი გამჭვირვალეა. ლევან უჩანეიშვილზეც ბევრი ითქვა, სიმართლენარევი ტყუილი, თუ სრული სიცრუე. ქალაქიდან მის მოულოდნელ გაუჩინარებასაც მილიონი ვერსია ახლდა. ამასობაში კი, ქართველი მსახიობი სრულიად ახალ სამყაროში ცდიდა ბედს.

ლევან უჩანეიშვილის შემოქმედების მეორე ეტაპი, აქედან ძალიან შორს დაიწყო: უკან რჩებოდა, ასევე ხელუხლებლად, „კუკარაჩას“ იმიჯიც და სხვა უამრავი როლი კინოში თუ თეატრში.

„ნულიდან დავიწყე სხვაგან ცხოვრება. ასე იწყებს ყველა მსახიობი, განურჩევლად ეროვნებისა. ამერიკაში არავინ იცის, რა მოხდება ხვალ. ამიტომ მთავარი მაინც საკუთარი, მყარი საფუძვლის შექმნაა“.

ლოს-ანჯელესი შოუბიზნესის ცენტრად წოდებული ქალაქია. ოკეანის პირას არის. ამიტომ სულ კარგი ამინდია, ცხოვრება ზოგისთვის კურორტულია, ზოგისთვის – საქმიანი, ზოგიც ორივეს უთავსებს. იქ სხვა დროა. თუ საქართველოში „კუკარაჩას“ მანქანას არავინ აჩერებდა, ამერიკა რადიკალურად განსხვავებული ცხოვრების წესს სთავაზობდა ლევან უჩანეიშვილს: „ყველაზე მტკივნეული ჩემთვის ის იყო, როცა დღის ბოლოს სახლში ვბრუნდებოდი, ველოდი ავტომობილის ჩართვას, მაგრამ იქ არც ერთი შეტყობინება არ მხვდებოდა. ესე იგი, ამ ქალაქში არავის სჭირდები“.

და როგორც დრამატურგიულად გამართულ ტექსტებში, ხელის გამომწოდებელი რომ გამოჩნდება ხოლმე მოულოდნელად, იქაც ასე მოხდა. ლევანმა გაიცნო ქართველი ებრაელის ოჯახი, რომელმაც, ფაქტობრივად, მისი მფარველობა იკისრა. მერე სხვა ახლობლებიც შეემატნენ – ოლეგ ბიდოვის, მილა იოვოვიჩის, ილიშა ბასკინის ოჯახი: „ეს ხალხი პირველ ნაბიჯებს მიმსუბუქებდა, რადგან ეს სირთულე საკუთარ თავზე უკვე გამოცდილი ჰქონდათ. პირველი წლების ნოსტალგიას ჩემი სატელეფონო გადასახადის ქვითარი ცხადყოფდა.“



კალენ შილონიძე „კუკარაჩა“

**„ყველაზე მტკივნეული ჩემთვის ის იყო, როცა დღის ბოლოს სახლში ვბრუნდებოდი, ველოდი ავტომობილის ჩართვას, მაგრამ იქ არც ერთი შეტყობინება არ მხვდებოდა. ესე იგი, ამ ქალაქში არავის სჭირდები“.**

ყველაზე ხშირად გვესმის გამოთქმა: ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით, თუ რაღაც ამდაგვარი. ეს გამოთქმა ჩვენს რეალობას უკვე შეეზარდა და აღარც ვარკვევთ, რომელ კონტინენტზე დაიბადა ეს ტრივიალობადქცეული სიბრძნე.

მის შემთხვევაშიც ასე მოხდა: “მე არ წავსულვარ,... სრულიად შემთხვევით, „სტალინის“ პრემიერის შემდეგ, რამდენიმე მონვევა მივიღე. როცა ჰოლივუდში ასეთი შანსი გაჩნდა, ალბათ ძნელი იყო უარის თქმა. ვცადე, ნულიდან დამეწყო ყველაფერი. ჩემს წასვლას დიდი ნაბიჯის გადადგმას არ ვუნდებ. ეს არის შემოქმედებითი მივლინება. უკან წამოსასვლელი ბილეთი ყოველთვის მქონდა. მე სხვა პროფესიას არ ვთაკილობ, მაგრამ იქ ისე აენყო, – ჩემიანებისთვის საბაბი არ მიმიცია, ეთქვათ: რა უნდოდა, რას წავიდაო! როდესაც ადამიანი საცხოვრებლად სხვაგან გადადის, ეს უფრო მტკივნეული პროცესია. არ ვიცი, როგორ ხდება. ბევრ ნივთს ყიდის, ახლობლებს ჩუქნის, ან აგზავნის, რომ რამე არ დარჩეს! როცა ერთი ჩანთით მიდიხარ და იცი, რომ დაბრუნდება, ეს შედარებით ადვილია.”

ყველა ადამიანი, სხვაგან ცხოვრების შემთხვევაში, ნოსტალგიასთან გასამკლავებლად გამოსავალს ეძებს. ხშირად ეს საცხოვრებელი ადგილის არჩევაში გამოიხატება. ეძებს ისეთს, როგორც რაღაცით მაინც ჰგავს მშობლიურს: „ლოს ანჯელესში ვცხოვრობ, ჰოლივუდ ჰილზე, სადაც ცნობილი ჰოლივუდის წარწერაა, მადონას, დი კაპრიოს და სხვა ვარსკვლავების სახლები ენაცვლება ერთმანეთს. თუ ვაკეში, ეროსის და სესილიას ეზოში ვცხოვრობდი, ახლა მადონას და მისწარიების მეზობელი ვარ. თუ თბილისში დღე კუს ტბაზე ვარჯიშით იწყებოდა, იქ მსგავსი რამ ჩავანაცვლე: ჰოლივუდის წარწერასთან არის წყალსაცავი, რომელიც ძალიან ჰგავს კუს ტბას“.

25 სატელევიზიო და 7 მხატვრული ფილმი; ორი მთავარი როლი, მონვეული ვარსკვლავის სტატუსი, ამერიკის მსახიობთა კავშირის წევრობის უფლების მოპოვება... ეს



ქალბ. ფილიძის „შუბარა“

იმის ნაწილია, რასაც მიაღწია. დანარჩენს იმ წიგნში მოგვითხრობს, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება (“ჩემი ჰოლივუდური თავგადასავალი”). მესამე წიგნი დღესაც იწერება, იქვე, ოკეანის პირას: “მოვკალათდები ხოლმე და ვწერ....იქ ის ყურადღება მომაკლდა, რაც აქ უზვად იყო”.

ახლახანს, მუშაობა დაასრულეს ფილმზე, რომლის რეჟისორიც და პროდიუსერიც ლევანია. ერთ-ერთ მთავარ როლსაც თავად ასრულებს, კლარა იარ მირიკალთან ერთად. დასრულდა კანადელ პროდიუსერებთან ერთად დაწყებული მუშაობაც, მინიატურულ ფილმზე. წერს სცენარებს და მუსიკალურ ალბომებსაც იწერს.

ერთი სიტყვით, მიდის ცხოვრება, ზოგჯერ სინჯებით, ზოგჯერ სინჯების გარეშე.

სიტუაციები ხშირად ჰგავს ერთმანეთს. მაინც კინოა და წესებია დაცული, როგორც ერთ დღეს, კინოსტუდიის ტერიტორიაზე ფარაჯანოვმა ლევანის დანახვაზე შეჰყვირა, – ვიპოვე, ეს არისო! და „სურამის ციხის“ გადაღება დაიწყო. ასე მოხდა მერეც, როცა 15 კანდიდატს შორის ერთი შეარჩიეს. რუსი კლასიკოსის, ალექსანდრე პუშკინის როლი ქართველ ლევან უჩანეიშვილს ერგო: “ანატოლი ივანოვი, ამერიკაში მცხოვრები რუსი ოპერატორია. მასთან სტუმრად ვიყავი, სამზარეულოში „შავი პრინცის“ პროექტზე ვსაუბრობდით. თავიდან ერთ-ერთ როლს მთავაზობდა. დილის ხუთი საათი იყო, როცა უარის თქმა გადავწყვიტე. უეცრად ოპერატორის მზერა მომეწყო, თვალმა რაღაც მოძრაობა დაიჭირა და შეჰყვირა: Нет, всё! Ты Пушкин! Пушкин! Послезавтра начинаем съёмку.

მასალა ერთ დღეში მოვაგროვებინე, გავეცანი ჩემთვის უცნობ დეტალებს და სკოლის წიგნისგან განსხვავებული, არაორდინარული პოეტი აღმოვაჩინე: ქალების მოყვარული, კარტის მოთამაშე, მასონთა ლოჟის წევრი, კლასიკოსი, რომელიც დიდ დროს უთმობდა მანიკიურს და კიდევ ბევრი სხვა უცნობი დეტალი... ეს იყო სცენარი, სადაც სიუჟეტი ძველ და თანამედროვე დროში პარარელურად ვითარდება.

მერე პრემიერა, კრიტიკოსების ვერსიები, მაყურებლის შეფასება... მოკლედ, რაც კინოს გამოსვლას ახლავს. მერე ყველაფერი თავიდან... სასიამოვნო განცდა სადღაც დილისკენ, და ისევ იმ ადამიანებს მადლობა, ვინც პიროვნულ და შემოქმედებით ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა: მიხეილ თუმანიშვილი, რეზო ჩხეიძე, 55-ე საშუალო სკოლის რუსული ენის პედაგოგი ირინა ბეჟანოვა.

ეს არის ძალიან ცოტა რამ ლევან უჩანეიშვილის შესახებ. თბილისში ხუთი დღით ჩამოსული მსახობი, ტელევიზიებისთვის, გაზეთებისთვისა თუ ჟურნალებისთვის, დღის მანძილზე რამდენიმე ინტერვიუს იძლეოდა. ირგვლივ შემოკრებილ თაყვანისმცემლებში დამალული, ავტოგრაფებს არიგებდა და თვალით გვანიშნებდა, ახლავე გავთავისუფლდებიო. ბოლოს შევხვდით და ვისაუბრეთ, არც ისე ბევრი. რაც აქ დაგაკლდებათ, ლევან უჩანეიშვილის წიგნით შეიტყობთ. ეს იქნება პასუხი, რადგან როგორც ინტერვიუში განაცხადა: “მოთხრობით ვპასუხობ. სხვანაირად, არ ვიცი, როგორ გადმოვცე“-ო.

- ლევან! სახლში ხარ?...

„თუ ვაკეში, ეროსის და სესილიას ეზოში ვცხოვრობდი, ახლა მადონას და მისწარიების მეზობელი ვარ. თუ თბილისში დღე კუს ტბაზე ვარჯიშით იწყებოდა, იქ მსგავსი რამ ჩავანაცვლე: ჰოლივუდის წარწერასთან არის წყალსაცავი, რომელიც ძალიან ჰგავს კუს ტბას“.







14

ივლისიდან

თბილისი, თბილისი

რეჟისორი: ლევან ზაქარეიშვილი  
კანის კინოფესტივალის მონაწილე



რადიოჰიესა

## **განცხადება გაჭიების თაობაზე** (ნაძვილი აბგავი)

ავტორი: ნესტან კვინიკაძე  
ილუსტრაცია: ლევან ნუცუბიძე



**ხმები:**

**ბიჭი**

ახალგაზრდა ქალბატონი

## 1 ისმის ტელეფონის ზუმერი

**ბიჭი** – ალო...

ახალგაზრდა ქალბატონი – გისმენთ?...

**ბიჭი** – გამარჯობააა... განცხადების თაობაზე განუხებთ...

ახალგაზრდა ქალბატონი – კი, ბატონო, თქვენი პროფესია?

**ბიჭი** – (მცირედი პაუზა) ააა... იცით, რა მაინტერესებს? მე ბაჭიების...

ახალგაზრდა ქალბატონი – აჰ, უკაცრავად, თქვენ ბაჭიების თაობაზე რეკავთ?

**ბიჭი** – დიას, ძალიან გამიკვირდა პროფესიის თაობაზე რომ მკითხეთ.

ახალგაზრდა ქალბატონი – კი, ბატონო, უბრალოდ, ჩვენთან სხვა განცხადებაც იყო მითითებული... მოკლედ, ამჟამად გვყავს ერთი ბაჭია, სამი თვისაა, სამთვიანია და დაახლოებით, ასე, თვენახევარში-ორ თვეში იქნება გამრავლებისუნარიანი... (ნერწყვს გადაყლაპავს) გარეგნობით ლამაზია, ჯანმრთელია, ყოველგვარი პრობლემის გარეშე იზრდება. გამრავლებას ადრეულ ასაკში იწყებენ.

**ბიჭი** – რა ასაკში?

ახალგაზრდა ქალბატონი – ბატონო?

**ბიჭი** – რა ასაკში დაახლოებით?

ახალგაზრდა ქალბატონი – დაახლოებით ოთხი, ოთხნახევარი თვიდან უკვე შეუძლიათ გამრავლდნენ.

**ბიჭი** – ააა...

ახალგაზრდა ქალბატონი – და საკმაოდ ნაყოფიერები არიან... დედა რვა-ცხრა ბაჭიას ყრის თითო ჯერზე.

**ბიჭი** – რამდენ ხანში ერთხელ?

ახალგაზრდა ქალბატონი – უკაცრავად?

**ბიჭი** – ინტერვალი მაინტერესებს, აი, რვა-ცხრა ბაჭია, და შემდეგი თაობა როდის მოდის?

ახალგაზრდა ქალბატონი – შეუძლია ერთ თვეში იმაკოს.

**ბიჭი** – (დინჯად) გასაგებია...

ახალგაზრდა ქალბატონი – სეზონზე სამ-

ოთხ ბაჭიას სულ თავისუფლად ასწრებს, მერე სასურველია, შეისვენოს, რომ არ გამოიფიტოს.

**ბიჭი** – აჰა... ახლა რა მაინტერესებს. ეგ ერთი გყავთ დაგრჩათ?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – დიახ, ეს ერთია ამჟამად გასაყიდად.

**ბიჭი** – სქესი?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – ბატონო?

**ბიჭი** – სქესი?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – მამალია.

**ბიჭი** – აჰა, ე.ი. თვითონ განაყოფიერების უნარი ჯერ არ გააჩნია?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – ნუ, დაახლოებით ერთ თვეში უკვე შეეძლება, მაგრამ თუ გინდათ რომ ტანით ცოტა გაიზარდოს, მაშინ უნდა დაიცადოთ თვენახევარი, ორი თვე. ისე, თვითონ ახლაც, პრაქტიკულად, მზად არის...

**ბიჭი** – (დაბნეული) თვითონ უკვე მზად არის?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – კი, ბატონო, (კეკლუცად), უკვე აქვს ეგეთი საქციელი.

**ბიჭი** – რა საქციელი, რა ახასიათებს?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – ბატონო?

**ბიჭი** – რა საქციელი შეატყვეთ?...

**ახალგაზრდა ქალბატონი** – სხვა ბაჭებთან ერთად არის და იმის მიხედვით... (პაუზა), გასაყიდი კი მხოლოდ ერთი ბაჭია გყავს.

**ბიჭი** – (ჯიუტად) არა, რით შეატყვეთ, რომ მზად არის?! იცით, მე მაინტერესებს ზუსტი ინფორმაცია... ათასი უჯიშო ბაჭია იყიდება. აი, ვთქვით, რას გამოხატავს, რითი ხვდებით, რომ მზად არის?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – (ღიმილნარევი ხმით) ნუ... ეგ... ჩემით... როგორ გითხრათ, როგორ აგიხსნათ? რო შეგხვდებით, უფრო დანვრილებით აგიხსნით. ახლა... ტელეფონით (იცინის) ცოტა რთულია.

**ბიჭი** – არა, აი, დაახლოებით რას აკეთებს? მე ვერ ვხვდები...

**ახალგაზრდა ქალბატონი** – ნუთუ ვერ ხვდებით, მაგას მე ვერ აგიხსნით.

**ბიჭი** – არა, კი ვხვდები... ნუ, აი... ანცობს?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – დიახ, დიახ.

**ბიჭი** – ფასი?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – ხუთი ლარი ღირს.

**ბიჭი** – აჰ, ხუთი ლარი? (პაუზა) და ეს თანხა ერთიანად გნებავთ?





**ახალგაზრდა ქალბატონი** – ბატონო?

**ბიჭი** – თანხა ერთიანად გნებავთ?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – (გაკვირვებული) ფასი თქვენთვის მიუღებელია?

**ბიჭი** – მე ხომ არ ვიცი, რას ვყიდულობ?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – კი, ბატონო, რომ მობრძანდებით, ნახავთ, შეხედავთ და მერე დავილაპარაკოთ. (პაუზა). პრინციპში, მისი და-ძმა ხუთ ლარად დავყიდეთ, მაგრამ ეს ერთი დავგვრჩა და რადგან მამალია, შეგვიძლია ცოტა დავაკლოთ.

**ბიჭი** – (გაოგნებული) კი, მაგრამ, მამალია თუ ბაჭიაა???

**ახალგაზრდა ქალბატონი** – მამალი ბაჭიაა!!! გითხარით უკვე... მამალი ბაჭია!

**ბიჭი** – (მშვიდად) ე.ი. ორ ლარში გამატანთ, რომ მოვიდე... დღესვე?!

**ახალგაზრდა ქალბატონი** – ორი ლარი? (წამოიკვივლებს) არა, რას ამბობთ?! მე გითხარით ხუთი ლარი.

**ბიჭი** – არა, გავიგე, ყრუ კი არა ვარ, მაგრამ ორი ლარი საკმარისი არ არის უჯიშო ბაჭიისთვის?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – (ბრაზმორეული) მერე ვინ ამბობს, რომ უჯიშოა?

**ბიჭი** – განაყოფიერების უნარი საერთოდ არ გააჩნია; რას აკეთებს, ვერ ამიხსენით, ფასი კი მაინც ხუთი ლარია.

**ახალგაზრდა ქალბატონი** – ეს არის სამი თვის ბაჭია და არა ზრდასრული კურდღელი. ერთ თვეში, თვენახევარში ის იქნება კურდღელი, რომელსაც ექნება გამრავლების უნარი... შეიძენთ დედალ ბაჭიას და ორ თვეში გეყოლებათ ნამატი.

**ბიჭი** – იცით, რა არის, წინასწარ ამ თანხას მე ვერ გადავიხდი, მე ხომ არ ვიცი, მომავალში რა იქნება?! თქვენ შესანიშნავი მომავალი დახატეთ, მაგრამ რეალურად შეიძლება სულ სხვაგვარად წარიმართოს მოვლენები.

**ახალგაზრდა ქალბატონი** – (სიცილით) კი, ბატონო, მაშინ, ალბათ, ჯობია ბაზარში შეიძინოთ.

**ბიჭი** – ე.ი. არ თანხმდებით ორ ლარზე?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – ორ ლარად, გენაცვალე, ერთთვიანი ბაჭიები იყიდება, და სამთვიანი როგორ მოგყიდოთ?!

**ბიჭი** – და ფასი როგორ ემატება?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – (დაბნეული), ასე არ ვიცი... სად ეხლა ერთთვიანი ბაჭია, რომელსაც გაზრდისთვის კიდევ ოთხი თვე უნდა აჭამოს

ადამიანმა... და ამ ოთხი თვის განმავლობაში, ასე თუ ისე, რისკია, ხომ მართალია? იქ კატაა, ძაღლია... ყოველთვის არის რისკი. ეგ კი არა, ადამიანი იღუპება ხანდახან... სად, ახლა, სამთვიანი ბაჭია, რომელსაც მხოლოდ ერთი თვე სჭირდება გამოსაკვებად და...

**ბიჭი** – და რას აჭმევთ?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – ვაჭმევთ ხმელ პურს, ნაფრცქვენებს...

**ბიჭი** – ნუ, საჭმელზე, პრაქტიკულად, არ მიდგით ფული, და ხუთ ლარს მაინც ადებთ.

**ახალგაზრდა ქალბატონი** – სამაგიეროდ, შრომა ხომ მიდის. მე ხომ ვუვლი... ამისთვის გალია მაქვს დაკავებული.

**ბიჭი** – მერე, გალიაში რომ ზის, ეგ თქვენი შრომა სულაც არ არის.

**ახალგაზრდა ქალბატონი** – თქვენ ფიქრობთ, რომ ცოცხალ ბაჭიას შრომა არ ესაჭიროება? (სინა-ნულით) იცით, რა არის?! თუ თქვენ თვლით, რომ ცოცხალ არსებას მოვლა და შრომა არ სჭირდება, მაშინ მე თქვენ ნამდვილად ვერ მოგყიდით ბაჭიას...

იმიტომ, რომ ეს ბაჭიები ძალიან მიყვარს.

**ბიჭი** – არა, არა...

**ახალგაზრდა ქალბატონი** – უკაცრავად...

(ყურმილის დახეთქებას გამწყდარი ზუმერის ხმა მოჰყვება)



## 2 ტელეფონის ზუმერის ხმა

**ბიჭი** – ალო...

**ახალგაზრდა ქალბატონი** – გისმენთ.

**ბიჭი** – ქალბატონო, თქვენ გესაუბრეთ, მგონი დღეს?!

**ახალგაზრდა ქალბატონი** – დიახ.

**ბიჭი** – ძალიან დიდი ბოდიში (თავაზიანად), უხერხულად გამომივიდა... მოვლასთან დაკავშირებით. უბრალოდ, ის არის, რომ... (უჭირს საუბარი) ბაჭია გასაზრდელად კი არ გვინდა, – საჭმელად!!!...

**ახალგაზრდა ქალბატონი** – დასაკლავად? (პაუზა) კარგი, წაიყვანეთ.

**ბიჭი** – მეუხერხულება, თუ გიყვართ, ვერ წავიყვან.

**ახალგაზრდა ქალბატონი** – არ არის პრობლემა.



თავდაპირველად ჩვენ მაგ მიზნით მოვიშინაურეთ ბაჭიები. ქონი სამკურნალოა და აღიარებულია, ხორციც სამკურნალოა, განსაკუთრებით კუჭის წყლულისთვის. ამიტომ გასაგებია, რომ უმეტესობა დასაკლავად ყიდულობს, რათა შემდეგ მისი სამკურნალო თვისებები გამოიყენოს.

**ბიჭი** – აი, ქონზე კი არ ვიცოდი...

**ახალგაზრდა ქალბატონი** – როგორ?! ქონი ცნობილია, მაგალითად, ხიჭვის ან ჩირქოვანი შემთხვევისას, იხმარება დამწვრობის დროსაც.

**ბიჭი** – იცით, ჩვენ პატარა რესტორანი გვაქვს გახსნილი და ქალაქში თითქმის ყველა ბაჭია შევიძინეთ... (პაუზა) გარეული ხომ არ არის თქვენი ბაჭია?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – არა, რას ბრძანებთ, შინაურია... ბოცვერია.

**ბიჭი** – კიდევ რისთვის არის სასარგებლო?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – (დამრიგებლური ტონით) კუჭის წყლულისთვის, – პურის გარეშე, ხახვთან ერთად მოშუშული ხორცი კარგია კუჭის წყლულისთვის.

**ბიჭი** – და, მომზადების რაიმე წესი ხომ არ იცით?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – როგორ არა, რეცეპტებს ხვალისთვის მოგიმზადებთ და რომ მობრძანდებით...

**ბიჭი** – დიდი მადლობა, და დაკვლის მეთოდი?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – ხო, დაკვლის მეთოდი (ამოისუნთქავს) აუცილებლად უკანა ფეხებით იჭერენ. კეტი უნდა ჩაარტყათ თავში. ამის შემდეგ ხდება ყელის გამოჭრა და გატყავება.

**ბიჭი** – (გაოგნებული) რა უნდა ჩავარტყათ?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – კეტი.

**ბიჭი** – ფეხსაცმელი? ჩვეულებრივი ფეხსაცმელი?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – არა, ნუ, დუბინკა, რა...

**ბიჭი** – თავში თუ ტანზე?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – თავში, თავში. ჯერ უნდა დარეტიანდეს და შემდეგ კლავენ, ყელს გამოჭრიან, როგორც ქათამს... თუ ტყავის გამოყენებაც გნებავთ, მაშინ მუცელზე უნდა გაიჭრას და ისე გატყავდეს.

**ბიჭი** – ყელის გამოჭრის გარეშე სიკვდილიანობა წარმოუდგენელია? აი, ვთქვათ, მაგრად რომ ურტყათ თავში?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – თავში ჩარტყმით



ის, ფაქტიურად, კვდება, მაგრამ გატყავება და სისხლის გამოსვლა ხომ საჭიროა?!

**ბიჭი** – რა თქმა უნდა, ე.ი. რომ დავარეტიანოთ, მერე იცოცხლოს და წვალეებით დალიოს სული?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – იცით, ეს ისეთი საკითხებია, უმჯობესია ხვალ ადგილზე დავაზუსტოთ. მე კარგად ვერ ვიგებ, თქვენ რა გნებავთ.

**ბიჭი** – არა, ვერ მიმიხვდით. მე მაინტერესებს, მოკვლა რომ არ იყოს ისეთი უხეში... ვთქვათ ელექტროშოკი, ელექტროსკამი, რამე ასეთი...

**ახალგაზრდა ქალბატონი** – (იცინის) ელექტროშოკი, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ კურდღლისთვის ელექტროშოკის მონყობა ალბათ რთული იქნება.

**ბიჭი** – ე.ი. მაინც დარეტიანება ჯობია... კარგი, ხვალ მოვალ და... (უხერხულად) ხომ არ შეგიძლიათ, თქვენ მოკლათ და მოკლული ვიყიდო ხუთ ლარად?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – არა, არა... იცით, სალამოს დარეკეთ და დავაზუსტებ.

**ბიჭი** – რა პრობლემაა, თქვენ ხომ ამას აქამდეც აკეთებდით?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – მე არა, ჩემი მეუღლე აკეთებდა ამას, უბრალოდ, ამჯერად ქალაქში არ არის და ამიტომ... ხვალ სალამოს დარეკეთ და პასუხს გეტყვით.

**ბიჭი** – იქნებ დაარეტიანოთ მაინც, დარეტიანებულს წამოვიყვანდი.

**ახალგაზრდა ქალბატონი** – ე.ი. თქვენ გნებავთ პირდაპირ მოკლული, გატყავებული, ხომ ასეა?!

**ბიჭი** – დიახ.

**ახალგაზრდა ქალბატონი** – ამას მარტო ვერ გადავწყვეტ, მეუღლეს შევუთანხმებ. თქვენ ხვალ დარეკეთ.

**ბიჭი** – იცით რა მაინტერესებს, არის შანსი, რომ გაატყავო და ცოცხალი დარჩეს, აი, როგორც ქათამი – ბუმბულის გარეშე?

**ახალგაზრდა ქალბატონი** – არა, გამორიცხულია.

**ბიჭი** – გასაგებია, ე.ი. ხვალ დავრეკავ.

**ახალგაზრდა ქალბატონი** – კი, ბატონო.


**ბიჭი** – გმადლობთ, დროებით.



## ისმის ზუმერის ხმა



2004



**გალოისი**  
თავისუფლება მუდამ

**GAULOISES**  
LIBERTÉ TOUJOURS



თვალში  
გალოისი

**ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებით:  
მონება მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.  
პასიური მონება საშიშია ჯანმრთელობისათვის.**



სანამ აზვისტო-სეპტემბრის „სხელი შოკოლადი“ ჯაზურ ჯაზსულს შემოგთავაზებთ, (იბულისხმება ჯაზ-ფანჯირი და ექსკლუზიური ინტერვიუები: ჯორჯ ბენსონი; ქრის ფოთარი; დევიდ სანბორნი; ჯონ სკოფილდი; ქრისტინა მაკბრაიდი), ექსკლუზიური ინტერვიუებით განეხილავთ მკითხველისთვის, სპეციალურად კოლივუდიდან: სნოუბლი მისაყვირა ქრის ბოტი!  
 ინტერვიუ ჩაწერილია 2005 წლის 16 ივნისს კოლივუდში, ლიბენდარულ CAPITOL RECORDS-ში, სადაც ქრის ბოტი ჯაზის პარსკვლავებთან ერთად, ახალი ალბომისთვის დუბავს წერდა.

კვირასო ჯაზის ვებგვერდი, როგორია თქვენი თაობის ჯაზი?

ჯაზი მარადიული მოძრაობაა და ძნელია იმის თქმა, რომ ჩემი თაობა სხვებისაგან გასხვავდება. აქ ასაკის მიხედვით დაყოფა ცოტა რთულია, რადგან აქ ყველაფერი ერთმანეთშია შერეული. ჩემი აზრით, მუსიკა, ჯაზიც და როკიც 50-60-იან წლებში უფრო სათავგადასავლო იყო. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველი, ეს ინტერნეტის სიჩქარე და მრავალფეროვანი მუსიკის ფართო არჩევანია. ეს კარგიცაა, თუმცა რაღაც ერთფეროვანსაც გულისხმობს. ქაჩა უახლეს ჰიტს და აღარ გინევს თანამედროვე ტენდენციების ოკეანის გაღმა ძიება. ადვილად ხდები რაღაც მთლიანის ნაწილი. არა, ალბათ, კარგიცაა. თუმცა 60-იანები მეტი თვითმყოფადობით გამოირჩეოდა. ალბათ ეს იყო *Beatles*-ის ამერიკული წარმატების სანინდარი, ერთი სატელევიზიო გადაცემა, სიუცხოვე, სიახლე და... *The Beatles*. რაც უფრო მწირი იყო არჩევანი, მით უფრო დიდ გავლენას ახდენდა მუსიკა მსმენელზე. ჯაზშიც ასევეა. დღეს ალბათ მაილსის მუსიკაც ნაკლებად გავლენიანი იქნებოდა და ისიც, ალბათ, უფრო ნაკლებს დაწერდა. დღეს, მაგალითად, ბევრს ვმუშაობ, დაახლოებით ერთი ალბომი წელიწადში. თავის დროზე, მაილსიც ბევრს შრომობდა - ოთხი ალბომი 365 დღეში. ეს ლოგიკური ტენდენციებია... სხვა დროა, თაობებიც სხვაა და პროგრესიც ძალიან ბუნებრივია, როგორც საზოგადოებაში, ისე, ზოგადად, მუსიკაში.

ერთხელ გაიღს ღვიძის ალბომით: „მისი ბალადაზის მოსმენა აკლავს“. კიდეც ვინ იყვნენ ის ალბომანები, ვინც ჯაზის გზაზე გიშვებუართ?

მიყვარს დიდი მესაყვირეები: კლიფორდ ბრაუნი, ფრედი ჰუბარდი, ვუდი შოუ, ჩეტ ბეკერი და მიყვარს ხალხი, ვინც შესანიშნავ ბალადებს ქმნის: მაგალითად ბილ ევანსი, კენი დორენი... მიყვარს მუსიკა არა ჩვეულებრივი განწყობით, არამედ განწყობით, რომელსაც რაღაც პრეტენზიის, სევდის ელფერი დაკრავს. ასეთი მუსიკა სასიამოვნო მოსაუბრეა... ეს მაილსის მუსიკაა, ჩემი მაპროვოცირებელი.

*First Wish* - ათი წლის წინ, შემდეგ - *When I fall in love* და ამერიკული ბაზრის ჯაზ ჰიტი, ყველაზე შემოსავლიანი კომპაქტ დისკი. *People Magazine*-მა მსოფლიოს 50 ულამაზეს ადამიანთა შორის დაგასახელათ: „ყველაზე სექსუალური მესაყვირე ჩეტ ბეკერის შემდეგ“... ფანები, ფანები უცხო ქვეყნებში, ქრის ბოტის მაისურები... *Bottiology*; ქრისი *CNN*-ზე, პირდაპირი ინტერნეტ ჩატი ქრის ბოტისთან. ნახეთ *Chris Live*, „*Click Here*“ - პოპულარობა...

ეს პოპ კულტურის ელემენტები: *People Magazine*-ები და *Click Here*-ები რაღაც პენტჰაუზის მაგვარია... სახლი კი ჩემი მუსიკა და საყვირია... მე ვერ მექნებოდა ასეთი პენტჰაუზი, საყვირისა და მასში გამავალი ინდივიდუალური ფლერადობის გარეშე. ამ „სახლით“ ყველაზე მეტად ვამაყობ. სწორედ ამიტომ მოაქვს შენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ჰედლაინებს ამ ეტაპზე მხოლოდ პოზიტიური ენერგია... ერთსაც გეტყვი, პოპულარობა ოცი წლის წინ რომ მოსულიყო, ანუ როცა 21-ის ვიყავი, ალბათ სრულიად სხვაგვარად განვიცდიდი ამ ყველაფერს, რადგან ცხოვრებასაც სხვაგვარად აღვიქვამდი. დღეს, უბრალოდ, ძალიან მაღლიერი ვარ ამ ყველაფრის გამო...



ფოტო: Fabrizio Ferri



ფოტო: სარაი ნასანიძე



ქრის ბოტი და სტინგი CAPITOL RECORDS. ფოტო: Margie Maddox

### ისევ დაბღღაული, თუმცა კვირფასი ტურნეები... როგორი გზა დაბაბახსოვრდით ყველაზე მეტად?

ნებისმიერი ტურნე, რომელშიც ბენდთან ერთად მივდივარ და ბენდის ხანგრძლივად შენარჩუნებას ვახერხებ - ეს ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო რამაა. ბოლო წლინახევრის განმავლობაში, გამოვარჩევი მსოფლიო ტურნეს სტინგთან ერთად, რომელიც ჩემთვის დიდი აღმოჩენა იყო. მთელი კარიერის მანძილზე? ისევ სტინგი მახსენდება. მე მის ბენდში ვიყავი *Brand New Day*-ს ტურნეს დროს, რომელიც ძალიან ბევრი რამით იყო გამორჩეული. აქ განსხვავებული სტილისტიკის მქონე მსოფლიო დავინახე, როგორც მუსიკალური, ისე ადამიანური თვალსაზრისით. სტინგი მაგარი ვინმეა. საოცარი იყო მასთან თანამშრომლობა. ტურნესგან ასეთი სიამოვნება პირველად მაშინ მივიღე.

### თბილისში, თქვენი საშოპოლოდან საკამოდ შორს, ღია ფანჯრებიდან ხშირად ისმის ქრის ბოტის კოვოკაციები. თქვენ აქ ერთხელ უკვე იყავით... რა წაიღეთ საქართველოდან?

მართლაც უამრავი რამ გამევა თბილისიდან. ეს იყო გასულ წელს, ივნისში, როცა თბილისის ჯაზ ფესტივალში ვმონაწილეობდი... ორი რამ განსაკუთრებულად დამამახსოვრდა: ხალხი... სტუმართმოყვარე და კეთილგანწყობილი, შემსრულებლისთვის კი ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თბილისში გვიან ღამით ჩამოვედით და, ამის მიუხედავად, აეროპორტში ფანტასტიური *Greeting Party* მოგვინყვეს. ეს განწყობა ბოლომდე გაგყვავა... მეორე ყველაზე მძაფრი შეგრძნება, რაც ოდნავ

the truth needs no translation

nicole kidman sean penn

# the interpreter

a film by sydney pollack

## თარგომიანი

მთავარ როლებში: ნიკოლ კილმანი, შონ პენი  
რეჟისორი: სიდნი პოლაკი



21

ივლისიდან

თუ ჩამოუვარდება პირველს იყო ... კერძები! ღმერთო ჩემო! ძველ ქალაქში ერთ-ერთ რესტორანში წავედი. ცოტა ზედმეტი მომივიდა. უბრალოდ, ვერ გავჩერდი. თან, სუფრას სულ რაღაც ახალი ემატებოდა... რომ არ მოგატყუოთ, მუსიკოსებს უყვართ საჭმელი... და ქართული საჭმელი წარმოუდგენლად გემრიელია. ჩემი პროდიუსერი ბობ კოლომბი, რომელიც წლევიანდელ თბილისის ჯაზ ფესტივალს სპეციალური სტუმრის სტატუსით ესტუმრება. უკვე შემზადებულია და იცის, სად მიდის. ხალხი, საჭმელი და შესანიშნავი მსმენელი – ეს ყველაფერი ყოველთვის მემახსოვრება და ძვირფასი იქნება ჩემთვის.

LOVE IS TOUCH, TOUCH IS LOVE – ეს ჯონ ლენონის სიყვარულის პერსონაჟია.  
როგორია თქვენი პერსონაჟი?

სიყვარული საოცარი გრძნობაა, მაგრამ ჩემთვის ინტრიგა და ინტერესი მიუწვდომლობის შემთხვევაში მძაფრდება.

საყვარელი ადამიანის შეხება უტკბესი გრძნობაა, მაგრამ ამ შეხებაზე ფიქრი ან ვერსიების გამო ტკივილი, ჩემთვის მუსიკალურად უფრო მძაფრი გამტარია, ვიდრე მარტივი ფრაზა - „მოდი, მოგეხვიო“.

TRUMPET – HE OR SHE?

ჩემი საყვარი ბისექსუალია (ხმამალა იცინის)... ეს ხუმრობით, რეალურად, საყვარი ჩემი გაგრძელებაა, ჩემი ნაწილი. საინტერესოა, წინა კითხვა სიყვარულზე რომ იყო... ვეხვევი საყვარს, მაგრამ ამ დროს ვერც ვგრძნობ, რომ ის ჩემს ტუჩებს ეხება. განცდა ისეთია, თითქოს ის ჩემი გულიდან ამოდიოდეს. შეიძლება ძალიან გაცვეთილი ფრაზა იყოს, მაგრამ ნამდვილად მგონია, რომ მე სხეულის აი, ამ ნაწილით ვუკრავ (მკერდზე ირტყამს ხელს), მკერდით, და ის ჩემი არსების გაგრძელებაა. აბა, როგორ შეიძლება საკუთარ მარჯვენა ხელს სქესი ჰქონდეს. ამას ხომ ვერასდროს იტყვი. მოკლედ, ალბათ, ასეა - საყვარი ჩემი არსია.

ქრის ბოტის სხოვრების ხუთი ელემენტი

ჰაჰჰჰჰ... მუსიკა პირველია, საჭმელი, იოგა, ჭადრაკი და ქალის სურნელი (იცინის).

ახლა იმყოფებით სტუდიაში, სადაც ახალი ალბომისთვის დიდ ჯაზმენებთან ერთად დუეტებს იწარმო. ორიოდე სიტყვით, ამ ახალი პროექტის შესახებ.

მუშაობა ახალი დაწყებული გვაქვს... პირველივე ეტაპიდან მუსიკას ერთად ვაკეთებთ... და თუ ის ისეთივე გამოვა, როგორც ჩემი წინა დისკი იყო, მაშინ ვიცი, მსმენელი მუსიკალური ენერჯის ნამდვილ მოზღვავეებს იგრძნობს. *When I Fall In Love* - ამ ალბომმა, რომელიც ძალიან წარმატებული და გაყიდვადი აღმოჩნდა, ახალი ჩანაწერის იდეას მყარი საფუძველი შეუქმნა. *When I Fall In Love* -ზე მუსიკალურ ინდუსტრიაში დისკის გამოსვლისთანავე ალაპარაკდნენ (ეს ოქროს ალბომად, იქცა, რაც ვოკალისტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია - ს.ნ.), და ახლა ძალიან ბევრ ცნობილ შემსრულებელს სურს იგივე - სახასიათო, ატმოსფერული, საორკესტრო მუსიკის დაკვრა.

5-6 დღეა, ალბომზე მუშაობა დაიწყო. ის ფაქტი, რომ *When I Fall In Love*-ის წარმატების გამო, ბევრ ცნობილ შემსრულებელს სურს ალბომში მონაწილეობა, ნამდვილად სასიხარულოა.

თუ მუსიკა არა, სხვა რა?

სიკვდილი! იცი, ამ კითხვას ხშირად მისვამენ ხოლმე... და მართლა არ ვიცი, მუსიკა რომ არ იყოს, რა იქნებოდა... ამის გარეშე არსებობა ვერც წარმომიდგენია.





JAMIE KENNEDY

ALAN CUMMING

THE NEXT GENERATION OF MISCHIEF

# SON OF THE MASK



FROM THE DIRECTOR OF 'CATS AND DOGS'



7

ივლისიდან

# ნიუსპი2



თბილისირი

ღმერთს მაშინ ვინამებ, როცა  
ის ჩემს საბანკო ანგარიშზე  
სოლიდურ თანხას ჩარიცხავს.  
**ეუღი ალანი**

ზაზა ბურჭულაძე

დასაწყისი წინა  
ნომერი

სულ მიკვირდა, ისეთი რა უნდა მოხდეს, ღმერთი ვინა-  
მო, თუნდა ჩემსა ბანკის ანგარიშზედ მილიონტრისტა ჩა-  
მირიცხოს-მეთქი, მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, რომა სულ  
ახლახან იმისთანა ამბები დატრიალდა, და მემცა მათი უშუა-  
ლო მომსწრე გავხდი, რომა, ღმერთს კი არა, ან რასცა გინდა  
ვინამეზ, თუნდა იმასა, რომა მე ვარ ქართველი, და მაშასადა-  
მე, მე ვარ ევროპელი. რასა ვგულისხმობ? რასა და, აეს ჩვენი  
ქალაქი ხომ ოდითგანვე განებევრებული იყო ათასგვარი ბა-  
ზრობებით, სემინარებით, ბიენალეებითა და ფესტივალებით...  
თუმცა ფესტივალიც არი და ფესტივალიც! ის, რომელზედაც  
ახლა მოგიტხრობთ, არა მარტო წინარეთ, მგონი მომავალ-  
თაც უკვე აქედანვე აჭარბებს თავისი მნიშვნელობით. სულ  
ახლახან გამართულ წიგნის ფესტივალს ვგულისხმობ, რაღა!  
ო, თქვენი არ ვიცი, მე კი უნდა მოგახსენოთ, რომა მსგავსი  
მასშტაბისა და ცხოველ მუხტისა მექონი ცხოვრებაში არა მი-  
ნახავს რა; ცხადია, გარდა საგრადა ფამილიასი, ბარსელონას  
როა. ვისცა არ უნახავს, იმათ გასაგონადა მინდა ვთქვა: სრა  
იდგა მოფარდაგული, ოქსინოთა და შარდითა... და წიგნები,  
წიგნები, წიგნები... ამასთან პედრო-დონალდოს გამყიდველი  
ციგნები... და მემცა მთელი ოთხი დღის მანძილზედ ვიარო-  
დი ველსა ვლისად და ისეგვარად ბედნიერი და ამაყი ვიყავ,  
რომა სიხარულისგან სულ ქვეშა გამდიოდა. აი, ლოკოკინა  
ცოცვისას რომ სტოვეებს ბრჭყვიალა ზოლსა, მემცა ზუსტად  
ემასე ვტოვებდი ფსლისა კვალსა. და, უმორჩილესად გთხო-  
ვთ, ნუ იფიქრებთ, თითქო ერთს ვამბობ, გულშიგან კი სულ  
სხვა რამ მიდევს. მით უფრო, რომ საყოველთაოდ ცნობილია,  
ამ ჩემს გასივებულ, ჭირის ბოხჩასავით გატენილ გულშიგან  
არა მიდევს რა, გარდა სამშობლოზედ ფიქრისა... სამშობლო-  
ზედ, რომლის ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზენარი გა-  
დაეფარა. ჰოდა, ჩემი ყოველგვარი ნაუბარიც პატრიოტულ,  
სრულიად სპეტაკ გრძობით ნაშობი როა, ამას უნდა ვითომ  
ბევრი მარჩიელობა? ჰისტორიას არ ახსოვს, მოსკოვშიგან  
ბაგრატიონის ძეგლთან ისრე ჩამეველოს, სიამაყისგან უმაღ  
ფსლად არ გავსულიყავ... ახლაც, როცა ამ სტრიქონს ვწერ,  
შუალამე ინვის, დნება, მეც ორ თითზე ვისხნები და შარვალი  
მისველდება. თუმცა ეს სულ სხვა ფსელია – დარდისა ფსელი.  
ო, იმას კი არ ვამბობ, ფსელი ჩემი იგივე ცრემლია-მეთქი (და,  
მიუხედავად ამისა, მაინცა ვფიქრობ, რომა არც ერთი ომი  
არა ღირს ჩემი ფსლის თუნდა წვეთადა). უბრალოდ, ჩემს სა-  
ტირალს აგერ გვახარია სტირის, თვალთა ვითა მარგალიტსა  
აეგა ჰყრის ცრემლსა ხშირსა, და თანაც ისრე, რომა სათვა-  
ლეს არა სტოვებს დაუცრემლავს; ჰოდა, ამ ჟურნალისთვის  
ესაც საკმარისი და საკმარისზე უმეტესიცაა. აბა, სულ ერ-  
თის წამით წარმოიდგინეთ, რომა აეხლა მემცა თვალნი ჩემ-  
ნი ავინიპლო, ცხელნი ცრემლნი მოვიწურნო და საქვეყნოდ  
ვიძახო: 'ჰაი ჩემთვის, ვაგლახ მე, ვა!' ესა ვარდისფერი ჟურ-  
ნალია, დააშამათა ღმერთმან, გოდების წიგნი კი არა! ბოდიში  
მომითხოვია, სიტყვა გაგვექცა... მაშ ასე, ნუთუ ფიქრობთ,  
რომა გვახარია ნარცისიზმის მსახვრალ ხელს მოუბოჭავს და  
ისიც ოდენ იაქე კაცისას ჰგოდებს? – არ დაიჯეროთ, ჩემო  
ბატონებო, არ არი ეგა იმის ჩიტი, ესრეთ წვრილ საქმისთვინ  
გაისარჯოს. მით უფრო, რომ თვით მან არა რქუა ერთგან  
იმ თავის სერიალშიგან (რომლის სამუშაო სათაურიც, ეჭვი  
მაქვს, 'Богатые тоже плачут' უნდა იყოს) ესრე ამბავი სპარ-  
სული, ქართულად ნათარგმანები იქნება მეოცე საუკუნის  
გურჯისტანზედ და იმ ფილმებზედ, რომელზედაც ჩვენო,  
ტირაჟირებისა და ავტოგრაფების შიშით შეპყრობილ თაობას  
გვეტირებოდაო? მაშ-მაშა! რქუა, და მერმე რარიგ მოხდე-

ნილადა რქუა! ისე, იტყოდა, რატომაც არა, ენას ძვალი არა  
აქვს, თუმცა...  
ჭირსაც ნაშლია გვახარია! წაიღებს კიდევცა... უფრო სწო-  
რად, წაიღო და ესაა! ოლონდ სათქმელია, რომა არა ჭირმან,  
არამედ ცრემლმან, და ისიც არა საკუთარმან, არამედ სულ  
სხვისმან ცრემლმან წაიღო. იმათ გასაგონად კი, ვინც არ  
იცის რაზეა საუბარი, მინდა ვთქვა, რომა წიგნის ფესტივა-  
ლის დღეებში ამ ჩვენ ქეთუსიე იგნატოვამა იმოტოლა ცრე-  
მლი ჰყარა, გვახარია კი არა, სხვა დრო და სხვა გაგება რომ  
ყოფილიყო, ვინძლო ნოეც კი წაელო იმ თავის კიდობნიანა  
(ისე, არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ამბობენ, აეგ  
ქალი სუყველაფერზედ აესე მოსთქვამსო, კიდევ მეტი, თითი  
რომ დაანახო, უთუოდ გულამოხვინჩვით დაიწყებს ასკეცად  
ცრემლთა დინებასაო. მერედა, დავიჯერო, არ გაინტერესებთ,  
მართალია თუ არა ესა? ჰოდა, თუკი გაინტერესებთ, მიდით  
და დაანახეთ... თითი, დალახვრა ღმერთმან... და თქვენ რა  
იფიქრეთ?). თუმცა, სათქმელია, რომა ამ ჩვენ ქეთუსიე იგნა-  
სიოს, ბოდიში მომითხოვია, იგნატოვას ცრემლმან ერთი-ორი  
იმისთანა სასახელო მამულიშვილი წაიღო, იმათთან ადამ-  
კუკუს დროინდელ ნოეს სახელი რა მოსატანია! მაშ, გეკი-  
თხებით, სად გაქრნენ შალვა ნათელაშვილი და ლაინლ რიჩი?  
ჰაი! ან, იქნება მიბრძანოთ, რომა ნოე რასმით აღემატება  
თუნდა იგივე გვახარიასა? მე თუ მკითხავთ, ნოე კი არა, თუნ-  
და თვით გია და ლაშა ბულაძეებს ერთად აღებულთ ოდენ  
გვახარიას ფენის ფრჩხილიც კი გადაწონის. ისრე, გინახავთ  
მაინცა რა ფრჩხილზეა საუბარი? აუჰუ-ჰუ-ჰუჰუ! ნუთუ დას-  
ტურ არ გინახავთ? ოო, უთუოდ ბევრი დაგიკარგავთ, ჩემო  
ბატონებო, რამეთუ ფრჩხილიც არი ფრჩხილიც! ფრჩხილი კი  
არა, ნამდვილი კუპიდონის ნამგალია... ცხადია, თუკი კუპი-  
დონის უკვდავ ხელსა ნამგალი უპყრია.  
ისრე, ხუმრობა იქით იყოს და, საკითხავია, ვითომ რატომ  
არ არი ყველაფერი ეს სასერიალე მასალა? მეტსაც გეტყვით,  
მე რომ საამისო დრო და ნიჭი მქონდეს, უთუოდ კუხარკების  
გულის ასაჩვილებელ და ხურუშიანთა პოტენციის ასამალ-  
ლებელ სერიალს გამოვაცხოვრებდი სახელად, ვთქვათ, 'ცრე-  
მლწაღებულნი', მით უფრო, რომა ეპიგრაფად დუტუ მეგრე-  
ლის ერთსა ლექსშიგან იმისთანა სტროფი მეგულების, რომ  
იტყვიან, სწორედ რომ საეპიგრაფოდ ზედგამოჭრილი:

**ოჰ, რად არ ძალიძს მილად  
სრემლად ვიქცა,  
ვიქცა მიღნარად აღქაფაჟული,  
და ბაღაპრაცხო რას ქვეყანაჟი  
ბოროტებაა ბამეფაჟული.**

და, არ იფიქროთ რასმე ვლლაბუცობდე. ან რა საღლა-  
ბუცო კიდევა მეგრელი ანდა იგნატოვა ჰნახეთ! თუკი იგივე  
ფრანგებს დღემდის არ მორიდებიან, რომა წუნკი და მუცე-  
ლღმერთა პანტაგრუელით ეამაყათ, რომელმაც რომა მსო-  
ფლიოში უდიდესი ფსელდიდობა მოაწყო და ერჟამიერ მოსპო  
რამდენიმე ათასი პატიოსანი ძალღიშვილი, თავის, როგორ-  
ცა ღვიძლ პარიზელიანა, ისრე ჩამოთესლილ გომბიოებიანა,  
რატომ ჩვენ ვერ შევიძლებთ იგნატოვათი ტრაბახს, ვინცა

თამამად (მთავარია, სითამამე არ მოგვიშალოს ღმერთმან) შეიძლება ცრემლიდობის დედუფალად შევრაცხოთ? ჰოდა, თუკი შეიძლება, ბარემ აქავე შევრაცხოთ და ამაზე ლაპარაკიც გავათავოთ. გავათავებთ კიდევცა, ამისი დარდი ნუ გექნებათ, მთავარია მკლავი მკლავობდეს, თორემა გათავებას რა უდგას წინა! მამ ასე, დიდება დედუფალაო, შენსა მტერსა და მოშურნეს დაუდგეს ორთავ თვალიო! მტკიცე ხარ, მტკიცე, ბელადო, სახანჯლე ფოლადივითა... თუმცა ეს ბოლო მგონი სულ სხვა ოპერეიდანაა...

ისრე, ოპერაზედ გამახსენდა... მართალია, ბედნიერი და ამაყი ვარ, როსცა ამ ახლადგადღებულ ქალაქში დავდივარ, თვალსა და ხელს შუა საღეჭი რეზინის ქარხანას რომ დაემსგავსა, და მემცა მიკი-მაუსად წარმომიდგენია თავი (არადა, მე უიცს სულ მეგონა, რომ რალაც უფრო დიდისთვის და მნიშვნელოვანისთვის ვიყავი ამქვეყნად მოვლენილი, თუნდა რომ წაღმა მეფიქრა ქვეყნის უკულმა ტრიალი, ანდა ქვიშანი აღმერიცხა და წყალნი მეკოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მივხვდი, რომ პატარა თავუნა ვარ, სახელად მიკლუხო. იმათ გასაგონად კი, ვისცა რალაც ერევათ, და კარგა მაგრადაც ერევათ, რამეთუ ხშირად ასრე მომმართავენ: გამარჯობა, თახვო! როგორ გახდა შენი კბილები ასეთი ქათქათაო, – მინდა ვთქვა, რომ დრუნჩით კუდამდის თავი ვარ და არაფერი თავგური არ მეუცხოება), თუმცა სათქმელია, რომა ზემოხსენებული სიხარული ახლოსაც ვერ მოვა იმ გრძნობასთან, რომელიც თქვენს მონა-მორჩილს აქვს 'ამტანის' ყურებისას. მე აქ და ახლა წიგნის ფესტივალზედ ვაპირებდი უბნობასა, მაგრამ, აბა, რომელი ფესტივალი და ზეიმ-მეფლიში მოვა ამ რიალ-ბზრიალ შოუსთან? შეიძლება ითქვას, რომა, როსცა მე მეხთამპყრობელ ზევსის ძესა – სანდროსა (თუ კარგა დააკვირდებით, მამ დაინახავთ, რომა უკანა მოსდევს ეთეროვანი ევზი გვრიგვინთ ტოტების ქერითა) ვუყურებ, ჩემს სიხარულს სამძღვარი არა აქვს, და შესაბამისად, უმალ ფსლად გავდივარ. მოდი და ნუ გახვალ. ხომ ცხადზე ცხადია, რომ იგი ზეკაცია, ელვა და სიგიჟე! და ელვარე და ლომფერი, როგორც ცხრა ოქტომბერი! და უგავს პირისა სინათლე მთავარისა მოვანებასა. და მისგანა მოდის ჩემზედ ძალა მიმტაცი, ჰოდა, რა მერმე, რომა შეჰფოფინებდე ვაჟკაცსა, რაკი მოგწონსა გმირია? მართალია, თანდათან, ანუ, რაც დრო გადის, ცაკლერძ – უჭმელობისგანა, ცალკერძ – ფერად გალიასა ანთუ ბუდრუგანასმიგან გამომწყვდეული აეგ მთასავით ვაჟკაციცა თვალსა და ხელს შუა მომპასის კანფეტივით ილევა, და მემცა სულ იმასა ვფიქრობ, ეს საწყალი კურდღელი ძლიერ ავად გაგვიხდა, არცა წამალი ეამა, ჩამოხმა და გაგვიხდა-მეთქი, თუმცა გულს ის მიკეთებს, რომა არც ისრეა საქმე, როგორცა რომა ერთი შეხედვითა ჰჩანს, რამეთუ მისსა სულს ზადი არ დასტყობია, და კიდევ – ლომის და ვეფხვის ნაშობი განა მგლად გადაშენდება? სხვა მეტიმცა, სწორედ ამ ახალ ადამიანების ნახვის მერმე ჩავხვდი, რომა მიკი-მაუსი ვარ, ერთგვარი ქაჩალი თავგი. ან რა ხმანი აქუთ! გეგონება, განრისხებული ზევსი მეხისა კონებს იტყორცნებაო – ხმა ზახილისა მათისა ჰგვანსა ჰაერთა ქუხილსა! მე კი სორო-ბუნავს დაყუდებული წრუნუნა ვარ... მერმედა, თავგი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა? ცხადზედ ცხადია, რომა არაფრითა... თუმცა, ძალიანა გთხოვთ, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, ჩემო ბატონებო, რალაი, გარდა საბეჭვლისა, მე ქვაცა მაქვს და კაკალიცა, თავში შემოსაკრავიცა; კიდევ ისრეთი საუნა ბელტი, რომა ყოველგვარი ბელტის უნახავს გაგხდის კაცსა, ვფიქრობ, ქალსაც, რომ აღარაფერი

ვთქვით გახეხილი ყველის შესანახ კონტეინერზედ... ამიტომ ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროს. მე – ათას სირზედ გადამხტარი, როგორმე ჩემით გადავალ იოლასა. და თუ ვერ გადავდი, ეგაც არაფერი, ერთსა უთავგოდ რამენაირად გასძლებს სოფელი. მით უფრო, რომ საყოველთაოდ ცნობილია, თავგნი მიდი-მოდიან, ლომ-ვეფხვნი და ფუნა-ნეხვნი კი რჩებიან (ჰო, და რაც მთავარია, ამტანთ გარდა, წარღვნის მერმე, კიდევ ნოდარ ლადარია დარჩება, – ყოველგვარი ამტანობა ხომ ემაგის მოგონილია, – უკიდურეს შემთხვევაში, მისი სახელი მაინც, რალაი მასზედ კაკალი კაცი, არამცთუ ჩვენსა, მთელსა დუნიაზედ არ მეგულვის).

თუმცა ჭირსაც ნავუღივარ! წამილებს კიდევცა! თან ზევით ხომ ნოე ვახსენეთ... ჰოდა, აბა, სად წარღვნამდეგი კაცი, და სად – ქაჩალი თავგი, მით უფრო ემაშინ, როსცა ჰისტორია თავგთა დამთავრდა? დაბოლოს, ისრე, სასხვათაშორისოდ, საკითხავია, რატომ არ არი ღლონტი ახალი ნოე, ხოლო 'ფერადი სახლი' მისი კიდობანი? მე თუ მკითხავთ, სწორედ რომ კიდობანია. ანუ, ვითცა ზევითაცა ვთქვით, მემცა და ჩემნაირ ქაჩალ თავგთ სულ მალე ჭირი ნავგილებს, ახალ ადამიანი – ზეკაც-ზექალნი კი დარჩებიან, და აეგენი გამოსჭედავენ ხვალინდელ დღესა... ღამესაცა! კიდევ მეტი, უკვე აქედანვე სჭედავენ. და ახლავ სული წამიწყდეს, დანანებით თუ ვამბობდე სიტყვასა, წინაუკმო, ანუ, როსცა ემაგთ ვუყურებ, მიხარია კი არა, ვივსე-ბი ლხინითა და სიამითა და ციურ ზეიმოვნებითა, რამეთუ დასტურაეგენი არიან ლომ-ვეფხვთა ლეკვ-ბოკვერ-ნია, ჰოდა, ხომ გაგიგონიათ, ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვა-დია? თუმცა, ბოლიში მომიტხოვია, მაგრამ ეს ბოლო რა შუაში იყო, წარმოგვენა არა მაქვს...





**ამაჰვანის რეჟიონის გეოგრაფია**


“მოგავალი სიღარიბის გარეშე” არის არასამთავრობო ორგანიზაციების, სანიმუშიანი ჯგუფების და კომუნალური ასოციაციების გაერთიანება, რომელიც ათასწლეულის განვითარების მიზანთა განხორციელების გზით, სიღარიბის აღმოფხვრას მოითხოვს.

“მოგავალი სიღარიბის გარეშე” – სავარსებორობის ალიანსის **GLOBAL CALL TO ACTION AGAINST POVERTY** წევრია. ჩვენი მიზანია მოსახლეობის გააქტიურება და ერთობლივი ძალისხმევით, საქართველოს მთავრობის იძულება, რომ სიღარიბე დაძლიოს.

თეთრი სარტყელი სიღარიბესთან ბრძოლის სიგელოა. უკვე 5 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაეროს ათასწლეულის სამიზნე 191 ქვეყნის მთავრობამ, მათ შორის საქართველომ, სიღატაკისა და დაავადებების აღმოსაფხვრელად და თანასწორუფლებიანობის დასამკვიდრებლად, ათასწლეულის განვითარების რვა მიზანი დასახა. მათ შორის, სიღარიბის აღმოფხვრა, დედათა და გავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა, საყოველთაო განათლებისა და გენდერული თანასწორობის მიღწევა, შიღისა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა და ქვეყანათა თანამშრომლობის გაძლიერება. ეს მიზნები 2015 წლამდე უნდა განხორციელდეს. გზის ერთი მესამედი გავლილია. საქვამბარში მსოფლიოს ლიდერები კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან, რომ ნახონ, რისი მიღწევა შეძლეს.

ასეთი ტიპით, ათასწლეულის განვითარების მიზნების მისაღწევად კიდევ 100 წელიც არ იქნება საკმარისი.

მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ერთიანდება, რომ საკუთარ მთავრობას დაპირებების შესრულება მოსთხოვოს. შეამოგვიერთდით!







ნატო მურვანიძე

მსახიობი

„ზოგჯერ გვგონია, რომ სილარბე ჩვენ არ შეგვეჩება - რეალობა კი სხვაგვარია. ოჯახის წევრის ავადმყოფობა, ხშირად, ოჯახის გალატაკებას იწვევს. მრავალ ავადმყოფს აუცილებელ მედიკამენტზე ხელი არ მიუწვდება“.


„საქართველოში ყოველ მეორე ავადმყოფს არ შეუძლია მკურნალობის ხარჯების დაფარვა. მიმავალი სილარბის გარეშე მოითხოვს, რომ ავადმყოფთა გალატაკების თავიდან ასაცილებლად, ჯანდაცვის დაფინანსების ეფექტური სისტემა შეიქმნას.“

„ახალიათასწლეულისმიჯნაზე, მსოფლიოს 191 ქვეყნის ლიდერმა ერთად გადაწყვიტა, რა უნდა გაკეთებულიყო, რომ 2015 წლამდე მსოფლიო უკეთესობისკენ შეცვლილიყო. გადაწყვეტილების მიღებიდან უკვე ხუთი წელი გავიდა, ქმედითი ნაბიჯები კი ჯერაც არ გადადგმულა. ვალდებულებები საქართველოს მთავრობასაც აქვს. შეასრულეთ თქვენი დაპირებები, ბატონო პოლიტიკოსებო!“

ნონა ბაჟრიინდაშვილი

მთავარაკა





ლუკა კურტიანიძე

მომხდელი

„საქართველოში, ყოველი მეოცე ბავშვი ვერ აღწევს 5 წლის ასაკს. მათი დიდი ნაწილი ცხოვრების პირველსავე წელს იღუპება. შემზარავი ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ ამ სიტუაციის რადიკალურად შეცვლა შესაძლებელია. საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა, რომ 2015 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა ორი მესამედით შემცირდეს. მიზნის მიღწევამდე ათი წელი დარჩა, შეასრულეთ თქვენი დაპირებები, ბატონებო!“

„ერთი ამოსუნთქვა... ერთი გაფიქრება... ერთი კოცნა... ერთი გაღიმიება... ეს ყველაფერი სამ წამში ხდება. ყოველ სამ წამში, მსოფლიოს რომელიღაც წერტილში ერთი ბავშვი კვდება. უკიდურესი სიღარიბის გამო, დღეში 58 ათასი ადამიანი იღუპება“.

ნიკო ღიასაშვილი

მომღერალი






სალომე ქოქოტაშვილი    მომღერალი

„სიღარიბის დამარცხება შესაძლებელია. 2000 წელს მსოფლიოს ლიდერებმა გვიხრეს, რომ ამისთვის 15 წელი დასჭირდებოდათ. 5 წელი გავიდა, შედეგი კი არ ჩანს!“

“სტატისტიკა, მონაცემები, სტატისტიკა ინდიკატორები, რომლებიც სიღარიბის დონეს განსაზღვრავს... ამ არაფრისმთქმელი ციფრების მიღმა, ზოგჯერ რეალობის განცდა იკარგება. სიღარიბე — რეალური პრობლემაა, რომელიც ამ ქვეყანაში ყველას თანაბრად გვეხება.”

ველდორ სტეფანია

კათოლიკური





ნატო მატონიძე

მომღერალი

“ამერიკაში, ბრიტანეთსა თუ საფრანგეთში მილიონობით ადამიანი საკუთარ მთავრობას მსოფლიოს ღარიბ ხალხთა დახმარებას სთხოვს. ეს გასაგებია. საქართველოში ჩვენ ვითხოვთ შველას, რადგან სიღარიბესთან შეხება ყველა ჩვენგანს უხდება. მე ვიცნობ ღარიბებს, მე ვხედავ გაჭირვებას — ჩვენ აღარ გვინდა ასე გაგრძელება. ჩვენ ვერთიანდებით, რადგან გვინდა მომავალი სიღარიბის გარეშე”.


„ქუჩაში ფული ხომ უთხოვიათ? შექაძლოა, მსგავსი რამ ყველგან სდება, თუმცა ჩვენთან ასეთი რამ სშირია, ყოველდღიურად იზრდება უსახლკარო და მოხეტიალე ბავშვთა რიცხვი. არაეინ იცის მათი ზუსტი რაოდენობა. სიღარიბემ ამ ბავშვებს ცხოვრების და განვითარების ნორმალური პირობები წაართვა. ჩვენ ვერთიანდებით, რადგან გვინდა მომავალი სიღარიბის გარეშე.“

სერბი ბებრჯალაძე

ჟურნალისტი








ილიკო სუსიშვილი

ჟორჯორაფი

„თქვენ გვეუბნებით, რომ საქართველოში შიმშილის პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. დღეს, ყოველი მეოთხე, საქართველოში სრულფასოვნად ვერ იკვებება. კიდევ უფრო მეტი, ვერ იღებს დაბალანსებულ საკვებს. სიღარიბე არა მხოლოდ შეჭრებულულების და უპოვართა პრობლემაა, ის ყველას გვეხება. ჩვენ ვერთიანდებით, რადგან გვინდა მომავალი სიღარიბის გარეშე“.



# სხელი შოკოლადი

ნიკა ბერიძე. LIVE. 25.05.05

ბანათობი ცენტრი „ნივერია“ – ტერასა



გაგრძელება იქნება >>>



**კამფეტები, ანანასი**  
გიგი გულედანი  
**Global Darkness Publishing**  
2005 წ.

საერთოდ, რჩევის მიცემა არ მიყვარს, მაგრამ ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როცა რჩევის არმიცემა, უბრალოდ, დანაშაული იქნებოდა. ბოდიში მომიტხოვია, ასეთი პათეტიკური შესავლისთვის, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, სხვა-ნაირად არ შემიძლია. რა ბევრი გავაგრძელო, მინდა გირჩიოთ გიგი გულედანის პატარა ნიგნი 'კამფეტები, ანანასი' - რომლისთვისაც არცერთი საქებარი სიტყვა არ მენანება. ნიგნი მართლაც პატარაა, თუმცა მარტო ეს, ცხადია, არაა იმის მიზეზი, რომ ტექსტი ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ამასთან, ვფიქრობ, რომ სიპატარავე ამ ნიგნის ერთ-ერთი ღირსებათაგანია. და ამაში თქვენც დარწმუნდებით, თუ არ დაიზარებთ და რომელიმე მალაზიაში ამ ნიგნს მოიძიებთ. უანრზე საგანგებოდ არაფერს ვიტყვი, არა იმიტომ, რომ ძნელი დასადგენია. უბრალოდ, ვთქვით ასე, ამ საკითხს გახსნილად დავეტოვებ, რადგან არც მის ავტორს უნებებია ტიტულზე მისი მითითება და დაზუსტება. მკითხველმა თვითონ დაადგინოს, რა არის ეს, ზომიერად შელამაზებული დღიური, ბოლომოკვეცილი აღსარება, მცირე რომანი თუ კალეიდოსკოპური მოთხრობა. ნიგნი ხელისგულისხელაა და ბევრი მშვენიერი და გიჟმაჟი აბზაცითაა დაწერილი, რაც კიდევ უფრო აჩქარებს კითხვის რიტმს. ტექსტს ეტყობა, რომ მისი ავტორი ახალგაზრდა კაცია, თუმცა საკმარისად გარყვნილი. იმ გარყვნილებას ვგულისხმობ, ურომლისოდაც მსგავსი ნიგნი არათუ ვერ, არამედ არ დაინერებოდა. 'ამ ნიგნის ნაკითხვა ორთოდოქსული მეთოდით (თავიდან ბოლომდე) სავალდებულო არაა, მაგრამ არც აკრძალული'. უკვე ამ ნიგნის შემდეგ აღმოვაჩინე ამავე ავტორის კიდევ ერთი ნოველა 'Ирга Б', რომელიც არა მარტო შესანიშნავია, არამედ შეიძლება ითქვას, რომ შედეგია. თუკი ოდესმე თანამედროვე ქართული მოთხრობის ანთოლოგია შევადგინე, ამ ნოველას აუცილებლად შევიტან მასში, თუნდაც მისმა ავტორმა აღარაფერი დაწეროს. არ დავმალავ, ამას ჩემი ეგოისტური მიზანი მალაპარაკებს, კერძოდ, კვლავაც მინდა, რომ გიგი გულედანმა ახალი რამ შემოგვთავაზოს და ხელახლა გვასიამოვნოს. თქვენ კი იქამდე, შეგიძლიათ 'კამფეტები, ანანასი' დააგემოვნოთ.

**ზაზა ბურჭულაძე**



**ნობელის პრემიის ლაურეატები**  
(სერია)  
**გამომცემლობა "ინტელექტი"**  
2005 წ.

ამ წუთში ხელში ჯონ მაქსველ კუტზიეს "მისტერ ფო" მიჭირავს. კუტზიე ერთ-ერთი ბოლო ნობელის პრემიის ლაურეატია და მეც "ინტელექტის" ამ ახალ სერიაში შესული ნიგნებიდან, სწორედ ეს შევიძინე. ეს მართლაც ძალიან გამორჩეული სამხრეთ აფრიკელი მწერალია, რომელიც პრესას თავისი უცნაური პრინციპებით ხშირად აბნევს ხოლმე. ნობელის მიღების დროს კი, შვედური ინსტიტუტიც საკმარისად დააბნია: ისეთი უცნაური ლექცია დაწერა, ისეთი იგავური, რომ უფრო მხატვრული იყო, ვიდრე ცნება ლექციის განმარტებას შეესაბამება. მე კი კუტზიე გამოვყავი, მაგრამ გამომცემლობა "ინტელექტის" მთელი ეს სერიაა აღსანიშნავი. ჯერჯერობით, გამოსულია შემდეგი ავტორები: ნაჯიბ მაჰფუზი - "მირამარი", გიორგი ლობჯანიძის შესავალით. ალექსანდრ სოლჟენიცინი - მოთხრობების კრებული. უილიამ ფოლკნერი - რომანი "გამტაცებელი", ზაურ კილაძის თარგმანით. შმუელ აგნონი - "ედო და ეინამი", მოთხრობების კრებული (ეს გახლავთ ერთადერთი ებრაელი მწერალი, რომელიც ებრაულ ენაზე წერდა და ნობელის პრემია დაიმსახურა). იასუნარი კავაბატა - რომანი "ათასფრთიანი წერო", ლილი მჭედლიშვილის თარგმანით. ეს ცნობილი ავტორიც პირველი იაპონელია, რომელსაც ნობელის პრემია მიენიჭა დაბოლოს, სერიას აგვირგვინებს ჯეიმს დ. უოტსონი, ბიოზიფიზიკოსი, რომელსაც დნმ-ს სივრცითი სტრუქტურა შეუმუშავებია. "ინტელექტმა" კი ქართულად მისი პირადი ანგარიში თარგმნა ამ სტრუქტურის აღმოჩენის შესახებ. და რა გამოდის? გამოდის ის, რომ "ინტელექტი" ძალიან კარგ ინტელექტუალურ არჩევანს გვთავაზობს.



**კავკასიური ქრონიკა**  
(კრებული)  
**მამუკა ხერხეულიძე**  
**გამომცემლობა "არტე"**  
2005 წ.

დებიუტები ქართულ ლიტერატურულ სცენას, ბოლო დროს, არ აკლია. ეს კრებულიც ერთ-ერთი მათგანია. თუმცა, ვინც თანმიმდევრულად ეცნობა ლიტერატურულ პერიოდულ გამოცემებს, მამუკა ხერხეულიძის მოთხრობები ნაკითხვად ექნება. "კავკასიური ქრონიკა", "ოჩილა", "მზე ამოდოდა, ან ჩადიოდა", "ბებე" - ასეთია გოგა დემეტრაშვილის სადა და უპრეტენზიო დიზაინით აწყობილი ნიგნის შიგთავსი, და, რაც მთავარია, ამ სათაურების შიგთავსიც ასეთივეა - სადა და კარგი. როცა მოთხრობებს ნაკითხვად, ერთდროულად ბევრ რამეს მიხვდებით: რომ ბოლო ათ წელიწადში განცდილი და მომხდარი ჯერაც არ დასრულებულა; რომ ჩვენი ნარსული კვლავაც ჩვენივე ანმყო და თუ მას იმ დეტალებითა და ინტონაციით მოგიყვებიან, როგორც ხერხეულიძე გვიყვება, დიდად არ გაგაღიზიანებს, რადგან ის ძალიან კარგი მოთხრობელია. ყოველივე ამის ფონზე, მიხვდები იმასაც, რომ ის, რაც ნიგნშია შესული, ძალიან ცოტაა. მამუკა ხერხეულიძეს კიდევ ბევრი აქვს მოსაყოლი.

...იმ წლებზე ბევრი წერს, ამ წლებზეც დაიწყეს წერა. მაგრამ "კავკასიური ქრონიკები" რალაც უფრო ნაკლებპრეტენზიული, პირდაპირი, გამძლე და მაგარია, ისევე, როგორც ის ე.წ. "ნიგნის ფურცელი" - უხეში და მუყაოსმაგვარი, რომელზეც ეს მოთხრობებია დაბეჭდილი. ასე ერთნაირი განცდა მოდიოდაც ცალკე ფურცლისგან, ცალკე ფურცელზე გადატანილი ტექსტისგან, პირველად ვნახე. აბა, თქვენც სცადეთ და გადაამოწმეთ.



**ფანტასტიკური ოთხეული**

**სად:** კინოთეატრი „რუსთაველი“

**როდის:** ივლისი

**რეჟისორი:** თიმ სთორი

**ჟანრი:** ბლოკბასტერი, თავგადასავალი, ზღაპარი, ფანტასტიკა;

ანუ უკვე მიხვდით ხომ, რა გელით?

თქვენი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე, ბავშვობაში არაერთხელ მოცნებია – ნეტა, შემეძლოს რაღაც უცნაურობების კეთება, მაშინ ხომ ყველაზე მაგარი ვიქნებოდი-მეთქი! თუმცა, არცერთ ჩატარებულ ექსპერიმენტსა თუ ცდას საჭირო შედეგი არ მოჰყოლია, რამაც საბოლოოდ ხელის ჩაქნევასა და ამ საკითხში ღრმა პესიმისტობისაკენ მიბიძგა.

ჩემგან განსხვავებით, თიმ სთორის ახალი ფილმის გმირები, რომელთაც "ფანტასტიკური ოთხეული" და თუ გნებავთ "მშვენიერი ოთხეული" უწოდებთ, ისეთ საოცრებებს სჩადიან, რომ...

კოსმოსში გაფრენისას მიღებული დასხივებით, ოდესღაც ჩვეულებრივი ადამიანი, "მისტერ ფანტასტიკი", საღეჭი რეზინით მოქნილი და წელვადი ხდება; მეგობარი გოგონა სიუ – ხან ჩნდება, ხან ქრება, ანუ, თვით „ქალი-უჩინმაჩინია“; სიუს ძმა – "ადამიანი-ჩირაღდან" – ცეცხლის ყოვლისშემძლე "მამაა"; ხოლო მფრინავი ბენი, სუპერძლიერ "ქვის კაცად" გადაიქცევა ხოლმე...

ყველანი ერთად კი, ის ბანალურ-ამერიკული "ძალა ერთობაშია", რომლებიც ზოგადად ბოროტებას და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ექიმი დუმის ბოროტ ზრახვებს ებრძვიან.



**შინაგანი ზღვა**

**სად:** კინოდარბაზი "ამარკორდი"

**როდის:** ივლისი

**რეჟისორი:** ალესანდრო ამენაბარი

ეს ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ესპანეთის კინოაკადემიამ "გოიას" დაჯილდოება ჩაატარა; რომლის უდავო ფავორიტი და 15 ნომინაციაში დასახელებული ალესანდრო ამენაბარის 2004 წელს გადაღებული ფილმი "შინაგანი ზღვა" გახდა. ფილმი, რომელმაც უკან ჩამოიტოვა პედრო ალმოდოვარის "ცუდი აღზრდა", და "ოსკარზე" წასვლის უფლებაც, რომ იტყვიან, ცხვირწინ ააცალა პედროს. ეს უკანასკნელი კი, ამაზე ისე გაღიზიანდა, რომ ძმასთან ერთად, უარი განაცხადა კინოაკადემიის წევრობაზე და სულ წამოვიდა იქიდან.


ვეროპის კინოაკადემიის, "ოქროს გლობუსის" და "ოსკარის" ჯილდო საუკეთესო უცხოენოვანი ფილმისათვის; რამდენიმე ესპანური "გოია" და ვენეციის კინოფესტივალის ჟიურის სპეცპრიზი.

აქვს თუ არა ადამიანს უფლება, თვითონ აირჩიოს საკუთარი სიკვდილის დღე?

ეუტანაზია - ნებაყოფლობითი სიკვდილი; ეუტანაზია - მძიმე ავადმყოფობის დასრულების ერთადერთი შანსი.

ალესანდრო ამენაბარის "შინაგანი ზღვა", სწორედ იმ თემას შეეხება, რაც დღეს, მთელი მსოფლიოს მსჯელობის საგანია; ის, რის გაგონებაზე, დღესაც აცახცახებს ბევრ სახელმწიფოს, და რასაც ასე ეწინააღმდეგება ეკლესია.

მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა რამონ სამპედო (ხავიერ ბარდემი) წყალში, არასწორად შესრულებული ნახტომისას კისერს მოიტეხავს, მისი ცხოვრება ნამდვილ კომმარს ემსგავსება; მას სანოლზე მიჯაჭვული 30 წელი და... ერთადერთი იმედი – ეუტანაზია რჩება.



**თბილისი-თბილისი**

**სად:** კინოთეატრი "ამირანი"

**როდის:** ივლისი

**რეჟისორი:** ლევან ზაქარეიშვილი

შვიდი წლის წინ დაწყებული ფილმი; ოთხი სევედიანი ნოველა; ქართული სინამდვილე; ახალი მარგინალების მიკრო სამყარო და დიდ ბაზრად გადაქცეული თბილისი – ეს ლევან ზაქარეიშვილის ახალი ქართული რეალობაა, ფილმი "თბილისი-თბილისი", რომელსაც კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე წარდგენის შემდეგ, ქართველი მაყურებელიც იხილავს.

ის, რომ საქართველოში ან არაფერი კეთდება – აქ მე კინოს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა – ან თუ კეთდება მაშინ ეს პროცესი სრულ უსასრულობაში გადადის, ახალი აღმოჩენა არაა. როგორც უკვე მიხვდით, არც ეს უკანასკნელი ფილმია ზემოთ ხსენებული პროცესისგან გამოწვეული. ისიც ფაქტია, რომ განელილი წლები და უსასრულობა, მინუსების გარდა, არც არაფერს სძენს ფილმს, თუმცა...

მართალი გითხრათ, ამ შემთხვევაში დიდად ვერ დაგეხმარებით, რადგან ფილმი ნანახი არ მაქვს და ვერც ვერაფერს გეტყვით, გარდა მოკლე შინაარსისა და იმ ფაქტისა, რომ კინოთეატრში მისულს, არამარტო შტერული ამერიკული ფილმები და ზოგჯერ გამონათებული ევროპული კინო, არამედ ქართველი რეჟისორის, ქართულ ბაზაზე გადაღებული ქართული ფილმი დაგვხვდება.

ფილმის ახალგაზრდა გმირი რეჟისორია, რომელიც სცენარს წერს, მაგრამ... მაგრამ ვინ იცის? აქვს კი აზრი რამის გაკეთებას ასეთ არეულ ქვეყანაში?! დახეტილობს საკუთარი ქალაქის ქუჩებში, რომელიც თანდათან დიდ ბაზარს დაემსგავსა და... ეს ხომ მარგინალების, მეძავეების და ჯიბგირების მიკრო სამყაროა!

